

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მანანა ღამბაშიძე

ანდაზის სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპოლოგია
(ქართული და რუსული მასალის მიხედვით)

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის

დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნუნუ გელდიაშვილი პროფესორი

სედა ასატუროვი ასოც. პროფესორი

თელავი

2016 წ.

შინაარსი

შესავალი	4
----------------	---

თავი I

ანდაზის ლინგვისტური დეფინიცია

§ 1 ანდაზის განსაზღვრის სპეციფიკა	14
§ 2. ანდაზა, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეული და მისი მთავარი მახასიათებლები	21
§ 3. ანდაზის, როგორც დისკურსის შემადგენელი კომპონენტის, დეფინიციისათვის.....	26
§ 4. ანდაზის და ანდაზური თქმის დეფინიციის პრობლემისათვის	32

თავი II

წინადადების აღნაგობის საკითხისათვის ანდაზაში

§ 1. მოკლე ისტორიული მიმოხილვა.....	38
§ 2. განზოგადოებულპირიანი წინადადებით გადმოცემული ანდაზები.....	41
§ 3. ქვემდებარეგაუჩინარებული წინადადებით გადმოცემული ანდაზები.	46
§ 4. უსრული და ელიფსური წინადადებები ანდაზებად	49
§ 5. ინფინიტიური წინადადებით გადმოცემული ანდაზები.....	61
§ 6. შერწყმული წინადადებით გადმოცემული ანდაზები.....	65
§ 7. რთული წინადადებით გადმოცემული ანდაზები	87
§ 8. ატრიბუტული და პრედიკატული ფორმები ანდაზებში.....	100
§ 9. პოტენციალისი ქართულ და რუსულ ანდაზებში	105

თავი III

ანდაზის სემანტიკური მახასიათებლები

§ 1. სემანტიკური კლასიფიკაციისათვის.....	117
§ 2. სუბსტანტივაცია ანდაზებში	125
§ 3. ანდაზის ლექსიკის სემანტიკური ასპექტები	129
§ 4. სემანტიკური ვალენტობის განსაზღვრა ანდაზის პრედიკატულობის გადმოსაცემად.....	146
§ 5. მსაზღვრელის როლი, როგორც ანდაზის ექსპრესიულობის რეპრეზენტაციის ერთ-ერთი საშუალება.....	156
დასკვნა	166
ლიტერატურა	175
დანართები	188

შესავალი

„კულტურის ინდივიდუალობას აყალიბებს მრავალი ფაქტორი – დრო სივრცე, რელიგია, ენა, ეროვნება, სახელმწიფო, რომელთა დაწესებული ტრადიციების რკალი, რომელთა მოგვრილი იმპულსები და სიგნალები, პიროვნულ ფაქტორს, სუბიექტის ხედვას, განცდას, წარმოდგენას სპეციფიკური ნიშნებით აღბეჭდავს, აძლევს საერთო მიმართულებას, კრებად სახეს. ამიტომ განირჩევა გერმანული კულტურა რომაულისაგან, ფრანგული – რუსულისაგან, ქართული – სომხურისაგან, სპარსული – არაბულისაგან. მაგრამ აქვთ საერთო ნიშნები, რომლებიც აკავშირებენ ერთმანეთისაგან დაცილებულ კულტურებს – ისინი მაღლა დგებიან ეროვნულ კუთვნილებაზე, სძლევენ დრო-სივრცეს და აყალიბებენ ტიპოლოგიურ სტრუქტურას, მსგავს სტილს, ხედვასა და ესთეტიკას, ასევე – ზოგად უნივერსალიებს, საერთო კანონზომიერებას“ [სიგუა, 2012 : 27].

წინამდებარე დისერტაციაში მოცემულია ქართული და რუსული ანდაზების, როგორც ფრაზეოლოგიის შემადგენელი ნაწილის და როგორც სინტაქსური სტრუქტურის მქონე ლექსიკური ერთეულის, კონტრასტული კვლევა. დავეყრდენით რა მოწინავე ქართველ, რუს და უცხოელ ლინგვისტთა ტიპოლოგიური კვლევის შედეგებს, შევეცადეთ, გამოგვევლინა იზომორფიზმები, ალომორფიზმები, უნივერსალიები და რეალიები ორი სხვადასხვა სისტემის ენათა პარემიების მაგალითებზე.

ჯერ კიდევ მე-17–მე-18 სუკუნეებში, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტმა თავის ნაშრომებში დაასაბუთა, რომ „აუცილებელია არა მხოლოდ მონათესავე ენათა ისტორიულ–შედარებითი შესწავლა, არამედ მსოფლიო ენათა ტიპოლოგიური შესწავლაც“ [კოდუხოვი,1982:368]. კოდუხოვის აზრით, ენათა შედარებით–ტიპოლოგიური შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვავლინოთ სხვადასხვა ენის სტრუქტურული თავისებურებანი.

„ყოველი ენა იმდენად თვითმყოფადი მოვლენაა, იმდენად თავისებური, რომ მხოლოდ სხვა ენებთან შედარებისას იკვეთება ცალკე არსებული ენის სპეციფიური

თვისებები. შედარება თითქოსდა ხსნის ენის ჩარჩოებს, აღრმავების მის ისტორიულ პერსპექტივას“ [Будагов,1953:280]. როგორც ი. კვაჭაძე [კვაჭაძე,1963:24] აღნიშნავს, დედაენისა და უცხო ენის შეპირისპირებითი ანალიზის როლი ინტერფერენციის უარყოფითი გავლენის ნეიტრალიზაციაშია და რომ შეპირისპირებითი ანალიზი ემსახურება ორი ენის ამა თუ იმ კატეგორიის ან მოვლენის ფორმოზონს და სემანტიკურ სტრუქტურათა დიფერენცირებას. ხოლო როგორც ბ. ბაზაროვი [Базаров, 2014] აღნიშნავს, ენების შეპირისპირებითი შესწავლა ხელს უწყობს შესადარებელი ენების თავისებურებების უკეთესად განსაზღვრას და იძლევა თარგმნის პროცესში საიმედო ლინგვისტური ბაზის შექმნას.

„ენათა შეპირისპირებითი შესწავლა უშუალოდ დაკავშირებულია ენობრივი ტიპოლოგიისა და ლინგვისტური უნივერსალიების პრობლემატიკასთან. ტიპოლოგიური შესწავლა წარმოაჩენს ენის არა მარტო ზოგად, არამედ საყოველთაო თვისებებსაც, რომლებიც შეიძლება გენეტიკური, არეალური და ტიპოლოგიური დამთხვევების შედეგს წარმოადგენენ“ [კოდუხოვი,1982:378(ქართ.ენაზე)].

მ. გუხმანის [Гухман, 1973:5] აზრით, უნივერსალიების და ტიპოლოგიის მიმართ დიდი ინტერესის გაღვიძება სრულებითაც არ არის შემთხვევითობა. განსაზღვრავს რა უნივერსალიების ადგილს ლინგვისტიკაში, მ. გუხმანი გამოყოფს ორ ამოცანას, რომელთა გადაწყვეტაც ამა თუ იმ სახით დაკავშირებულია უნივერსალიებთან: 1) რეალური ენის უნივერსალური მოდელის აწყობა, 2) იმ ტიპური მოდიფიკაციების და ვარიანტების შესწავლა, რომლებშიაც რეალიზირებულია მრავალი უნივერსალური კატეგორია და ენის ნიშან-თვისებები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური მოცემულ კვლევაში ისაა, რომ განისაზღვროს ანდაზისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რათა ადეკვატურად გაიხსნას მისი ლინგვისტური თვისებები და განსხვავებები ორ კულტურაში. ანდაზის დეფინიციისათვის გამოიყო ფოლკლორული, კოგნიტური, ლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები.

ანდაზა იმდენად რთული მოვლენაა, როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური და ფუნქციური თვალსაზრისით, რომ მისი უნივერსალური

განსაზღვრება თითქმის შეუძლებელია. ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ანდაზის ლინგვისტური სტატუსის, მისი სტრუქტურის და სემანტიკის ანალიზი ქართულ და რუსულ ენებში, ამ ენების შეპირისპირებითი მეთოდით.

ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ხალხის ანდაზები ძალზე ჰგავს ერთმანეთს თავისი მნიშვნელობებით და ფორმებით, დიდი ხანია პარემიოლოგების ყურადღების ცენტრშია. ამას ადასტურებს მე-20 საუკუნის მკვლევრების: ე.კოკარე, ი.ლაუტენბახი, პ.შმიტის ნაშრომები, რუსი ლინგვისტის, მაგალითად, ი. გოლშუხის [Голшух,1888] ნაშრომი «Пословицы, поговорки и изречения, или народная мудрость на трех языках: русском, французском и немецком: с прибавлением некоторых, на латинском языке».

ა.დ. დულიჩენკოს აზრით, სემიოტიკური თვალსაზრისით, პარემიები წარმოადგენენ მეტაფორული ბუნების ენობრივ ნიშნებს, რომლებსაც იყენებს ნაციონალური ენის და კულტურის მატარებელი საზოგადოება ტიპობრივი სიტუაციების და ურთიერთობების გამოსავლენად. თუმცა, პარემიების ხატოვანება, მათ შორის რუსულისაც, ასახავს კონკრეტული ხალხების არა მარტო მრავალსაუკუნოვან სოციალურ-ისტორიულ გამოცდილებას, არამედ შეიცავს აგრეთვე სულიერი კულტურის გამოძახილსაც. ეტიმოლოგიის და ეთნოლინგვისტიკის კუთხით, პარემიები იძლევიან მდიდარ და მრავალფეროვან მასალას ნებისმიერი ხალხების კულტურის და ტრადიციების შესასწავლად [Дуличенко, 2011].

სწორედ ამიტომაც საინტერესო ქართული და რუსული ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური, კოგნიტური ბუნების ტიპოლოგიის შესწავლა, მოცემული ტენდენციების ურთიერთქმედებებზე დაკვირვება და საინტერესო დასკვნების გამოტანა.

ნაშრომის მიზანი: ნაშრომის მიზანია ქართული და რუსული ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპოლოგიის შესწავლა. ანდაზური სტერეოტიპების, როგორც პარემიოლოგიური არეალის უმნიშვნელოვანესი პარამეტრის შესწავლისას გამოვლინდა მათი კოგნიტური სტრუქტურის კანონზომიერებანი, ვარიანტები და სპეციფიკა. მოხდა ანდაზების დემონსტრირება ორ ენაში, როგორც პარემიული

უნივერსალიების კომბინაცია; გაანალიზდა ანდაზის ინტერფერენცია (ლათ. inter-ურთიერთ, ferens/ferentis-გადამტანი ე.ი. ერთი ენის თავისებურების გადატანა მეორე ენაში და პირიქით) ქართულ და რუსულ ენებში, რაც გამოწვეულია ენების ხანგრძლივი კონტაქტების შემთხვევაში. ამ დროს ერთი ენა შესაძლებელია, დაუახლოვდეს მეორეს ტიპოლოგიური თვალსაზრისით, რაც შეიძლება აისახოს ფონოლოგიურ, გრამატიკულ, სემანტიკურ სტრუქტურებზე.

მიზნის რეალიზაციისათვის დაისახა შემდეგი **ამოცანები**:

- ❖ ანდაზის თეორიული და პრაქტიკული ანალიზის საფუძველზე, სტრუქტურული და სემანტიკური მსგავსება-განსხვავებების დადგენა;
- ❖ ანდაზის ნაციონალურ-სპეციფიკური ხასიათის გამოვლენა.

როგორც რუსი ლინგვისტი ვ.იარცევა აღნიშნავს, ანდაზის მეცნიერული კონტრასტული ლინგვისტიკა ის ზონაა, სადაც თეორიისა და პრაქტიკის გზები ერთმანეთს კვეთს [Ярцева, 1960].

ლინგვისტური კვლევის ყურადღების ცენტრში, სადაც კონცენტრირებულად ასახულია ხალხური ფსიქოლოგიის და ფილოსოფიის სპეციფიკა – ესაა პარემიები. კონტრასტულ ჭრილში, ტიპოლოგიური ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, ანდაზის კომპლექსური შესწავლა, როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტის - ვფიქრობთ, მეტად **აქტუალურია**.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს ორი სხვადასხვა სისტემის ენების ანდაზების შეპირისპირებით კვლევაში. თანამედროვე ლინგვისტიკაში ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპოლოგია ნაკლებადაა შესწავლილი, მეტადრე ქართული და რუსული ენების მაგალითზე. ტიპოლოგიურ ჭრილში განხილვისას გამოვლინდა ახალი უნივერსალიები. კოგნიტური შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა:

- ❖ მსგავსება-განსხვავებანი ქართული და რუსული პარემიოლოგიური სამყაროს კონცეპტუალიზაციასა და ორი ხალხის მენტალიტეტში;

- ❖ მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ანდაზის სემანტიკურ მხარეს, თარგმანის ასპექტებს. განიმარტა, თუ რას წარმოადგენს ანდაზა და როგორია მისი კოგნიტური სტრუქტურა;
- ❖ პასუხი გაეცა მთავარ კვლევით კითხვას: რაში მდგომარეობს შეპირისპირებითი შესასწავლი ობიექტის, კერძოდ, ანდაზის სისტემების და კატეგორიების ტიპოლოგია;
- ❖ გაირკვა თანხვედრა და განსხვავებები ქართულ და რუსულ ენაში არსებულ ანდაზებს შორის. გამოიყო ქართული და რუსული კულტურებისადმი დამახასიათებელი ღირებულებების ამსახველი ანდაზები;
- ❖ გამოკვლეულ იქნა ანდაზური სტერეოტიპების, როგორც პარემიოლოგიური არეალის უმნიშვნელოვანესი პარამეტრის არსი ორ ენაში (ქართული და რუსული ენების მაგალითზე), გამოვლინდა ანდაზების კოგნიტური სტრუქტურის კანონზომიერებანი, გაანალიზდა ისეთი საკითხები, როგორიცაა: ანდაზის მორფოლოგიურ – სინტაქსური ბუნება; ანდაზის ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებლები; გაირკვა რომელი მეტყველების ნაწილია უფრო აქტიური ერთ, ან მეორე ენაში და წინადადების ტიპების ნაირგვარობა ანდაზების სტრუქტურაში.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულებები მდგომარეობს პარემიების, როგორც პარემიოლოგიური არეალის ერთ–ერთი რთული მოვლენის თავისებურებაში. კვლევას თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლად დაედო გამოჩენილი ქართველი, რუსი და ევროპელი ენათმეცნიერების შრომები, მიძღვნილი პარემიების ტიპოლოგიური კვლევისადმი.

- ❖ ანდაზების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციონალური კულტურის მრავალფეროვნების, ენის კულტურის, მენტალობის, სპეციფიურობის გაგებაში.
- ❖ არსებულ კვლევებს ძირითადად თეორიული მნიშვნელობა აქვს, თუმცა, მისი შედეგები შეიძლება აქტიურად იქნეს გამოყენებული რუსული ენის, როგორც უცხო ენის, შესწავლის პროცესში.

- ❖ კვლევის შედეგად მიღებული მასალები შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე სასკოლო კურსში, უნივერსიტეტის სალექციო და პრაქტიკულ კურსებში, რუსული ენის სტილისტიკის და აგრეთვე, ენის კულტურის შესწავლისას.
- ❖ კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების გამოყენება მნიშვნელოვანი იქნება ლექსიკოლოგიისა და ფოლკლორისტიკის საუნივერსიტეტო სალექციო კურსებში, ანდაზების ლექსიკონების შედგენის საქმეში და სხვა.
- ❖ ანდაზების შეპირისპირებითი შესწავლა ერთ-ერთი ეფექტურ მეთოდთაგანია სამეტყველო ჩვევების შესაძენად, გამოთქმათა კორექციის დასახვეწად, ლექსიკის და გრამატიკული მასალის ასათვისებლად. ვ. დალის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „ანდაზაზე გრამატიკა არა მარტო დამოკიდებული, არამედ მასთან ვალშიც უნდა იყოს და ბევრი რამ უნდა ისწავლოს მისგან” [Даль, 1984:16].
- ❖ საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით მიღებული სათანადო დასკვნები, უდავოდ, იქნება ძირითადად ახალი, ზოგიერთ შემთხვევაში კი უფრო სრულყოფილი ცოდნის შემცველი ტიპოლოგიური ლინგვისტიკის სფეროში. კვლევების შედეგად მიღებული დასკვნები, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად წაადგება არა მხოლოდ ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის დარგს შემდგომი განვითარებისათვის, არამედ დაეხმარება ისეთ მომიჯნავე სფეროებს, როგორცაა ლინგვოკულტუროლოგია, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა თუ ეთნოლინგვისტიკა.
- ❖ ანდაზების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციონალური კულტურის მრავალფეროვნების შესწავლაში, ენის კულტურის, მენტალობის, სპეციფიურობის გაგებაში. ლექსიკური შემადგენლობის მუდმივობა, შინაარსის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობის არსებობა, აგრეთვე მეტყველებაში მზა კლიშეებით გამოყენება – ესაა პარემიების მთავარი მახასიათებელი. ფოლკლორისტული და ლინგვისტური მიდგომა ლინგვოკულტუროლოგიაში სინთეზირდება, რომლის ჩარჩოებშიც ანდაზა

განიხილება როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ტექსტი, რომელიც კონცენტრირებული სახით გამოხატავს ინფორმაციას ამა თუ იმ ხალხის კულტურის, ტრადიციების, მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტებს.

კვლევის მეთოდები. გამოყენებულ იქნა აღწერითი, შედარებითი და ნაწილობრივ დიაქრონული მეთოდები, აგრეთვე, ანდაზების სტრუქტურულ – სემანტიკური ანალიზი, კომპონენტური ანალიზის მეთოდი, ლექსიკონების დეფინიციის საფუძველზე, ანდაზის კონტექსტუალური რეალიზაციის დასადგენად. **კვლევის პროცესში** განისაზღვრა პარემიათა ტიპური და არატიპური მახასიათებლები შეპირისპირებითი, აგრეთვე, რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. კვლევის დროს ძირითადი დასაყრდენი იყო აღწერითი მეთოდი, რომელიც ემყარებოდა ამა თუ იმ საკვლევ საკითხზე დაკვირვებას, მათ ორ ენაში შეპირისპირებას, კლასიფიკაციას და განზოგადებას.

- ❖ სტატისტიკური მონაცემების აუცილებლობიდან გამომდინარე, მასალაზე კვლევის პროცესში, საჭირო იყო რაოდენობრივი მეთოდის გამოყენება, ასევე, გამოყენებული იქნა ლინგვისტური დაკვირვების, სტრუქტურულ-სემანტიკური ტაქსონომეტრიული / კლასიფიკაციური ანალიზის მეთოდები.
- ❖ შედარება-შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდით, ლექსიკონების დეფინიციის საფუძველზე, პარემიის ენობრივი თავისებურებების გამოვლენისათვის, მოხდა აგრეთვე პარემიის ლინგვისტური პროგნოზირების ანალიზი.
- ❖ საანალიზო წყაროებმა და კვლევის მეთოდებმა მოგვცა საშუალება, განსაზღვრულიყო ანდაზის სტრუქტურა, სემანტიკა, ლექსიკის ზოგიერთი საკითხი ტიპოლოგიურ ჭრილში.
- ❖ კვლევების შედეგად მიღებულმა დასკვნებმა გამოავლინა პარემიების ტიპოლოგიის რელევანტურობა ლინგვისტური თვალთახედვით.

საანალიზო წყაროებს წარმოადგენს ქართული და რუსული ანდაზების კრებულები. კერძოდ, როგორც ახალი, თანამედროვე გამოცემები, ასევე, ძველი, გასული საუკუნის კრებულები: მაგალითად, პ.უმიკაშვილი „ხალხური სიტყვიერება“,

დ.თურდოსპირელი და ე.გაბრიჩიძე „ქართული ანდაზები“, ლ.მეტრეველი „ანდაზები“, ქართული ანდაზების კრებული, შედგენილი ნ. ნაკაშიძის მიერ, „რუსულ – ქართული ანდაზები და თქმები“, ანდაზების კრებული, შედგენილი ჯ. სონღულაშვილის მიერ „ქართული ანდაზები და გამოცანები“, თ. სახოკია, „ქართული ანდაზები“, ა.კანდელაკი „ქართული ანდაზები“, ჯ.სონღულაშვილი, „ქართული ანდაზები და გამოცანები“.

რაც შეეხება რუსულ ანდაზებს, მთავარ წყაროდ რუსულ ენაში კვლევისათვის გამოყენებულია ვ.დალის ანდაზების კრებულის «Пословицы русского народа»[1984] ორტომეული, რაც ნაკარნახევია კრებულის ყოვლისმომცველობით და ამ მხრივ სხვა რუსულენოვან კრებულებზე უპირატესობით.

დასმული ამოცანების გადასაწყვეტად თავისუფალი შერჩევის გზით, კვლევისათვის დავეყრდენით ოთხიათასზე მეტ ანდაზას.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან, რომელიც შეადგენს 187 ნაბეჭდ გვერდს. თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა, სანალიზო წყაროები, ინტერნეტმასალის ელექტრონული ვებგვერდები და ლექსიკონების ნუსხა. ნაშრომს დანართის სახით ახლავს საილუსტრაციო მასალა (34 დანართი).

ნაშრომის პირველი თავი მოიცავს ქართული და რუსული ანდაზის განსაზღვრის ფოლკლორისტული სპეციფიკის, ანდაზის, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულის და მისი მთავარი მახასიათებლების ლინგვისტურ განსაზღვრებას, შეჯერებულია აზრთა სხვადასხვაობა - მიეკუთვნება თუ არა ანდაზა ფრაზეოლოგიას. გამოკვეთილია აგრეთვე ანდაზა, როგორც დისკურსის მნიშვნელოვანი ლოგიკურ-სემანტიკური კონოტაციით დატვირთული და მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგიის შემადგენლობაში გამოიყოფა, ანდაზებთან სტრუქტურულ – სემანტიკური ნიშნებით ნაწილობრივ მიმსგავსებული მყარი პრედიკატიული ერთეულები. ასეთ ერთეულებს მიეკუთვნება რუს.–поговорка, ანუ როგორც მას სხვადასხვა ენათმეცნიერი მოიხსენიებს ქართულ ენაში, საანდაზო თქმები. გამიჯნულია ანდაზები თავისი განსაკუთრებულობით, მკვეთრი

განსხვავდებულობით ანდაზური თქმისაგან იმით, რომ ახასიათებთ დიდაქტიკური და დასრულებული შინაარსი. ანდაზური თქმა გამოირჩევა აზრობრიობის უსრულობით და დამრიგებლური ხასიათის შინაარსის არქონით, თუმცა, ორივეს აერთიანებს ასონანსური რითმა, ანუ ხმოვანი ბგერების გამეორება. ყველაზე დამახასიათებელი და არსებითი ანდაზისა და ანდაზური თქმისათვის სიმოკლეა.

მეორე თავში მოცემულია ანდაზის, როგორც წინადადების მოკლე ისტორიული მომობილვა. ანდაზის ყველა ასპექტის შედარება ორივე ენაში მეტნაკლებადაა შესწავლილი როგორც ქართველი, ასევე რუსი ლინგვისტების მიერ. ანდაზის გადმომცემი წინადადებები, მათი შედგენილობა, სიტყვათმეხამებანი საინტერესო საკვლევ მასალას იძლევა. ვეთანხმებით ლინგვისტთა საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს და მიგვაჩნია, რომ ანდაზა სინტაქსური სტრუქტურის მქონე ლექსიკური ერთეულია, რაც იძლევა მისი სინტაქსური თვალსაზრისით გამოკვლევის შესაძლებლობას.

ტრადიციულ განმარტებებზე დაყრდნობით განვიხილეთ ქართული და რუსული ანდაზის სტრუქტურა მორფოლოგიური და სინტაქსური დონეების მიხედვით.

განსახილველი ანდაზების სტრუქტურული სქემების საფუძველზე, მივიღეთ ერთიანი სურათი მარტივი თანწყობილი და შერწყმული წინადადებებით გადმოცემული ქართული და რუსული პარემიების სინტაქსური უნივერსალიების შესახებ.

გაირკვა, რომ პროცენტული თანაფარდობა ერთგვარშემასმენლიან ქართულ და რუსულ ანდაზებს შორის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

ატრიბუტული და პრედიკატული ფორმების განხილვამ ანდაზაში, ცხადყო, რომ სიტყვასიტყვით თარგმანი ხშირ შემთხვევაში ვერ გადმოსცემს ანდაზის ზუსტ სემანტიკურ, კონოტაციურ და დენოტაციურ არსს, იკარგება ექსპრესიულობა და გამომსახველობა. უსრული და ელიფსური წინადადებების განხილვისას ანდაზებად, რაოდენობრივ - ანალიზურ მეთოდზე დაყრდნობით და ცხრილების საშუალებით, დადგინდა ქართულ და რუსულ ელიფსურ წინადადებებში გამოტოვებული

კომპონენტების პროცენტული თანაფარდობა. ამავე თავში განხილულია, აგრეთვე, პოტენციალისი და ოპტატივი ქართულ და რუსულ ანდაზაში, ინფინიტიური, რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებით გადმოცემული ანდაზები.

მესამე თავი ეძღვნება ანდაზის სემანტიკურ თავისებურებებს. შევხებით ანდაზების გ. პერმიაკოვისეულ კლასიფიკაციას, განვიხილეთ ქართული და რუსული ანდაზების კრებულების სტრუქტურული მახასიათებლები და დავადგინეთ, რომ კლასიფიკაციის უნივერსალურობის საკითხი ჯერ კიდევ კვლევის საგანია და ლინგვისტა შორის იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. განვიხილეთ აგრეთვე სუბსტანტივაციის მოვლენა ანდაზებში. შევხებით ლექსიკის ზოგიერთ საკითხს. ქართული და რუსული ანდაზის კვლევისათვის გამოყენებულ იქნა, სინტაქსურ-სემანტიკური და ლექსიკური მიდგომები. ყველაზე მეტი განსხვავებულობა შეიმჩნევა მის სტრუქტურულ აგებულებაში, რაც ლოგიკურია, რადგანაც ქართული და რუსული ენები სხვადასხვა ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ანდაზის სემანტიკური ვალენტობის განსაზღვრამ გვაჩვენა ქართული და რუსული ანდაზების იზომორფული და ალომორფული მახასიათებლები. შევხებით აგრეთვე, მსაზღვრელ/საზღვრულის ურთიერთმიმართების ზოგიერთ საკითხს პარემიებში.

ნაშრომი მთავრდება გამოყენებული ლიტერატურის, წყაროების ჩამონათვალით და დანართებით.

თავი I

ანდაზის ლინგვისტური დეფინიცია

§ 1. ანდაზის განსაზღვრის სპეციფიკა

ანდაზა წარმოადგენს რთულ ენობრივ ერთეულს. მისი კვლევა წარმოებს კულტუროლოგიის, ლინგვისტიკის, ფოლკლორისტიკის, ფსიქოლოგიისა და ეთნოგრაფიის თვალსაზრისით. როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, დღემდე ქართულ ანდაზას, ისევე როგორც რუსულს, ერთი განსაზღვრული განმარტება არ გააჩნია. თუმცა, თითქმის ყველა ლექსიკონსა, თუ ენციკლოპედიაში ვხვდებით მცდელობას, გაირკვეს ამ ენობრივი მოვლენის აზრობრივი შინაარსის განსაზღვრება.

ანდაზები ნებისმიერი ენის განუყოფელი ნაწილია. ისინი ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, ვიდრე არ დაიწყეს მათი ჩაწერა. ანდაზების პირველი კრებულები ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, დაახლოებით ჩვ.წ.აღ.2500 წლის წინ „გამოიცემოდა“. ძველი აღქმა 900 –მდე ანდაზას მიაკუთვნებს ისრაელის მეფეს, სოლომონს (მე-10 სკ. ჩვ.ერამდე) პირველი, ვინც შეაჯამა და ანდაზების კლასიფიკაცირება მოახდინა, იყო ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე. მისი მოწაფე ფილოსოფოსი სინეზი წერდა, რომ არისტოტელე ანდაზებს ძველ სიბრძნეს უწოდებსო: „ანდაზები ეს ძველი ფილოსოფიის ელემენტებია, რომელიც შემონახულია თავისი მცირე ზომის და შინაარსობრივი სიზუსტის წყალობით“ [http://www.topautor.ru/Kak_poyavilis_poslivitsi_i-pogovorki_24d4.html].

მრავალი თანამედროვე მკვლევარი აღიარებს, რომ ანდაზა ფოლკლორისტიკის ღირებულ მასალათაგანია, იგი ენობრივი სიმბოლიკის და გარესამყაროს აღქმის რეალიების წიაღში შედწევის საშუალებას იძლევა. დიდი ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს განმარტებით, „ანდაზა – ძველი ფილოსოფიის შემონახული ნამსხვრევია“ [www.quotat.info/category/po-avtoram/aristotel]. ფოლკლორისტული მიდგომის ჩარჩოებში დადგენილია, რომ ანდაზა არისტოტელეს განსაზღვრებით **არქეტიპს** წარმოადგენს, რაც ნიშნავს

„მოდელს, ორიგინალურ ნიმუშს“ და რომელიც ადამიანური ურთიერთობების რეგლამენტირებას ახდენს ოჯახში, აგრეთვე გამოხატავს მორალური ან კატეგორიული იმპერატივების კოლექტიურ ერთობლიობას [Аксенова, 2008]. „არქეტიპი“ ერთი და იმავე სიუჟეტის ურთიერთ, ახლომონათესავე ტექსტების უძველესი წინამძღვარი, ე. ი. ამოსავალი ტექსტია [ჩიქოვანი,1975].

ანდაზები თავისი სისხარტით, სიმყარით, ლოგიკური სისრულით, ხალხურობით, ესთეტიური ღირებულობებით, ყოველთვის წარმოადგენდნენ განსაკუთრებული ყურადღების საგანს თანამედროვე ლინგვისტიკისათვის.

ანდაზის პირველადი ფუნქცია, რომელსაც იგი ასრულებდა და ასრულებს, დირექტიული და დიდაქტიკურია. ანდაზაში შეიძლება დახასიათებული იქნეს ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაცია, მოვლენა. ანდაზა ხალხის მეტყველებაში შესული ამა თუ იმ აზრის მკვეთრად გამოხატული ფორმულაა, რომელსაც, მსგავსად არაკის ნართაულობა, ანუ გადატანითი მნიშვნელობა ახასიათებს [ქართული ხალხური შემოქმედება, 311].

ცნობილი რუსი ფოლკლორის მკვლევარი ვ.პ. ანიკინი წერდა: „ისტორიკოსი ანდაზებში და ანდაზურ გამონათქვამებში ეძებს შორეული სიძველეების კვალს. იურისტი აფასებს ანდაზებს, როგორც ხალხური ცხოვრების კანონების კრებულს. ეთნოგრაფი პოულობს მოსწრებულ ხალხურ გამონათქვამებში უკვე დაკარგულ წეს-ჩვეულებებს. ფილოსოფოსი ანდაზების და ანდაზური თქმების საშუალებით ცდილობს გაიგოს ხალხური აზროვნების წყობა. ანდაზის ფორმა და თავისებურება განსაზღვრულია მისი რიტმული ორგანიზაციით, განსაკუთრებული ბგერითი გაფორმებულობით და კომპოზიციურ-სინტაქსური წყობით“ [Аникин,1957:10].

„ანდაზა - ეს ყველაზე დიდი, სრულად კოდირებული ერთეულია ჩვენს მეტყველებაში და ამავდროულად ყველაზე მოკლე პოეტური თხზულებათაგანი“- წერს რომან იაკობსონი [Якобсон,1987]. თითქმის იგივე აზრია ჩადებული, ქართველი ლინგვისტის, ლ. ლეჟავას განმარტებაში ანდაზის შესახებ: „ანდაზა ერთი წინადადებით გამოხატული ალეგორიული ხასიათის გამონათქვამია, რომელიც

შეიცავს ხალხის გონებამახვილურ დაკვირვებას რაიმე მოვლენაზე და რომელიც, ჩვეულებრივ, განზოგადებულია და მორგებულია ანალოგიურ მოვლენებს“

[ლეჟავა,1959 :140].

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რუსული სიტყვის დიდი შემფასებლის და ანდაზების შემგროვებლის ვ.ი. დალის განსაზღვრებას: „ანდაზა ესაა ნიმუში ხალხური სიბრძნის, ეს კენესა და ტირილია, სიხარული და მხიარულებაა სულიდან უეცრად ამოხეთქილი, დარდი და ნუგეშია, ეს ხალხური გონების, თვითმყოფადობა, ხალხის ცხოვრებისეული სიმართლეა,... ის რაც ხალხის ყოფას არ შეხება, რასაც მისი სული და გული არ აუფორიაქებია, მას ვერ იპოვით ანდაზაში... ვინ შეადგინა იგი– არავინ უწყის, მაგრამ ყველამ იცის და ყველას იპყრობს იგი [Даль,1879:26]. ამ კრებულში შევიდა 30 000 ანდაზა და ანდაზური თქმა. კრებულის პირველწყაროს წარმოადგენდა გასული საუკუნის რამდენიმე ბეჭდური კრებული, ი.სნეგირიოვის კრებული, თვით ვ.დალის მიერ შეკრებილი ხელნაწერი რვეულები და უპირველეს ყოვლისა, რუსი ხალხის ცოცხალი სამეტყველო ენა.

რუსული ანდაზების შესწავლა–კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვით:

ა/. ანდაზის სტატუსის და წარმოშობის შესახებ ვ.ა. არხანგელსკის, ტ.ს. ბენდერლის, ფ.ი. ბუსლაევს, ი.ა. გვოზდევს, ვ.ი. დალს, ს.ი. ოჟეგოვს, ა.ა. პოტებნიას, ი.მ. სნეგირიოვს, ვ.ნ. თელიას, ნ.მ. შანსკის. **ბ/. სემანტიკის კვლევაში**– ა.პ. ანიკინს, ვ.გ. კოსტომაროვს, ა.ა. კრიკმანს, გ.ლ.პერმიაკოვს, ლ.ბ. სავენკოვს, ვ.პ. ფელიცინას. **გ/. ანდაზის მხატვრულ თავისებურებებს იკვლევდნენ** ს.გ. ლაზუტინი, ვ.მ. მოკიენკო, ტ.ნ.ნაიმუშინა,ლ.ა. მოროზოვა, ლ.ს. პანინა; **დ/. სტრუქტურის კვლევაში** დიდი წვლილი შეიტანეს ნ. ბარლიმ, ა.ო. დანდისმა, გ.ლ. პერმიაკოვმა, ზ.კ. ტარლანოვმა, **ე/. ანდაზის ვარიანტულობის პრობლემები** შესწავლილია გ.ფ. ბლაგოვის მიერ, ხოლო **ვ/. საკუთარი სახელები** ანდაზებსა და ანდაზურ თქმებში გამოიკვლია ლ.ნ. ბაბაევამ, ტ.ნ. კონდრატევამ, ტ.ნ. რეცენმა და სხვ. რუსული ანდაზის შესწავლა შეუძლებელია ვ. დალის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის, «Толковый словарь живого великорусского языка» (первое издание осуществлено в 1861 -1868 годах) გარეშე. აქ დალის მიერ შეკრებილია და განმარტებულია რამდენიმე ათასი ანდაზა და

ანდაზური თქმა. „ლექსიკონი“ დამხმარე საშუალებაა ანდაზების და ანდაზური თქმების არსის გაგებისათვის ცოცხალ სამეტყველო ენაში.

ცნობილია ანდაზების ლინგვისტური კვლევები: ნ. დარასელია (ანდაზა სოციალიზაციის პროცესში (ქართულ, ინგლისურ, ამერიკულ ანდაზათა მასალებზე) საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. VI, 1997); ხ. თუმანიშვილი (მეტაფორული ტროპი-დედააზრის ეფექტურობის პარამეტრი პარემიაში: (არაბულ და ქართულ მაგალითებზე დაყრდნობით) 2009. გვ.636) რ. იოსელიანი, სვანური ანდაზების ლინგვისტური კვლევისა და შეკრება-გამოცემის მნიშვნელობა ხალხური სიტყვიერების მეცნიერული შესწავლის საქმეში, 2003, გვ. 448–452); მ.რუსეიშვილი (ანდაზა, როგორც მაქსიმის დარღვევის ერთ-ერთი შემთხვევა, 2003; ანდაზის ერთი სახეობის შესახებ, 2003; ანდაზის შიდაფორმის კვლევის თაობაზე, 1999); და ა.შ.

საყურადღებოა ხ.ხატიაშვილის კვლევები წიგნში „ბიბლიური ფრაზეოლოგიზმები მსოფლიო ენობრივ სურათში“ (2012). სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ბიბლიური გამონათქვამებისა და ბიბლიური ხატოვანების მიმართ მგრძნობიარე აღმოჩნდა ანდაზისა და ხალხურ თქმათა ჟანრიც. რუსული ანდაზების ფონდში ჩამოყალიბდა ბიბლიური ტექსტებიდან მომდინარე გამოთქმათა ვრცელი შრე“ [ხატიაშვილი,2012:89]. შემდეგ ავტორს მოჰყავს საყოველთაოდ ცნობილი ბიბლიური გამონათქვამების მაგალითები, რომლებიც, მისი აზრით, ანდაზებს შეიძლება მივაკუთვნოთ. მაგალითად: „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“ (მათე,5:38); „უფალმა მომცა, უფალმა წაიღო“ (იობი, 1:21) და სხვა. აქვე მინიშნებულია, რომ „ როდესაც ესა თუ ის გამონათქვამი ანდაზად გადაქცევისას უმნიშვნელო ტრანსფორმაციას განიცდის, მაშინ კავშირი ბიბლიურ და ანდაზურ ტექსტებს შორის ადვილი შესამჩნევია, მაგალითად: ორმოს გამთხრელი თავად ჩავარდება შიგ“ (ეკლ.,10:8).-Кто другому яму роет, тот сам в неё попадёт.// Не рои другому яму - сам в неё попадёшь (თაგვმა თხარა თხარაო, კატა გამოთხარაო.//ვინც ქარს სთესავს, ის ქარიშხალს მოიმკის)“ [ხატიაშვილი,2012:89]. ხ. ხატიაშვილი აგრეთვე აღნიშნავს, რომ „ბიბლიური სიბრძნე ანდაზების ფონდში წარმოდგენილია არა მარტო ფოლკლორიზებული ბიბლიური გამონათქვამებით, არამედ მრავალი

წმინდა ხალხური ანდაზითაც, რომელშიც ქრისტიანული სულისკვეთება და მორალია ჩადებული“ [ხატიაშვილი,2012:89].

როგორც ვ. მეიდერი განმარტავდა, ანდაზები არასოდეს აღიქმებოდა როგორც აბსოლუტური სიმართლე. ერთი მხრივ, უტყუარია ამ „სიტყვიერ მარგალიტებში „ ჩაქსოვილი სიბრძნე, მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს ერთგვარი სოციალური ქცევის კანონების შეზღუდვა. „ანდაზები ხალხის მიერ არ აღიქმება როგორც რაღაც წმინდათა წმინდა“-ამტკიცებს ვ.მაიდერი. ადამიანებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ დროთა განმავლობაში ეს „სიტყვიერი მარგალიტები“ კარგავენ თავის სიბრტყევიანს, ხოლო მათში ჩადებული სიბრძნე, ერთგვარად ფერმკრთალდება [Mieder V., 1998 : 396] მეიდერის თქმით, „ანდაზა ასახავს ადამიანების რეაქციას „ხალხურ სიბრძნეზე“ იუმორით და გარკვეულწილად მსუბუქი ირონიით“.

ადვილად შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ანდაზები ხშირად გვაოცებენ თავიანთი ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსით, რაც ნათლად ჩანს შემდეგი ანდაზების მაგალითზე: «За добро добром и платят » (სიკეთეს სიკეთით უხდიან) За добро не жди добра (სიკეთისათვის სიკეთეს ნუ ელი) «Ниодно доброе дело не остается безнаказанным» (არცერთი სიკეთე დაუსჯელი არ რჩება). Говорить правду-терять дружбу. Правду говорить никому не досадить. Правдой жить – ничего не нажать; Не говори правды – не теряй дружбы; სადაც ნათქვამია, რომ ვინც სიმართლეს იტყვის ის მეგობარსაც დაკარგავს, ვერავის გულსაც ვერ მოიგებს, არაფერსაც არ შეიძენს ცხოვრებაში და მათი საწინააღმდეგო აზრის ანდაზები: Кто за правду горой, тот истый герой; Правду говори, что дрова руби; За правду-матку и умереть сладко, - სიმართლისათვის თავის გაწირვა გმირობაა, სიმართლე პირში უნდა უთხრა ადამიანს და სიმართლისათვის თავის გაწირვაც კი ღირს. ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება ქართული ანდაზებიდანაც: კაცი კაცით ცხოვრობსო და საწინააღმდეგო: ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილოო; ადრე ამდგომსა მწევარსა ვერ დაეწევა მწევარი (საქმის ადრე დაწყებაზე მიუთითებს) და მისი საწინაარმდეგო: აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო და სხვ.

პ.ბოგატირიოვის და რ.იაკობსონის აზრით, ფოლკლორული ფორმების ტიპოლოგია ლიტერატურული ფორმების ტიპოლოგიისგან დამოუკიდებლად უნდა იყოს აგებული. ენათმეცნიერების ერთ–ერთ მნიშვნელოვან ამოცანად ითვლება ფონოლოგიური და მორფოლოგიური ტიპოლოგიის დამუშავება, უკვე ცხადია, რომ არსებობს უნივერსალური სტრუქტურული კანონები, რომლებიც არც ერთი ენის მიერ არ უნდა იქნეს დარღვეული [Богатырев П., Якобсон Р., 1971].

გასული საუკუნის 60–იანი წლებიდან ფოლკლორის მკვლევრები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ანდაზას, როგორც მხატვრული და ფილოსოფიური აზროვნების თავისებურ გამოვლინებას. ნ. შანსკი წერდა: „ანდაზები, მეტყველების დროს კი არ წარმოიქმნიებიან, არამედ რეპროდუცირდებიან როგორც მზა ელემენტები მუდმივი შემადგენლობით და მნიშვნელობით“ [Шанский, 1963: 44].

რაც შეეხება ყაზანის ლინგვისტური სკოლის დამაარსებელს ბოდუენე დე კურტენეს, მისთვის არ იყო ფოლკლორი სპეციალური შესწავლის ობიექტი, მაგრამ იგი დიდად აფასებდა ანდაზებს, მათ მეცნიერულ ღირებულებებს და თვლიდა ანდაზების შესწავლის საქმის მნიშვნელობას რუსი ხალხის მსოფლმხედველობის, ხალხური გონიერების განსაზღვრისათვის [Бодуен де Куртене, 1903].

საქართველოში XIX საუკუნის 40–50–იან წლებში ფოლკლორისტული ინტერესები უფრო გაღრმავდა. ქართულ ფოლკლორისტიკას ყველაზე დიდი კვალი დააჩნია რაფ.ერისთავმა, აგრეთვე დიდი წვლილი შეიტანეს დ.ყიფიანმა, დ. ბაქრაძემ, ს. ბარათაშვილმა, ნ. ბერძნიშვილმა, ი.ევლახიშვილმა და სხვებმა [ჯაგოდნიშვილი, 2004:14]. ზეპირსიტყვიერი მასალის შეკრების „გუთნისდედობა უმიკაშვილმა იტვირთა“, მაგრამ გამოცემით თავის სიცოცხლეში მხოლოდ „ანდაზების“ [1876 წ] და სახალხო ლექსების პატარა კრებულები გამოსცა,- წერს თ.ჯაგოდნიშვილი. აქვე ვკითხულობთ: „ანალოგიური სისტემა რუსულ ფოლკლორისტიკაში XIX საუკუნის 40–იან წლებში პ. კირეევსკიმ შექმნა და დიდძალ ფოლკლორულ ტექსტებს მოუყარა თავი. პ. უმიკაშვილი, როგორც რუსული ფოლკლორისტიკის მცოდნე, შესაძლოა იცნობდა კიდევ პ.კირეევსკის მოღვაწეობას და მისი გამოცდილების ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებას ცდილობდა“ [ჯაგოდნიშვილი, 2004:357].

ფშავ-ხევსურული ზეპიტსიტყვიერების აქტიური შემკრები იყო ვაჟა-ფშაველა, მას ხალხური ანდაზებიც ჩაუწერია. ეს მასალა „ხალხური სიტყვიერების „პირველ ტომში შევიდა“ [1915: 501-508].

საინტერესოა ქართული ფოლკლორის ჟანრობრივი სისტემის სავარაუდო სქემაზე დაკვირვება, რომელსაც გვთავაზობს მ. ჩიქოვანი წიგნში „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“. გამოყოფილია სამი ძირითადი მიმართულება:

„I. ეპოსი თავისი ჟანრებითა და სახეებით: (ამბავი, მითი, გადმოცემა, ლეგენდა, ზღაპარი, სიმღერა, ბალადა, პოემა, რომანი, შელოცვა, ანდერძი, სადიდებო, წინასწარმეტყველება, ფიცი, წყევლა, იგავი, ანეგდოტი);

II. ლირიკა თავისი ჟანრებითა და სახეებით: (შრომის ლექსი, კალენდარული ლექს – სიმღერები, მაყრული, წაწლური, სუფრული, ხმით ნატირალი, ეპიტაფია, ქება, ელეგია, გაბაასება, კაფია, გალექსება, საგმირო ლექსი, შაირი, აფორიზმი, **ანდაზა** (ისტორიული, ფილოსოფიური, საზოგადოებრივ – საყოფიერო), **სიტყვის მასალა** (ისტორიული, საყოფიერო), გამოცანა);

III. დრამა, თავისი ჟანრებით და სახეებით: (მისტერია, სანახაობა, კომედია, დრამა).“ [ჩიქოვანი, 1975:428]. როგორც ნათლად ჩანს ანდაზას და სიტყვის მასალას, (ანუ როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ ანდაზური თქმა). სქემის მიხედვით, ავტორი **ლირიკას** მიაეკუთვნებს.

მ. ჩიქოვანი წერს, ანდაზების ფართო გამოყენებით, მისდამი სიყვარულითა და პატივისცემით სხვა ხალხებს არც ქართველები ჩამორჩებიან [მ.ჩიქოვანი, 1956].

დ. ჩუბინაშვილი, გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფი, მე-19 საუკუნის 30–40–იან წლებში „**მდაბიური იგავების**“ ანუ, როგორც ახლა ვიტყვით, წერს მ. ჩიქოვანი, ხალხური ანდაზების შეკრებას აწარმოებდა. ზეპირად გავრცელებული ანდაზები, რიცხვით 200–მდე, დ. ჩუბინაშვილმა 1846 წელს გამოაქვეყნა „ქართულ ქრესტომატიაში“. ავტორი განაგრძობს: „ჩუბინაშვილამდე ხალხურ ანდაზებს პოეტი დიმიტრი ბაგრატიონი აგროვებდა, მაგრამ ამ უკანასკნელს ისინი გაუღიქსავს და ამდენად ძველი მორფოლოგიური სახე დაუკარგავთ მათ. ხალხური იგავ–ანდაზები, ჩანს, დ. ჩუბინაშვილს სალექსიკონო მასალადაც სჭირდებოდა“ [ჩიქოვანი, 1975:204].

ქართული ზეპირსიტყვიერების მასალის შეკრება-პუბლიკაციას განაგრძობდნენ საქართველოში მყოფი რუსი და უცხოელი ჩინოვნიკები. ქართული ზეპირსიტყვიერებისადმი დიდი ყურადღება გამოიჩინეს ისეთმა ცნობილმა რუსმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ ა.ვესელოვსკი, ვს. მილერი, პ. ვოსტოკოვი, გ. პოტანი ნ. დერჟავინი, ს. ფარფოროვსკი და სხვები [ჯაგოდნიშვილი, 2004:16].

§ 2. ანდაზა, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეული და მისი მთავარი მახასიათებლები

ანდაზის შესწავლისადმი ლინგვისტური მიდგომა მოიცავს ამ ერთეულების ადგილის განსაზღვრას ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში და ანდაზის, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულის ძირითადი ნიშან - თვისებების გამოვლენას. თანამედროვე ენათმეცნიერებაში ცნობილია რამდენიმე თეორია, რომლთა მიხედვითაც ანდაზებს მიაკუთვნებენ ან არ მიაკუთვნებენ ფრაზეოლოგიას.

ანდაზა არის თუ არა ფრაზეოლოგიზმი? ამ საკითხის გარშემო ლინგვისტთა შორის მრავალგვარი მოსაზრება არსებობს. საკითხის უკეთესად გაშუქებისათვის შევეცდებით, მოვიყვანოთ ზოგიერთი მეცნიერის მიერ გამოთქმული აზრი იმის თაობაზე, თუ რა არის ზოგადად ფრაზეოლოგია და ფრაზეოლოგიზმი, ხოლო შემდეგ გამოვიკვლიოთ, რამდენად შეესაბამება სიმართლეს აზრი იმის შესახებ, არის თუ არა ანდაზა ფრაზეოლოგიის შემადგენელი ნაწილი. ჩვენი აზრით, შესაძლებელია, აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეულია ამ თემაზე შრომების არასაკმარისი რაოდენობით.

ფრაზეოლოგიის, როგორც ენათმეცნიერების შემადგენელი ნაწილის, საგანია გამოიკვლიოს ფრაზეოლოგიზმების კატეგორიალური ნიშნები, ფრაზეოლოგიზმების როგორც ენის ძირითადი ერთეულების შესახებ. ს.გავრინის [Гаврин, 1967:49] განმარტებით, ფრაზეოლოგიზმი ესაა ფრაზეოლოგიური ერთეული გამოხატული

შესიტყვების ფორმით ან წინადადების სხვა ელემენტით. ტერმინი „ფრაზეოლოგიზმი“ სინონიმურია ტერმინის „ლექსიკოლოგიზირებული შესიტყვების“. ზოგიერთი ენათმეცნიერი ტერმინ „ფრაზეოლოგიზმთან“ ერთად იყენებს ტერმინს „ფრაზემა“ (მაგალითად ა.ვ. იაკოვლევსკაია, გ.ი. სელივანოვი, ვ.ლ. არხანგელსკი, ნ.ნ. ამოსოვა და სხვ.), წერს ავტორი. ხშირად ფრაზეოლოგიზმების გრამატიკული ფორმა, ს. გავრინის აზრით, არ ემთხვევა თანამედროვე არაპრედიკატიული შესიტყვების ნორმებს და მოჰყავს მაგალითი: «так себе, шутка сказать и др». აქვე მიუთითებს, რომ ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი, „ფრაზეოლოგიზმებს“ მიაკუთვნებს აგრეთვე მყარ (устойчивые-) ფრაზებსაც [Шанский,1963].

მიუხედავად ფრაზეოლოგიის საკითხების მიმართ დიდი ინტერესისა და კვლევებისა, დღევანდლამდე მაინც უამრავი განსხვავებული აზრი არსებობს იმის შესახებ, თუ რა არის ფრაზეოლოგიზმი, როგორია მისი მოცულობა როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებში. ფრაზეოლოგიზმების განმარტება სხვადასხვა მეცნიერის მიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციაა რუსი ლინგვისტის ვ. ვინოგრადოვის [Виноградов,1972:118] მიერ მოწოდებული კლასიფიკაცია. ვ. ვინოგრადოვის აზრით, ლინგვისტური დისციპლინების სისტემებში ფრაზეოლოგია ხშირად საერთოდაც ვერ პოულობს თავის ადგილს და თავსდება ლექსიკოლოგიის გვერდით ან შედის თვით ლექსიკოლოგიაში. ფრაზეოლოგიის მოცულობა, ამოცანები და ძირითადი ცნებები დღემდე არაა გარკვეული. საზღვრების, მიზნების და ძირითადი კატეგორიების გაურკვეველობა უშლის ამ დისციპლინას თავისუფალ და დამოუკიდებელ განვითარებაში. მაგალითად, არლი თაყაიშვილი წერს: „თუ მეცნიერების რომელ დარგს მიეკუთნოს ფრაზეოლოგია, ამის გადაწყვეტისათვის ავტორები სხვადასხვა კრიტერიუმებს მიმართავენ“ [თაყაიშვილი,1961:126]. საკითხი იდგა იმის შესახებ, ლინგვისტიკაში განხილულიყო ფრაზეოლოგიზმი, თუ მის გარეთ დარჩენილიყო, განაგრძობს ენათმეცნიერი, მართლაც, მასალის მიმართ ლინგვისტური პოზიციის არარსებობის გამო იგი ლიტერატურათმცოდნეობას მიაკუთვნეს. ენათმეცნიერთა ერთმა ნაწილმა გაითვალისწინა ფრაზეოლოგიზმების ექსპრესიულ–ემოციური

მომენტები და იგი სტილისტიკის საგნად გამოაცხადა. ვ. რუდოვის [Рудов,1957] აზრით, ფრაზეოლოგია წარმოადგენს ძირითადად არა გრამატიკისა და ლექსიკის, არამედ სტილისტიკის შესწავლის საგანს. მაშ რომელ ჩამოთვლილ დარგთაგანს შეიძლება მივაკუთვნოთ ფრაზეოლოგიზმი?

„საკითხის ამგვარი დაყენება ახალი და მოულოდნელი არ არის. ჯერ კიდევ მიხელსონს თავის შრომაში ფრაზეოლოგიის განმარტებისას მესამე პუნქტად მოცემული აქვს: ფრაზეოლოგიად საერთოდ იწოდება მეცნიერება ან მეცნიერული დისციპლინა, რომელიც სწავლობს მეტყველებას“ [Михельсон, 1912:23] [არ.თაყაიშვილი 1961:129].

გ.ნებიერიძის „ენათმეცნიერების შესავალში“ ვკითხულობთ: „ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები თავისებური კლიშეებია ენაში. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმებში მნიშვნელობა ყოველთვის დაიყვანება ფრაზის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობაზე, მაგრამ რადგანაც ასეთი გამონათქვამები კლიშეებად არის ქცეული, ამიტომაც ისინი ფრაზეოლოგიზმებად უნდა მივიჩნიოთ. ასეთი ფრაზეოლოგიზმებია: სამარისებრი სიჩუმე, ვირივით ჯიუტი, სვავივით(ან ღორივით) გაუმაძღარი, ყვავივით შავი და სხვა“ [ნებიერიძე, 1991:240].

ფრაზეოლოგიის შესასწავლი ობიექტის შედარებით სწორი გაგება აქვს აკად. ვინოგრადოვს, იგი ენაში გავრცელებულ მთელ ფრაზეოლოგიურ მასალას ყოფს სამ დიდ ჯგუფად, ესაა: ფრაზეოლოგიური შენაზარდები, (Фразеологические сращения), ფრაზეოლოგიური მთლიანობები, (Фразеологические единства), ფრაზეოლოგიური შესიტყვებები (фразеологические сочетания). ეს სამწევრიანი კლასიფიკაცია ძირითადად ეყრდნობა სემანტიკურ პრინციპს. თუმცა, ვინოგრადოვის თეორიამ შემდგომში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა.

სხვა აზრი აქვთ ისეთ მეცნიერებს, როგორცაა ლ.ა.ბულახოვსკი, ა.ა.რეფორმატსკი. ა.ი.ეფიმოვი. ე.მ. გალკინა-ფედარუკი, ნ.მ.შანსკი, ვ.ლ. არხანგელსკი და სხვ. თავად ფრაზეოლოგიურ კონსტრუქციასთან ერთად ფრაზეოლოგიაში ისინი აერთიანებენ ანდაზებს და ანდაზურ თქმებს, ციტატებს, რომლების ფრთიან გამონათქვანებად გადაიქცნენ, რთულ ტერმინებს, ასეთ კონსტრუქციებს

ფრაზეოლოგიურ გამოთქმას (выражение) უწოდებენ [Шанский Н.,1963]. იმდენად რამდენადაც ანდაზები მყარი შესიტყვებებია, რომლებიც მეტყველების დროს არ წარმოიშვებიან, არამედ კომუნიკანტების მიერ მეხსიერებიდან წარმოითქმებიან როგორც მთლიანი, მზა ერთეულები, ისინი უნდა მიეკუთვნებოდნენ ფრაზეოლოგიზმებს [В.В. Виноградов, В.Л. Архангельский, А.В. Кунин, И.И., Н.М. Шанский, А.Д. Райхштейн, В.Н. Телия, М.М. Копыленко და სხვა ლინგვისტები].

ლ.ლექავას აზრით, ანდაზასა და ფრაზეოლოგიზმს შორის დიდი სხვაობაა, ფრაზეოლოგიური გამონათქვამი ენის განვითარების პროდუქტია, იგი ენობრივი ერთეულია, მას სწავლობს ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგი – ლექსიკოლოგია; ანდაზა კი ხალხური ზეპირსიტყვიერების შემონაქმედაა, მხატვრული ნაწარმოებია, იგი არ წარმოადგენს ენობრივ ერთეულს (მაგალითად ისეთს, როგორცაა სიტყვა, წინადადება...) ამიტომ, ენათმეცნიერებას შეუძლია შეისწავლოს ანდაზის ენა – მისი მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური მხარე და სტილისტური თავისებურება და არა ანდაზა მთლიანად, როგორც ენობრივი ერთეული. ანდაზა ფრაზეოლოგიზმისგან განსხვავდება გამოყენების თვალსაზრისითაც“.

არ. თაყაიშვილის აზრით, ფრაზეოლოგიზმის მოსაზღვრე კატეგორიებიდან სირთულეს ქმნის ანდაზასთან მისი მიმართების გარკვევა. ეს სირთულე ნაწილობრივ აიხსნება ანდაზის ცნების დაუზუსტებლობითაც. საანდაზო კრებულებში შეაქვთ მასალა, წერს ავტორი, რომელსაც ანდაზასთან არაფერი აქვს საერთო და, რაც მთავარია, ხშირად მათ იდიომებში ათავსებენ.

როგორც ა. თაყაიშვილი განმარტავს, ანდაზას ფრაზეოლოგიზმად თვლიან ოთხი საერთო ნიშნის გამო:

- 1) ორივე გადატანითი მნიშვნელობით იხმარება.
- 2) მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა ახასიათებთ.
- 3) ენაში მზა ფორმით არსებობენ.
- 4) შეიცავენ არქაიზმებს.

ამ ნიშანთაგან მხოლოდ მეოთხე არ ჩანს აბსოლუტური: არქაიზმები არ ახასიათებს იდიომებისა და ანდაზების უმრავლესობას.

„ფრაზეოლოგიზმი და ანდაზა სხვადასხვა რიგის ენობრივი ოდენობებია, განსხვავებული, როგორც ფორმით, ისე სტრუქტურით“ [თაყაიშვილი,1961:98).

მისი აზრით:

- 1) ფრაზეოლოგიზმი ფორმით შესიტყვებაა,
- 2) ზმნური ფრაზეოლოგიზმი დასრულებულ აზრს არ გამოხატავს – აკლია ქვემდებარე (წელეზე ფეხს იდგამს, გული აიყარა),
- 3) ფრაზეოლოგიზმი სიტყვის ეკვივალენტია, რომელიმე წევრის ფუნქციით გამოდის (ენას კბილს აჭერს, ხაფანგი დაუგო);
- 4) ფრაზეოლოგიზმი ფორმას იცვლის სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, დამოკიდებულია წინადადების შინაარსზე (სამარეს უთხრის, სამარე გაუთხარა, გაუთხარა სამარე);
- 5) ფრაზეოლოგიზმი ფაქტს აღნიშნავს;

ფრაზეოლოგიზმისაგან განსხვავებით:

- 1) ანდაზა წინადადებაა („მჩხავანა კატა თავს ვერ დაიჭერსო“)
- 2) ანდაზა დასრულებულ აზრს გამოხატავს, აქვს სუბიექტი და პრედიკატი, გამოთქმის ორგანულ ნაწილს შეადგენს (არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი);
- 3) ანდაზა ისევ და ისევ წინადადების ეკვივალენტია (ქადა ორივე ხელით იჭმევო)
- 4) ანდაზის ენობრივი ტექნიკა მყარია, უცვლელია სინტაქსური რიგი (მღვდელს ჭილოფში იცნობენო);
- 5) „ანდაზის მიზანი დიდაქტიკურია, იგი კონკრეტული ფაქტის გადმოცემასთან ერთად აღმზრდელობით სენტენციაცაა (ანდაზა „ძალი ვინც მოკლა, იმან გადაათრიოსო,“ გვაფრთხილებს, რომ ვინც იწყებს საქმეს, მანვე უნდა მიიყვანოს ბოლომდე [თაყაიშვილი,1961:99).

საქმე, რა თქმა უნდა ფრაზეოლოგიის როგორც ენათმეცნიერების ერთ–ერთი განყოფილების „სისუფთავეში“ როდია,- წერს ვ. თელია, არამედ იმაშია, რომ ფოლკლორისტი აპერირებს „ხალხური სულის“ ფასეული ღირებულებების შესახებ ცოდნით, ფრაზეოლოგია კი ახდენს ენის ერთეულების, ნიშნობრივი სისტემის,

სამყაროსათვის გზავნილების უზრუნველყოფას. პრინციპში, ასეთივე წარმატებით შეიძლება გაცხადდეს, რომ ფრაზეოლოგიზმები ფოლკლორის ერთეულებია. მაგრამ ეს არ შეიძლება მოხდეს ერთი მიზეზის გამო: ფრაზეოლოგიზმები არ თავსდება ცნებაში „ჟანრი“ [Телия, 1996:74].

ვეთანხმებით ქ. ჯაშს და მიგვაჩნია, რომ „ანდაზა უნდა განისაზღვროს როგორც დიდაქტიკური ფუნქციის მატარებელი, ფოლკლორული ჟანრი, რაც გამოხატულია კომუნიკაციური ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულით და შეიცავს სამ შემდეგ სტრუქტურულ-სემანტიკურ ასპექტს: ალეგორიული ხასიათის ანდაზურ ხატს, გარკვეული თემატიკისადმი დაქვემდებარებულ ანდაზურ შეტყობინებას და გარკვეულ არქიტექტურულ ფორმულას“ [ჯაში, 1984:68].

§ 3. ანდაზის, როგორც დისკურსის შემადგენელი კომპონენტის დეფინიციისათვის

ენათმეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, საერთოდ რა არის ტექსტი, მეტატექსტი. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოვიშველიებთ ზოგიერთი ლინგვისტის კვლევის დასკვნებს, რათა გავარკვიოთ ანდაზის, როგორც დისკურსის შემადგენელი კომპონენტის, დეფინიცია. ენციკლოპედიური ლექსიკონების მიხედვით, დისკურსი წარმოადგენს რაღაც კონკრეტული პრაქტიკის საგნის გარშემო ცოდნის კონსტრუირებას, ან ამ საგანზე მსჯელობის გზებს: კომპლექსი (ერთობლიობა) იდეების, გამოსახულებების და პრაქტიკის, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ თემასთან, სოციალურ აქტივობასთან. ევროპელ და ამერიკელ ენათმეცნიერთა განმარტებით, ტექსტის სინონიმებია ტერმინი „დისკურსი“, „რეგისტრი“, „მეტყველება“. მეტად საინტერესოა ტ.ა.ვან დეიკის, -ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორის, დისკურსის კვლევისა და ანალიზის საკითხებისადმი 200 -მდე სტატიის ავტორის, აზრი. იგი თავის წიგნში: [Ideology: A Multidisciplinary

Approach. London: Sage, 1998.] დისკურსს ფართო გაგებით ასე განმარტავს: „დისკურსი ესაა კომუნიკაციური მოვლენა, რომელიც ხდება მოლაპარაკესა და მსმენელს შორის (დამკვირვებელს და სხვ.), კომუნიკაციური ქმედების პროცესში დროის, გარემოების განსაზღვრულ კონტექსტში ეს კომუნიკაციური ქმედება შეიძლება იყოს სამეტყველო, წერილობითი, ვერბალური, ან არავერბალური შემადგენელი. ტიპურ მაგალითებად ავტორს მოჰყავს ყოველდღიური საუბარი მეგობართან, საუბარი ექიმსა და პაციენტს შორის, გაზეთის კითხვა. დისკურსი ვიწრო გაგებით (როგორც ტექსტი ან საუბარი) ასე აქვს განმარტებული... „დისკურსი ესაა კომუნიკაციური ქმედების წერილობითი ან სამეტყველო ვერბალური პროდუქტი“. რაც შეეხება განსხვავებას დისკურსსა და ტექსტს შორის, ვან დეიკის აზრით, „დისკურსი-აქტუალურად წარმოთქმული ტექსტია, ხოლო „ტექსტი“-წარმოთქმულის აბსტრაქტული გრამატიკული სტრუქტურა.“ ა.დიაკოვა სტატიაში „Реализация текстообразующего потенциала пословиц в медийном ракурсе“ გამოთქვამს აზრს იმის შესახებ, რომ ანდაზა შეიძლება მოგვევლინოს ტექსტის ასოციაციური დომინანტის სახით, რადგანაც „იგი ფენომენალური პრეცედენტია და ცხოვრებისეულ სიტუაციას განზოგადებული სახით წარმოადგენს“ [Дьякова, 2015:66]. ავტორს მოჰყავს მაგალითად ანდაზა: «Всяк сверчок знай свой шесток» (ქართული ეკვივალენტი: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი) და ხსნის, რომ ამ ანდაზას შეუძლია ასახოს სხვადასხვა თემატიკის ტექსტები, მაგალითად, როგორიცაა: ბიზნესი, საგარეო და საშინაო პოლიტიკა, კანონმდებლობა, სოციალური პრობლემები, ბავშვების აღზრდა, პიროვნების თვითრეალიზაცია, ფეხბურთი, ახალი ტექნოლოგიები და ა.შ. მისივე მაგალითით, ანდაზა «Своя рубашка ближе к телу» (ქართული ეკვივალენტი: ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო) შეიძლება გამოიყენებოდეს ტექსტებში პოლიტიკაზე, ბიუჯეტზე, ენერგეტიკაზე, მოდაზე, ჰოკეიზე, ფეხბურთზე, მეგობრობაზე და ა.შ. ავტორის განმარტებით, ანდაზის ლინგვისტური თავისებურება მდგომარეობს მის მაღალ ტექსტწარმომქმნელ (ტერმინი დიაკოვასი) პოტენციალში, ხელს უწყობს ტექსტის შინაარსის შემდგომ განგრძობას და ახდენს მკითხველის მიერ ტექსტის შემფასებლურ-ასოციაციურ აღქმას მედიის დისკურსში.

ლინგვისტი ა. კიბრიკის განმარტებით, ენის მინიმალური ერთეულებია ფონემები, შემდეგ - მორფემები, ელემენტები, რომლებსაც აქვთ სემანტიკა, თავისი აზრი. შემდეგ - სიტყვები და წინადადებები. წინადადების შემდეგ მოდის დისკურსის დონე, ანუ ენობრივი წარმონაქმნების ან ერთეულების დონე, რომელიც მოცულობით არაა შემოსაზღვრული. დისკურსი მისი განმარტებით შეიძლება რამდენიმე სიტყვაც იყოს, ეს გაფორმებული დისკურსია, ამასთანავე დიდი რომანიც, რომელიც დისკურსს მიეკუთვნება [А.Кибрик <http://postnauka.ru/faq/10456>]. ზოგადად ცნობილია, რომ დისკურსი რთული კომუნიკაციური მოვლენაა, რომელიც შეიცავს ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს (ცოდნა სამყაროს შესახებ, აზროვნება, ინტენცია).

ს. ომიაძე დისერტაციაში [ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა-სემანტიკა და ფუნქციონირება, 2006 : 16] წერს, რომ კოგნიტიური ლინგვისტიკაც ენის ანალიზს ავსებს დისკურსის ანალიზით; განიხილავს ფრაზეოლოგიას, ანდაზებს, აფორიზმებს და სხვა სახის პარემიებს, რომლებშიც კონცეპტებია წარმოდგენილი.

რუსი ლინგვისტი ვ. კრასნიხი თვლის, რომ „დისკურსი ვიწრო გაგებით სამეტყველო მოქმედებაა (ტექსტოიდებთან ერთად) სალაპარაკო - საყოფაცხოვრებო მეტყველებაში და წარმოადგენს რეპლიკების გაცვლა-გამოცვლას განსაკუთრებული განზრახვის გარეშე... დისკურსი ფართო გაგებით შუქდება როგორც ცალკეული ენობრივი პიროვნების მეტყველების შესაძლებლობა..., როგორც კომუნიკაციის სისტემა“ [Красных,2001:200-201 <http://www.studfiles.ru/preview/1765640/>]

ზოგადად ლინგვისტიკაში ერთ-ერთი მეთოდოლოგიური საკითხთაგანია „დისკურსისა“ და „ტექსტის“ დიფერენციაცია, ამ საკითხის გარშემო კვლევები და დისკუსიები არ წყდება. როგორც ჩვენთვის ცნობილია, [PR-дискурс: теоретико-методологический анализ - Гл. 1 §1. Лингвистические подходы к анализу дискурса http://www.madipi.ru/index.php?option=com_ Международная Академия Дискурс Исследований, 2009 620144 г. info@madipi.ru], გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში იყო მცდელობა მოეხდინათ „დისკურსისა“ და ტექსტის“ განსაზღვრება და მიღებული იქნა ფორმულა: „დისკურსი - ესაა ტექსტი პლუს კომუნიკაციური

სიტუაცია. ხოლო ტექსტი შესაბამისად დისკურსს მინუს კომუნიკაციური სიტუაცია“ [Макаров М.,2003:87]. მაგალითად ე. შეიგალი ამტკიცებს, რომ „ტექსტი „სიტყვიერი ჩანაწერია“, ხოლო დისკურსი - მეტყველებაა ყოფიერებაში ჩაფლული, როგორც ცოცხალი მეტყველების ენა“ [Шейгал, 2004:153-170].

ტექსტის ცნება ლინგვისტთა მიერ სხვადასხვანაირად არის გაგებული. მაგალითად ი. ლოტმანის გაგებით, ტექსტი არის „სტრუქტურულ ურთიერთობათა ლინგვისტურად გამოხატული ჯამი“ [Лотман, 1972:33]. ვ. სერგიას განმარტებით: „ტექსტად უნდა გავიგოთ ენობრივი ერთეული (იგივე სამეტყველო ერთეული), რომელიც ერთია, დიდია მეტატექსტზე. იგულისხმება, რომ მეტატექსტი უფრო დიდია, მეტია, ვიდრე წინადადება. თვით წინადადების რაობაზეც არ არსებობს ერთი ჩამოყალიბებული აზრი ენათმეცნიერთა შორის. როგორც ვ.სერგია აღნიშნავს, ბენვენისტი წინადადებას მიიჩნევს მეტყველების ერთეულად, ამერიკელი ლინგვისტი რ.იაკობსონი დისკურსის შესახებ თავის ნაშრომში [“Вопросы поэтики. Постскрипtum к одноименной книге” 1973:80] მას ენას მიაკუთვნებს.

„დისკურსის ზუსტი და საყოველთაოდ აღიარებული განმარტება, მისი გამოყენების ყველა შემთხვევის მომცველი, არ არსებობს. ეს ცნება მოდიფიკაციას ახდენს და სახეს უცვლის ტრადიციულ წარმოდგენას სიტყვაზე, ტექსტზე, სტილზე და ენაზეც კი“ - განმარტავს თ. მერაბიშვილი. „კომუნიკაციაში ტექსტს უწოდებენ კომუნიკაციის ინტროვერტულ ფიგურას, დისკურს კი - ექსტრავერტულ ფიგურას“ [მერაბიშვილი, 2011 №15].

გ. პერმიაკოვის თეორიის თანახმად, ანდაზები / პარემიები, ისევე როგორც სხვა ფოლკლორისტული ტექსტები, გამოირჩევიან სამი მტკიცედ გამოხატული, ავტონომიური სტრუქტურული კანონზომიერებით:

- ❖ ლინგვისტური (კომპოზიციური სტრუქტურით)
- ❖ ლოგიკური (სემიოტიკური) სტრუქტურით;
- ❖ რეალიებით

ანუ ეს იმის მანიშნებელია, რომ პარემიები განხილულ უნდა იქნეს, როგორც ენობრივი ერთეულები და როგორც ფოლკლორული ტექსტები. ვერტიუკი ა.-ს აზრით, „ანდაზები გამოხატავენ სხვადასხვა სიტუაციებს. ამით ისინი გვევლინებიან დისკურსული მოდელების შექმნის ნიმუშებად. ერთი და იგივე ანდაზა შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა სიტუაციაში“ [Ветрюк К.,2013. naukaru.ru/journal/article/view/173/].

ო. აბაკუმოვა სადისერტაციო ნაშრომში მიუთითებს, რომ ანდაზები ყოველთვის იყო ფოლკლორისტების და ლინგვისტების ყურადღების ცენტრში, რადგანაც ისინი „ერთი მხრივ ყველაზე მოკლე ლიტერატურული ფორმაა და მეორე მხრივ ენობრივი ფორმულა“ [Абакумова, 2013:26-27]. მისი აზრით, ცალკე პრობლემას წარმოადგენს ანდაზების ფუნქციონირება დიკურსში. იქვე განმარტავს, რომ ანდაზისადმი, როგორც ტექსისადმი მიდგომისას, უნდა მიექცეს ყურადღება მისი გამოყენების მოტივებსა და მიზნებს, რაც ლაპარაკობს ანდაზის ინტერტექსტუალობაზე. ავტორი ამახვილებს ყურადღებას ანდაზის, ისევე როგორც ყველა ფოლკლორული ტექსტის სტრუქტურული, ლინგვისტური, ლოგიკური (სემიოტიკურიც), რეალიების მნიშვნელობაზე და ასკვნის, რომ „ყველა საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ განვიხილოთ პარემიები როგორც ენობრივი ერთეულები და როგორც ფოლკლორული ტექსტები“ [Абакумова, 2013 : 30].

პარემიების ეს ერთგვარი ორბუნოვნება ნათლად ჩანს ანდაზების და ანდაზური თქმების მაგალითზე, რადგანაც ისინი წარმოადგენენ მთელი პარემიოლოგიური ფონდის ძირითად მასას. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ანდაზა იკავებს შუალედურ ადგილს, ფრაზეოლოგიასა და ტექსტს შორის რადგანაც ატარებს ამ ორივე ერთეულის ხასიათს. ვეთანხმებით ო. აბაკუმოვას, იგი მიუთითებს: „იმისათვის რომ მოსაუბრემ გამოიყენოს ანდაზა მეტყველებაში:

1) უნდა შეაფასოს კომუნიკაციური სიტუაცია და ამოირჩიოს კომუნიკაციური სტრატეგია;

2) შეაფასოს რეფერენტული სიტუაცია და დაადგინოს იერარქია, დამოკიდებულება საუბრის მონაწილეთა შორის, განსაზღვროს ამ სიტუაციის ტიპი, რათა იგი დაემთხვეს ანდაზის მიერ აღწერილ სემანტიკური ინვარიანტის ტიპობრივ სიტუაციას;

3) ამოარჩიოს შესაფერისი ანდაზა, რომელიც დაასახელებს, მოდელირებას მოახდენს და გამოხატავს დამოკიდებულებას მოსაუბრისადმი ისე, რომ გამოიწვიოს მსმენელის საჭირო რეაქცია;

4) გაუწევს რეკომენდაციას მსმენელს, მოცემულ საზოგადოებაში მიღებულ ქცევის ნორმების განსაზღვრულ წესებზე დაცვის შესახებ“[Абакумова, 2013:87].

კ. ვერტიუკის სტატიაში ლაპარაკია ანდაზების გამოყენების თავისებურების, პარემიული დისკურსის, კომუნიკაციური სტრატეგიების და ანდაზების ლოგიკურ-სემიოტიკური ინვარიანტების შესახებ. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ანდაზის ილოკატიური აქტი, დამახასიათებელი, კომუნიკაციური მიმართულებაა: მტკიცებულების გამოხატვა, შეკითხვა, ბრძანება, თხოვნა... და ა.შ. „ანდაზების ფუნქციაა, ადრესატზე ზეგავლენის მოხდენა, ხასიათდება ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკურობით, რომელიც ვლინდება მეტყველებაში, დისკურსში, სამეტყველო ქცევაში, ურთიერთობაში“[K.A. Ветрюк <http://gigabaza.ru/doc/121438.html>]

კ. ვერტიუკს მაგალითად მოჰყავს მეგენტესოვის [Мегентесов : 2001] აზრი იმის შესახებ, რომ ანდაზური მატრიცების მოქმედება ყველაზე ნათლად ვლინდება ლიტერატურული დისკურსის ორგანიზებაში. რაც შეეხება ვ. ბორბოტკოს [Борботько, 2011:182], იგი აღნიშნავს, რომ პარემია დისკურსში იბადება, ხოლო შემდეგ კი შეიძლება გახდეს ახალი დისკურსის წარმოშობის საფუძველი. „ამრიგად პარემიული მიკროდისკურსი (ბორბოტკოს ტერმინი) - ესაა ლიტერატურული დისკურსის, ენობრივი მარტივის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მისი ორგანიზებისას ვლინდება“- ასკვნის კ. ვერტიუკი [K.A. Ветрюк <http://gigabaza.ru/doc/121438.html>]

პარემიული დისკურსის მეორე ტიპი, რომელიც ო. აბაკუმოვას აქვს განხილული, ესაა ანდაზის აქტუალიზებულ რეჟიმში შესწავლასთან დაკავშირებული

ტიპი. დისკურსის ამ ტიპს, როგორც კ. ვერტიუკი აღნიშნავს, „აქვს პროტოტიპული დიალოგური სტრუქტურა, თუმცა ეკსპლიციტურად შეიძლება გამოხატული იყოს მონოლოგით. დისკურსის ამ სახეობაში, ანდაზა შეიძლება იქცეს ერთ-ერთ რეპლიკათაგან, მოსაუბრის სამეტყველო ტაქტიკად, რათა მან მიაღწიოს განსაზღვრულ კომუნიკაციურ სტრატეგიას [Абакумова, 2012].“

ყველა ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვეთანხმებით აზრს, რომ ძირითადი განმასხვავებელი თვისება პარემიის მდგომარეობს მის მსაგვსებაში სხვა ფოლკლორულ ტექსტებთან (იგავი, ზღაპარი, ლეგენდები), ისინი ვერბალური წარმონაქმნებია, დამოუკიდებლად, სიტუაციურად გამოიყენება და ამასთანავე თავად ახდენენ სიტუაციის მოდელირებას. როგორც ყველა ფოლკლორული ტექსტი, პარემიებს აქვთ ესა თუ ის თემა, მათი ექსპრესიულობა გამოიხატება ემოციურ კონოტაციაში, გამოხატავენ მოსაუბრის სუბიექტურ დამოკიდებულებას საგნის მიმართ, პოზიტიურ ან ნეგატიურ ემოციას, მაგალითად: თანაგრძნობას, განცდას.

ამდენად, ჩვენი აზრით, შესაძლებელია, ანდაზა განვიხილოთ როგორც დისკურსის მნიშვნელოვანი ლოგიკურ-სემანტიკური კონოტაციით დატვირთული და მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

§ 4. ანდაზის და ანდაზური თქმის დეფინიციის პრობლემისათვის

ანდაზების ლინგვისტური სტატუსი, ისევე როგორც ენის სხვა ერთეულის, განისაზღვრება მათი ურთიერთმიმართებით სხვა მსგავს ერთეულებთან. როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგიის შემადგენლობაში გამოიყოფა ანდაზებთან სტრუქტურულ – სემანტიკური ნიშნებით ნაწილობრივ მიმსგავსებული მყარი პრედიკატიული ერთეულები. ასეთ ერთეულებს მიეკუთვნება რუს.–*поговорка*, ანუ როგორც მას სხვადასხვა ენათმეცნიერი მოიხეენებს ქართულში, **საანდაზო თქმები** [ლეჟავა, 1959] ანდაზური თქმა [ქართულ–რუსული ლექსიკონი, 1959].

ანდაზებზე საუბრის დროს არ უნდა დავივიწყოთ ე.წ. **მოსწრებული სიტყვები (поговорки)**. მოსწრებული სიტყვა ანუ სიტყვის მასალა თავისი ფორმითა და შინაარსით ანდაზას უახლოვდება, მაგრამ მათ შორის იგივობის ნიშნის დასმა არ შეიძლება. ისინი ხშირად გადადიან ერთმანეთში, – წერს მ. ჩიქოვანი. რითი განსხვავდება ანდაზა მოსწრებული სიტყვისაგან? ავტორის აზრით, ანდაზა ყოველთვის დასრულებულ აზრს ზოგად ფორმულას და სინტაქსურად სრულ ერთეულს წარმოადგენს მოსწრებული სიტყვა კი იძლევა რა კონკრეტულ მითითებას, გადმოიცემა წინადადების ერთი ნაწილით. „აქაო და თხამ მღვდლობა მოინდომა“ – მოსწრებული თქმაა, სიტყვის მასალა. მაგრამ „თხამ მღვდლობა მოინდომა, აქაოდა გრძელი წვერი მაქვსო“ – უკვე ანდაზაა [ჩიქოვანი,1946:241]. ძნელად გასარჩევობის გამო, ანდაზები და მოსწრებული სიტყვები სხვადასხვა გამომცემელს ერთად აქვს მოქცეული, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე არსებულ კრებულებში.

აღ. ღლონტი [ღლონტი,1988:98] ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ანდაზებისა და **სიტყვის მასალათა** ერთი ნაწილი ფრაზეოლოგიზმებად ქცეულა და ახლა ერთ განუყოფელ ლექსიკურ ერთეულადაა გაგებული. ამის ნიმუშებია: „ანაზარი მგელმაც იცის“ „გაწყდეს სადაც წვრილია“; „სული კბილით უჭირავს“ და სხვა. როგორც ანდაზების, ასევე ანდაზური თქმების განმარტებანი ხასითდება ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსით. მაგალითად გავრინი შრომაში „რუსული ენის ფრაზეოლოგია“ («Фразеология русского языка») ეყრდნობა ვ.დალის და ფ. ბუსლაევის განმარტებას: „ანდაზური თქმა ესაა ხალხური – სამეტყველო გამოხატულება, რომელსაც არ გააჩნია, შემგონებლური, დამრიგებლური ხასიათი. ანდაზური თქმა გამოიყენება როგორც სამეტყველო გამომხატველობით საშუალებად; «ни шатко ни валко; через пень колоду;...ехал прямо, попал в яму; попала ворона в сеть, так ее заставили петь» [Гаврин,1967:47].

საინტერესოა ვ.პ. ფელიცინას განმარტება: „ანდაზები და ანდაზური თქმები ესაა ფოლკლორული წარმომავლობის ენობრივი აფორიზმები. ანდაზის აზრობრივი შინაარსის საფუძველია არა მცნება, არამედ მსჯელობაა, რომელიც ადასტურებს ან

იძლევა რჩევას, «В гостях хорошо, а дома лучше, (სტუმრად კარგია, მაგრამ, სახლში უკეთესია); Один за всех, все за одного; (ერთ ყველასათვის ყველა ერთისათვის) - ან აქვს ბრძანების ხასიათი ბრძანებითი კილოს წინადადების ფორმით გამოხატული « Куй железо, пока горячо (დაჰკარ რკინას სანამ ცხელია)» [Фелицина и др.1979:7].

თავის წიგნში ვ.ფელიცინა ანდაზების და ანდაზური თქმების ერთად განხილვას ხსნის იმ მოსაზრებით, რომ ზღვარი ამ ორ „ენობრივ აფორიზმს“ შორის მეტად პირობითია და რომ „ანდაზები და ანდაზური თქმები წარმოშობენ „ენობრივი აფორიზმების“ ერთ მთლიან, განუყოფელ ჯგუფს“ [Фелицина и др.1979:7].

ანდაზების და ანდაზური თქმების დეფინიციის პრობლემამ დიდი ხანია ენათმეცნიერების ყურადღება მიიპყრო. ჯერ კიდევ XIX სკ. ბოლოდან – XX სკ.–ს დასაწყისამდე, როდესაც რუსული ანდაზების და ანდაზური თქმების შესწავლას მიექცა ყურადღება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების პარემიებთან შედარების დროს. ერთ–ერთი პირველთაგანი, ვინც სცადა ანდაზების, ანდაზური თქმებს და სხვა მყარ შესიტყვებებს შორის განსხვავებულობის დადგენა, იყო რუსი ეთნოგრაფი და ლექსიკოგრაფი ვ.დალი თავისი კრებული «Пословицы русского народа» წინასიტყვაობაში წერს: „ანდაზური თქმა – ირიბად ნათქვამი, გადატანითი მნიშვნელობის, ორაზროვნებაა, მაგრამ განკიცხვის, დასკვნების, გარეშე: ეს ანდაზის ერთი პირველ ნაწილთაგანია“ «он глуп»-ის (სულელია) მაგივრად ამბობს: «У него не все дома, одной клепки нет, он на цвету прибит, трех не перечтет» (ქართულ ენაში – „ორ ბატს ვერ მიაბარებ“)[Д.,1978:74].

დღემდე სადისკუსიო თემას წარმოადგენს საკითხი ანდაზისა და ანდაზური თქმის განმასხვავებელი თვისებების შესახებ. თანამედროვე მკვლევარი–პარემიოლოგები თავიანთ ნაშრომებში მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ ამ საკითხის განხილვას, მაგალითად [Жуков 1991: 9; Савенкова 2002: 55-69; Тарланов 1999: 28-64]. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ანდაზები და ანდაზური თქმები მრავალ კრებულში ერთადაა წარმოდგენილი.

რუსულ პარემიოლოგიაში ანდაზის და ანდაზური თქმის განცალკევება ხდება სტრუქტურული და სემანტიკური ხაზით. გ.ლ.პერმიაკოვი ანდაზასა და ანდაზურ

თქმას შორის საზღვარს ხედავს ფორმალურ, სტრუქტურული კრიტერიუმით. მისი განმარტებით ანდაზა – ესაა ჩაკეტილი, კლიშირებული სტრუქტურა, ანდაზური თქმაც– ჩაკეტილი სტრუქტურაა, რომელიც მეტყველებაში შეიძლება შეიცვალოს ან დაემატოს რაიმე [Пермяков 1970:9].

მეტყველებაში ანდაზა ხშირად გადაიქცევა ხოლმე ანდაზურ თქმად და პირიქით. მაგალითად «Сваливать с больной головы на здоровую не накладно»- [მტკივანი თავის პრობლემები ჯანმრთელზე გადაიტანო, სწორი არაა), «Сваливать с больной головы на здоровую»–ანდაზური თქმაა, ე.ი. ხატოვნად ნათქვამია, რომ შენი პრობლემები სხვას არ უნდა მოახვიო თავს.

ანდაზურ თქმას ხშირად იდიომას უახლოებენ. მაგალითისათვის საინტერესოა მოვიყვანოთ არ. თაყაიშვილის აზრი ამ საკითხის შესახებ. „ქართულში ბევრი გვაქვს ანდაზისაგან იდიომის მიღების შემთხვევები: პირი ეწვის – თუ პილპილი არ გიჭამია პირი რად გეწვისო; ახალი ცოცხი – ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოიტანს ქვიშასა; კედელს ნახშირი და ა.შ. ზოგჯერ ეს გამოთქმები შეკვეცილ ანდაზებად მიაჩნიათ – განაგრძობს ავტორი, რადგან ამ ნაწყვეტით შესაძლებელია მთელი ტექსტის აღდგენა. მაგრამ ეს ხერხდება თავდაპირველ ეტაპზე. დროთა განმავლობაში კონტექსტის გარემო მიივიწყება, კოლორიტის ელფერი იკარგება და რედუქციული ერთეული დამოუკიდებელ სახეს იღებს, ისე როგორც იდიომის კბილს უსინჯავს ხმარებისას არავინ ფიქრობს, რომ იგი მიღებულია ანდაზისაგან: ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება“ [თაყაიშვილი,1961:99].

ჩვენი კვლევის საგანია ანდაზები. ისინი თავისი განსაკუთრებულობით მკვეთრად განსხვავდებიან ანდაზური თქმისაგან იმით, რომ ახასიათებთ დიდაქტიკური და დასრულებული შინაარსი. ანდაზური თქმა გამოირჩევა აზრობრიობის უსრულობით და დამრიგებლური ხასიათის შინაარსის არქონით, თუმცა, ორივეს აერთიანებს ზუსტი ასონანსური რითმა, ანუ ხმოვანი ბგერების გამეორება. ყველაზე დამახასიათებელი და არსებითი ანდაზისა და ანდაზური თქმისათვის ფორმის სიმოკლეა.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მრავალი წლის განმავლობაში ანდაზა იყო კვლევის დამოუკიდებელი ობიექტი, მაგრამ დღემდე კიდევ მრავალი საკითხი სათანადო კვლევასა და შესწავლას მოითხოვს მაგ. როგორცაა: ანდაზის კულტუროლოგიური ხასიათი, ფორმა, სტრუქტურული სისრულე და ავტოსემანტიკურობა.

ვეთანხმებით ლინგვისტთა უმრავლესობის აზრს იმის შესახებ, რომ ანდაზის ლინგვისტური სტატუსი უნდა განიხილებოდეს შემდეგის გათვალისწინებით:

- ❖ ანდაზას ყოველთვის აქვს წინადადების ფორმა;
- ❖ ანდაზა ყოველთვისაა სინტაქსურად და კომპოზიციურად დასრულებული ანუ დამოუკიდებელი გააჩნია ჩამოყალიბებული პრედიკატიული სტრუქტურა;
- ❖ სივრცობრივ-დროებითი, კონკრეტულ-პიროვნული და სხვა მსგავსი ურთიერთობები ანდაზას არ გააჩნია. ენობრივ გარემოში კონკრეტიზაციისათვის პარემიები იწარმოებიან მზა სახით, გამოირჩევიან მყარი სტრუქტურით, ექსპრესიულობით, ხატოვანებით, სენტენციოზურობით, დიდაქტიკურობით, შემფასებლობით, ქარაგმულობით, სიმოკლით / სისხარტით და კომპაქტურობით;
- ❖ ანდაზის ფრაზეოლოგიაში შეტანის პრობლემა გადაუწყვეტელი რჩება. ანდაზები და ანდაზური თქმები განუყოფელი ნაწილი და ატრიბუტია იმ ხალხური ფოლკლორის და ნაციონალური კულტურის, ვისაც ისინი მიეკუთნებიან. ანდაზების და ანდაზური თქმებისათვის დამახასიათებელ თვისებებში ხაზგასასმელია მათი მრავალსახოვნება - ექსპრესიულობა, აქტუალურობა, ხოლო თანადროული გამოყენება განუმეორებელ გამომსახველობას ანიჭებს მეტყველებას;
- ❖ ანდაზების განმასხვავებელი თვისება ანდაზური თქმისაგან მდგომარეობს კიდევ იმაში, რომ ისინი ინარჩუნებენ ორ ხაზს-პირდაპირ და ირიბ კონოტაციას. მთავარი განმასხვავებელი თვისება ანდაზებისა ანდაზური თქმებისაგან მისი დიდაქტიკური შინაარსი და აზრობრივი სისრულეა, რაც ანდაზურ თქმებს არ გააჩნიათ.

- ❖ როგორც ყველა ფოლკლორული ტექსტი, ანდაზებს გააჩნიათ ესა თუ ის თემა, მათი ექსპრესიულობა გამოიხატება ემოციურ კონოტაციაში, ამდენად, შესაძლებელია ანდაზა განვიხილოთ როგორც დისკურსის შემადგენელი ნაწილი.

თავი II

წინადადების აღნაგობის საკითხისათვის ანდაზაში

§ 1. მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ანდაზის განმარტება სხვადასხვა მკვლევარის მიერ სხვადასხვაგვარია, მაგრამ ერთში ყველა თანხმდება, რომ ანდაზა თავისი სტრუქტურული თავისებურებით, ლაპიდარულობით, ისეთი სიტყვიერი ფორმულაა, რომლის საშუალებითაც მხატვრულად გადმოიცემა ადამიანთა ცხოვრებაზე, ბუნებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიო ხალხთა ანდაზები თავისი სპეციფიკურობის მიუხედავად, მრავალი საერთო ნიშნით გამოირჩევიან. როგორც დიდი რუსი პარემიოლოგი, პერმიაკოვი აღნიშნავს, „თუ გადავშლით აზერბაიჯანულ, არაბულ, სპარსულ, ოსურ, თურქულ ანდაზების კრებულებს, თითოეულ მათგანში აუცილებლად აღმოვაჩენთ ანდაზას მეჩექმის შესახებ, რომელიც ფეხშიშველი ან დახეული ფეხსაცმლით დადის. ამ გამონათქვამის მსგავსი გვხვდება ჩინურ, ინდურ, იაპონურ და სხვა მრავალ (მათ შორის აფრიკულ და ევროპულენოვან) კრებულებში [Пермяков,1988:12]. დავამატებდით, რომ ქართველებსაც აქვთ ამ შინაარსის ანდაზა „მეჩექმეს ჩექმა ვინ მისცაო“, „მჭედელს დანა არა ჰქონდა და ფეიქარს - ხელსახოციო“ [გახოკია: 144] და რუსული: «Портной без портов, сапожник без сапогов» [Даль,2:374].

მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ისტორიული გამოცდილების ერთობლიობით, ზოგს მიაჩნია, რომ ეთნიკური და ენობრივი ნათესაობითაა განპირობებული, მესამენი მიიჩნევენ, რომ კულტურული კონტაქტები ახდენენ გავლენას. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ამგვარი მსგავსებისა და დამთხვევების დიდი ნაწილი ტიპოლოგიური ხასიათისაა, მაგრამ გამორიცხული არ არის სესხებაც. ანდაზა სწრაფად ვრცელდება კუთხიდან კუთხეში, ქვეყნიდან ქვეყანაში და როგორც ერთ - ერთი ყველაზე პოპულარული სიტყვიერი

ფორმულა, გამორჩეული თავისი დიდაქტიკური, სენტენციური, ხასიათით ასახავს ხალხის მახვილგონიერებას, ზნეობრივ, ჰუმანურ, ფილოსოფიურ, სოციალურ-პოლიტიკურ იდეალებს.

ჩვენი აზრით, არ უნდა გამოირიცხოს ბიბლიის, ქრისტიანთა წმინდა წერილის, ფაქტორიც. როგორც ხ. ხატიაშვილი აღნიშნავს, „ბიბლიური გამონათქვამებისა და მათი ანდაზური ტრანსფორმირების შეპირისპირება ცხადყოფს, რომ ანდაზის ტექსტში ხშირად ბიბლიური გამონათქვამების შემადგენელი სიტყვებისა და შესიტყვებების სინონიმური ვარიანტების გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ სინონიმურ ჩანაცვლებებს შეუქცევად ახლავს თან ხატის გარკვეულწილად ცვლილებაც. „ამიტომ, ასკვნის ავტორი, ბიბლიური ტექსტებისა და ანდაზების გენეტიკური კავშირი ასეთ შემთხვევებში აშკარაა“ [ხატიაშვილი,2012:92]. მაგალითისათვის მოყვანილია საინტერესო ნიმუშები, მათ შორის: „ბრძენი კაცი გონებითა ჭვრეტს, უგუნური კი ბნელში დავალს“ (ეკლ.,2:14). – Умный других водит, а неучёный впотьмах бродит (სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია.//ნასწავლი კაცი კარგია, უსწავლელი კი ბარგია).

ზოგადად ლინგვისტურმა კვლევებმა პარემიათა ენობრივ სივრცეში უნივერსალების და რეალების გამოკვეთას შეუწყო ხელი.

ლ. სოვა თავის ნაშრომში «Аналитическая лингвистика и типология» წერს: „ფაქტობრივად სიტყვა „უნივერსალური“ გახდა სინონიმი „თანაბარი ყველა ან რამდენიმე ენაში“. ამასთან უნივერსალური ლინგვისტური თეორია იქნა გაგებული როგორც ენობრივი თანაფარდობის თეორია“ [Сова,2007:194]. აქვე მიუთითებს: „რაც უფრო განსხვავებულია ენები, მით უფრო ნაკლებია, ამგვარი მიდგომით, უნივერსალიზმი და ამდენად, უნივერსალური თეორიის გამოყენების სფერო უფრო მცირეა. უკვე არსებული უნივერსალური თეორიების ფრაგმენტების ენობრივი ფაქტები და კრიტიკა მოწმობენ, რომ ენებში თანაფარდობანი მნიშვნელოვნად მცირეა ვიდრე განსხვავებები“ [Сова,2007:194].

როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, „სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შედარება შესადარებელ ენათა სისტემის აღწერითს ანალიზს ემყარება და მიზნად ისახავს ზოგადი კანონზომიერებანი - უნივერსალები - დაადგინოს“ [ჩიქობავა,1979:9].

ანდაზით გადმოცემული წინადადების განხილვა მორფო-სინტაქსურ ჭრილში მრავალ საინტერესო, საყურადღებო უნივერსალურ მომენტს ჰფენს ნათელს.

ანდაზის სტრუქტურა ერთ წინადადებაში თავსდება, რაც მის სტაბილურობას, ადამიანების ფართო მასებში დამკვიდრებას და გავრცელებას უწყობს ხელს. სწორედ ეს განაპირობებს მის ადვილად დამახსოვრებას და პოპულარიზაციას. ლ. ლეჟავას თუ დავიმოწმებთ: „ანდაზა განსაკუთრებულ მისწრაფებას იჩენს ფრაზის შემოკლებისაკენ. ფრაზის შესამოკლებლად, აზრის ლაკონურად გადმოსაცემად იგი ნაირ-ნაირ საშუალებას მიმართავს, არის ეს ხერხი სინტაქსური, მორფოლოგიური, თუ სიტყვათწარმოების ხასიათისა“ [ლეჟავა,1959:142].

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ენობრივი მნიშვნელობების სისტემების ტიპოლოგიური შესწავლა გულისხმობს, პირველ რიგში, გრამატიკულ ტიპოლოგიას, ანუ მსოფლიო ენებში გრამატიკული მნიშვნელობების პრინციპების განაწილებას და აღწერას [B. Рахилина, В. А. Плунгян 3-Rakhilina.Plugian pdf].

რუსული ანდაზების სტრუქტურის კვლევით ოდითგანვე იყვნენ დაიტერესებული, დერგაჩოვი (Дергачев, «Русский синтаксис в пословицах» «Учитель», 1869, № «Несколько замечаний к вопросу о пословицах и поговорках», СПб 1897); თეორეტიკოსები ა.ა.პოტებნია (1894) და ე.ა. ლიაკვი (1898) განიხილავდნენ ანდაზებს, როგორც განსაკუთრებულ ლიტერატურულ ფორმას, სწავლობდნენ მის სტრუქტურას, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია პ. გლაგოლევსკის ნაშრომი [Глаголевский П. Синтаксис языка русских пословиц 1873]. თანამედროვე რუსი ლინგვისტებიდან დიდი წვლილი შეიტანა ანდაზების სტრუქტურის კვლევაში ზ. ტარლანოვმა „Сравнительный синтаксис жанров русского фольклора [1981] „Очерки по синтаксису русских пословиц [1982]; „Русские пословицы: синтаксис и поэтика [1999]. ქართული ანდაზების ენის შესახებ საინტერესო კვლევა ეკუთვნის აღ. დლონტს „ქართული ანდაზების სინტაქსის საკითხები“ [1955], ლ.ლეჟავას „ქართული

ანდაზის ენა [1959]. „პარემიის სტრუქტურა, როგორც მისი სინტაქსური მახასიათებელი, დაკავშირებულია პარემიის ფუნქციონირებასთან წინადადების სახით და ისეთი თვისებების არსებობით, როგორცაა: აზრობრივი, სტრუქტურული, გრამატიკული და ინტონაციური სისრულე, სინტაქსური პრედიკატიულობა და კომუნიკაციური ამოცანა“ [Серёгина, 2010].

ანდაზების ყველა ასპექტის შედარება ორივე ენაში მეტ-ნაკლებადაა შესწავლილი როგორც ქართველი, ასევე რუსი ლინგვისტების მიერ. ჩვენს ნაშრომში მხოლოდ მნიშვნელოვანი დებულებების ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნების პრეზენტირებაა. ანდაზის გადმომცემი წინადადებები, მათი შედგენილობა, სიტყვათშეხამებანი საინტერესო საკვლევ მასალას იძლევა. „ყოველ ენაში შეიძლება მოიძებნოს სიტყვაშეთანხმებანი, რომლებიც შეესაბამებიან ყველა ტიპს, ან მათ უმეტესობას. ერთნი გვხვდებიან მეტი სიხშირით, მეორენი - ნაკლები. სწორედ ეს განასხვავებს ენებს ერთმანეთისაგან“ [Сова,2007:149]. აქედან გამომდინარე, ვეთანხმებით მისაზრებას, რომ ანდაზა სინტაქსური სტრუქტურის მქონე ლექსიკური ერთეულია, რაც იძლევა მისი სინტაქსის კუთხით გამოკვლევის შესაძლებლობას.

§ 2. განზოგადებულპირიანი წინადადებით გადმოცემული ანდაზები

ზოგადად ცნობილია, რომ ანდაზისათვის ყველაზე მოხერხებული წინადადების ფორმა განზოგადებულპირიანი წინადადებებია. ისინი ასახავენ რა ადამიანთა კოლექტიურ გამოცდილებას, ან მთქმელის ტიპურ მოქმედებას და ამით ანდაზა იძენს იმ მნიშვნელოვან და მისთვის დამახასიათებელ სახეს, რაც მის ფართოდ გავრცელებას და პოპულარობას უწყობს ხელს. С вестей пошлин не берут [Д.,2:161]; На чужой роток не накинешь платок [Д.,2:161]; За глаза и про царя говорят [Д.,2:161]; Даровому коню в зубы не смотрят [Д.,2:165]; Клин клином вышибают [Д.,2:160]; ქართული: ჭაში ჩახედვით წყალს ვერ დაინახავ [კანდ.: 90]; წინ ნუ უსწრებ,

უკან ნუ ჩამორჩები [კანდ.: 88]; შორეულ მოყვარეს ახლობელი მტერი გერჩიოსო [კანდ.:82] ; ქმარს რომ გაგხდნიან, ჩოხასაც მიაყოლებენო [კანდ.: 76]; ტყუილს კარამდე მიჰყევით [კანდ.: 73]; როცა ჯობი არა გაქვს, ძალს ლუკმა გადაუგდეთ [კანდ.: 73]; რაც გატკენს, ის მოგარჩენსო [კანდ.: 62].

რუსული ანდაზისათვის დამახასიათებელია ერთშემადგენლიანი წინადადებების შემდეგი სახეობები: 1) განზოგადებულპირიანი, 2) ინფინიტივური 3) უპირო. რუსული ანდაზა არ იყენებს განსაზღვრულპირიანს და განუსაზღვრელპირიან წინადადებებს, რადგანაც მათში მოქმედება განზოგადებულ პირს კი არ ეხება, არამედ განსაზღვრულ და განუსაზღვრელ პირს.

განზოგადებულპირიანი ერთშემადგენლიანი წინადადებები ასახავენ სიტუაციას, რომელიც ასახავს ადამიანების მიერ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე დაკვირვების შედეგად მიღებულ დასკვნებს. «Старого воробья на мякине не обманешь (проведёшь) [Д.,1:276], Не мешайся в совет, пока кто не позовёт [Д.,2:107], В чужом хлеву овец не считают [Д.,2:108]; Наперёд не узнаешь, где найдёшь, где потеряешь [Д.,1:46].

მოქმედება, რომელიც გამოხატულია განზოგადებულპირიან წინადადებაში მთავარი წევრის მიერ, მოკლებულია კონკრეტულ-პიროვნულ ორიენტაციას და როგორც პემკოვსკი მართებულად თვლიდა, განზოგადებულპირიანი წინადადება- „ეს ხიდია, რომელიც აერთებს პიროვნულს საზოგადოსთან, სუბიექტურს, ობიექტურთან“ [Пешковский, 1956:375]. ამ სახის წინადადებები ანდაზის ძირითადი მახასიათებლებია ორივე ენაში. ზოგადად მესამე პირის ფორმები, როდესაც განზოგადებულ მოქმედებას გამოხატავენ. ასეთ წინადადებაში ქვემდებარე გაუჩინარებულია. „არ გაიკითხვენ გლახაკსა, თუ გაიკითხვენ, - ვაითა და ვაგლახითაო“ [სახოკია,20]; „მტერს ესროდნენ და მოყვარეს მოხვდაო“; «Не копъём побивают, а умом» [Д.,I:336]; « Не силой борются, а сноровкой» [Д.,I:372].

საინტერესოა ენათმეცნიერთა განსხვავებული აზრი. მაგალითად რეფორმატსკი ანდაზას «Цыплят по осени считают» განუსაზღვრელპირიან წინადადებად მიიჩნევს, ხოლო ანდაზას «Поспешишь, людей насмешись»

განზოგადებულპირიან წინადადებად [Реформатский А.1955]. რუსულ აკადემიურ გრამატიკაში კი ცნობილია, რომ განუსაზღვრელპირიან წინადადებას ანდაზა არ იყენებს. დოლინი ი. თავის სტატიაში [2004:4] «К вопросу о синтаксическом статусе обобщённо-личных предложений в русском языке» წერს, რომ რუსულ სინტაქსში მრავალი ეგრეთ წოდებული „ამოუცნობი სინტაქსური ობიექტებია“. ერთ-ერთ მათგანს განეკუთვნება განზოგადებულპირიანი წინადადებები, რომლებშიც მოქმედი პირი იგულისხმება განზოგადებულად, მაგალითად „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან“ «Цыплят по осени считают». თვით ტერმინი, „განზოგადებულპირიანი“ რუსულ ენაში, როგორც ავტორი წერს, პირველად გვხვდება პროფესორ ა.მ. პემკოვსკის წიგნში „Русский синтаксис в научном освещении“. უნდა ითქვას, რომ აკადემიკოს ა. შახმატოვი ამ ტიპის წინადადებებს მიაკუთვნებდა გაუჩინარქვემდებარულ განუსაზღვრელპირიან წინადადებათა რიცხვს. ამ სახეობის წინადადების გარშემო ლინგვისტთა შორის წინააღმდეგობრივი მოსაზრება არსებობს, ნ.ი.შვედოვა, ი. პ. რასპოპოვი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ „ამგვარი ტიპის წინადადებები რუსულში არ არსებობს [ФН.1972,№3]. ამ იდეას იზიარებს თვით სტატიის ავტორი პროფესორი დოლინი და წერს, რომ „ეგრეთწოდებულ განზოგადებულპირიან წინადადებებს არ გააჩნიათ თავიანთი სინტაქსური ფორმა, თავიანთი სტრუქტურული სქემა. ამიტომაც არ შეიძლება განეკუთვნებოდნენ ერთშემადგენლიან წინადადების რიცხვს. ხოლო რაც შეეხება დამახასიათებელ თვისებებს, რომელზედაც თავის სტატიაში მიუთითებდა ტარლანოვი, წერს დოლინი, არსებით როლს სინტაქსურ სტატუსზე გავლენას არ ახდენს“. მაგალითად, რუსულ ანდაზას „Цыплят по осени считают“ «Слезами горю не поможешь» ლინგვისტთა ერთი ნაწილი მიაკუთვნებს განზოგადებულპირიან წინადადებებს, მეორენი - განუსაზღვრელპირიანს, ხოლო მესამენი კი განუსაზღვრელ-განზოგადებულ სტრუქტურებს [Долин,2004:4].

ამ სახის წინადადებების დასაცავად გამოვიდა პროფესორი ზ.კ.ტარლანოვი თავისი სტატიით «Есть ли в русском языке обобщённо-личные предложения?» [ФН 1972,№3]. სადაც წერს, რომ „განზოგადებულპირიანი წინადადებები ხასიათდება

ფუნქციონალური და ჟანრობრივი ორგანიზაციით: თავისი არსებობით ის უმადლის ძირითადად ისეთ ჟანრს, როგორც ანდაზაა და რომ ამ ტიპის წინადადებები არ შედიან ზმნის დროის პარადიგმატულ ფორმათა რიგში და რომ ეს წინადადებები, სხვა ერთშემადგენლიან წინადადებებისაგან განსხვავებით გამოირჩებიან იმით, რომ პრაქტიკულად არ არსებობენ მეორეხარისხოვანი წინადადებების გარეშე. ტარლანოვის აზრის საწინააღმდეგოდ დოლინი ბოლოს ასკვნის, რომ „ეს უბრალოდ „ერთშემადგენლიანი წინადადების გაფერმკრთალებული, («размытый») სახეობაა“ [Долин, 2004: 6] და ასეთი სიტაქსური ტიპის წინადადება რუსულში საერთოდ არ არსებობს.

შედარებისას გამოვლინდა, რომ, ზოგადად, ანდაზა გამოირჩევა იმპლიციტური ხასიათით და მასში, ერთი მხრივ, ნარატივით გადმოცემულია გამზოგადებულობა, მეორე მხრივ, ანდაზა ყოველთვის თავისი ჟანრის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევა აქტუალური, განზოგადებული მოქმედებისკენ მოწოდებას როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაში: Не бойся смерти, бойся грехов! [Д.,1:220]; Житейское делай, а смерть помни! [Д.,1:222]; მიაწინებებს და მოუწოდებს: Новых друзей наживай, а старых не теряй! [Д.,1:233]; Не верь речам, верь своим глазам! [Д.,1:248]; Ешь вполсыта, пей вполпьяна, проживёшь век до полна [Д.,2:252]. რუსულ ანდაზაში განზოგადებულობა გამოიხატება აწმყო დროში მეორე პირის მხოლოდითი რიცხვით : Ум городьбой не **обгородишь** [Д.,2:336]; Хоть в отгон, хоть на убой, лишь деньги **отдай** [Д.,2:35]; Потерял- **не сказывай**, нашёл - **не показывай** [Д.,2:71]; აგრეთვე მრავლობითი რიცხვის მესამე პირით: Где нищий не бывал, там по две мылостини **дают** [Д.,2:67]; Знайку на суд **ведут**, незнайка дома сидит [Д.,2:70]; ქართულში რუსულისაგან განსხვავებით: „ერთპირიან ზმნაში განზოგადებული მოქმედება სუბიექტურ პირს ეხება, ორ, სამპირიანში კი იგი შეიძლება ეხებოდეს როგორც სუბიექტურ პირს, ისე ობიექტურსაც (ირიბს) [კვაჭაძე: 1988]. „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“; სადაც წახვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო“ [სონდ.: 34]; „განზოგადებული მოქმედება გადმოიცემა აგრეთვე III სუბიექტური პირის ფორმით აწმყოში, (იშვიათად მყოფადში), რომელსაც ხოლმეობითის გაგება აქვს“ [შანიძე,1948:91].

განზოგადებულობის გადმოცემის მნიშვნელოვანი ფაქტორია ზმნა-შემასმენლის დროის განსაზღვრა. ახლანდელი დრო მიანიშნებს ზოგად ჭეშმარიტებაზე, ერთი გწყევლის, ერთი გლოცავს, ერთი თვალში ნაცარს გაყრის [სახ.: 62] Нужда **скачет**, нужда **пляшет**, нужда песенки **поёт** [Д.,I:68]. გამეორებული რიცხვითი სახელი „ერთი“ ემოციის გასაძლიერებლადაა გამოყენებული, (იგულისხმება „ზოგი“) გადმოსცემს ქვემდებარეს, მაგრამ ერთგვარ წევრად არ ჩაითვლება, ხოლო ზმნები: გწყევლის, გლოცავს, ერთგვაროვანი შემასმენლებია და უკავშიროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. გაყრის ორპირიანი ზმნაა(ის, მას) და ამდენად ერთგვაროვენ წევრებს არ მიეკუთვნება.

§ 3. ქვემდებარე გაუჩინარებული წინადადებით გადმოცემული ანდაზები

უნდა ითქვას, რომ არის წინადადების ისეთი სახეობაც, სადაც ქვემდებარე არ ჩანს, მაგრამ იგულისხმება, ხოლო „შემასმენელის ახლო მეზობლობაში ექცევა დამატება და გარემოება“ [ლუქავა: 191] ანდაზაში ასეთი შემხვევების 50% მოიპოვება. მაგალითად: გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებო („შენ“) [ნაკ.: 47] ავს ნუ იქმნ და ავისა ნუ გეშინიაო („შენ“); [ნაკ.: 47]; შიში მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო („მე“) [ნაკ.: 39]; თუ არა გყავს მოახლეო, თავი მოიმოახლეო (შენ) [ნაკ.: 38]. კამეჩები მოგაბარე: ამუშავე და აჭამეო, განა მისთვის მოგაბარე, - დაკალი და შეჭამეო [სახ.: 100] მაგალითად მოყვანილ წინადადებაში ორი შემასმენელი, გაერთიანებული საერთო გაუჩინარებული ქვემდებარით, გაერთიანებული კავშირით „და“. მარტივი ერთგვარშემასმენლიანი წინადადებების კატეგორიას მიეკუთვნება. მო-გ-აბ-ა-რე; I სუბიექტური პირის პრეფიქსი მიაწინებს პირველ პირზე. ამუშავე-აჭამე - დრო მომავალი, მოქმედება წყვეტილი, კილო კავშირებითი, მწკრივის ნიშნები -ე,-ე, ; ერთგვარი წევრები შეკავშირებულია კავშირით „და“, მიეკუთვნებიან გაუჩინარებულ ქვემდებარეს, რომელიც იგულისხმება პირველი პირის, მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელით.

ლ. კვაჭაძის აზრით, ქართულ ენაში **განუსაზღვრელპირიანია** (ქვემდებარე გაუჩინარებული) წინადადება, რომელშიც ქვემდებარე არ მოიპოვება და მოქმედ პირად არც შეიძლება ვიგულისხმოთ რომელიმე კონკრეტული საგანი, მაგრამ ზმნას არა აქვს დაკარგული სუბიექტური პირის გაგება, ასეთ წინადადებაში ქვემდებარე გაუჩინარებულია, მაგრამ მოქმედად მაინც იგულისხმება ვიღაცა გაურკვეველი პირი (თუ პირები), რომლის ვინაობაც არ არის განსაზღვრული და არც არის ამის საჭიროება მოუბრისა და თანამოუბრისათვის, მთავარი მოქმედება გადატანილია თვით მოქმედებაზე [კვაჭაძე, 1988:212] დავამატებთ, რომ ამას ხაზგასმით ერთვის ანდაზის დირექტიული/აღმზრდელობითი სემანტიკური ფუნქციის ნათლად წარმოჩინება. მაგალითი: ისეთი ხიდი გააკეთე, რომ შენმა შვილიშვილმაც ზედ გაიაროსო [ნაკ.: 37]; პატის ნურც მოითხოვ და ნურც დაითხოვო

[ნაკ.: 27]; ნუ ეძებ ავსა და ავისაც ნუ გეშინიაო [ნაკ.: 27]; ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო [კანდ.,10]; ბუტიას შეუჭამენ, მძინარეს შეუნახავენ [კანდ., 14]; В чужой монастырь со своим уставом не ходят [Д.,2:100]; По одежке растягивай ножки [Д.,2:25]; Куй железо пока горячо [Д.,2:69]; Сняв голову, по волосам не плачут [Д.,2:117]; Не зная броду, не суйся в воду [Д.,2:144]; Не плюй в колодезь, случится (пригодится,сгодится) напиток [Д.,2:145]; Не веришь повару, сам ступай по воду [Д.,2:75].

ვეთანხმებით, რა გალკინა - ფედორუკის განმარტებას, პირნაკლი წინადადება - „ეს უქვემდებარო კონსტრუქციაა ერთი მთავარი წევრით-შემასმენლით, რომლის ფორმითაც არ არის გამოხატული და არც კონტექსტშია მითითებული პირის მნიშვნელობა“ [Галкина-Федорук,1958]. უნდა ითქვას, რომ იდეა წინადადებაში ეგრეთ წოდებული „გაუჩინარებული ქვემდებარის“ შესახებ, მიეკუთვნება ფ.ბუსლაევს, რომელიც თვლიდა, რომ „პირნაკლ წინადადებაში ქვემდებარე არაა გამოტოვებული, არამედ იგი იგულისხმება შემასმენელში“ [Буслаев,1959:45].მაგალითად: Не разводи усок на чужой кусок [Д.,2:102]; Своё добро теряет, а чужого желает [Д.,2:103]; Далеко глядит, а под носом не видит [Д.,2:106]. ვეთანხმებით აზრს და მოგვაჩნია, რომ „წინადადებაში, სადაც არცერთ კომპონენტში ქვემდებარე რეალურად წარმოდგენილი არ არის არც სახელით, არც ნაცვალსახელით, იგი როგორც მისამართი წევრი, ყველა ზმნა-შემასმენელთან იგულისხმება“ [ჭიკაბე,1995:157].

§ 4. უსრული და ელიფსური წინადადებები ანდაზებად

პ. ლეკანტის სიტყვებით, რუსული ენის მარტივი წინადადების სტრუქტურის მოქნილობა, ყველაზე ნათლად იკვეთება უსრული და ელიფსური წინადადების მეშვეობით [Лекант,1974:155]. ზოგიერთი ლინგვისტი, მაგალითად ა. გვოზდევი [Гвоздев, 1958 ч. 2:156] ელიფსურ წინადადებებს ისტორიული თვალსაზრისით,

მიაკუთვნებს უსრულ წინადადებათა რიცხვს, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნიათ ამგვარი მიდგომა თანამედროვე რუსულ ენაში.

სირთულეები, რომელიც წინადადების აღნაგობის შესწავლას ახლავს, მდგომარეობს მოცემული ენობრივი ფენომენის ობიექტურ სირთულეში. თანამედროვე ენათმეცნიერება ეყრდნობა რა ჩატარებული კვლევების შედეგებს, აფიქსირებს წინადადების მრავალასპექტიანობას და მრავალ-ფუნქციონირებულობას. ეს იწვევს წინადადების სტატუსის განსაზღვრების ერთ ფორმულირებაში მოქცევას.

ს. კაცნელსონის განმარტებით, წინადადების სტრუქტურული სქემები ენაში გადმოცემულია ზმნების მეშვეობით. ზმნა მოიცავს თავის თავში მხოლოდ წინადადების ბირთვის სქემას, ანუ მის მიერ მიწოდებული არგუმენტების და სიტუაციის დასახელებას. წინადადების დანარჩენი წევრები განისაზღვრებიან არა პრედიკატის მეშვეობით, არამედ ტექსტის წყობის საერთო ამოცანებით [Кацнельсон, 2001: 614-615].

ისმის კითხვა: რა როლს თამაშობს უსრული და ელიფსური წინადადებებით გადმოცემული ქართული და რუსული ანდაზები განზოგადებულობის გადმოსაცემად? შევეცდებით ამ ლინგვისტურ მოვლენაზე დაკვირვების და ანალიზის შედეგად გავცეთ პასუხი დასმულ შეკითხვას.

უსრული წინადადებებით გადმოცემული ანდაზები

უნდა აღინიშნოს, რომ უსრული წინადადებების შესახებ, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში წინააღმდეგობრივი აზრები არსებობს ლინგვისტთა შორის. მაგალითად, ვ.ვინოგრადოვი კრიტიკულად აფასებდა ლოგისტიკური სკოლის მოძღვრებას სრული და უსრული წინადადებების შესახებ, რომლის მიხედვითაც წინადადების მოდელად მიღებული იყო „სუბიექტი - მაერთი - პრედიკატი“ [Виноградов, 1972]. ა.პეშკოვსკის [Пешковский, 1956 : 352] უსრული

წინადადების შესახებ მოძღვრებაში ვხვდებით ლოგისტიკური სკოლის ზოგიერთი ნაკლის აღმოფხვრის მცდელობას. ა.შახმატოვის მოძღვრება იმის შესახებ, რომ უსრულ წინადადებაში, სადაც გამოტოვებულია მთავარი წევრი და რომელიც „გულისხმობის“ პრინციპით შეიძლება აღდგეს, - განაგრძო ა.მ.პეშკოვსკიმ [Лекант,1964 :133-134].

პ.ლევანტი განმარტავს: „უსრული წინადადებების სახეები უნდა განისაზღვროს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ა) გამოყენების სფერო (წერილობითი ან ზეპირი მეტყველება); ბ) ურთიერთობათა ხასიათი (მონოლოგი ან დილოგი); ვ) წინადადების ურთიერთქმედება კონტექსტთან; გ) წინადადების რეპროდუქცია/აღდგენა ან მეტყველებაში თავისუფალი წყობის განსაკუთრებულობა. თითოეული ამ სახეობათაგანი გამოირჩევა გრამატიკული შემადგენლობით და თავისებურებებით“ [Лекант,1964 :134].

ლ.კვაჭაძის აზრით, „მარტივი წინადადების სტრუქტურულ ტიპს, მის მოდელს, მთავარი წევრები ქმნიან. თუ მარტივ წინადადებაში გამოტოვებულია რომელიმე მთავარი წევრი, ასეთი წინადადება, უსრული იქნება არა მარტო წინადადების სტრუქტურული მოდელის მიხედვით, არამედ აზრის გადმოცემის თვალსაზრისითაც“ [კვაჭაძე :209]. „უსრულია წინადადება თუ მასში გამოტოვებულია ერთი ან რამდენიმე წევრი (მთავარი თუ არამთავარი), რომლებშიც ადვილად იგულისხმება კონტექსტის ან სხვა რაიმე გარკვეული პრობლემის მიხედვით უსრული წინადადება ზოგჯერ რთული წინადადების ნაწილს წარმოადგენს. გამოტოვებული წევრი (წევრები) დასახელებულია რთული წინადადების სხვა ნაწილში და ამის გამო იგი ადვილად იგულისხმება“ [კვაჭაძე, 1988:207].

ა. რეფორმატსკი თვლის, რომ „უსრული წინადადებები მარტივი წინადადების არავითარ ცალკე ტიპს არ წარმოადგენენ, ისინი უბრალოდ ელიფსური კონსტრუქციებია, სადაც მეტყველების დროს (და არა ენაში!) გამოტოვებულია ის, რაც ადვილად აღდგება კონტექსტის მიხედვით (Ты принёс вещи? – Принёс; აქ ქვემდებარე და დამატება გამოტოვებულია, იმდენად, რამდენადაც ისინი მოხსენებულია შეკითხვაში“ [Реформатский, 1955: 266].

ჩვენი აზრით, ეს მტკიცებულება წინააღმდეგობაში მოდის ზოგადად, საყოველთაოდ ცნობილ უსრული და ელიფსური წინადადების განმარტებასთან, რადგანაც, თუ წინადადებაში, სადაც ზმნა-შემასმენელი გამოტოვებულია და მისი აღდგენა საჭიროებას არ წარმოადგენს, ელიფსური წინადადებაა, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია უსრული და ელიფსური წინადადების ერთმანეთს არ ემთხვევა.

ცნობილია, რომ უსრულია წინადადება, რომელსაც აკლია სტრუქტურულად აუცილებელი (მთავარი წევრი, კოორდინანტი) ელემენტი Родители берегут дочь до венца, а муж до конца [Даль,2:288] - გამოტოვებულია პრედიკატი бережёт, აგრეთვე ირიბი ობიექტი «жену». ქართულ ანადაზაში: მჭედელს დანა არა ჰქონდა და ფეიქარს -ხელსახოციო [სახოკია:144] – (არა ჰქონდა) ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამკარგავმა -ათასიო [სახოკია:201]- (ქნა); ქურდს ქურდი სძულდა, ორივე - ღმერთსაო [სახოკია:202] –(სძულდა); ქუხილით წვიმა არ მოვა, ხმადაგდებითა - ლაშქარი [სახოკია:202] –(არ მოვა); ღარიბს ორი ეხარჯებოდა, მდიდარს - ერთიო [სახოკია: 27] - (ეხარჯებოდა) (იხ. დანართი №1).

საზოგადოდ, სამეცნიერო გრამატიკულ ლიტერატურაში, უსრული წინადადების არსებით ნიშნად მიიჩნევა წევრთა დაკლება, ამ წესში, ჩვეულებრივ, არაა დიფერენცირებული, თუ სახელდობრ, რომელი წევრი (მთავარი, თუ არამთავარი) აკლდება; მთავარია იგი წინა ნათქვამიდან იგულისხმებოდეს [იხ.ა.შანიძე,1958; ა.შანიძე, ლ. კვაჭაძე, 1964; ლ.კვაჭაძე, 1964; ღლონტი, 1966; Максимов Л.Ю. и др. 1978; Скобликова Е. 1979; Чиркова Н. 2010; Попов Р. 1978; Валгина Н. 1987;Валгина Н.,Розенталь Д. Фомина М. Цапукевич В. 1971; Лекант П. М.;1974 Белошاپкова В.1977; Тарланов З. 1981; 1982; და სხვ]. ასეთ წინადადებაში ამგვარი „ნაკლული წევრის ჩასმა ხშირად იწვევს მოცემული წინადადების სტრუქტურის შეცვლას, უფრო ხშირად იცვლება მისი სტილური ელფერი“ [დავითიანი,1973:131].

უსრული წინადადებების გამოყენების ძირითად სფეროს სასაუბრო ენა წარმოადგენს, განსაკუთრებით-დიალოგი. წიგნის მეტყველების სტილში, განსაკუთ-

რებით ოფიციალურ საქმიან და სამეცნიერო სტილებში, ასეთი წინადადებები შეზღუდული რაოდენობით გამოიყენება [Скобликова,1979]. ვეთანხმებით დებულებას, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ჩამონათვალს ანდაზებიც უნდა დაემატოს. რის საფუძველსაც გვაძლევს ჩატარებული კვლევა.

უსრულია წინადადება, როცა გამოტოვებულია ერთ-ერთი მთავარი წევრი: შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი დამატება ან ირიბი დამატება. მაგალითად, ანდაზაში: ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, მძინარე - თვალებს იფშენებს [სახ.:13], მძინარე **ჩიტი** თვალებს იფშენებს, გამოტოვებულია არსებითი სახელით გამოხატული სუბიექტი, მხოლ., რიცხვ.,სახ.ბრ. მაგ: ავიხედავ - ცას შევხედავ, დავიხედავ მიწასაო [სახ.,ა:15] ; დავიხედავ მიწას **შევხედავო**; გამოტოვებულია ზმნა-შემასმენელი. ადამიანი ღმერთსაც დაივიწყებს და ჭამა - სმას ვერაო [სახ.: 12]-**(დაივიწყებს)**; ადამიანს ენით აზამდნენ, საქონელს - რკალითაო [სახ.: 12]-**(აზამდნენ)**; ბრმა ქორწილში გაუშვეს, კოჭლი - სანადიროდაო.[სახ.: 3] **-(გაუშვეს)**; გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა - წყალთა დენამა [სახ.: 43] **-(დალია)**; გუთანს მომეტებული ხარი არ მოსჭარბდება და წისქვილს -წყალიო [სახ.: 47]-**(არ მოსჭარბდება)**; Первую дочь родители замуж выдают, вторую сестра [Д.,2:160]-**(выдаёт)** პრედიკატი და პირდაპირი დამატება „дочь“; Не место человека кормит, человек – место [Д.,2:185]- **(кормит)**; Выбериай не невесту, а сваху [Д.,2:216]- **(Выбериай)**; Береги платье снову, а здоровье смолоду [Д. т.1.:316]- **(Береги)** გამოტოვებულია ზმნა, მხ.რიცხ.,ბრძან.კილო.,II პირი; Блюди хлеб на обед, а слово на ответ [Д., т.1: 318]. **(Блюди)** გამოტოვებულია ზმნა, მხ.რიცხ.ბრძან.კილო. II პირ; Бог дал родню, а чёрт вражду [Д.,1 :45]-**(дал)** და ა.შ. **(იხ. დანართი № 3)**

„შემასმენლის გამოტოვება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც შემასმენელი წინა წინადადებაშია ნახსენები, ამ შემასმენლით გამოხატული მოქმედება შედეგია იმ მდგომარეობისა, რომლის ახსნა მომდევნო შესიტყვებებითაა გადმოცემული“ [კიზირია,1982:70], იქვეა განმარტებული, რომ ქართული ენა ნაკლებად მიმართავს შემასმენლის გამოტოვებას. შემასმენლის გამოტოვება ხშირია დიალოგებში. აქვე დავამატებთ, რომ უსრული და ელიფსური წინადადებებით გადმოცემულ ანდაზებში

გამოტოვებული შემასმენელი ორივე ენაში, ხელთ არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, თითქმის 90% შეადგენს. ამ მონაცემების თვალსაჩინო მასალა ნაჩვენებია დანართებში (დანართი №1-2, № 3-4).

ქვემდებარის გამოტოვება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია წინამავალი წინადადების ქვემდებარის ან პირმიმართი დამატების გამეორება მომდევნო წინადადებაში [კიზ.: 72] **მაგალითები:** დათვი მწოლარე მძინარეს ჰგავდა, მოსიარულე - შეუპოვარსა [სახ.: 51]- **დათვი** ქვემდებარე, მხ.რიცხვ.სახ.ბრ.; თაგვმა თხარა, თხარა - კატა გამოთხარაო [სახ.: 85] -**თაგვმა**, არს.სახ.,მოთხრ.ბრ.; ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოიტანს ქვიშასა [ლაფ.: 49]- **ცოცხი**, არს. სახ., მხ.რ., სახ.ბრ.,; მოჩქარეს დედა ტირის, მოგვიანესი - იცინისო [სახ.: 138]- **დედა** -ქვემდ.არს სახ.,მხ.რ., სახ.ბრ.; ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ღირს მკვებარი [სონდ.: 25] - (**ვაჟკაცი**); გონიერი კაცი ქვეყანას ამშვენებს, უგუნური- დედამიწას ამძიმებსო [ნაკ.: 33] -(**კაცი**); აზნაური მჭადს არა ჭამს, მოშივდება - ჭირსაც მომჭამს [ნაკ.: 5]-(**აზნაური**); ნატეხ პურს რომ ვეღარ შეჭამს, მთელს დაუწყებს ცქერასაო [ლაფ.: 59] (**პურს**)(იხ. დანართი№2).

თავისებურია ისეთი შემთხვევები, როდესაც ქვემდებარედ პირველი ან მეორე პირია. ასეთ დროს ქვემდებარედ პირის ნაცვალსახელები გვაქვს. ნაცვალსახელი შეიძლება არც იყოს წარმოდგენილი: ჩვეულებრივ, გამოტოვებულია და წინადადებაც უსრულია [კიზირია,1959:72]. უსრულ წინადადებას შეიძლება აკლდეს არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე წევრი, არამედ მთლიანი წინადადებაც, მთავარი ან დამოკიდებული [კვაჭაძე,1988: 207].

მთლიანი წინადადების დაკლება შესაძლებელია დიალოგებში, კითხვა - მიგების დროს, მაგრამ ანდაზაში ასეთი შემთხვევები არ გვხვდება. რაც შეეხება რამდენიმე წევრის დაკლებას, ასეთი ანდაზების რაოდენობა მრავლად არ მოიპოვება. მაგალითად: „გაქცეულს ერთი გზა აქვს, მდევარს - ასი“ [კანდ.: 15]. ამ მაგალითს თუ აღვადგენთ თანწყობილ წინადადებაში გამოტოვებული სიტყვების მიხედვით, მივიღებთ: „გაქცეულს ერთი გზა აქვს, მდევარს [აქვს გზა] ასი. ანუ გამოტოვებულია პრედიკატული ცენტრი, მაგრამ მისი აღდგენა მიზანშეუწონელია ანდაზის

სტრუქტურული თავისებურებიდან გამომდინარე. აზრი ისედაც გასაგებია, ხოლო აღდგენით დაიკარგება ანდაზისთვის დამახასიათებელი ლაპიდარულობა/სიმოკლე და სისხარტე. მსგავსი მაგალითებია: აქლემს ასი აზრი ჰქონდა, მის პატრონს - ას ერთი [კანდ.: 8]; დათვი მწოლარე მძინარეს ჰგავდა, მოსიარულე - შეუპოვარსა [ლაფ.: 51]- **დათვი** თევზი ღრმა წყალს ეძებს, ადამიანი - კარგსაო [ლაფ.: 61] -**წყალს**; დაკარგული ძროხა ცხრა ლიტრს იწველისო, დაუკარგავი - ერთ ჩარექსაც არაო [კანდ.: 17] - **ძროხა**, გამოტოვებულია პირდაპირი დამატება (**აგურს**). შემასმენლად გარდამავალი ზმნაა: **აგურს** რეცხდნენ და უარესი წვენი გასდიოდაო [სახ.: 11]; შურმა დალია **სოფელი**, ბაძილმა - ააშენაო [სახოკია:220] -**სოფელი**; ვიცის **დედა** სტიროდა, არ ვიცისა - იცინოდაო [კანდ.: 31] - **დედა** ; მე-3 პირში ხშირად შეკვეცილია და დარჩენილია „ა“, რომელიც ანალიზური ფორმის სახელად ნაწილს ან სხვა სიტყვას უერთდება [გოგოლაშვილი, 2011:772]. ლ. ლეჟავასთან ბრუნვის დაბოლოების სავრცობი -ა ელემენტის სახელწოდება „ა“ ემფატიკური სახელწოდებითაა ნახსენები. „ხშირად ემფატიკური „ა“ ფრაზის ბოლოსაა (ზოგჯერ სხვათა სიტყვის -ო-ს წინ შეუპოვარ-ს-ა, კარგს-ა-ო, გასდიოდ-ა-ო, ააშენ-ა-ო, იცინოდ-ა-ო და სხვა“ [ლეჟავა, 1958:227] .

„თანამედროვე რუსულ ენაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მარტივი წინადადების სისტემაში შემავალ ყველა ტიპის წინადადების პროდუქტიულობას. მარტივი წინადადების მოქნილობა რუსულ ენაში, მის უნარს, შეეწყოს კომუნიკაციის მოთხოვნილებებს, ყველაზე ნათლად აისახება უსრული და ელიფსური წინადადებების კონსტრუქციებში“ [Лекант, 2004:154]. ასევეა ანდაზებში: На ласковое слово не кидайся, на грубое не гневайся [Д.,.]-(**слово**); Моль одежду ест, а печаль сердце [Д.,.]-(**ест**); Адам прельщён женою, а жена змеєю [Д.,.]-(**прельщён**); Не теснота губит, а лихота [Д.,.]-(**губит**)

უსრული წინადადებისათვის დამახასიათებელი სიმოკლე, სხარტულობა, ანდაზის ერთ - ერთი განმასხვავებელი ნიშანია. სწორედ ამიტომაც საინტერესო

ანდაზების, როგორც უსრული წინადადებებით გადმოცემული ერთეულის, სტრუქტურაზე დაკვირვება და მათი შესწავლა.

ელიფსური წინადადებებით გადმოცემული ანდაზები.

წინადადების სტრუქტურული სქემები ენაში გადმოცემულია ზმნების მეშვეობით. ზმნა მოიცავს თავის თავში მხოლოდ წინადადების ბირთვის სქემას, ანუ მის მიერ მიწოდებული არგუმენტების და სიტუაციის დასახელებას. წინადადების დანარჩენი წევრები განისაზღვრებიან არა პრედიკატის მეშვეობით, არამედ ტექსტის წყობის საერთო ამოცანებით. რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ელიფსისი ზოგადად განხილული აქვთ ნ.ვალგინას, ვ.ბელოშაპკოვას, მ.როზენტალს, პ.ლეკანტს, რ.პოპოვს, ე. სკობლიკოვას. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ესაა ზოგადი განმარტება და არა მისი განხილვა ანდაზასთან მიმართებაში. ჩვენი მოკრძალებული მცდელობაა, განვიხილოთ ელიფსისის მოვლენა ანდაზებთან მიმართებაში.

ელიფსისი, როგორც ცნობილია, წინადადების წევრების გამოტოვებაა, რომელთა აღდგენაც გაძნელებულია, ან საერთოდ შეუძლებელი. ეს შეკვეცა ყოველდღიურ მეტყველებაში მოსაუბრისათვის კომფორტულია „სწორედ სალაპარაკო ენაში იწყება ელიფსისის ნებისმიერი სახეობა, რადგანაც ამას განაპირობებს წარმოთქმის ზედაპირული, სამეტყველო სტილი“ [Щерба,1974:202].

თ. რენსკაია [Ренская, 1976:33] მიუთითებს, რომ ელიფსისი-შეკუმშვა მოიცავს ყველაზე აქტიურად ანდაზებს, ანდაზურ თქმებს, ფრთიან გამოთქმებს, საყოველთაოდ გამოყენებად ციტატებს. *Среда да пятница хозяину в доме не указчица* [Д., 2:27] [есть]. ელიფსური წინადადებაა ყოფიერების აღმნიშვნელი ზმნა-შემასმენელი მხოლოდობით რიცხვშია ნაგულისხმევი ორ მხოლოდობით რიცხვში მყოფ ქვემდებარესთან *У нашего свата ни друга, ни брата* [Д., 2: 203] [есть].

ზ. ტარლანოვს მოჰყავს კ. ბიულერის ისეთი კონსტრუქციის მაგალითები, სადაც ზმნა-შემასმენელი არ არის და არც მისი ყოფნა წარმოადგენს საჭიროებას *Без рубля - без ума, В мире что в море, Без жены как без шапки* და წერს, რომ კარლ ბიულერი მათ განიხილავს, როგორც გერმანული კონსტრუქციების მსგავს კონსტრუქციებს, რადგანაც მიაჩნია, რომ „ისინი ანდაზური თქმები უფროა, ვიდრე ანდაზები“ [Бюлер,1973:338]. ლოგიკური ანალიზის შედეგად კარლ ბიულერი ასკვნის, რომ გერმანული კონსტრუქციები, როგორცაა: *Новый врач - новое кладбище; Мало денег - мало работы*, მიეკუთვნებიან სახელდებით კორელაციურ კონსტრუქციას და ორწევრიან სახელდებით წინადადებათა რიცხვს“ [Тарланов,1972:35]. ჩვენც მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში გამოტოვებულია არა პრედიკატი, არამედ ორივე შემთხვევაში სემა «значит». ასეთი წინადადებები მიეკუთვნებიან სტრუქტურულად უსრულ წინადადებებს. ელიფსურ წინადადებაში ფრაზა იცილებს ზედმეტ განმეორებად პლეონასტურ/მრავალრიცხოვან სიტყვებს. მთავარი წევრების არქონის მიუხედავად, მათი სინტაქსური საყრდენის ფუნქციები გადადის სიტყვათა რიგში, რიტმში, ინტონაციის სიმეტრიზმში.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ წინადადებების განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც უკავია შუალედური პოზიცია სრულ და უსრულ წინადადებათა შორის, ელიფსური წინადადებებია. მაგალითად, ქართული ანდაზა: ჩემი ურგები ქოთანს - ქვასა, მაწონი - ძაღლსა [სონდ.: 77] რუსული: *С козла ни шерсти, ни молока [Д.,1:188] [не добъёшься- ვერ მიიღებ, ვერ ეღირსები]ან, - С козла[не жди-ნუ ელი] ни шерсти, ни молока[не жди-ნუ ელი] [Д.,2:188]. ჩემი ურგები ქოთანს [დაეცეს, დაემსხვრეს] ქვასა, მაწონი [ჰქონდეს, უჭამია] ძაღლსა. გამოტოვებული ზმნა-შემასმენელი შეიძლება იყოს მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის. ერთი მხრივ, ეს წინადადებები, როგორც ჩვეულებრივი უსრული წინადადებები, ხასიათდებიან გრამატიკული კავშირების წყვეტილობით, მათში არაა ზმნური შემასმენელი, მეორე მხრივ, ისინი გამოირჩევიან ჩვეულებრივი უსრული წინადადებებისაგან იმით, რომ კონტექსტის გარეშეც ინარჩუნებენ კონკრეტული*

სიტუაციიდან აზრის გამოტანის საშუალებას. ზმნის არქონის მიუხედავად, აზრის გამოტანა ხორციელდება წინადადების სხვა არსებული კომპონენტების სემანტიკური მნიშვნელობიდან. მაგ.: Ты ему ложки, а он тебе ложки [Д.: 350] –[положь, - положил]; Из куля в рогожу [Д.: 365]- [пересыпай]; ქალი - ქმრითა, ცხვარი - მთითა, (იგულისხმება-ძლიერია)(ლაფ.: 60); მტერს - ხმალი, ვაჭარს - თეთრი, წისქვილს - წყალი, გუთანს - ხარი [დაახვედრე-მიეცი,არ გამოულოო,] [კანდ.: 54].

ენაში ელიფსური წინადადებების ფუნქციონირება - მაგალითია სამეტყველო ძალების ეკონომიის გამოვლენის. ელიფსისი, როგორც წესი, გონივრული შემოკლებაა, რომელიც ხელს უწყობს ფრაზის სწრაფ აღქმას.

როგორც ცნობილია, ელიფსური წინადადებების პროდუქტიულობისდა მიუხედავად, მაინც ახასიათებთ სტილისტური შეზღუდვები: ისინი არ გამოიყენება სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიან მეტყველებაში. ელიფსური წინადადებები ზეპირმეტყველებისთვისაა დამახასიათებელი და როგორც დაკვირვებამ ცხადყო, თავისი ემოციური ხასიათით, ლაკონურობით, დინამიურობით ექსპრესიულობით, კომპრესიით, მხატვრული ლიტერატურის და პუბლიცისტიკის გარდა ანდაზაც აქტიურად გამოიყენებს წინადადების ამ სახეობას, როგორც ქართულ, ასევე, რუსულ ენებში.

ელიფსისი, ანუ პრედიკატის განზრახ გამოტოვება წინადადების აზრის დაურღვევლად, გამოიყენება უმეტესად აზრის და ეფექტის გასაძლიერებლად: За сохой в сапогах, по селу в лаптях, в церковь босой [Д.,2:365] [ходи]; წისქვილს - წყალიო, გუთანს - ხარიო [სახ.: 237]-[ჰქონდეს] Ни в мать, ни в отца, а в приезжего молодца [Д.,2:206] [похож,похожа похоже(дитя)].

ა. დავითიანი წერს, რომ „რიგ შემთხვევაში საუბრის დროს სტრუქტურული მთლიანობა სამეტყველო სიჭარბეს ქმნის. მეტყველების (განსაკუთრებით დიალოგის) პროცესში ელიფსურ წინადადებათა ჭარბად გამოყენება სწორედ ამ მიზეზით არის გამოწვეული“. „საკმაოდ ხშირია უსრული წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია შემასმენელი, მაგრამ აზრი სრულიად ნათელია. განსაკუთრებით ხშირია ანდაზებში შემასმენლის გამოტოვება“ [დავითიანი,1973:139]. ჩვენი აზრით, სწორედ

ეს განაპირობებს, რომ ანდაზა ელიფსურ წინადადებას იყენებს, რათა უფრო მოკლედ, ლაკონურად, კომპაქტურად გადმოსცეს მასში ჩადებული ხალხური სიბრძნე: „გინდ ქვა ქოთანს, გინდ ქოთანი - ქვასაო (სახ.: 46)- [დაარტყი]; Из ивотого куста – либо дрозд, либо сорока [Д.,2:169]-[вылетит].

ლ. ლეჟავას მიერ ელიფსისი მოხსენიებულია როგორც „უშემასმენლო“ წინადადება, სადაც გამოტოვებულია შემასმენელი, მაგრამ მისი აღდგენა არაა საჭიროებით გამოწვეული, რადგანაც იგი ისედაც გასაგებია [ლეჟავა,1959: 46]. აქვე განმარტავს, რომ ანდაზა მიმართავს წინადადების შემოკლების ნაირ -ნაირ ხერხს და ერთ - ერთ მათგანად გამოყოფს „შემასმენლის, ქვემდებარის, ან დამატების გამოტოვებას (არასრული და უშემასმენლო წინადადება)“ [ლეჟავა,1959:255].

გ. გლაგოლეცკი, რუსული ანდაზების ენის გრამატიკის ერთ-ერთი საინტერესო მხარის - სინტაქსის შესწავლისას, ყოველთვის ხაზს უსვამდა ანდაზის ენის ხალხურობას და სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით (ბილინები, ზღაპრები, სიმღერები), ანდაზის ენის განმასხვავებელ ნიშნად ელიფსისაკენ მისწრაფებას მიიჩნევდა [Глаголевский,1871:1-45]. მაგ: Не копьём побивают, а умом [Д.,2:336][побивают,]; თოფი -მეთოფეს და მეთოფე - სოფელსაო [მიეცი]; Дадут - в мешок, не дадут – в другой [Д.,2:45]-[положишь]. Ты ему слово, [скажешь], а он тебе десять [скажет][Д.,2:56]; Ты кобылю, кобыла хвостом, а хвост жеребёнком (клянутся)[Д., 2: 134].

წინადადებაში, სადაც შემასმენელი არ არის და არც მისი აღდგენა წარმოადგენს საჭიროებას, ზმნები მაინც იღებენ მონაწილეობას წინადადების წყობის ფორმირებაში, იმდენად, რამდენადაც მათში შემასმენლის შემცველი მეორეხარისხოვანი წევრები ფიგურირებენ.

მიუხედავად მრავალი კვლევისა, ამ საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობაა და შესწავლას საჭიროებს. მაგალითად, როგორც ნ. ვალგინა განმარტავს, „ელიფსური წინადადებები ესაა დამოუკიდებელი ორშემადგენლიანი განსაკუთრებული სახის წინადადებები, რომლის სტრუქტურის სპეციფიკაა შემასმენელი, გამოხატული ნულოვანი ყოფიერების ამსახველი ზმნით (нулевым

бытийным глаголом-), У нашего свата ни друга, ни брата [Д.,2:203]; ამასთანავე, არ მოიხსენება კონტექსტში, ან არაა დაკავშირებული სიტუაციასთან, ანუ აზრობრივად არ წარმოადგენს აუცილებლობას მისი არსებობა“ [Валгина, Розенталь, 1971: 388]. ყოფიერების ამსახველი ელიფსური წინადადების სტრუქტურულ კომპონენტებს წარმოადგენენ: ქვემდებარე (არსებითი სახელი, ან სუბსტანტირებული ლექსემა), რომელიც აღნიშნავს მოქმედების სუბიექტს; ნულოვანი (იმპლიციტური/დაფარული) ზმნა-შემასმენელი, რომელიც გამოხატავს ყოფიერების იდეას; ზმნასთან არსებული წევრები (ზმნისგან დამოკიდებული სიტყვაფორმები - გარემოება ან დამატება) ელიფსური წინადადებებით გადმოცემული ანდაზები ყოფიერების მნიშვნელობით ასახავენ სივრცობრიობას როგორც სამყაროს ფრაგმენტს, რომელიც რამდენადმე ნაცნობია მოსაუბრისათვის და ადრესატისათვის: Наше счастье – дождь да ненастье [Д.,](есть). Наше счастье – решето дырявое [Д.,1:42]-(есть); Хлеб да вода - молодецкая еда [Д.,1:66]-(есть); Хлеб да вода – здоровая еда [Д.,1:66]-(есть); Гнев – человеческое, а злопамятство – дьявольское [Д.,1:94]-(есть); ყოფიერების მნიშვნელობის ამსახველი ელიფსური წინადადებები, ასახავენ სამყაროს საგნობრივ ასპექტს : У тётки баловень племянник, у дяди племянница [Д.,1:304] – [есть]. ნულოვანი შემასმენელი (ანუ ფორმალურად არარსებული და არის აღდგენის საჭიროების მქონე), ყოფიერების მნიშვნელობით, მაინც ფუნქციონირებს ელიფსური წინადადების ფორმირებაში, ნ. ვალგინას დავიმოწმებთ და დავეთანხმებით, რომ უსრულ და ელიფსურ წინადადებებს ხშირად აიგივებენ, რაც ჩვენი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ უსრულ წინადადებაში ზმნა-შემასმენელია გამოტოვებული, ელიფსური წინადადების შემთხვევაში ამ გამოტოვებას აზრობრივ დაუსრულებლობამდე არ მივყავართ. მაგალითად მორცხვი ქალი - ერთ ქალად [ღირს, ფასობს]; Добрая пословица не в бровь, а прямо в глаз [Д.,2:378]-[попадёт]; მორცხვი კაცი - ერთ ქალამნადო [სახ.:137][ფასობს]

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ნულოვანი ფორმის აღმნიშვნელმა ზმნებმა შეიძლება მიგვანიშნოს: ადგილის გარემოებაზე (ლოკატიური მნიშვნელობა): Добрая пословица не в бровь, а прямо в глаз [Д., 2: 378]-[попадёт, попадает, бьёт]

ჩვენ მიერ განხილულ წყაროებზე დაყრდნობის შედეგად დროის გარემოების აღმნიშვნელი ელიფსური წინადადებები რუსულში 1% აღმოჩნდა, ხოლო ქართულ ანდაზებში საერთოდ არ შეგვხვდა (დანართები №5, №6).

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ განსაკუთრებულ სემანტიკურ ჯგუფს, ნულოვან-ყოფიერების აღმნიშვნელი ზმნით, წარმოადგენს კონსტრუქციები, არსებობის, რაიმე მდგომარეობაში ყოფნის, ასეთ კონსტრუქციებში ხშირად გვხვდება პირის მნიშვნელობის მქონე სუბიექტი. Пень не околица, глупая речь не пословица [Д.,2:378](бывает).

ჩვენი კვლევით დასტურდება, რომ ელიფსური წინადადებების ის სახეები, რომელიც მის დამახასიათებელ ნიშნადაა მიღებული რუსულ ენაში, ანდაზაში მათი გამოყენება შეზღუდულია, ან საერთოდ არ იძებნება, მაგალითად, ელიფსი თხოვნის გადმოცემის ნიშნით, აქტიური ფიზიკური ზემოქმედების აღნიშვნით, სუბიექტის მოძრაობა სივრცეში და სხვ.


მთავარი წევრების ფორმალური არქონა საერთო ნიშნებია უსრული და ელიფსური წინადადებებისათვის. უსრული წინადადებით გადმოცემული ანდაზებში გამოტოვებული არსებითი სახელი: Чужую бороду драть – свою подставлять-[бороду]; По чужую голову идти – свою нести-[голову]; ელიფსური წინადადებით გადმოცემულ ანდაზაში გამოტოვებული/იმპლიციდური ზმნა-შემასმენელი]-[сказывается] Не всякая поговорка для нашего Егорки [Д.,2:378] ბებერი - მოგონებითა, ჯეელი - მოლოდინითა [ლაფ.: 30]-[ცოცხლობს]; ბრმა ქორწილში გაუშვეს, კოჭლი - სანადიროდაო [სახ.: 36] –[გაუშვეს].

ორივე ენაში არ დასტურდება ინტენსიური ფიზიკური მოქმედების (бить, рубить) აღმნიშვნელი გამოტოვებული ზმნა-შემასმენლების არსებობა, მცირეა ადგილის აღმნიშვნელი გამოტოვებული ზმნა-შემასმენელის პროცენტული რაოდენობა მაგ. Дальше в лес – больше дров [Д.,2:51].


რაოდენობრივ - ანალიზურ მეთოდზე დაყრდნობით და ცხრილების საშუალებით (იხ.დანართები№ 5, № 6) დავადგინეთ ქართულ და რუსულ ელისურ წინადადებებში გამოტოვებული კომპონენტების თანაფარდობა. ვეთანხმებით

აგრეთვე მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ელიფსური წინადადებები გამოიყენება სტილისტურად გადატვირთული გრამატიკული კონსტრუქციების თავიდან ასაცილებლად, რაც ანდაზის ერთ - ერთ მნიშვნელოვან დამახასიათებელ თვისებადაა მიჩნეული.

ელიფსური წინადადებით გადმოცემულ რუსულ ანდაზებში გამოტოვებული პრედიკატების თანაფარდობა



ელიფსური წინადადებით გადმოცემულ ქართულ ანდაზებში გამოტოვებული პრედიკატების თანაფარდობა



§ 5. ინფინიტიური წინადადებებით გადმოცემული ქართული და რუსული ანდაზები

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ რუსული ზმნის ინფინიტივის შესაბამისია ქართულის სახელზმნა (მასდარი). ამავე დროს იგივე ფორმა მოყვანილია და თარგმნილია როგორც არსებითი სახელი: კითხვა (читать; с. чтéние; ლაპარაკი говорить; с. разговор), ხოლო ქართული პრევერბიანი საწყისი ითარგმნება სრული ასპექტით; მაგ., აკენკვა склевать, ამწვანება зазеленéть.

ბ. ბუკატევიჩის [Букатеви́ч,1974:257] აზრით, ძველრუსულში ინფინიტივის გამოყენება უფრო ფართო იყო, ვიდრე თანამედროვე რუსულში. ძველრუსულში დამახასიათებელი იყო სრულფასოვანი ინფინიტივის დამხმარე ზმნასთან «быть» გამოყენება აუცილებლობის ან ვარაუდის გამოსახატავად. მაგალითად, ბილინებში «быть натянуть свой лук» ანდაზაში: «Сколько ни браниться, а **быть перестать**». Сколько цвету не цвести, а **быть опадать** [Д.,2:10];

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ანდაზების საინტერესო სახეობა, ანდაზების კრებულში მხოლოდ რამდენიმე ერთეულით განისაზღვრა **Сделать бы** не устать, да **разорваться стать** [Д., 2:276]; **Лгать не устать**, было **бы** кому **слушать** [Д.,1:157]; Сколько ни бежать, а **миновать отдыхать** [Д.,2:61]; Не **устать доспеть**, было **бы** что **съесть** [Д.,2:61]; С рожки хорош, да не **лизать** его **стать** [Д.,2:167]; Рано попала лиса в яму, а **знать ночевать** [Д.,2:272]; Так не так, не **перетакивать стать** [Д.,2:286]; Живут же люди неправдой, так и нам не **лопнуть стать** [Д.,1:121]; Не мути водою - **случиться черпать** [Д.,2:145]; ასეთ ანდაზებში ინფინიტივი ორმაგია: **разорваться стать; лгать не устать; миновать отдыхать; устать доспеть; лизать его стать; знать ночевать; перетакивать стать; лопнуть стать; случиться черпать**, ამგვარი ნიმუშების შესახებ ლინგვისტურ სამეცნიერო ლიტერატურაში ინფორმაციის მოძიება არ იქნა შესაძლებელი. ჩვენი ვარაუდით, ეს საინტერესო შემთხვევაა და შემდგომი კვლევის საგანია.

ცნობილია, რომ მისი მორფოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, ინფინიტიური წინადადებებისათვის დამახასიათებელია დროის კატეგორიის არქონა მეტყველების მომენტში მიუთითებენ არალოკალიზებულ მოქმედებას, დროის განსაზღვრება განზოგადებულია ისევე, როგორც პირის და უღლების. სწორედ ეს განაპირობებს ანდაზისათვის ინფინიტიური წინადადებების აქტიურად გამოყენების ფაქტორს. ინფინიტიური წინადადებით გადმოცემული ანდაზები შეიძლება აღნიშნავენ იმპლიციტურ/ფარულ აზრს მოდალური სიტყვის დახმარებით **надо**, რომელიც მიუთითებს მოქმედების აუცილებლობას: *Жить - не сено трясти, а надо домок свести. В гости ходить — надо и к себе водить* [Д.,2:239]

რუსულში ინფინიტივი ხშირად იხმარება მოდალურ სემებთან **«можно»**, **«могу»**, **«следует»**, **«надо»**, **«не следует»**, **«нельзя»** (читать, говорить, ехать, და ა.შ.). *Кто хочет много знать, тому надо мало спать. Чтобы рыбку съесть, надо в воду лезть* [Д.,2:15]; *Не всё ворчать, надо и помолчать* [Д.,2:299]; *В гости ходить - надо и к себе водить* [Д.,2:239] *Дом вести - не головой трясти: все надо припасти* [Д.,2:85].

ინფინიტიური წინადადებები რუსულ ანდაზაში აღნიშნავენ არალოკალიზებულ მოქმედებას მეტყველების პროცესში, რაც გამოიკვეთება წარსულ, ახლანდელ და მომავალ დროში, ანუ მათ ახასიათებთ დროის განზოგადების მნიშვნელობა. ინფინიტიური წინადადებები სუბიექტური წინასწარი განზრახვის მნიშვნელობით აღნიშნავენ სურვილს, მიზანშეწონილობას, იძულებას და ა.შ.

როგორც გ.ზოლოტოვა აღნიშნავს, „ინფინიტიური წინადადებები გამოირჩევიან მეტი გამომსახველობით, მათში ჩადებულია მოსაუბრის მეტი თავდაჯერებულობა, რომ მოქმედება აუცილებლად უნდა შესრულდეს“ [Золотова, 1973:155].

ა. რეფორმატსკი კატეგორიულად გამორიცხავს ინფინიტიური წინადადებების, როგორც განსაკუთრებული სახეობის, ცალკე გამოყოფას იგი წერს: «ჩვენ არ მიგვაჩნია გამოვყოთ ცალკე სახეობად ეგრეთ წოდებული „ინფინიტიური“ წინადადება, იმდენად რამდენადაც, მიგვაჩნია, რომ იგი იმპერატიულის (Молчать!) სახესხვაობაა, ან მდგომარეობის გამომხატველი უსრული უპირო ელიფსირებული

სიტყვით გადმოცემული წინადადებაა“ მაგალითად მოყვანილია: « Мне **бы жить** да **жить** (надо), сквозь годы мчась; (нужно) **Догнать** и **перегнать**; Радового Петрова (следует) **полагать** в самовольной отлучке и т.п.» [Реформатский,1955:265].

ლინგვისტურ ლიტერატურაში, ზოგადად, ცნობილია, რომ სიტყვა ანტონ კათალიკოსმა შემოიღო და აღნიშნავს „ქმნის და ვნების“ გამომხატველ სიტყვას („წერა“, „კეთება“...), რომელიც სახელის ნიშნებსაც ატარებს და ზმნისაც(იმას, რაც დღეს **საწყისით, მასდართით** აღინიშნება). შემდგომ გრამატიკოსთა (ს.დოდაშვილი, თ. ჟორდანიას და სხვა) სახელზმნას არსებით სახელებში ათავსებდა, მეორე (დ. ყიფიანი და სხვა) ზმნის სისტემას მიაკუთვნებდა. ა. შანიძემ გააფართოვა ტერმინის ხმარების არეალი და იგი მიმღობაზეც გაავრცელა, ნაზმნარი არსებითი სახელი კი აღნიშნა ტერმინით **საწყისი**; დღეისათვის სახელზმნა მოიცავს საწყისსაც და მიმღობასაც.

მარტივი წინადადების ეს სახეობა მოხსენებული აქვს ზ. ტარლანოვს თავის ნაშრომში როგორც შესაძლებლობის **არმქონე** ინფინიტიური მოქმედების მნიშვნელობის შემცველი წინადადებები და აღნიშნავს, რომ ისინი ანადაზისათვისაა დამახასიათებელი. მაგალითისათვის მოვიყვანთ ანდაზებს: **Летать** летаю, а **сесть** не дают [Д.,1:47]; Шибко **ехать** - не скоро **доехать** [Д.,1:217]; Ум городьбой **не обгородишь** [Д.,1:336]; Стыдливому удачи **не видать** [Д.,1: 307]; Всяк хочет **взять**, а никто **не хочет дать** [Д.,1:146];Шибко **ехать** - не скоро **доехать** [Д.,1:217]; Ум городьбой **не обгородишь** [Д.,1:336]; Сколько верёвку **ни вить**, а концу **быть**[Д.,2:13]; На палатах **лежать** – ломтя **не видать** [Д.,2:16];Чужим хлебом веку **не прожить** [Д.,2:100]; Вола в гости зовут **не мёд пить**, воду **возить** [Даль,2:236];Чему **быть**,того **не миновать** [Фел., :115]; Правду **говорить** – никому **не угодить** [Фел.,: 102].

ზმნები ინფინიტივში უარყოფით ნაწილაკთან „не“: Вола в гости зовут **не мёд пить**, воду **возить** [Фел.,:236]; На палатах **лежать** – ломтя **не видать** [Фел.,:16];Чужим хлебом веку **не прожить** [Фел.,:100] Шибко **ехать** - не скоро **доехать** [Фел.,:217]; Корову по удоям считать – молока **не видать** [Д.,2:37]; სუბიექტი ქვემდებარის როლშია, მოქმედება ფიქსირდება სრულმნიშვნელოვანი ზმნის ინფინიტივით, ხოლო მათ შორის კავშირი დამყარებულია დამხმარე ზმნით. მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ

ინფინიტიური წინადადებები შესაძლებლობის მნიშვნელობით (კარგი იქნებოდა თუ მოხდებოდა; შესაძლებელია მოხდა, ან მოხდება;) ფართოდ გამოიყენება: **Украсть** – в беду **попасть** [Д.,2:125]; Лихое лихом **сбыть** [Д.,124]; Пора гостям и честь **знать** [Д.,2:238]; В долг **давать** – дружбу **терять** [Д.,2:40]; Хорошо ленивого по смерти **посылать** [Д.,2:14]; Правду **говорить** – себе **досадить** [Д.,2:152]; Правду **говорить** – **терять** дружбу [Д.,2:152]; Вольно собаке и на владыку **лаять** [Д.,2:206]; За малое судиться – большое **потерять** [Д.,2:208]; С умом и **найти** и **потерять** [Д.,2:339]; С умом **торговать**, без ума **горевать** [Д.,2:339]; Дурака **учить**, что на воде **писать** [Д.,2:342]; С дураком **говорить** – решетом воду **носить** [Д.,2:342]; Ехал **наживать**, а пришлось **проживать** [Д.,2:46]; Хорошо **полететь** да было бы где **сесть** [Д.,2:71]; Хорошо чужими руками жар **грести (загрывать)** [Даль,2:141]; Досталось свинье на небо **взглянуть** [Д.,2:198].

ქართული ანდაზის მაგალითები:

ჩათრევას **ჩაყოლა** სჯობიანო [კანდ.: 83]; ქორს **აფრენა** უნდოდა და ხელის აქნევას ელოდაო [კანდ.: 77]; ქოფაკმა ძაღლმა კაი **ძებნა** იცის, მაგრამ ცხვირში ეკალი ესობაო [კანდ.: 77]; **რგვა** და **მოყვანა** ხილნარს ააშენებს, შვილების **დაზრდა** კაცსა აშშვენებს [კანდელაკი;63]; დიდ კაცს მუდამ **კრძალვა** უნდა [კანდ.: 21]; ადრე **ადგომა** მეტი სიცოცხლეა [კანდ.: 3].

ქართულში მასდარს რამდენიმე ზმნური ნიშან-თვისება (ასპექტი, გეზი ორიენტაცია, იშვიათად გვარი) და სახელის ნიშან-თვისებები გააჩნია დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ რაოდენობრივად რუსული ინფინიტივით გადმოცემული ანდაზები ჭარბობს ქართულ მასდარით გადმოცემულ ანდაზებს.

ინფინიტიურ წინადადებებში მთავარი წევრი შეიძლება იყოს:

ა) სრულმნიშვნელოვანი ზმნის ინფინიტივი Бездонную кадку водой не **наполнить** [Д.,2: 564];

ბ) ზმნა-მაერთის (глагола-связки) (быть) ინფინიტივით : Не всем казакам в атаманах **быть** [Д.,2: 170].

ინფინიტივი წინადადებაში ხშირად პრედიკატის აღმნიშვნელია, რომელიც მოდალური, კაუზატივური, ზმნებისაგან არის დამოკიდებული. ინფინიტივი

რუსულში გვხვდება აგრეთვე ქვემდებარის და შემასმენლის პოზიციაში Курить — здоровью вредить; Пословицы ни обойти, ни объехать [Д.,2:377] Учить-ум точить.

ალტაის, ქართველურ და სემიტურ, ენებში ინფინიტივს შეესაბამება ზმნა-სახელი, ანუ სახელი (სქესი, ბრუნვა კუთვნილების კატეგორია, შესაძლებლობა იქონიოს შეთანხმებული განსაზღვრება), რომელსაც ზოგიერთი ზმნური კატეგორიები გააჩნია (დრო, გვარი), გრამატიკული ტრადიციების მიხედვით ზოგიერთი ენების შესწავლისას ინფინიტივს და ნაზმნარ სახელს არ განასხვავებენ და „ინფინიტივის“ სახელწოდებით გამოიყენებიან [<http://tapemark.narod.ru/les/198b.html> Лингвистический энциклопедический словарь].

დაკვირვებამ ცხადყო, რომ რუსული ანდაზა, ქართულისაგან განსხვავებით, განზოგადებულობის სემანტიკური მნიშვნელობის გამოსახატავად ინფინიტიურ წინადადებებს ხშირად მიმართავს. ინფინიტიურ წინადადების შემცველ ანდაზებს არ გააჩნია დროის ფორმების მანიშნებელი, მათ არ შეუძლიათ მეტყველების დროის მითითება. ასეთი სახის წინადადებები მეტყველების პროცესის არალოკალიზებულ მოქმედებას გამოხატავენ. მთავარი წევრი ამ ტიპის ანდაზებში შეიძლება იყოს სრულმნიშვნელოვანი ზმნის ინფინიტივი. ზმნა-კავშირის (**быть**) განუსაზღვრელ ფორმას არ გააჩნია დროის ფორმები, რაც განზოგადებულობის გამოხატვის ერთ-ერთი ხერხია. რუსულში საწყისი გამოხატავს მოქმედების აუცილებლობას, შესაძლებლობას, სასურველობის გამოხატვა ნაწილაკი **бы**-თ შეუძლებლობას, (не ან не) და აუცილებლობის, გარდაუვალობის და არალოკალიზებულ მოქმედებას მეტყველების პროცესში. ამავე დროს, მითითებული არ არის მოქმედი პირი: **Терпеть не беда, было бы чего ждать** [Д.,1:188]; **И рад бы взять, да силы не занять** [Даль.,2:267]; **Хоть топором отрубить, только бы конец** [Д.,1:89]; **Лишь бы мерку снять, да задаток взять** [Д.,1:121]; და ა.შ

§ 6. შერწყმული წინადადებით გადმოცემული ანდაზები

დავეყრდნობით რა ტრადიციულ მოძღვრებას, განვიხილავთ შერწყმული წინადადებით გადმოცემული ქართული და რუსული ანდაზის სტრუქტურულ სახეს მორფოლოგიური და სინტაქსური დონეების მიხედვით. „გრამატიკული კატეგორიები - ესაა შინაარსის შემადგენელი ელემენტები. საერთო მათ შორის - შინაარსის სუბსტანციაა, რომლის ფორმირებისათვის ყველა ენა თავის სახსრებს იყენებს“ [Сова,2007:17].

როგორც ცნობილია, პირველად ტერმინი „შერწყმული წინადადება“ ქართულში ა.შანიძემ იხმარა თავის სასკოლო გრამატიკის პირველ გამოცემაში [შანიძე ა.1939:9-10]. როგორც ლ.კვაჭაძე აღნიშნავს, ქართულში დამკვიდრებული ეს ტერმინი, ზოგიერთი ავტორის მიერ რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაშიც უპირატესობით სარგებლობს [კვაჭაძე,1988:231]. რუსულ ენაში „ერთგვარწევრებიანი წინადადების“ სახელწოდებითაა მოხსენებული, რაც, კვაჭაძის თქმით „შერწყმული წინადადების“ სინონიმად ითვლება. „შერწყმული წინადადების შემასმენლები ერთ ქვემდებარესთან არიან დაკავშირებულნი“ [კვაჭაძე;332]. მაგ. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარშემასმენელთა თანწყობაა: ბერიკაცი **ბერდებოდა**, ცხენს უკულმა **შეჯდებოდა** [სახ.: 3] (ბერდებოდა, შეჯდებოდა -ის) არამკითხე მიაშბეო, **მიტყიპე და მიაგდეო** [სახ.: 19]. (მიტყიპე, მიაგდე ის). ყვავი ჩხიკვის მამიდაო, **გაფრინდა და წავიდაო** [სახ.: 209] (გაფრინდა, წავიდა ის). როგორც ნათლად ჩანს, ერთგვარი ზმნები მხოლოდ ერთპირიანია. ორპირიანის და სამპირიანის შემთხვევაში უკვე შერწყმული წინადადება არ გვექნებოდა. რუსული ანდაზის შემთხვევაში: **Нужда и горбится и прямится** [Д.,1:67]; **Беды да печали на почтовых примчали** [Д.,1:105].

ცნობილია, რომ ერთგვარ წევრებად არ შეიძლება ჩაითვალოს სიტყვები, რომლებიც მეორდება აზრის გამლიერების მიზნით, ამიტომაც ზმნები ანდაზაში „ავი ძალი იყეფებს, იყეფებს დაიღლება და დადგებაო“, „იყეფებს, იყეფებს“ როგორც ქართული, ასევე რუსული ენის აკადემიური გრამატიკის მიხედვით ერთგვარ

წევრებად არ ითვლება. მსგავს ანდაზებში **Копил, копил да чѣрта не купил** [Д.,2:61]; «**Дела, дела, как сажа бела**» [Д.,2:99]; **Что ни взять, то взять, что ни дать, то дать** [Д.,2:140]; **копил, копил; дела, дела; взять, взять**, - არაა ერთგვარი წევრები. ანს **გახედე, ბანს დახედე** სიგრძესა და **განს გახედე** [სახ.:19]; **არ გაიკითხვენ** გლახაკსა, **თუ გაიკითხვენ**, - ვაითა და ვაგლახითაო [სახ.: 20]; ერთმა კაცმა მეორესა სდია, სდია, **სდია, ვერ დაეწია, დაჯდა და დაუცადაო** [სახ.:22]. ზმნები: **გახედე-გახედე; გაიკითხვენ-გაიკითხვენ; სდია -სდია-სდია; აგრეთვე არ წარმოადგენენ ერთგვარ წევრებს.**

ა) არ ითვლება ერთგვარ წევრებად ფრაზეოლოგიური სიტყვათშეხამებების ნაწილები: **ни свет ни заря; ни взад ни вперед; ни рыба ни мясо; ни то ни сѣ и т.д., რომლებიც გადმოსცემენ განუსაზღვრელობის საერთო მნიშვნელობას, აგრეთვე: о том о сѣм (поговорить);**

ბ) ზმნების შეხამებები, რომლებიც ასრულებენ ერთ საერთო შემასმენლის როლს: **Взял да и сделал,; Пойду посмотрю, Возьму и скажу; Сядь посиди, Кричи не кричи, Зови не зови - მაგალითად: Попал в стаю, лай не лай, а хвостом виляй** [Д.,2:112].

ერთმა კაცმა მეორესა სდია, სდია, სდია, **ვერ დაეწია, დაჯდა და დაუცადაო** [სახ.:22]. ამ ანდაზას მოცემული დებულების თანახმად თუ განვიხილავთ სდია, სდია, სდია, ერთგვარ წევრებს არ მიეკუთვნებიან, ხოლო „**დაჯდა(ის) სტატიკური ზმნა, დაუცადაო (მან მას)**“ -ნამყო ძირითადი, - ერთგვარი წევრებია.

რუსულ მაგალითებში:

Шила и мыла, гладила и катала, пряла и ложила, а всё языком [Д.,2:19]

[V/P] cop [V/P],[V/P] cop [V/P],[V/P] cop [V/P], PTC Adv N(ins)

Господь **богатит и высит, убожит и смиряет** [Д.,I: 24].

N(nom) [V/P] cop [V/P],[V/] cop [V/P]

ერთგვარ წევრებს წინ უსწრებს ქვემდებარე - სუბიექტი, ნომინატივში მხ.რიცხვ. ჩამოთვლის ინტონაცია, მოიცავს მთელ სიტყვათა ჯგუფს **богатит и высит**, შემდეგ მოდის პაუზა, რაც მძიმითაა გამოხატული ნაწერში და ისევ სიტყვათა ჯგუფი **убожит и смиряет** განავრცობს წინადადებას. იგივე შეიძლება ითქვას ზმნა-

შემასმენლების ჩამოთვლის დროს. მათ ყოველთვის აქვთ თავიანთი სინტაქსური ადგილი და, როგორც ცნობილია, მათი შინაარსის გადმოცემა არაა შესაძლებელი რომელიმე განზოგადებული შინაარსის ეკვივალენტით, რადგანაც ყოველთვის ჩამოთვლილია მოქმედების ერთდროულობა, თანამიმდევრობა.

განვიხილოთ ერთგვარწევრიანი წინადადებებით გადმოცემული ანდაზების სახეები. ერთგვარი წევრების სქემატური ასახვის ეს სისტემა მიღებულია რუსულ აკადემიურ გრამატიკაში. „ლინგვისტური კვლევისათვის ყველაზე გავრცელებული ფორმაა POS-(Part of Speech Annotation), ანუ სამეცნიერო ნაშრომებში გამოყენებული ტექსტის **ლინგვისტური ანოტაცია**. ანოტაცია ენობრივი მონაცემების ანალიზის ასახვის მეთოდია, მისი სინონიმია **გლოსირება**. **დესკრიფციული ანოტაცია** ძირითადად ფორმალური ნიშნების მიხედვით ახდენს ენობრივი მონაცემების (სიტყვა-ფორმის) დახასიათებას, ყურადღება ექცევა არაფორმალურ მახასიათებლებსაც“ [თანდაშვილი მ. [www armazi.uni-frankfurt.de](http://www.armazi.uni-frankfurt.de)]. როგორც ავტორი მიუთითებს: **გლოსირების** ასახვა მორფოლოგიურ დონეზე ასე მოხდება, რომლის დროსაც ყველა სიტყვაფორმას მიემართება მეტყველების ნაწილების აღმნიშვნელი თეგი. ერთგვარწევრიანი ანდაზის მეორე სახე, რომელიც მიღებულია რუსულ გრამატიკაში უფრო ნათლად წარმოაჩენს წინადადების სტრუქტურულ სახეს, სადაც ოვალით აღნიშნულია ერთგვარი წევრები, ხოლო კვადრატებით ყველა დანარჩენი წევრი.

ა) ერთგვარი ქვემდებარეები ერთ შემასმენელთან, მაგ. : **ცეცხლი** და **გული** სტუმარსა, წავა შინ მოაგონდება - მარტივი წინადადების სტრუქტურის გავრცობის საშუალებაა, რადგანაც ქვემდებარეებს ერთი სინტაქსური ადგილი უკავიათ. მორფოლოგიური დონის მიხედვით ანდაზების განხილვა ამგვარად შეიძლება.

მაგალითად:

1. თივა და ცეცხლი ერთად არ დაიდებაო [ნაკ.: 10]

[N(nom)] cop [N(nom)] adj negV/P $\left(\bigcirc \text{ და } \bigcirc \square \right)$

2. სესხი და ვალი არ დაბერდებაო [სახ.,173];

$\left(\bigcirc \text{და} \bigcirc \square \right)$

[N(nom)] cop [N(nom)],N(dat) V/P

3. ვაჭრობა და მოყვრობა, ნებისა არისო.[სახ.: 175]

[N(nom)] cop [N(nom)],N(dat) V/P () და () □

4. ჩხიკვი და ყვავი წაიკიდნენ და მიმინომ ტოტი მოიმარჯვაო [სახ.:70]

[N(nom)] cop [N(nom)] V/P cop N(erg) N(nom) V/P () და () □ და □

პირველ წინადადებაში ერთგვარი წევრებია „ჩხიკვი და ყვავი“.

5. კაცს ხურო და სიკვდილი ერთად მიადგაო [სახ.,111] () □ და () □

N(dat) [N(nom) cop N(nom)] adj V/P

6. სოფლის ჭირს ასი ხარი და ურემი ვერ აზიდავსო[სახ.,178]

N(dat) N(dat) quant N(nom) cop N(nom) neg V/P; () □ და () □

7. ტურა და მელა ორნივე ერთ გზაზე არიან მავალნი [სახ.,182];

N(nom) cop N(nom) quant(nom) quant(nom) N V/P () და () □

რიცხვით სახელს „ორი“ დაერთვის ნაწილაკი -ვე, რომელიც „ჩვეულებრივ შეზრდილია (შეხორცებულია) სახელობითის ფორმასთან და ფუძეში შედის. მხოლობითში უპირატესობა ნაწილაკშეზრდილ ფორმებს ეძლევა -თანთან მრავლობითში -ვე შეუზრდელია“ ორნივე - ნაწილაკშეუზრდელია [კვაჭაძე:200].

ერთი რიცხვითი სახელია, მაგრამ გვხვდება ზოგჯერ როგორც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ერთი კაცი. აქ „ერთ გზაზე“ „რიცხვითი სახელი, ჩვეულებრისამებრ, არსებით სახელს ახლავს, როგორც მისი მსაზღვრელი წევრი. ასეთ დროს რიცხვითი სახელის ფორმაცვალემა საზღვრულის (არსებითი სახელის) ბრუნებაზე (აგრეთვე რიცხვის წარმოებაზე არის დამოკიდებული და მისდევს იმ წესებს, რასაც შესაბამისი ფუძის ზედსართავი სახელის ფორმაწარმოება“ [გოგოლაშვილი, 2011: 164].

სტრუქტურული სქემების პირობითი ნიშნები : Vf - verbum finitum (ზმნის უღლებადი ფორმა); Vf 3s (უღლებადი ზმნა, III პირი, მხოლ.რიცხვი);Vf 2pl (უღლებადი ზმნა, II პირი მრავლ.რიცხვი) Adj -

adjectivum (ზედსართავი სახელი); **Part - participium** (მიმღეობა); **Interj** - interjectio (შორისდებული); **s - singularis** (მბოლ.რიცხვის ფორმა); **Inf** - ინფინიტივი; **Praed** - praedicatum (პრედიკატი); **pl - pluralis** (მრავლობითი რიცხვის ფორმა); **N - nomen** (არსებითი სახ.); **Pron - pronomen** (ნაცვალსახელი); **Pers** (პირის ნაცვალსახელი); **Dem-Demonstrative** (ჩვენებითი ნაცვალსახელი); **Poss-Possitive** (კუთვნილებითი ნაცვალსახელი); **interr-interrogative** (კითხვითი ნაცვალსახელი); **Poss inter** (კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი); **Rel-relative** (მიმართებითი ნაცვალსახელი); **Det-Determinative** (განსაზღვრებითი ნაცვალსახელი); **indef- indefinite** (განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი); **Recip-Reciprokal** (ურთიერთობითი ნაცვალსახელი); **Refl-Reflexive** (უკუქცევითი ნაცვალსახელი); **quant - quantitas** (რიცხვითი მნიშვნელობა); **Adv - adverbium** (ზმნიზედა); **Neg - negatio** (უარყოფა); **Cop - copula** (კავშირი); **V/P**-(ზმნური კომპონენტები.); **prt**-ნაწილაკი; **{Adj(Praed)}** -პრედიკატული ზედსართავი, **NP**-(სახელური კომპონენტები).

(**S**-თან მინიშნებული **nom -(nominativ)** სახელობითი ; **erg- (ergative)** მოთხრობითი ; **dat-(dative)** მიცემითი ; **gen-(genitiv)** ნათესაობითი; **ins**-მოქმედებითი, **adv** -ვითარებითი,**vos**-წოდებითი.)
 მორფოლოგიური დონის მიხედვით განხილვისას ერთგვარი წევრები მოქცეულია [] ფრჩხილებში; [] ფრჩხილები გამოყენებულია აგრეთვე სქემატური გარჩევისას, სადაც მთლიანი წინადადება მოქცეული.(www tutoronlain.ru)

ბ) ერთგვარდამატებიანი:

1. გალესილ ხმალს, შუბს და ხანჯალს სჯობს თვალისა სიმახვილე (სახ.: 39)

Adj [N(dat), N(dat), cop N(nom) V/P N(gen) N(nom); (() () და () □)

2. ჯიშა და ჯილაგს კაცი ჯინჯილით უწირავსო[სახ.: 249] ;

[N(dat)] cop [N(dat)] N(nom) adj V/P; (() და () □)

3. ოფლით და ცრემლით ზღვაც დაშრებისო [სახ.: 153];

Nn(adv) cop N(adv) N(nom)V/P; (() და () □)

4. ერთბაშად ფრინველს უწოდენ, შავარდენსა და ძერასა[სახ.: 62];

Adj N(dat) V/P, N(dat) cop N(dat); (□ , () და ())

5. ერბო რომ გადმოვა, ციცხვსა და ჩამჩას ფასი დაეკარგებაო [სახ.: 61];

N(nom) cop V/P, N(dat) cop N(dat) N(nom) V/P; (□ () და () □)

6. პატრონის ორგული ღმერთსაც სძულს და კაცსაცა [სახ.: 155];

N(gen) adj N(dat) V/P cop N(dat); $\left(\square \bigcirc \text{ და } \bigcirc \square \right)$

7. ზოგან მუშტით, ზოგან კრივით, საქმე მიდის თოხარიკით[სახ.: 83];

copN(adv),copN(adv), N(nom) V/P adj (უბრალო დამატებებია მუშტით, კრივით)

8. რწყილს ერთი წვიპურტი ჰკრეს და ჭირადაც ეყო და ლხინადაცო [სახ.: 165]

N(dat) quant N(nom) V/P cop N(ins) V/P cop N(ins); $\left(\square \text{ და } \bigcirc \text{ და } \bigcirc \right)$

(უბრალო დამატებებია ჭირადაც, ლხინადაც)

9. მკვდარი ვის გაუცოცხლების ტირილითა და ვიშითა [სახ.: 135]

N(nom) Pron(Poss inter) V/P N(adv) cop N(adv); $\left(\square \bigcirc \text{ და } \bigcirc \right)$

(უბრალო დამატებებია ჭირადაც, ლხინადაც)

10. ვაჟკაცი ქუდს სიცივისათვის კი არ ატარებს, არამედ სირცხვილისთვისაო. [სახ.,:68]

N(nom) N(dat) adj prt neg V/P, cop adj;

(უბრალო დამატებებია სიცივისათვის, სირცხვილისათვის)

გ) ერთგვარგანსაზღვრებიანი:

1. ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო, ყველა ზედ შეადგებაო [სახ.: 245]

N(nom) cop V/P,N(nom) cop N(nom),cop Pron (Det) V/P; $\left(\square \bigcirc \text{ და } \bigcirc \square \right)$

2. მშიერი ჰურსა აქებდა უმსა და უმარილოსაო [სახ.: 142]

Adj N(dat) V/P adj cop adj; $\left(\square \bigcirc \text{ და } \bigcirc \right)$

3. ბატონს ყმა უყვარს უჭმელ-უსმელი, ტანთაუცმელიო [სახ.: 30]

N(dat) N(nom) V/P adj-adg, adj; $\left(\square \bigcirc - \bigcirc , \bigcirc \right)$

4. გალია ყველა ერთია, ოქროსი იყოს გინდ ხისა [სახ.: 35]

$\left(\square , \bigcirc \square \text{ გინდ } \bigcirc \right)$

N(nom) Pron(Det) adj, adj V/P cop N(gen);

რუსული ანდაზების მაგალითები:

ა)ერთგვარ ქვემდებარესთან მიმართებაში რუსული ანდაზის წინადადებაც ქართული ანდაზის იდენტურია. მაგალითად:

1.Сила и слава богатству послушны [Даль,1 :59];

[N(nom)] cop [N(nom)] N(dat) adj(Pred) () и () □

2. Терпение и труд всё перетрут [Д.,1: 87];

[N(nom)] cop [N(nom)] Pron(det) V/P () и () □

3. Поп да петух не евши поют [Д.,2:17];

[N(nom)] cop [N(nom)] neg V/P () и () □

ბ)ერთგვარდამატებიანი

1.Ружья, жёны и собаки на подержание не дают [Д.,2:40];

[N(nom),N(nom)] cop [N(nom) POST V/P neg V/p; () () и () □

2. От суммы и от тюрьмы никто не зрекайся [Д.,1:47]

POST [N(gen)] cop POST [N(gen)] Pron(neg) neg V/P; () и () □

3. Нанималась лиса на птичий двор беречь от коршуна, от ястреба[Д.,2:75];

V/P N(nom) POST adj N(nom) V/P POST [N(gen)],POST [N(gen)];

(□ (), ())

4. Моё счастье разбежалось по сучкам да по веточкам [Д.,2:77];

Pron N(nom) V/P POST [N(dat)] cop POST [N(dat)];

5. Бедный знает и друга и недруга-[Д.,2:229]; $\left(\left[\square \right] \left[\square \right] \left[\square \right] \right) \text{ да } \left[\square \right]$

Adj V/P cop [N(gen)] cop [N(gen)];

6. Ни хитру, ни горазду, ни убогу, ни богату суда божьего не миновать[Д.,2:25];

neg [N(dat)], neg [N(dat)], neg [N(dat)], neg [N(dat)] N(gen) N(gen) neg V/P (Хитру=хитрому, горазду=гораздому, убогу=убогому, богату=богатому)

$\left(\left[\square \right], \left[\square \right], \left[\square \right], \left[\square \right] \right)$

ერთგვარგანსაზღვრებიანი ანდაზის მაგალითები რუსულში არ დადასტურდა.

დ) ერთგვარშემასმენლიანი ანდაზები

სულ სხვა სიტუაციაა ერთგვარშემასმენლიან წინადადებასთან მიმართებაში. ერთგვაროვანი ზმნა-შემასმენლები ენათმეცნერთა შორის ყოველთვის იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. ეს რთული სინტაქსური მოვლენა აჩენდა კითხვას ერთგვარშემასმენლიანი წინადადებები რომელ კატეგორიას მიეკუთვნებიან, მარტივს, თუ რთულს? რუსულ გრამატიკაში წინადადებები ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენლით, განიხილება როგორც მარტივი. ეს თვალსაზრისი გამყარებულია იმ მოტივით, რომ ფორმალურად ზმნა ერთ დროსა და კილოში მეორდება. შესაბამისად სემანტიკური თვალსაზრისით ასეთი წინადადებები შეიძლება ინტერპრეტირებული იქნას როგორც ინფორმაციის შეტყობინება ერთდროულად ან ერთმანეთის მიმდევრობით ერთი სუბიექტის მიმართ [АГ-80]. მაგალითად, განვიხილოთ ანდაზა: И с топора не богатеют, а горбатеют [Даль,2:20] ერთგვაროვანი ზმნა-შემასმენლები ძალიან მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, საერთო პირდაპირი დამატებით, (с топора) მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ქვემდებარე (они) იგულისხმება. პრედიკატი პოსტპოზიციანია გამოტოვებულ ქვემდებარესთან. მარტივი წინადადებით გადმოცემული ანდაზის მაგალითს

მიეკუთვნება: „ ვირის წიხლი კი არ მეწყინება, მეტკინებაო“. პრედიკატული ბირთვი სახეზეა. ერთგვარი ზმნა-შემასმენლები „მეწყინება, მეტკინება“ (სრული ასპექტი, მყოფადი, დრო მომავალი, კილო თხრობითი) მჭიდროდ დაკავშირებულნი ქვემდებარესთან „წიხლი“ (არს.სახელი. მხოლობითი რიცხვი, კონკრეტული, რა ჯგუფი, უსულო, სახ. ბრუნვა). წინადადებაში სიტყვაფორმები დაკავშირებულნი არიან მაკავშირებელი, მაპირისპირებელი, მაცალკეებელი კავშირებით, ან უკავშიროდ. ასეთი სიტყვაფორმები, წარმოადგენენ წინადადების ერთგვარ წევრებს. მაგალითად: Похвалы не кормят, не греют [Д.,2:197]; Дан собаке мосол: хоть ешь, хоть брось, хоть вперёд положь [Д., 2:278]; როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ერთგვარშემასმენლიანია შერწყმული წინადადება, როდესაც რამდენიმე შემასმენელი დაკავშირებულია ერთ ქვემდებარესთან, „ეს დებულება გასააზრებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინადადებაში მონაწილეობს რამდენიმე ერთპირიანი ზმნა-შემასმენელი“ [ჭიკაძე,1995:164]. მაგრამ, როგორც ავტორი აღნიშნავს, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ერთგვარი შემასმენლები ჩვეულებრივ ერთი და იმავე მწკრივით გადმოიცემა. ჩვენ მაგალითებში ასე განვიხილავთ: ავი ძალლი იყეფებს, იყეფებს, დაილლება და დადგებაო [სახ.: 14]. ავი კაცი აქე და ერიდეო. აქე - ერიდე II პირი, დრო მომავალი, კილო თხრობითი, დაკავშირებულია სუბიექტთან „კაცი“, გადმოცემული არსებითი სახელით, მხოლობით რიცხვ. სახელობ. ბრ. კონკრეტული, სულიერი, ვინ ჯგუფი. ერთგვარი წევრების დაკავშირება ხდება „და“ კავშირით; იყეფებს, დაილლება, დადგება - ერთპირიანი ზმნებია.

ცნობილია, რომ წინადადება ლექსემებისაგან შედგება, მაგრამ სიტყვათა სიმრავლე სულაც არ ქმნის წინადადებას, ყველაფერი დამოკიდებულია სიტყვათაშორის კავშირზე. წინადადება გარკვეული სახის ლექსემათა ჯაჭვია მათ ფორმათა და მნიშვნელობათა ერთობლიობაში, მაგალითად ერთგვარი შემასმენლები იყეფებს, დაილლება, დადგება დაკავშირებულნი არიან ქვემდებარესთან „ძალლი“, რას იზამს? - დრო მომავალი, კილო თხრობითი, მწკრივი მყოფადი. ამგვარი სქემით სტუქტურულად გამოისახება: ავი ძალლი იყეფებს, იყეფებს, დაილლება და დადგებაო

Adj-N(nom) V/P, V/P, V/P cop V/P. ზმნა-შემასმენლების ჩამოთვლის დროს, ყოველთვის ჩამოთვლილია მოქმედების ერთდროულობა, თანამიმდევრობა.

ცნობილია, რომ მარტივ წინადადებაში დაუშვებელია ორი ან რამდენიმე სტრუქტურული ბირთვი, წინააღმდეგობაშია მის გრამატიკულ ბუნებასთან. ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში შემასმენლები ქვემდებარეს ერთსა და იმავე ბრუნვაში მოითხოვენ. ასეა ამ შემთხვევაშიც, პირველ მაგალითში **Сердись, бранись, дерись, а за хлебом-солью сходишь** [Даль,2:234]; გაუჩინარებული ქვემდებარის პირველი პირის მხოლოებითი რიცხვით გადმოიცემა განზოგადებული მნიშვნელობა და სამივე ვოკატიური პრედიკატი მისკენ მიემართება. მეორე მაგალითში Пословицы **ни обойти, ни объехать** [Даль,2:377]; პრედიკატები ინფინიტივით გადმოსცემენ განზოგადებულობას და ასევე მიემართებიან მრავლობითი რიცხვში მდგომი ქვემდებარისაკენ. მესამე მაგალითში Пословица **плодуца и живуца** [Даль, 2:378] ერთგვარი წევრები შეთანხმებული ქვემდებარესთან მხოლოებითი რიცხვის მდებრობითი სქესის პრედიკატული ფორმითაა გადმოცემული. ლარი რამდენი მალე **გაიჭიმება**, იმდენიც მალე **გაწყდება** [სახოკია:11]. „გაიჭიმება-გაწყდება“ დრო მომავალი, კილო თხრობითი, მწკრივი მყოფადი, საერთო ქვემდებარე „ლარი“ - არსებითი სახელი, კონკრეტული, მხოლოებითი რიცხვი, სახელობითი ბრუნვა, უსულო, საზოგადო, რა ჯგუფის სახელი. **გაიჭიმება, გაწყდება** მოქმედების ერთდროულობას აღნიშნავს მყოფადის ნაკვთი, კილო თხრობითი, მხოლოებითი რიცხვი, გარდაუვალი ერთპირიანი, ეთანხმებიან ქვემდებარეს რიცხვში. **ლოქო დასაჯეს** და **მორევში გადააგდეს** [სახოკია:118] „დასაჯეს- გადააგდეს“-დრო აწმყო, კილო თხრობითი, აწმყოს მწკრივი, საერთო ქვემდებარე- „ლოქო“- არს.სახ.კონკრეტული, მხოლოებითი რიცხვი, სახელობითი ბრუნვა, სულიერი, რა ჯგუფის სახელი.

ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ ერთგვარი წევრები შერწყმული წინადადების უმთავრესი მახასიათებელია და შერწყმულად თვლიან წინადადებას, თუ მასში რამდენიმე ერთგვარი წევრი მიმართულია ერთსა და იმავე საერთო წევრს და ასრულებს ერთსა და იმავე ფუნქციას, იქნება ეს ქვემდებარე თუ შემასმენელი.

რუსულისგან განსახვავებით, „ზმნის პოლიპერსონალურობის გათვალისწინებით, ერთგვარ შემასმენელთა მიმართება უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ ქვემდებარესთან, არამედ საერთო პირმართ დამატებასთანაც“ - მიუთითებს რ.ჭიკაძე [ჭიკაძე,1995:144]; რა თქმა უნდა, ეს განმარტება შეეხება ქართულ ანდაზებსაც.

ტარლანოვის აზრით, სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარია არა მარტო ფონეტიკურ-ფონოლოგიურად, არამედ ლექსიკურადაც და გრამატიკულადაც. აქედან გამომდინარეა ის კანონზომიერი განსხვავებები თანწყობასა და ქვეწყობაში, რაც მოწმობს არა იმდენად ამ ცნებათა პრინციპულ განსხვავებაში, რამდენადაც მათ სხვადასხვა დონის განვითარებასა და სიმწიფეში [Тарланов,1972]. როგორც საყოველთაოდ ცნობილია ქვემდებარე და შემასმენელი წინადადების პრედიკატულ ბირთვს წარმოადგენენ. სწორედ ეს განაპირობებს წინადადებების მარტივ და რთულ კატეგორიებად დაყოფას. **რუსულ გრამატიკაში წინადადებები, ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე ზმნა-შემასმენლით განიხილება როგორც რთული**, იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნები სხვადასხვა დროსა და უღლების ფორმაშია გამოხატული და გადმოსცემენ ერთმანეთის მომდევნო სიტუაციებს მაგალითად რუსული ანდაზა «Баня парит, баня правит, баня всё поправит» ზმნები- парит, правит -ახლანდელი დრო, поправит - დრო მომავალი.

Кто ест и читает, память зачитает [Д.,1:348] **ест и читает**- ერთგვარი წევრებია, ახლანდელი დრო, მესამე პირი, გარდამავალი ზმნა, ხოლო - **зачитает**, დრო მომავალია. ამდენად ერთგვარ წევრებს არ მიეკუთვნება. ანდაზა წარმოადგენს რთულ თანწყობილ წინადადებას. ასეთივე შემთხვევას აქვს ადგილი ქართული ანდაზის მაგალითში: „ბედი ხნავს, და ბედი თესავს, ბედი მოიყვანს ყანასაო.“ ხნავს,(ის მას) თესავს,(ის მას) ახლანდელი დრო კილო თხრობითი, აწმყოს მწკრივი; მოიყვანს (ის,მას) ორპირიანი გადამავალი - დრო მომავალი კილო თხრობითი, მყოფადის მწკრივი. ამდენად, ეს მაგალითები მიეკუთვნება რთული თანწყობილი წინადადებით გადმოცემული ანდაზების შემთხვევას, რომლის პირველი ნაწილი შერწყმულია.

აქვე უნდა მოვიტანოთ ლ. კვაჭაძის მიერ გამოყენებული მტკიცებულება იმის შესახებ, რომ „ინდოევროპულ ენებში ერთგვარწევრიანი ანუ შერწყმული წინადადება მარტივი წინადადების გაფართოებულ სახედ ითვლება, სადაც **ზმნა ერთპირიანია და ერთგვარშემასმენლიანი წინადადება კარგად არის გარჩეული რთულისაგან**. შემდეგ განმარტებულია, რომ თუ ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელია დაკავშირებული, წინადადება შერწყმულია. ამ განმარტების მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ანდაზა: იერუსალიმს წამსვლელ კაცს, ნურც აგულიანებ და ნურც დაუშლიო [სახ.:95]; მორფოლოგიური დონის მიხედვით ასე განიმარტება: N(dat) V/P N(dat), prt V/P cop prt V/P. აქ შემასმენელები სრულასპექტიანი მყოფადის ფორმითაა, დრო მომავალი, კილო თხრობითი და მიემართებიან გაუჩინარებულ ქვემდებარეს, რაც განზოგადებულობის შინაარსს სძენს ანდაზას. ვისაც გული არა სტკივა, იმას ცრემლი არა სცვივაო [სახ.: 78]; Pron(erg)N(nom)prtV/P, Pron(Dem) N(nom) prtV/P; -ც ნაწილაკის დართვა ნაცვალსახელს კითხვითობას უკარგავს და მას მიმართებითად აქცევს. „ნაცვალსახელები ცალკე მეტყველების ნაწილებად არც გამოიყოფა, რადგან ნაცვალსახელი, რომელიც ცვლის სუბსტანტივს, როგორც მეტყველების ნაწილი - რჩება ატრიბუტად [ჯორბენაძე,1985], ანუ „ვისაც“ „ნურც“ ატრიბუტივია, რადგანაც ცვლის სუბსტანტივს. პრედიკატები აწმყოს მწკრივის, თხრობითი კილოს ფორმითაა.

მაგალითად, განვიხილოთ ანდაზა: პატივს ნურც მოითხოვ და ნურც დაითხოვო [სახ.: 155]; N(dat) Pron [V/P] cop Pron [V/P]; განზოგადებულობის გამოხატვა ხდება სახელური კომპონენტის გაუჩინარებით და ზმნური კომპონენტის გააქტიურებით, პირდაპირი ობიექტის დამხმარედ გვევლინება უარყოფითი ნაწილაკი „ნურც -ნურც“.

მოცემულ რუსულ ანდაზაში ადგილი აქვს ოთხი ერთგვარშემასმენლიანი მხოლობითი რიცხვის ზმნით გადმოცემულ განზოგადებულ წინადადებას უკავშიროდ: Родись, крестись, женись, умирай – за всё денежки подай (Д.,1:58) [V/P,V/P,V/P,V/P] – prt Pron N(nom) V/P.


კრიკმანი წერს თავის სტატიაში «1001 вопрос по поводу логической структуры пословиц» „ანდაზა - ეს ფორმულაა.“ [Крикманн

<http://www.ruthenia.ru/folklore/krikmann1.pdf> ანდაზის ფორმიდან და კომპაქტურობიდან გამომდინარე, „ალგებრულ ფორმულას“ უწოდებს ა. პოტენია, [А.Потення.1990:117]. ბოლო 30 წლის განმავლობაში ანდაზის სტრუქტურული ორგანიზაციის საკითხების პრობლემები (ლოგიკური, სინტაქსური, სემანტიკური) მრავალი უცხოელი ლინგვისტის მიერაა შესწავლილი. მაგალითად, კრიკმანი განმარტავს, რომ ტერმინი „ანდაზის სტრუქტურა“ ზოგადად მიღებულია და აქ შეიძლება იგულისხმებოდეს მისი სემანტიკური, პოეტური, რითმული, სინტაქსური, ლოგიკური, სტრუქტურები. „სინტაქსურ ფორმულებს“ [Крикманн, 1984] ალბათ აქვთ ყველა მათგანთან დამოკიდებულება. აქვე მოჰყავს ი. ლოტმანის სიტყვები იმის შესახებ, რომ პოეტური ტექსტის სტრუქტურა სხვა არაფერია, თუ არა მისი შინაარსის სტრუქტურა.

მარტივი და რთული წინადადებების სიღრმისეული თუ ზედაპირული სტრუქტურების ადეკვატურ ანალიზზე ბევრად არის დამოკიდებული თანამედროვე ენობრივი ტექნოლოგიების დამუშავება და მათი აქტიური გამოყენებით ტექსტის "გააზრება" მანქანის მიერ, ავტომატური თარგმანების განხორციელება და სხვ.. putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/links/3.5.htm (27.05.2015) სუპრუნი ა. და ზახაროვა ო. სტატიაში «Типологическая сопоставительная грамматика и универсалии» აღნიშნავენ, რომ „ენის სტრუქტურის აღწერა შესაძლებელია, თუ აღვწერთ ამ ენის ყველა წინადადების სტრუქტურას. ენა შეიძლება წარმოვიდგინოთ გარკვეულ ბაზისურ სტრუქტურად (ასეთი სტრუქტურები, საერთოდაც, შეიძლება რამდენიმეც იყოს) პლუს ამ სტრუქტურის გასაშლელი წესები“ [Супрун А., Захарова О.,1969:163]. წინადადების სიღრმისეული სტრუქტურა ფორმალურად გამოისახება შემადგენელი ნაწილების ეგრეთ წოდებული ხისებრი დიაგრამით ან ფრჩხილებში ჩასმული ჩანაწერით. ორივე გრაფიკული საშუალება წარმოადგენს წინადადების სინტაქსური აღნაგობის სურათს.


წესებში ავტორები გულისხმობენ ეგრეთ წოდებულ დერივაციულ ხეებს. მაგალითად, ანდაზების ელემენტარული სტრუქტურული სურათი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

1) И **хочется** и **колется**, и матушка не велит [Д., 2:5]



სადაც S=წინადადება, NP=(სახელური კომპონენტები), VP=(ზმნური კომპონენტები), N=матушка, Vf=хочется, (ზმნის უკუქცევითი ფორმა) Vf=колется, Vf3s= велит (უღლებადი ზმნა, III პირი, მხოლ.რიცხვი)

2) შენ სახლში შეიხედე და კარში ისე გაიხედე [სონდ.:75]



S=წინადადება, NP=(სახელური კომპონენტები) VP=(ზმნური კომპონენტები), Vf2s=შეიხედე (უღლებადი ზმნა, II პირი, მხოლ. რიცხვი) Vf2s=გაიხედე (უღლებადი

ზმნა, IIპირი, მხოლ. რიცხვი), N=სახლში(ადგილის გარემოება, პირდაპირი ობიექტი)
N=კარში (ადგილის გარემოება, პირდაპირი ობიექტი).

„წინადადების სტრუქტურული სქემები ენაში მოცემულია ზმნის სახით. ზმნა თავის თავში მოიცავს მხოლოდ წინადადების ბირთვს, ე.ი. სიტუაციის დასახელებას და მის მიერ მოწოდებულ არგუმენტებს. წინადადების დანარჩენი წევრები განისაზღვრებიან არა პრედიკატით, არამედ ტექსტის ზოგადი წყობის ამოცანებით, ესე იგი, დროსა და სივრცეში“ [Кацнельсон, 2001: 614-615].

ბ. უსპენსკის სტატიაში მოყვანილი გრენბერგის აზრით: „ენების ტიპოლოგიური კლასიფიკაციების მიმართულება ხშირად არ შეესაბამება მათ დასახელებას იმ გაგებით, რომ მათი საშუალებით ხასიათდებიან არა თვით ენები, არამედ კონსტრუქციები, რომლებიც ამ ენების გამსაზღვრავენ“ [Успенский, 1965: 178-188]. გრაფიკული საშუალებები წარმოადგენენ წინადადების სინტაქსური აღნაგობის სურათს. ი. აპრესიანის [Апресян, 1974] მიერ შემოთავაზებული წინადადების სიღრმისეულ-სემანტიკური და ზედაპირულ-სემანტიკური სტრუქტურები იძლევა საშუალებას წარმოაჩინოს მოცემული ენის წინადადებების და ცალკეული სიტყვების უნივერსალური და ინდივიდუალური ტიპები.

როგორც რუსულ აკადემიურ გრამატიკაშია განმარტებული, მარტივი წინადადების სტრუქტურული სქემა - ესაა აბსტრაქტული სინტაქსური ნიმუში, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია აიგოს ცალკეული, შედარებით დასრულებული წინადადება. წინადადებები, აგებული ამა თუ იმ სტრუქტურული სქემის მიხედვით, ერთიანდებიან მარტივი წინადადების გარკვეულ ტიპებში [АГ, 1980: Пар. 1908]. აგრეთვე, სქემები ორი ენის სტრუქტურული ანალიზის დროს უკეთესად წარმოაჩენენ ენობრივ თავისებურებებს, სპეციფიკურობას და უნივერსალურობას.

განსახილველი ანდაზების სტრუქტურული სქემების მიხედვით შესაძლებელია, მივიღოთ ერთიანი სურათი ქართული და რუსული პარემიების მარტივი, თანწყობილი და შერწყმული წინადადებების სინტაქსური უნივერსალიების შესახებ (იხ. დანართი № 7-17).

სქემებზე დაკვირვებამ გვიჩვენა და ცხრილების საშუალებით გაირკვა, რომ პროცენტული თანაფარდობა ერთგვარშემასმენლიან ქართულ და რუსულ ანდაზებს შორის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. თავისუფალი მეთოდით შერჩეული ანდაზების სტრუქტურული ანალიზი მოწმობს, ქართულ და რუსულ ორშემასმენლიან ანდაზებში 16 ერთეულიდან პირველი პირის მხოლოდობით რიცხვში - 0 ; მეორე პირის მხოლოდობით რიცხვში 10 ზმნა-შემასმენელი, მესამე პირის მხოლოდობით რიცხვში-18 ზმნა-შემასმენელი; რუსულის ანდაზის 16 ერთეულიდან პირველი პირის მხოლოდობით რიცხვში - 2 ზმნა-შემასმენელი; მეორე პირის მხოლოდობით რიცხვში-12 ზმნა-შემასმენელი, მესამე პირის მხოლოდობით რიცხვში - 13 ზმნა-შემასმენელი. რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, ორშემასმენლიანი და სამშემასმენლიანი ზმნა-შემასმენლების რაოდენობა ორივე ენაში თანაბარია. ხოლო მრავლობითის მესამე პირით გადმოცემული ზმნა-შემასმენელი 2 ერთეულით ნაკლებია ქართულ ანდაზის მაგალითებში, რუსულში -4. ასეთი წესით დათვლილი დანარჩენი მონაცემები შეიძლება ქვემოთ მოყვანილ ფორმულებში ავსახოთ. სადაც 1S -ში აღინიშნება 1-ერთპირიანი ზმნა, S- singular (მხ. რიცხ.)და ა.შ 1pl.-ში 1-ერთპირიანი ზმნა, pl-plural(მრავლ. რიცხვ.) და ა.შ.

ა) ორშემასმენლიანი $1S = 16=16 [1S=0 < 1S=0]$

ორშემასმენლიანი $2S = 16=16 [2S=10 < 2S=12]$

ორშემასმენლიანი $3S = 16=16 [3S -18 > 3S=13]$

ორშემასმენლიანი $1pl = 16=16 [1pl=0 = 1pl=0]$

ორშემასმენლიანი $2pl = 16=16 [2pl=0 = 2pl=0]$

ორშემასმენლიანი $3pl = 16=16 [3pl=2 < 3pl=4]$

ბ) სამშემასმენლიანი $1S = 1 < 16 [1S=0 < 1S=6]$

სამშემასმენლიანი $2S = 1 < 16 [2S =0 < 2S=15]$

სამშემასმენლიანი $3S = 1 < 16 [3S=3 < 3S=24]$

სამშემასმენლიანი $1pl = 1 < 16 [1pl=0 = 1pl=0]$

სამშემასმენლიანი $2pl = 1 < 16 [2pl=0 = 2pl=0]$

სამშემასმენლიანი $3pl = 1 < 16 [3pl=0 = 3pl=0]$

- გ) ოთხშემასმენლიანი $1S = 2 < 4$ [$1S=0=1S=4$]
 ოთხშემასმენლიანი $2S = 2 < 4$ [$1S=4 < 1S=12$]
 ოთხშემასმენლიანი $3S = 2 < 4$ [$3S=4=3S=4$]
 ოთხშემასმენლიანი $1pl = 2 < 5$ [$1pl=0=1pl=0$]
 ოთხშემასმენლიანი $2pl = 1 < 5$ [$2pl=0=2pl=0$]
 ოთხშემასმენლიანი $3pl = 1 < 5$ [$3pl=0=3pl=0$]

გამოიკვეთა, რომ ქართული და რუსული ანდაზების ზმნა-შემასმენელთა გრამატიკული ფორმების უნივერსალიები მდგომარეობს შემდეგში:

- ა) ორშემასმენლიანი $1S = 16=16$ [$1S=0=1S=0$]
 ორშემასმენლიანი $1pl = 16=16$ [$1pl=0=1pl=0$]
 ორშემასმენლიანი $2pl = 16=16$ [$2pl=0=2pl=0$]
- ბ) სამშემასმენლიანი $1pl = 1 < 16$ [$1pl=0=1pl=0$]
 სამშემასმენლიანი $2pl = 1 < 16$ [$2pl=0=2pl=0$]
 სამშემასმენლიანი $3pl = 1 < 16$ [$3pl=0=3pl=0$]
- გ) ოთხშემასმენლიანი $1pl = 2 < 5$ [$1pl=0=1pl=0$]
 ოთხშემასმენლიანი $2pl = 1 < 5$ [$2pl=0=2pl=0$]
 ოთხშემასმენლიანი $3pl = 1 < 5$ [$3pl=0=3pl=0$]

დავასკვნით, რომ ერთგვარშემასმენლიან ანდაზებში ორივე ენა აქტიურად იყენებს Vf 2s და Vf 3s ზმნის ფორმებს. მნიშვნელოვნად პასიურია Vf 1s და Vf pl – ზმნის ფორმები.

ცხრილი № 1 (ქართული ანდაზებისათვის)

ზმნა-შემასმენლები	Vf 1s	Vf 2s	Vf 3s	Vf 1pl	Vf 2pl	Vf 3pl
ქართული ორშემასმენლიანი ანდაზების რაოდენობა - 16	0	10	18	0	0	2
ქართული სამშემასმენლიანი ანდაზების რაოდენობა - 1	0	0	3	0	0	0
ქართული ოთხშემასმენლიანი ანდაზების რაოდენობა - 2	4	4	0	0	0	0
ჯამი - 19	4	14	21	0	0	2

ცხრილი №2 (რუსული ანდაზებისათვის)

ზმნაშემასმენლები	Vf 1s	Vf 2s	Vf 3s	Vf 1pl	Vf 2pl	Vf 3pl
ორშემასმენლიანი ანდაზების რაოდენობა - 16	0	12	13	0	0	4
სამშემასმენლიანი ანდაზების რაოდენობა - 16	6	15	24	0	0	0
ოთხშემასმენლიანი ანდაზების რაოდენობა - 4	0	12	4	0	0	0
ჯამი-36	6	39	41	0	0	4

ლ.ლექავა ამტკიცებს, რომ ანდაზაში შერწყმული წინადადება მარტივთან შედარებით რაოდენობით მცირეა. მათგან უფრო ხშირია შემასმენლების მიხედვით შერწყმული, შემდეგ მოდის ერთგვარქვემდებარის, ერთგვარდამატებისანი შერწყმულები, ხოლო განსაზღვრებითა და გარემოებათა მიხედვით შერწყმული იშვიათია [ლექავა, 1959]. ამ აზრს ჩვენც ვეთანხმებით, რადგანაც საანალიზო წყაროების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები იმავეს მოწმობს.

ქართული ზმნის პოლიპერსონალობის გამო, რამდენადაც ზმნის ფორმა აღნიშნავს ერთდროულად სუბიექტსაც და ობიექტსაც, წინადადებაში პირის ნაცვალსახელთა დაფიქსირება არ არის აუცილებელი (ჭარბია); და თუ ისინი მაინც წარმოდგენილნი არიან, ეს უმრავლეს შემთხვევაში ნიშნავს, რომ შესაბამისი სუბიექტი (ან ობიექტი) ტოპიკალიზებულია [ასათიანი, 2007 nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e], ანუ ინფორმაციის პრაგმატულად აქტუალიზებული ნაწილია, რომლის დროსაც განსაკუთრებულ როლს ასრულებს ინტონაცია, ლოგიკური მახვილი. მაგალითად: [ის] მოსულა, მოუტანია, დამჯდარა, შეუჭამია [სახ.:137] ერთგვარშემასმენლიანი წინადადებით გადმოცემულ ანდაზაში აქ „ის“ ჭარბია (ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე), რამდენადაც მესამე პირი მორფოლოგიურად უკვე წარმოდგენილია ზმნურ ფორმაში მესამე სუბიექტური პირის მარკერით (უ-), მისი დუბლირება სინტაქსურ კონსტრუქციაში „მე“ ნაცვალსახელის სახით ჭარბია: მოს-ს-უ-ლა, მო-უ-ტანია. საინტერესოა განვიხილოთ შემთხვევები, როდესაც ერთგვარ შემასმენელთა დასაკავშირებლად გამოყენებულია

მაჯგუფებელი კავშირი „და“ : არამკითხე მიაძებო, **მიტყიპე და მიაგდეო** [სახ.: 19]. ზმნური პრედიკატები „მიტყიპე და მიაგდეო“, ერთმანეთთან თანწყობილ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, რადგანაც ექვებდებარებიან ერთსა და იმავე გაბატონებულ წევრს, შეკავშირებულნი არიან თანწყობილი ფორმანტით - კავშირით „და“. რაც შეეხება სხვადასხვა კავშირებიან წინადადებებით გადმოცემულ ანდაზებს, მათი რაოდენობა შედარებით მცირეა. მაგალითად: დიდ მტერს კაცი ან შეეხვეწება, ან გადაეხვეწებაო [სახ.: 57] ან-ან უახლოვდება მნიშვნელობით გინდ. მიუთითებს, რომ ერთიმეორის გამომრიცხველ შესაძლებლობათაგან შესრულდება ერთ-ერთი, ან არჩევანი უნდა გაკეთდეს ერთ-ერთზე, ან კიდევ ჩამოთვლაა ისეთი საგნებისა თუ მოვლენებისა, რომლებიც არ გამორიცხავენ ერთმანეთს [კვაჭაძე:236]. **ვინც** თავლში თითს ჩაყოფს, თითსაც ის გაილოკავსო [სახ.: 73]. უ-ჭამია. ასევე „დამჯდარა“ „ა“ ასრულებს მესამე პირის ფუნქციას. „ერთგვარ წევრთა წარმოთქმისათვის დამახასიათებელია ე.წ. ჩამოთვლის ინტონაცია: **скачет, пляшет, поёт** [Д.,I: 68]. წარსული დროის ფორმა ჩვეულებრივ მოქმედებაზე, რომელიც მოხდა და შედეგად ცნობილია: Беда всполошила, совсем повалила. У Фили пили, Филю ж били. მომავალი დრო მიუთითებს რაღაც მოვლენის გარდაუვალობას: Наперёд не узнаешь, где найдёшь, где потеряешь [Д.,I:46]. ამგვარი ინტონაციაა კავშირიანი შეერთების დროსაც [კვაჭაძე,1988 : 232]. იმერელმა წალდი დაკარგა და ცულიც თან გაადევნაო [სახ., : 96]; კამეჩმა კიდევ მოხნა და კიდევ დათესაო [სახ.: 101] ერთგვარ წევრებთან მდგომ ნაწილაკებს გაძლიერების მიზნით „ც“ დაერთვის კიდევ-ც. კიზირიას განმარტებით, შერწყმულ და თანწყობილ, წინადადებებში ხშირად იხმარება ნაწილაკები, არც-არც, გინდ-გინდ, ხან-ხან, ან-ან, კიდევ-კიდევ, მაგრამ ესენი კავშირები არ არიან, რადგან მათ გვერდით სრულიად დაუბრკოლებლად შეიძლება „და“ კავშირის ჩართვა - ორი კავშირის ერთად ხმარება კი შეუძლებელია [კიზირია,1957:149]. „ნაწილაკები გახაზავენ, გამოკვეთენ ინფორმაციის გარკვეულ ნაწილს; ამასთანავე, ისინი სპეციფიკურ სემანტიკურ ელფერსაც ჰმატებენ წინადადებას და გარკვეული თვალსაზრისით ლექსიკური შინაარსითაც არიან დატვირთულნი“ [ასათიანი, 2007, nplg.gov.ge/gsdل/cgi-bin/library.exe?e)].

ერთგვარ შემასმენლებს გაძლიერების მიზნით შეიძლება დაერთვას „ც“ ნაწილაკი, რომელსაც რამდენადმე მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციაც აქვს „კამეჩმა კიდეც მოხნა და კიდეც დათესაო [სახ.: 101], რაც შეეხება ერთგვარ შემასმენლებს: **მოხნა, დათესა-** დრო დრო წარსული, კილო თხრობითი, მოქმედება წყვეტილი, ასპექტი სრული, ერთგზისობა, აქტი ნანახი, ასპექტი სრული. ამ უკუთქმით წინადადებით გადმოცემულ ანდაზაში „ც“ ნაწილაკი განმეორებულად იხმარება იმ თვალსაზრისით, რომ იგი დაერთვის არა წინადადების წევრს, არამედ უარყოფით ნაწილაკს **ნურ+ც** ბერიკაცმა თქვა: **ნურც** მაჭმევ, **ნურც** მასმევ, ცეცხლზე გამათბეო [სახოკია:33] ზმნები: **მაჭმევ, მასმევ, გამათბე** ერთგვარი წევრებია: დრო მომავალი, კილო თხრობითი, მყოფადი, ასპექტი სრული, მრავალგზისობა, აქტი ნანახი, სრული ასპექტი. ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშია. თანწყობილ წინადადებებში, მაჯგუფებელკავშირიანი **ნურც-ნურც** შერწყმული წინადადების მაგალითია: მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს **ნურც** აქებ და **ნურც** ამაგებო [სახ.: 121]. გცემ და არ გატირებო, **არც** გაჭმევ და ყბასაც მოგტეხავო [სახ.: 48]. იერუსალიმს წამსვლელ კაცს, **ნურც** ააგულიანებ და **ნურც** დაუშლიო [სახ.: 95].

ზმნა შემასმენლების განზოგადებული სიტყვით გაერთიანება ხდება გამონაკლის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც პრეპოზიციამ ან პოსტპოზიციამ მდგარი ზმნა ზოგადი მნიშვნელობისაა: მაგალითად Колотись, бейся, а всё надейся [Д.,1:88]. ბერიკაცმა თქვა : **ნურც** მაჭმევ, **ნურც** მასმევ, ცეცხლზე გამათბეო [სახ.: 33] ზმნა-შემასმენელი „თქვა“ ზოგადად გადმოსცემს ჩამოთვლილი მოქმედებების არსს. არა უშავს რა წისკვილსა, შემობრუნდება - დაჰფქვავსა [სახ.: 20] „არა უშავს რა“ აერთიანებს ერთგვარ შემასმენლებს „შემობრუნდება-დაფქვავსა“. Одно **знай**: господи помилуй и **отыми и падай** [Д.,2:26] (ლექსემაში **падай** მახვილი- მეორე „ა“-ზე). გვხვდება რუსულ ანდაზაში ზმნა - შემასმენლების გაერთიანების ასეთი შემთხვევა, როდესაც განმაზოგადებელი სიტყვის ნაცვლად პრეპოზიციამ მდგომი საერთო მნიშვნელობის სიტყვაა. მაგალითად: Пошло дело на **лад**: словно один держит, другой пускает [Д.,2: 19]; Словно в **печь**: сколько не вали, всё ничего нет [Д.,2:120]; На посуле, что что на **стуле** : посидишь, да не встанешь [Д., 2 : 133]; Гляди в **ноги**: ничего не

найдешь, так хоть ноги не зашибеешь [Д.,2:146]. რაც შეეხება კავშირებს რუსულ ერთგვარშემასმენლიან შერწყმული წინადადებით გადმოცემულ ანდაზებში: აქტიურად გამოიყენება კავშირი «ა» «да» «и»-ს მნიშვნელობით, გვხვდება აგრეთვე უკავშირო შეერთებები. მაგალითად: Нужда и **горбится и прямится** [Д.,1:67]; Учись у курочки: **шаркай да подбирай** [Д.,1:75]; Одна годовая и **гудет и пляшет** [Д.,1:77]; Дело **учит,и мучит,и кормит** [Д.,2:18]; **Напекла, наварила, хоть отца с матерью жени** [Д.,2:248]; Похвалы **не кормят, не греют** [Д.,2:197]; Дан собаке мосол: **хоть ешь, хоть брось, хоть вперёд положь** [Д.,2:278].

უკავშირო შერწყმული წინადადება სიხშირის მიხედვით არ ჩამოუვარდება „და“ მაჯგუფებელკავშირებიან წინადადებას. რაც შეეხება ანდაზებს, ასეთი სახის წინადადებებით შედგენილი ანდაზების მაგალითებია: ვირმა ნარი **მოიტანა, დაჯდა**, თვითონვე **დახვრიდაო** [სახ.: 77]; ავდარში ცოლი **შეირთე**, კარგ დარში **გამოგადგება** [სახ.: 14]; ყვავმა შვილები **დაზარდა**, მერე **დაჯდა**, თვითონვე **დაჭამაო** [სახ.: 210]; დაზარდა(ის, მან), დაჯდა(ერთპირიანი, სტატიკური), დაჭამა(ის, მან) დაზარდა შვილები ყვავმა, დაჯდა ყვავი, დაჭამა ყვავმა შვილები- პირველი წინადადება მარტივი, სრული, პრედიკატული ბირთვით, ზმნა-შემასმენელი ნამყო უსრული, დრო წარსული, თხრობითი კილო, წყვეტილი, სრული ასპექტი; მეორე უსრული, ქვემდებარე იგულისხმება; დაჭამა (ის მან), ზმნა-შემასმენელი იგივე ფორმაში რაც პირველ წინადადებაში, გამოხატულია მოქმედებათა ერთდროულობა, იგი ერთ ქვემდებარეს მიეწერება. ამდენად, სახეზეა შერწყმული წინადადება. რაც შეეხება განსაზღვრებით ნაცვალსახელს, „თვითონვე“, „თვით“ მიღებულია „თავ“ მოქმედებითი ბრუნვის ფორმისაგან, ხაზს უსვამს, რომ ესა თუ ის პირი თუ საგანი დამოუკიდებლად არის მოქმედი, ან განიცდის მოქმედებას, სხვების დახმარების და მონაწილეობის გარეშე“ [კვაჭაძე,1988 :213]. ღორის ტილი რომ ფეხზე **დაისვა**, თავზე **აგაცოცდებაო** [სახ.:207]; ამ შემთხვევაში ერთპირიანი ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედება სხვადასხვა პირდაპირ დამატებას მიეწერება. **შერწყმულ წინადადებში** წევრები უნდა იყოს ერთგვარი, „ესე იგი ერთი და იმავე შინაარსისა“ [ჭიკაძე,1995:158]. პირდაპირი დამატება გადმოცემულია არსებითი სახელით (ფეხზე,

თავზე) ერთგვარი ადგილის გარემოებით. ესე იგი, ანდაზა გადმოცემულია თანწყობილი განზოგადებული სახის წინადადებით.

§ 7. რთული წინადადებით გადმოცემული ანდაზები

მარტივი წინადადებები, თავისთავად, სინტაქსურ ოდენობებს წარმოადგენენ და სწორედ ესენი არიან რთული წინადადებით გადმოცემული ანდაზის ნაწილები. მიუხედავად იმისა, რომ ანდაზისათვის მოკლე, ლაკონური, სხარტი წინადადებებია დამახასიათებელი, ქართულ და რუსულ ენებში ანდაზა საკმაოდ აქტიურად გამოიყენებს რთული წინადადების სახეობებსაც: რთულ თანწყობილს, რთულ ქვეწყობილს. ამ საკითხის გარშემო აღსანიშნავია ლ. ლეჟავას ნაშრომი [1959] რუსულ ენათმეცნიერებაში ზ. ტარლანოვის [Тарланов З., 1967, 1968, 1972, 1979, 1982] კვლევები.

ა) რთული თანწყობილი წინადადებებით გადმოცემული ანდაზები

ცნობილია, რომ თანწყობილი წინადადება იმდენ ნაწილად გაიყოფა, რამდენი მარტივი წინადადებაცაა მის შემადგენლობაში. მაგალითად, დათვი ტყეზე გაიბუტა, ტყემ ვერა შეიტყო რაო [სონდ.: 18]; ერთგული არ გაორგულდება, ორგული არ გაერთგულდება [სონდ.: 23] ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა [სონდ.:73] ეს ანდაზები ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან შემდგარი ანდაზებია.

რთული თანწყობილი წინადადება მარტივი, თანასწორუფლებიანი წინადადებებისაგან შედგება და შინაარსის მიხედვით დაკავშირებულნი არიან კავშირებით ან უკავშიროდ, ინტონაციით. რთული თანწყობილი წინადადების ასეთი სტრუქტურა ორივე ენის ანდაზისთვისაა დამახასიათებელი. კავშირების მიხედვით

რუსულშიც და ქართულშიც ანდაზები სამ ჯგუფად იყოფა, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კავშირები, რომლებიც დამახასიათებელია ზოგადად რთული თანწყობილი წინადადებისათვის, შეიძლება არ გამოიყენებოდეს ანდაზაში. ამის მაგალითები ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში საკმაოდ აღმოჩნდა. ალექსანდრე ვეთანხმებით და ჩვენი კვლევითაც დასტურდება, რომ „ანდაზის გადმომცემ თანწყობილ წინადადებაში ვერსად შევხვდებით მაპირისპირებულ კავშირებს **არამედ, ხოლო**, მაიგივებელს **ანუ, ესე იგი-მაინც, ოღონდ**. „არამედ“ ანდაზისათვის უცხოა და შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში ჩამწერის ან მთქმელისაგან მომდინარეობდეს“ [ლექსვა, 1959:173]. ასევეა რუსულშიც - კავშირები: **тоже, также, зато** არ დასტურდება ანდაზებში. კავშირიანი შეერთებისას ქართულ და რუსულ წინადადებებში გვხვდება მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი, მაერთებელი კავშირები.

1) **მაჯგუფებელი კავშირები რუსულში** და (=и), ни - ни, тоже, также, зато, (стар.: ин, ино, ан). ქართულში: და, თუ, (და-ს მნიშვნელობით), არც-არც, ვერც-ვერც, ნურც-ნურც, კიდევ-კიდევ, კავშირ «ა»-ს შესახებ ზ. ტარლანოვი აღნიშნავს, რომ კომპოზიციური ნაწილების შეკავშირებაში, როდესაც ერთ ნაწილში მსჯელობაა, ხოლო მეორეში ანდაზის მორალი, კავშირ «ა»-ს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. ასევეა კავშირი «да»-ც, მაგრამ იგი აქტიურობის თვალსაზრისით ჩამოუვარდება, რადგანაც მისი მნიშვნელობის არეალი რამდენადმე შემოსაზღვრულია, პირობითია, მაგალითად: Корень учения горек, да плод его сладок [Д.,1: 353]; Денег ни гроша, да слава хороша [Д.,1:69]; Пить бы на полтину, да нет ни алтына [Д.,1:71]; Ума палата, да денег ни гроша [Д.,1:71]; Ни богу свеча, ни чёрту кочерга [Д.,1:201]; Ни поплясать, ни в дудочку поиграть [Д.,1:201]; Ни в городе порука, ни в дороге товарищ, ни в деревне сосед [Д.,1:201]. როგორც ავტორი მიუთითებს, „რუსული მაკავშირებელი კონსტრუქციების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მათ მიერ გადმოცემული შეტყობინება არაა არც მეორეხარისხოვანი და არც დამატებითი“ [Тарланов, 1982: 15], მასში მოქცეულია ანდაზის ძირითადი მორალი, დიდაქტიკური შინაარსი. ქართულში კავშირი „და“-ს ფუნქცია აზრობრივ მიმართებებში სხვადასხვაგვარია:

შეიძლება გადმოსცემდეს ერთდროულ მოვლენებს, თანამიმდევრულ მოვლენებს, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობას.

რუსულ თანწყობილ, მაჯგუფებელკავშირებიან წინადადებაში ანდაზა იყენებს კავშირებს: да (=и), ни — ни, тоже, также, зато, (стар.: ин, ино,ан).

Ино густо, **ино** пусто [Даль,2:48]; **ино** -როგორც ზ. ტარლანოვი აღნიშნავს, მან დაკარგა ძველრუსულში მქონე მრავალი მნიშვნელობა და შენარჩუნდა მხოლოდ სინტაქსური სტრუქტურების სტერეოტიპული ელემენტის სახით ანდაზის ენაში [Тарланов, 1982:19] **Хватъ в карман, ан дыра в горсти** [Д.,2:48] **Хватъ за ухват, ан в люди бежать**[Д.,2:84] **Не попало в рот, ин пёс найдёт** [Д.,58]; **ин**- განპირობებულობას გამოხატავს. **Ни** седла, **ни** уздицы, **ни** той вещицы,на что седло положишь [Д.,2:51] **Ни-ни** განმეორებადი კავშირი გამოხატავს ჩამოთვლით ურთიერთობებს. რაც შეეხება დანარჩენ კავშირებიან ანდაზებს: **тоже, также, зато**, მათი მოძიება არ იქნა შესაძლებელი.

რაც შეეხება ქართულში: და, თუ, (და-ს მნიშვნელობით), არც-არც, ვერც-ვერც, ნურც-ნურც, კიდევ-კიდევ.

ქართულ ანდაზებში მაჯგუფებელკავშირიანი ანდაზების და-თი შეერთებულ წინადადებათა აზრობრივი მიმართება სხვადასხვაგვარია: რთულ თანწყობილ წინადადებებში გამოყენებული ზმნები გამოხატავს:

ა) ერთდროულ მოვლენებს: აგორდა ქოთანს და იპოვა სარქველიო [სონდ.:3]; კედელს ცერცვი შეაყარე და მგელს კრავი შეაბრალეო [სონდ.:42]; ქურდმა ქურდს მოჰპარა და ღმერთმა გაიცინაო [სონდ.:71] ზმნები ერთი და იმავე ფორმებშია, ხშირად ერთი და იმავე მწკრივში და ერთდროულობის ხაზის გასასმელად - საერთო დროში: აგორდა-იპოვა; შეაყარე-შეაბრალე; მოჰპარა- გაიცინა;

ბ) თანამიმდევრულ მოვლენებს: ალია მოკვდა და ფლავი უკან ჩააყარესო [სონდ.: 5]; არვიცის დედა იცინის და ვიცის დედა ტირისო [სონდ.: 8]; ბავშვი დასაქმე და უკან გაჰყევო [სონდ.: 10]; თვალმა უნდა დაინახოს და ჭკუამ განსაჯოსო [ნაკ.: 24]; დეკეული ხბოს იგებდა და მოზვერს გავა ეწვებოდაო [სონდ.: 20]; მაწონს ვთხოვდი და დოს მაყლაპებდაო [სონდ.:49]; მოკვდა-ჩააყარეს, ვთხოვდი- მაყლაპებდა - იგებდა-

ეწვებოდა - პრედიკატები წარსულში მომხდარი ფაქტების კონსტატაცია; ხოლო, იცინის-ტირის, ახლანდელი დრო, დაინახოს -განსაჯოს-; დასაქმე- გაჰყევი -მომავალი დრო.

მიზეზ-შედეგობრიობის გადმომცემ თანწყობილ წინადადებაში როგორც ყოველთვის პირველ ნაწილში მიზეზია დასახელებული, ხოლო მეორეში, შედეგი იმის, რაზეც პირველზეა ლაპარაკი: გაუცინე-დაგაჯდებაო - მყოფადი, დრო მომავალი; იწვოდა-იცინოდა - აწმყო დრო; უთხრა-გაცა- წყვეტილი, დრო წარსული; აჭამე- შეერგება -დრო მომავალი, კილო კავშირებითი; ირთობდა-კვდებოდა - უწყვეტელი, დრო აწმყო; გააღე-დაგხვდება - დრო მომავალი, კილო კავშირებითი; მიჩვენე-გიჩვენებ დრო მომავალი, კილო კავშირებითი; ვთხოვდი- მაყლაპებდა - აწმყო - უწყვეტელი; ჭედდნენ-გაიშვირა- აწმყო - უწყვეტელი; გადაურჩა-დაახრჩო- წყვეტილი-წარსული. შედეგად აღმოჩნდა, რომ მიზეზ-შედეგობრიობით გადმომცემ თანწყობილ წინადადებაში ანდაზის ზმნის ფორმები სხვადასხვაა დროსა და სერიის მიხედვით: ბავშვს გაუცინე და თავზე დაგაჯდებაო [სონდ.,: 10]; გიდელი იწვოდა და ღურღული იცინოდაო [სონდ.,: 16]; გულმა გულს სიტყვა უთხრა და ორივე ენამ გაცაო [სონდ.,:18]; სხვისა შვილს აჭამე და შენს შვილს შეერგებაო [სახ.,:65]; დაუჩვეველს ნუ დააჩვევ და დაჩვეულს ნუ გადააჩვევო [სონდ.,:-19]; ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა [სონდ.,:50]; ავის კარგი ნუ გინდა, ნურც მისი მოსაგებელი [სონდ.,:4]; ნურც ეშმაკს ნახავ, და ნურც პირჯვარს დაიწერო [სახ.,:147]; არც ქარის მოტანილი მინდა და არც მისი გატანილიო [სონდ.,:-8];ძაღლს ძვალი არც ეხრობოდა, არც ეთმობოდაო[სახ.,: -233]; ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, და არც სხვას აჭმევს [სახ.,: 14]. (იხ. დანართი № 18)

უარყოფითი რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებში გამეორებულია ც- დართული უარყოფითი ნაწილაკები. „ეს ნაწილაკები ათავსებენ მაჯგუფებელი კავშირისა და გაძლიერებითი ნაწილაკის ფუნქციებს. „და“ შეიძლება იყოს ნახმარი და შეიძლება არა. წინადადებას ჩამოთვლითი ხასიათი აქვს“ [კვაჭაძე, 1988: 318]

2) ქართულში **მაცალკევებელი** კავშირებიანი ანდაზის მაგალითი მოიძებნა ერთი ერთეული **გინდ-გინდ**,. მაცალკევებელი კავშირი **მაგრამ**-ის მაგალითები 10% მეტი

აღმოჩნდა. ეს კავშირები მიუთითებენ მოვლენების მონაცვლეობას, ან რამდენიმე მოვლენიდან ერთ-ერთის შესაძლებლობას. **გინდ** რეგვენისათვის გისწავლება, **გინდ** მკვდრისათვის გიწამლება [სონდ.,:45] ; ენა ყველაფერს იტყვის, **მაგრამ** კაცს სინდისი უნდა ჰქონდესო [ნაკ.,: 41]; ჭადარი მაღალი იზრდება, **მაგრამ** ნაყოფს არ იძლევაო [სახ.,: 100]; (**იხ. დანართი №19**)

3) რთული თანწყობილი **მაპირისპირებელი** (противительные) კავშირით რუსულში: **а, но, да (=но), однако, зато; либо-либо**. **Либо** сена клок, **либо** вилы в бок [Д.,1:211] **Либо** в стремя ногой, **либо** в пень головой [Д.,2:264] **Либо** утку хлоп, **либо** парня в лоб [Д.,2:264]

ასეთ კავშირებიან წინადადებებში ერთი მოვლენა უპირისპირდება მეორეს. **Ученья** корень горек, **а** плод его сладок [Д.,1:330]; **Денег** ни гроша, **зато** слава хороша [Д.,2:32] (**იხ. დანართი №20**). რთულ თანწყობილ წინადადებით გადმოცემულ რუსულ ანდაზაში ყველაზე გავრცელებულია კავშირი „ა“. მის მრავალფუნქციურობის შესახებ არაერთხელაა ნათქვამი რუსული ენის სინტაქსში. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ კავშირი „ა“ -ს გამოყენების შემთხვევები 90% -ია სხვა კავშირებისაგან განსახვავებით. ეს კავშირი აერთიანებს მოვლენებს, რომლებიც ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ თანაარსებობენ. რუსულში რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს შორის კავშირი „и“-ს მაგივრად იწერება ტირე, თუ წინადადება შეიცავს მყისიერ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრს, ან მოვლენა მყისიერად იცვლება: **Слово** не воробей, **вылетит** – не поймашь [Д.,1:324]; **Лошадь** с волком **тягалась** – **хвост** да **грива** осталась [Д.,1:132]; **Гром** не грянет - **мужик** не перекреститься [Д.,1:164]; **Доброе** начало – **полдела** откачало [Д.,2:6];

რთულ თანწყობილ წინადადებაში კავშირი მხოლოდ აერთებს და ამყარებს გარკვეულ მიმართებას შეკავშირებულ წინადადებებს შორის. მათი ადგილის გადანაცვლებისას (როცა ეს შესაძლებელია აზრობრივი მიმართების დაურღვევლად) კავშირი თავის ადგილზე რჩება. ამ მოვლენას თუ ანდაზასთან მიმართებაში გავიხილავთ, განსხვავებულ სიტუაციას მივიღებთ. მაგალითად: **Ученья** корень горек, **а** плод его сладок, რომ შევაბრუნოთ, მივიღებთ: **Плод** его сладок, **а** **ученья**

корень горек. Мягко стелют, **да** жёстко спать; Жёстко спать, **да** мягко стелют. ღორიც ემძიმებოდათ და გოჭიც ზედ დაადვიანო [სონდ.:71]; გოჭიც ზედ დაადვიანო და ღორიც ემძიმებოდათო; შეაქეს მეღია და შეაჭამეს ტურასაო [სონდ.:75]; შეაჭამეს ტურასაო და შეაქეს მეღიაო. ამ ნიმუშებში ანდაზა ორივე ენაში წესის მიმართ თავისებურ ხასიათს ავლენს, რადგანაც მასში დამკვიდრებული რიტმული წყობა და სემანტიკური მნიშვნელობა განსაკუთრებულობით გამოირჩევა. თანწყობილ წინადადებში მისი შემადგენელი ნაწილებისათვის ადგილის შეცვლა ძირეულად არღვევს ანდაზის სტრუქტურას და მის ძარღვიანობას. მაგ.: არც მგელი მშიერიო, არც ბატონი ზიანიო, არც ბატონი ზიანიო, არცა მგელი მშიერიო- წინადადებების გადანაცვლებამ მნიშვნელოვანი სემანტიკური ცვლილება არ გამოიწვია, მაგრამ დაარღვია ანდაზის ფრაზისათვის დამახასიათებელი სხარტულობა.

რთული თანწყობილი წინადადების შემასმენლებს თავ-თავისი ქვემდებარე აქვთ. მაგ: ნეტავი ფაფა **მაჭამა**, ტაფა **არ გამარეცხინაო** [სახ.: 148] (მ-აჭამა - ის -მე, ფაფა; არ გა-მ-არეცხინა ის მე - ტაფა). ქვემდებარე ზმნის პირველი პირის პრეფიქსითაა გამოხატული. თორნეს უთქვამს: ფიჩხი ბევრი **ჩამაყარე**, პური ბევრი **ამოყარეო** [სახ.: 89]-(ჩამაყარე ის მე,-ფიჩხი. ვირმა პალო **მოგლიჯა**, ერთი პატრონსა **ჰკრა**, ორი თვითონ **იკრაო** [სახ.: 77]

თანწყობილი წინადადებების მაგალითები:

ქათამი უკუღმა ქექავს, თავისი საქმე წალმა მიჰყავსო [სახ.: 193];რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო [სახ.: 161]; თავის თვალში დირეს ვერ ამჩნევს, სხვისაში ბეწვსა ჰხედავსო [სახ., 86]; (იხ. **დანართი №21**). „ც“ ნაწილაკი გაძლიერების მიზნით დაერთვის, რომელიც გამოყენებულია წართქმით წინადადებაში, ნაცვალსახელია-თავისიც. ჩიტებს საფთხურს უკეთებენ და ღორს კი ხმასაც არა სცემენო [სახ.: 224].

იმ შემთხვევაში, თუ ყოველ შემასმენელს თავისი ქვემდებარე აქვს, წინადადება რთული თანწყობილი იქნება. „რთულში გვაქვს ორი ან მეტი პრედიკატული ერთეული“ ანუ „პარატაქსული წინადადება“ „პარატაქსულში გვაქვს მაერთებელი კავშირებით, (ან უკავშიროდ) თანწყობის საფუძველზე გაერთიანებული

წინადადებები, რომლებიც ერთ სინტაქსურ ერთეულს წარმოადგენენ აზრობრივად, ინტონაციურად და კონსტრუქციულად. მათ შორისაა აგრეთვე ე. წ. ერთგვარშემას-მენლიანი შერწყმული წინადადება“ [ჭიკაძე, 1995:170]. მაგალითად: „ვირმა მგელი დაინახა და თავი ეკალში დამალაო“ [სახ.: 77]. მაერთებელი კავშირი - „და“, პრედიკატები წყვეტილის წარსული დროის თხრობითი კილოს ფორმით გადმოიცემა. ასევე: „ჩხიკვი და ყვავი წაიკიდნენ და მიმინომ ტოტი მოიმარჯვაო“ [სახ.: 223]. პირველ წინადადებაში ერთგვარი წევრებია „ჩხიკვი და ყვავი“. რუსული ანდაზის მაგალითები: **Подыми руку и опусти, а сердце скрепи** [Д.,1:92]; **Ищи себе прибыли, а другому не желай** гибели [Даль,2:103]; **Богу молись, крепись да за соху держись** [Д.,1:49]; **Ходил чёрт за облаками да оборвался** [Д.,1:49]; ზმნის მხოლობითი რიცხვი რამდენიმე ქვემდებარესთან კავშირი „და“ „ი“- ს მნიშვნელობით აერთიანებთ, მაგრამ გვხვდება ასეთი მაგალითებიც: **Волк и медведь не умываючись здоровы живут** [Д., 2:78]. **Беды и печали на почтовых примчали** [Д.,2:105] სადაც ერთგვარ ქვემდებარებთან პრედიკატი მრავლობით რიცხვშია (живут, примчали).

კავშირის უხმარებლობა როგორც ქართულ, ასევე, რუსულ ანდაზაში სიმარტივესა და სიმსუბუქეს უწყობს ხელს. დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ ძირითადად მაპირისპირებელი და მაერთებელი კავშირებია გამოტოვებული, ამით ფრაზა უფრო მეტად მოკლდება და მარტივდება. როგორც ზ.ტარლანოვი მიაჩნებებს, „ანდაზის ენა თავისი ჟანრობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტად ხელსაყრელი მასალაა ობიექტური ლინგვისტური დაკვირვების განსახორციელებლად, განსაკუთრებით უკავშირო კონსტრუქციებთან მიმართებაში“ [Тарланов,1982:70]. ამ კონსტრუქციის წინადადებების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ანდაზის არცერთი ნახევარი, ცალკე აღებულ, დამოუკიდებელ ნაწილს არ წარმოადგენს: ერთ-ერთი ნაწილის მოშორებით, ირღვევა ანდაზის სემანტიკურ-სინტაქსური ერთიანობა. აქვე უნდა ითქვას, რომ თვით უკავშირო რთული წინადადება ლინგვისტა შორის აზრთა სახვადასხვაობას იწვევს. მაგალითად „რუსულ გრამატიკაში“ [«Русская грамматика»-80,т.2:461-467] მიჩნეულია, რომ თანწყობილსა და ქვეწყობილ წინადადებებს შორის საზღვარი მერყევია და უკავშირო წინადადებები საერთოდ

უნდა იქნეს გამოტანილი რთული წინადადების ჩარჩოებიდან, რადგანაც „უკავშირობა არაა გრამატიკული კავშირი“ და ამიტომაც ტერმინიც „უკავშირო რთული წინადადება“ შეცვლილია ტერმინით „წინადადებების უკავშირო შეერთება“.

უკავშირო რთული წინადადების მაგალითები: Богатого ложка ковшом, убогого ложка веселком [Д.,1:59]; Счастье пучит, беда скрючит [Д.,1:105]; Своя ноша не тянет,свой дым глаза не ест [Д.,1:105]; На корову стало, хватит и на подойник [Д.,2:51]; Рука руку моет, вор вора кроет [Д.: 168] მიუთითებენ საპირისპირო სემანტიკურ მნიშვნელობაზე, სადაც, როგორც ზ.ტარლანოვიც აღნიშნავს, ანდაზის ორივე ნაწილი გაერთიანებულია პარარელიზმის პრინციპით, ისე როგორც ეს ახასიათებს რთულ თანწყობილ წინადადებას.

ქართულში, როგორც ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, თანწყობილ წინადადებათა უკავშირო გადაბმა ჩვეულებრივი მოვლენაა ხალხურ მეტყველებასა და სალიტერატურო ენაში, როცა ჩამოთვლაა სხვადასხვა ამბებისა, ან აღწერაა რომელიმე მოვლენისა, ან კიდევ დაპირისპირება“ [კვაჭაძე, 1988: 328].

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართულ ანდაზაში უკავშირო შეერთების მაგალითების პროცენტულმა რაოდენობამ გადააჭარბა რუსული ანდაზების რაოდენობას. რაც, ჩვენი აზრით, ქართული ენისათვის დამახასიათებელ თვისებად მიგვაჩნია. რუსულ ანდაზებში ჭარბობს სხვადასხვა კავშირიანი შეერთების შემთხვევები, რასაც ქვემოთ განვიხილავთ. უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებათა ნაწილებს შორის ძირითადად დაპირისპირებაა. დანაწევრებისას მივიღებთ ცალკ-ცალკე დამოუკიდებელ მარტივ წინადადებებს და მათ შორის შეიძლება ჩაისვას რომელიმე მაპირისპირებელი კავშირი. მაგალითად: ათასი გიჟი გარბოდა, [მაგრამ-გამოტოვებულია] ყველას თავისი ერჩიაო [სონლ: 4]; გაჭირვება მიჩვენე, [და] გაქცევას გიჩვენებო [სონლ.,:16]; დიდი მაღლი უფალსა, [რომ] მიწა მოუხნავს გუთანსა [სონლ.,:-21]; ზეცას წერო დაფრინავდა,[და] ძირსა თლიდნენ შამფურებსა [სონლ.,:29]; მეზობელს ცუდსა ნუ ეტყვი, [თორემ] შერიგებისას შეგრცხვება [სონლ.,:46]; მოვიდა სეტყვა,[და] დახვდა ქვაო [სონლ.,:48]; მწიფე ცვიოდა,[და] მკვახეს ესროდნენ [სონლ.,: 50]; ნუ დაენდობი სოფელსა,[იმიტომ რომ]

სოფელი ჭრელი გველია [სონდ.,: 51]; წყალზე გასდე ხიდიო,[და] მოისხი მაღლი დიდიო [სონდ.,: 83]; არაკუნე კედელი, [და] დაარიგე რეგენი [ნაკ.,: 23]; ბედაურები დაიხოცნენ, [და] ვირებს დარჩათ მოედანიო [ნაკ.,: 31]; თამაშობა ხერხით უნდა, [თორემ] დათვმაც იცის ძუნძულიო [სახ.,: 87]; გონიერი კაცი ქვეყანას ამშვენებს, [ხოლო] უგუნური ქვეყანას ამძიმებსო [სახ.,: 47]

ბ) რთული ქვეწყობილი წინადადებით გადმოცემული ანდაზები

კვაჭაძის განმარტებით, „მთავარი წინადადება, რომელშიც არ არის ქვემდებარე, ან ასეთად ჩვენებითი ნაცვალსახელია, უახლოვდება ქვენდებარეგაუჩინარებულ წინადადებას“ [კვაჭაძე,1988:348]. „ვინც“ მიმართებითი ნაცვალსახელი მთავარ წინადადებაში ქვემდებარის როლს ასრულებს, ხოლო მეორე, დამოკიდებულ წინადადებაში ჩვენებითი ნაცვალსახელი „ის“ გვაგულისხმებინებს ქვემდებარის, ადამიანის, არსებობას. ზმნა დროის და მოქმედების ერთდროულობას გამოხატავს. ვისაც გული არა სტკივა, იმას ცრემლი არა სცვივაო [სახ.: 78]. ასევეა შემდეგ ანდაზაშიც. ჩვენებითი ნაცვალსახელი დატივურ ბრუნვაშია. თუ მღვდელი მწყალობს, დიაკვანი ვერას დამაკლებსო [სახ.: 91] - რთული ქვეწყობილი წინადადებაა, კავშირი -თუ- მაქვემდებარებელი კავშირი პირველ, დამოკიდებულ წინადადებაში, პირველ ადგილზეა. ეს წინადადება შეიძლება ასეთი ფორმითაც ყოფილიყო „დიაკვანი რას დამაკლებს, თუ კი მღვდელი მწყალობს“. მაგრამ, მოცემული ფორმა განპირობებულია ანდაზის სტრუქტურის თავისებურებით, რიტმულობის დასაცავად. საბანი როგორც გაგწვდეს, ფეხებიც ისე გაჭიმეო [სახ.: 166] რთული ქვეწყობილი წინადადებით გადმოცემული ანდაზაა. მთავარი და დამოკიდებული წინადადებები ერთმანეთთან დაკავშირებულია წევრ- კავშირებით „როგორც -ისე“, ურემს საცა დააწვება, იქ დაიჭრიალებსო [სახ.: 189]. ნაცვალსახელები საცა-სადაც- იქ ყურადღებას ადგილზე ამახვილებს. „იქ“ კორელატს, ისევე როგორც დამოკიდებულ წინადადებას პოსტპოზიცია უკავია. ჩვეულებრივ სასაუბრო ენაში შეიძლება ყოფილიყო „ურემი იქ დაიჭრიალებს, საცა (სადაც) დააწვება. მაგრამ

ანდაზის უნიკალურობიდან გამომდინარე, მთავარი და დამოკიდებული წინადადებების განსაკუთრებული პოზიცია მის სპეციფიურობაზე მიუთითებს.

ქართული და რუსული ენების აკადემიური გრამატიკებიდან საყოველთაოდ ცნობილია, რომ რთულ ქვეწყობილი წინადადება სინტაქსურად არათანასწორუფლებიანი წინადადებებისაგან შედგება, სადაც ერთი მთავარია, ხოლო დანარჩენი კი დამოკიდებული, ანუ დაქვემდებარებული. დაქვემდებარების საშუალებები მათში სინტაქსური დამოკიდებულების განმსაზღვრელ საშუალებებს წარმოადგენენ. ქართულში - ეს კავშირებია: **რომ, თუ, რათა, თუმცა**; მიმართებითი ნაცვალსახელები: **ვინც, რაც, რომელიც, როგორც, რამდენიც** და მიმართებითი ზმნიზებები: **სადაც, საითკენაც, საიდანაც, როგორც**. რუსულში - **но, однако, или, не то...не то, зато**; დროის აღმნიშვნელი: **как только, после того как, до сих пор пока**; პირობის: **если, ежели**; დათმობითი: **хотя, несмотря на то что**; მიზნის: **для того чтобы, затем чтобы**. მრავალმნიშვნელოვანი კავშირი - **что**, რომელსაც შეუძლია რთულ წინადადებაში მთავარს მიუერთოს დაქვემდებარებული წინადადება განმარტებითი, გარემოებითი და განსაზღვრებითი მნიშვნელობებით, მაგალითად: *Хозяин в доме, что медведь в бору* [Д.,2:87]; ქვეწყობილ წინადადებაში დამაკავშირებელ ფუნქციას ასრულებენ აგრეთვე მაკავშირებელი სიტყვები: **который, какой, кто, что, чей, каков, как, куда, откуда, где**, რომლებიც კავშირებისაგან განსხვავებით მარტო სინტაქსურ ურთიერთობებს კი არ ავლენენ პრედიკატულ ნაწილებს შორის, არამედ დაქვემდებარებულ ნაწილში წინადადების წევრებადაც გვევლინებიან. მაქვემდებარებელი კავშირები ზუსტად ახდენენ წინადადებებს შორის აზრობრივი დამოკიდებულების დიფერენციაციას: **როგორც** დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დაგიროკდები [სონდ.:56]; პატრონმა **როგორც** გითხრას, ვირი ისე დააბიო [სონდ.:54] **Тому** худа не отбить, **кто** привык неправдой жить [Д.,1:121] Худо **тому, кто** добра не дуляет никому [Д.,1:91] **Кто** зла отлучится, **тот** никого не боится [Д.,1:92] **Кто** доброе творит, **того** зло не вредит [Д.,1:92] საყურადღებოა, რომ კავშირები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სალიტერატურო, ოფიციალურ, საყოფაცხოვრებო მეტყველებაში, ანდაზისათვის არაკომფორტულია. როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებში,

ჩამოთვლილი კავშირებიდან მხოლოდ მცირე ნაწილით გადმოცემული ანდაზების მოძიება გახდა შესაძლებელი. რუსულში ჭარბობს ძველ რუსულში გამოყენებადი კავშირები, რაც ისევ და ისევ ანდაზის არქაულობაზე და ხალხურობაზე მეტყველებს, მაგალითად კავშირები: **нежели, кои, кабы, всяк**. ამგვარი მაგალითები მთელი რაოდენობის თითქმის 60% შეადგენს:

Лучше в обиде быть, **нежели** в обидчиках [Д.,1:93]; Лучше самому терпеть, **чем** других обижать [Д.,1:93]; Не **всяк** злодей, **кто** часом лих [Д.,1:95]; Рано пташечка запела, **как бы** кошечка не съела კავშირი **как бы** ლექსიკური სინონიმია კავშირის чтобы не და გამოხატავს შიშს, ღელვას, შფოთვას, აგრეთვე თვალის დაჭერას, თვალის მიდევნების სემანტიკურ მნიშვნელობას. Не выросла та яблонька, **чтоб** её черви не точили [Д.,1:54] Нет такого дерева, **чтоб** на него птица не садилась [Д.,1:54]; ამ ანდაზებში კავშირი **чтоб** სუბიექტურ დაუშვებლობას გადმოსცემს, იგულისხმება, რომ რაღაც შეუძლებელია რომ არ იყოს, არ შეიძლება რომ არ იყოს. მოძველებული კავშირები **коли, кабы** პირობითობას გამოხატავენ თანამედროვე რუსულის შესატყვისი если, если бы კავშირების მნიშვნელობით Не голодна коровка, **коли** в стрехе соломка [Д.,1:74]; Весело гулять, **коли** нечего загонять [Д.,1:199] (იხ. დანართი №22).

დამოკიდებული წინადადების მთავარისადმი დაქვემდებარების ძირითადი საშუალება საგანგებო სიტყვებია:

ა) მაქვემდებარებელი: **რომ, თუ, რათა, თუმცა**. მაქვემდებარებელი კავშირები მხოლოდ დამოკიდებული წინადადების გადაბმის, მისი მთავარისადმი დაქვემდებარების საშუალებაა, ის წინადადების წევრს არ წარმოადგენს.

მაგ: დაღვრილი ვერცხლი **ისე** არ აიკრიფება, **რომ** ცოტა მაინც არ მოაკლდეს [ნაკ., 19] ანდაზები კავშირებით: **თუ, რათა, თუმცა** არ მოიძებნა.

ბ) მიმართებითი ნაცვალსახელები (**ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც**) მიმართებითი სიტყვა არა მარტო დაქვემდებარების საშუალებაა, არამედ ერთ-ერთი წევრიც დამოკიდებული წინადადებისა: განა **ის** ყველა კაცია, **ვისაც** შარვალი აცვია [სონდ.: 15]. მაქვემდებარებელი კავშირი და მიმართებითი სიტყვა მეტწილად იწყებს

დამოკიდებულ წინადადებას: ბოროტია ისიც, ვინც თავის თავისთვისა არის კეთილი [ნაკ.,: 6]

ვ) მიმართებითი ზმნიზედები: (სადაც საითკენაც, საიდანაც, როგორც,) ანუ საკორელაციო სიტყვები ამა თუ იმ წევრადაც შედიან წინადადებაში. ისეთი რომ, ისე რომ, იმიტომ რომ, ისეთი როგორიც, სადაც იქ, მაშინ როცა, მაგ: ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო [ნაკ.: 17] ბალს ქერქი მაშინ გააძვრე, როცა გაეცლებაო [სონდ.: 11]

დაკავშირება რთულ ქვეწყობილში ორგვრია:

1) ცალმხრივი, როცა მთავარ წინადადებაში საკორელაციო სიტყვა არ მოიპოვება: პურს ბევრნი მპირდებიან, მაგრამ არავინ მაჭმევსო [სახ.: 156];

2) ორმხრივი, როცა მთავარში ასეთი სიტყვაა: იმიტომ არის ვეშაპი წყალში, რომ თევზი ფხიზლობდესო [სახ.: 97].

ქართულში დამოკიდებული წინადადების მთავარისადმი თანამიმდევრობა სამგვარია :

ა) დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს: მწევარს რომ ყურები მოსჭრა, მწყემსის ძალად არ გადაიქცევაო [ნაკ.: 14] **სანამ** ჭკვიანი დაფიქრდებოდეს, უჭკუომ მთები გადავლოო [სონდ.:169]; **ვინამ** ხმალი მოვიდოდეს, ენამ თავი მოსჭრაო [სონდ.: 26]

ბ) დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს: **რა** ჯილაც მშობლებს დაადგი, იმ ჯილას შვილი დაგადგამსო [სონდ.:55]; **რაც** გეზარებოდეს, ის გემნელებოდეს [სონდ.:55]; ჭიას **რომ** ფეხს დაადგამენ, ისიც ხმას ამოიღებსო [სონდ.:84].

გ) დამოკიდებული წინადადება მთავარში - ასეთი მაგალითები არ მოიძებნა.

რუსულშიც დამოკიდებული წინადადების მთავარისადმი თანამიმდევრობა სამგვარია, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ ამგვარი თანამიმდევრობის მაგალითი დადასტურდა: დამოკიდებული ნაწილი შეიძლება იდგეს მთავარის შემდეგ, მთავარს ავრცობს და მიუთითებს მიზეზზე, დროზე, მიზანზე, ან სხვა გარემოებებზე, რაზედაც ლაპარაკია მთავარში: **Что** жена не любит, **того** мужу век не едать [Д.,1:292]

Кто хочет мало знать, **тому** надо мало спать [Д.,1:329]; **Кто к чему** родится, **тот к тому** и пригодится [Д.,1:334]

ქვემდებარული: განა ის ყველა კაცია, ვისაც შარვალი აცვია [სონდ.:15]; ვინც თაფლში ხელს ჩაჰყოფს, ხელსაც ის გაილოკავს [სონდ.:27];

Тот мудрѣн, у кого карман ядрѣн [Д.,1:58]; Кто живѣт в добре, тот ходит в серебре [Д.,1:59];

დროის გარემოების: სანამ პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძვრესო [სონდ.:59]; ბალს ქერქი მაშინ გააძვრე, როცა გაეცლებათ [სონდ.:11]; ურემი რომ გადაბრუნდევა, გზა მაშინ გამოჩნდებოდა [სონდ.:65]; სანამ თონე ხურს, პური მანამდე ჩააკარო [სონდ.:29]; სანამ ჭკვიანი დაფიქრდებოდეს, უჭკუომ მთები გადავლოო [სონდ.:169]; ვინამ ხმალი მოვიდოდეს, ენამ თავი მოსჭრაო [სონდ.:26]; ამგვარი ტიპის წინადადებებით გადმოცემული ანდაზები რუსულში არ დადასტურდა.

ადგილის გარემოების: სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენისო [სონდ.: 59]; საიდანაც დიდი მოვა, იქიდან პატარაც ამოეტევას [ნაკ.: 15]; სადაც უნდა წავიდეს ჭკვიანი, არსად არ გაღარიბდებო [ნაკ.: 15]; სადაც არ ვარგა ჭკუას, იქ მოთმინება უნდაო [სახ.: 166]; საიდანაც არ ელი კურდღელი იქიდან გამოხტებო [სახ.: 15]

კაცი იმ ტოტსა ჭრიდა, რომელზედაც ფეხი ედგასო [სახ.: 106]; ვაჟკაცი საცა შერცხვება, მისი სამარეც იქ არის [სონდ.: 25]- ამ ტიპის წინადადებებით გადმოცემული ანდაზები რუსულში არ დადასტურდა.

მიზეზ-შედეგობრიობის: ორივე ენაში ფართოდ გამოიყენება მიზეზ-შედეგობრიობის აღმნიშვნელი დამოკიდებული წინადადებებით გადმოცემული ანდაზები. ეს განპირობებულია ისევ და ისევ ანდაზის დამრიგებლური, გამაფრთხილებელი კონოტაციით: სანამ თონე ხურს, პური მანამდე ჩააკარო [სონდ.:29]; ვინც მოითმენს, ის მოიგებსო [ნაკ.:45]; Лучше самому терпеть, чем других обижать [Д.,1:93]; Коли вожжи порвались за хвост не управишь [Д.,2:123]; Живи смирнее, так всем будешь милее [Д.,1:197]; Лучше с убытком торговать, нежели воровать [Д.,1:121]; Живут же люди неправдой, так и нам не лопнуть стать [Д.,1:121].

როდესაც მეძებარი დაუძღვრდება, კურდღელი თავისუფლად დაიწყებს ბოსტანში სიარულსო [სონდ.,:56]; ენა კბილებთან ახლო იმიტომ არის, რომ როდესაც სისულელე უნდა თქვას, კბილებმა მიძებგვონო [სონდ.,:61]; იმიტომ არის ვეშაპი წყალში, რომ თევზი ფხიზლობდესო [სახ.,: 97]; თუ ბავშვმა არ შემოგტირა, კვერს ნუ დაუკრავო [სონდ.,:33]; თუ სარკე არა გაქვს, წყალში ჩაიხედო [სონდ.,:34]; პირობითობის ინტონაცია აკავშირებს პრედიკატულ ნაწილებს და მათ შორის პირობითობის დამოკიდებულებას გამოხატავს. თუ წყალი არ მოგყვს, წყალს შენ მიჰყევო [სონდ.,: 35].

განსაზღვრებითი: **Каково** в лесу кликнется, **таково** и откликнется [Д.,1:180]; **Какого** гостя позовёшь, с **таким** и побеседуешь [Д.,1:181].

კაცი რამდენსაც თავს უზამს, იმდენს მტერი ვერ უზამსო [სახ.: 106]; ლარი რამდენი გაიჭიმება, იმდენი მალე გაწყდებაო [სახოკია:120]; ზღვა ისე არ დაშრება, გუბის ტოლა არ დარჩესო [სონდ.,: 30]; კაცმა ისეთი მართალი უნდა თქვს, რომ ცოტა მართალს მაინც ჰგავდესო [სონდ.,: 41]; რომელ ქვეყანაშიც შეხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო [სონდ.,: 57] (იხ. დანართი № 23).

§ 8. ატრიბუტული და პრედიკატული ფორმები ანდაზაში

საყურადღებოა რუსულისათვის დამახასიათებელი შემთხვევა, რაც ქართულ ენას არ გააჩნია. ეს ეხება ვითარებით (качественные прилагательные) ზედსართავ სახელებს, რომლებსაც გააჩნიათ არა მარტო ატრიბუტული (სრული) ფორმა умный, умная, умное, умные, არამედ პრედიკატული (მოკლე), რომლებიც გადმოსცემენ საგნის სხვადასხვა კოგნიტურ და ექსპრესიულ თვისებებს: – умён, умна, умно, умны. რუსულ აკადემიურ გრამატიკაში ცნობილია, რომ ზედსართავი პრედიკატების

„მოკლე“ ფორმების გამოყენება თანამედროვე რუსულში მისი სიძველით და არქაულობით განისაზღვრება. დავაკვირდეთ რუსული ენის პრედიკატული და ატრიბუტული ფორმების თავისებურებების გამოვლენას ანდაზაში და შედარების გზით დავადგინოთ, რა სახით ხდება თარგმანში მათი მოდიფიცირება.

ვ. ივანოვი [Иванов,1963] აღნიშნავს, რომ ძველრუსულ ენაში არსებობდა მოკლე(პრედიკატული) ზედსართავის სამი კატეგორია: ვითარებითი ზედსართავი (качественные), მიმართებითი (относительные) და კუთვნილებითი (притяжательные). ყველა მათგანს გააჩნდა სქესი, რიცხვი და იბრუნვოდა როგორც მამრობითი და საშუალო სქესის არსებითი სახელი ძველ «ი»-ზე დაბოლოვებული რბილი და მაგარი ფუძით და როგორც მდედრობითი სქესის ძველ «ა»-ზე ორივე სახესხვაობის ფუძეზე დაბოლოვებული. იქვე მიუთითებს, რომ მოკლე ზედსართავების მიერ ფორმების დაკარგვა ხდებოდა თანდათანობით.

პ. ჩერნიხი მიუთითებს, რომ „დროთა განმავლობაში მოკლე ზედსართავებმა, როგორც განსაზღვრებებმა, დაკარგეს თავისი ფუნქცია და შესაბამისი სრული ზედსართავებით იქნენ ჩანაცვლებული. ამიტომაც დაკარგეს ბრუნება. მოკლე ვითარებითი ზედსართავი ენაში მაინც შენარჩუნდა, ოღონდ არა განსაზღვრების ფუნქციით, არამედ როგორც ზმნა (ან შედგენილი ზმნის პრედიკატული წევრი), შეთანხმებული ქვემდებარესთან [П. Черных,1954:190]“. ამიტომ მათ ახლა აქვთ მხოლოდ სახელობითი ბრუნვის, მხოლობითი რიცხვის ფორმა და იცვლებიან სქესის მიხედვით, მრავლობით რიცხვში ამგვარი ცვალებადობა არ გააჩნიათ. როგორც პ. ჩერნიხიც აღნიშნავს, ცნობილია, რომ იქ, სადაც, საეკლესიო - სლავიანური სიტყვები თავისებურ სტილისტურ დატვირთვას აძლევდნენ პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს, მოკლე ფორმა XVIII საუკუნის შუა წლებში ჯერ კიდევ იყო შენარჩუნებული. მისი მაგალითის მიხედვით, ლომონოსოვის „ხატინის აღებისადმი მიძღვნილ ოდაში“, [«Ода на взятие Хотина» (1739)] ვკითხულობთ: «героев **весел** слышу клик» და ა. შ.

ზედსართავის პრედიკატული ფორმა თანამედროვე რუსულში ძირითადად ატარებს მწიგნობრულ ხასიათს და უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსულ ანდაზებში ფართოდაა გამოყენებული, ისევე, როგორც, ატრიბუტული/ნეიტრალური ფორმა.

ატრიბუტული ფორმის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მუდმივი, პირობითი და დროებითი თვისება, პრედიკატულს - შეზღუდული სახით - დროის ან მდგომარეობის თვისობრიობა და ყოველთვის სახელობით ბრუნვაში ფუნქციონირებს. მაგალითად Наша квашня ни густа, ни пуста [Даль, 2:73] (Квашня მდ. 1.ვარცლი, გობი). густа, пуста - პრედიკატული ფორმა, - ატრიბუტული - густой, густая, густое, густые; пустой, пустая, пустое, пустые;

რუსულ ლინგვისტურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ მოკლე ზედსართავი სახელები ამჟამად თუ მხოლოდ პრედიკატის, ანუ შედგენილი ზმნის სახელურ ნაწილის ფუნქციას ასრულებენ, ძველ რუსულ ენაში, პრედიკატიც იყო და განსაზღვრებაც და როგორც ვ. ივანოვი განმარტავს: „ ზედსართავის ფუნქციის არსებობის შემთხვევაში მოკლე ფორმა ეთანხმებოდა არსებით სახელს სქესში, რიცხვში, ბრუნვაში. იბრუნვოდა არსებითი სახელების стол, стена, окно-ს მსგავსად [Иванов,1963:338]“. „მოკლე ფორმის ძველი რუსული ზედსართავი სახელები იბრუნვოდა როგორც I და II ტიპის ბრუნების არსებითი სახლები მამრობით სქესში: новъ როგორც рабъ; მდედრ, სქ. нова როგორც жена,; სამ.სქ. ново როგორც село“ [Павлович,1967:105]. რუსული ენის ისტორიიდან ცნობილია, რომ დაკარგა, რა პრედიკატულმა ფორმამ ზედსართავის ფუნქცია, თავისთავად დაკარგა ბრუნებაც. თუმცა, შემორჩენილია ყოფილი ბრუნვის ნიშნები რამდენიმე გარემოების მნიშვნელობით ფუნქციონირებულ მყარ შესიტყვებაში მაგალითად: по белу свету (белому), от мала (малого) до велика (великого), на босу (босую) ногу, განსაზღვრების ფუნქციით: сыр бор (разгарелся), აგრეთვე ზოგიერთი ბრუნვის ფორმები შემორჩა ზმნიზედებში издавна, смолоду, справа, досуха, понапрасну, попусту, вскоре, наготове [Гвоздев А.,1958:212], мал мала меньше (ნათ ბრ., მხოლ.რ.,მამრ.სქესი), досыта, подобро- поздорову (მიც. ბრ., მხოლ. რ., მამრ. სქესი); вчерне (თანდებულთან ბრ., მხოლ. რ.), надолго (ბრალდ. ბრ. მხოლ.რ., სამ.სქესი) [Павлович, 1967:104]. ვ.

გორშკოვას [Горшкова, Хабургаев, 1981] განმარტებით პოეტურ ენაში ხშირად გვხვდება არა სახელური, არამედ ეგრეთწოდებული შეკვეცილი (усечённые) ფორმები, ხელოვნური წარმონაქმნები სახელობით და ბრალდებით ბრუნვაში სხვადასხვა სქესში და რიცხვში, სტილიზირებული, როგორც სახელური ფორმები და მიანიშნებს ამაღლებულ სტილს: « Пред ними **мр[а]чна** степь лежит»(Пушкин А.); «Душа моя **мрачн[а]**» (Лермонтов М.)» (განსხვავება მახვილებშია).

საყოველთაოდ ცნობილია რუსული ენის ლინგვისტურ ლიტერატურაში, რომ ატრიბუტივის სრული ფორმა წარმოიშვა მოკლე ფორმიდან. ვითარებითი ზედსართავი სახელების ატრიბუტული ფორმისათვის დამახასიათებელია პირობით, მუდმივი, ან განუსაზღვრელი დროის თვისება: მაგ. он пьяный; პრედიკატული ფორმა კონკრეტული დროებითი თვისების ან მდგომარეობის მიმანიშნებელია, он пьян - გადმოცემულია მდგომარეობა ახლანდელ დროში.

მაგალითისათვის მოვიყვანთ ანდაზებს: Была бы мука да сито и сама я была **сыта** [Д.,2:84] V/P prt [N(nom)] cop [N(nom)] cop N(nom) cop Pron(Refl) Pron(Pers) V/P adj(praed); Сытый – (-ая,-ое)- ატრიბუტული (სრული) ფორმაა, ხოლო **сыта**(сыт,сыто)- პრედიკატული (მოკლე).

გლოსირების ასახვა მორფოლოგიურ დონეზე ანდაზებში ასე მოხდება: ყველა სიტყვაფორმას მიემართება მეტყველების ნაწილების აღმნიშვნელი თეგი, რაც უფრო ნათლად წარმოაჩენს წინადადების სტრუქტურულ სახეს: Пьяный да умный – человек **думный** [Д.,1:223]; [adj] cop [adj] – N(nom) [adj];

Пьяный, умный, думный- ატრიბუტული ფორმებია. **Пьян да умён** – два угодя в нём, **пьян да глуп**, так больше бьют [Д.,2:243];

{Adj(Praed)} cop {Adj(Praed)} – quant N(gen) POST Pron(Dem), {Adj(Praed)} cop [Adj(Praed)],prt (მოდალური) Adj V/P

Молодой **зелен**, старый **сед**, а середовой в масть [Д.,2:9];

Adj {Adj(Praed)}, Adj {Adj(Praed)},cop adj POST N(nom) (იხ. დანართი № 24)

Пьян, умён, глуп, густа, пуста, зелен, сед, скорбен, тѣсан, брошен, Кругла, пухла, бела, румяна, хороши, черен, задорен; бел, смел, кривоног, прям, хорош, гож, красна - **პრედიკატული ფორმებია**, რომელთაც ისევე როგორც ატრიბუტულ ფორმებს აქვთ რიცხვის, (хороши-მრ.რიცხვი), სქესის (Пьян, умён, глуп, скорбен, тѣсан, брошен, черен, задорен; бел, смел, кривоног, прям, хорош, гож - მამრობითი სქესი, მხოლოდობითი რიცხვი; густа, пуста, кругла, пухла, бела, румяна, красна - მდედრობითი სქესი, მხოლოდობითი რიცხვი). მაგრამ დაკარგული აქვთ ბრუნვების მიხედვით ცვალებადობა და, როგორც წესი, ზმნის ფუნქციას ასრულებენ წინადადებაში. თუ ნაცვალსახელი «вы» ერთ პირს აღნიშნავს, ატრიბუტული ზედსართავი მხოლოდობით რიცხვშია, პრედიკატული - მრავლობითში: Вы пьяный – Вы пьяны; Вы очень умный – Вы очень умны; Вы глупый – Вы глупы და ა.შ.

ქართულში ზედსართავს, როგორც წესი, არსებითთან შეთანხმებისას რიცხვი არ გააჩნია, მაგრამ, მაგ.: ლამაზი ბავშვები, წითელი ბუშტები, თუ იგი არსებითი სახელის ფუნქციას შეითავსებს, ანუ სუბსტანტივირებულია, მაშინ მიიღებს მრავლობითი რიცხვის ფორმას: ლამაზები, წითლები და ა.შ. ძველ ქართულში „ენ“-იანი მრავლობითის ფორმით: ბოროტნი, დიდნი, ლამაზნი, წითელნი. აღსანიშნავია პრედიკატული ფორმის განსაკუთრებული თვისება მახვილთან მიმართებაში. თუ იგი რამდენიმე მარცვლისაგანაა შედგენილი, ატრიბუტული ფორმის მსგავსად, მახვილი ადგილს არ იცვლის, მაგ: задорный – задорен (მახვილი ორივე შემთხვევაში «ი» ხმოვანზე მოდის; румяный – румяна (მახვილი «я»-ზე) хороший- хорош (მახვილი II «ო»-ზე; кривоногий – кривоног (მახვილი II «ი»-ზე); брошенный – брошен («ი»); смелый – смел («ე»); მამრობით სქესის ფორმაში, მორფემის არქონის დროს, მახვილი ფუძეზე ხვდება, სხვა შემთხვევებში თვით მორფემაზე, მაგალითად: умён,(умна,умно, умны)- пригож, (пригожа, пригожо, пригожи) (მოხდენილი, სანდომიანი) хорош,(хороша, хороши) румян (румяна, румяно, румяны); бел (бела, бело,белы); брошен (брошена,брошено, брошены);

ქართულ ენაზე რუსული პრედიკატული ფორმები შემდეგი სახით ითარგმნება: Пьян,-მთვრალია, умён,-ჭკვიანია, глуп,-სულელია густа-მჭიდროა/სქელია, пуста-

ცარიელია, зелен-მწვანეა (აქ ახალგაზრდაა, უმწიფარია) сед-ჭადარაა, скорбен-მწუხარეა/მჭმუნვარეა, /ნადვლიანია: тёсан-თლილია ბროшен-მიტოვებულია, круглამრგვალია, пухла-ფუჭულაა, бела-თეთრია, румяна-ლოყებლაჟდაჟაა, хороша-კარგია, красна (აქ ლამაზია); черен-შავია, задорен ფიცხია /მგზნებარეა/გულსწრაფია/-თამამია/ლალა; смел-მამაცია, кривоног - ფეხმრუდეა, прям-სწორია, гож-მოხდენილია/ლამაზია/სანდომიანია:, რუსული პრედიკატული ფორმები ქართულ ენაზე ზედსართავის ფორმით გადმოიცემა. მაგრამ სიტყვა-სიტყვით თარგმანში ზოგ შემთხვევაში მივიღებთ: Была бы мука да сито и сама я была **сыта** [Д.,2:84], „ფქვილი და საცერი თუ მექნება, მამღარიც ვიქნებოდიო“.

ვეთანხმებით ხ. ხატიაშვილს აზრს: „პოეტური ხატოვანება იმდენად მნიშვნელოვანია ანდაზის შინაარსის გადმოცემისას, რომ იგი აუცილებლად უცვლელად უნდა იყოს შენარჩუნებული ნებისმიერი სტრუქტურული და აზრობრივი ტრანსფორმაციის დროს. სხვა ხატი სხვა ანდაზას წარმოშობს, თუნდაც იგი თავისი შინაარსით ახლოს იდგეს ამოსავალ ტექსტთან“ [ხატიაშვილი,2012:91]. რუსული პრედიკატული და ატრიბუტული ფორმები, როგორც ცნობილია, ქართული ენაზე ერთი და იმავე ფორმით ითარგმნება. დაკვირვებამ ცხადყო, რომ სიტყვასიტყვით თარგმანი ხშირ შემთხვევაში ვერ გადმოსცემს ანდაზის ზუსტ სემანტიკურ, კონოტაციურ და დენოტაციურ არსს, იკარგება ექსპრესიულობა და გამომსახველობა. ყოველ ენაში პარემიის სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურება არ იძლევა საშუალებას თარგმანის დროს შეინარჩუნოს მოდალობის სუბიექტურ- შემფასებლური ხარისხი.

§ 9. პოტენციალის ქართულ და რუსულ ანდაზაში

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს პოტენსილისის ფუნქციაზე დაკვირვება ანდაზებით გადმოცემულ წინადადებაში. ახდენს თუ არა იგი გავლენას განზოგადებულობის გამოხატვაზე. რა სახითაა შესაძლებელი ქართული ანდაზის პოტენციალისის ფორმების რუსულ ენაზე თარგმანის დროს ზუსტი შესატყვისების

მოძიება ისე, რომ არ დაირღვეს ანდაზის ძირითადი მახასიათებელი: ლაპიდარულობა და შინაარსობრივი გამომსახველობა? რ. შეროზია გამოთქვამს აზრს იმის შესახებ, რომ ქართველურ ენებში ვნებითი გვარის ზმნათა მხოლოდ პრეფიქსულ ფორმებს შეუძლია ორგანულად გამოხატოს პოტენციალისის შინაარსი, სუფიქსიან ვნებითებს კი არა. რადგანაც პოტენციალისის კატეგორიით აღინიშნება სუბიექტის მოქმედება, ფართო მნიშვნელობით საგულისხმოა, რომ არც ანდაზა დარჩებოდა ამ ფორმის გამოყენების გარეშე. „ანდაზა ხშირად მიმართავს ისეთი მორფოლოგიური საშუალებების, ისეთი სინტაქსური ხერხების ხმარებას, რომელთა მეოხებით შეიძლება მოქმედების განზოგადება, საამისოდ იგი არჩევს ზმნის დასმას ისეთ ფორმაში, რომელიც განგრძობილ, განმეორებულ, ჩვეულებრივს მოქმედებას კარგად გადმოსცემს. ამიტომ, ანდაზა ხშირად ხმარობს აწმყოს, მყოფადსა და უწყვეტელ ფორმებს, უპრევებო მასდარს, პოტენციალისის ფორმებს და სხვ.“ [ლეჟავა,1959: 218].

„აწმყოს, მყოფადის და ნამყო წყვეტილის ფორმებით წარმოდგენილ შემასმენელში ხშირად არ იგულისხმება გარკვეული დრო, ვთქვათ, ახლანდელი ან მომავალი, მოქმედებას აქ უფრო ზოგადი ხასიათი აქვს“ [ლეჟავა,1959:218].

რ. შეროზია ნაშრომში „პოტენციალისის კატეგორია და მასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართველურ ენებში“ [შეროზია, 1980:119] აღნიშნავს, რომ „პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენათაგან მეგრულშია მკვეთრად გამოხატული. მეგრულში ზმნის სპეციალური ფორმით აღინიშნება მოქმედების შესაძლებლობა“. აქვე მიუთითებს, რომ ეს მოვლენა პირველად ი.ყიფშიძეს აღუწერია „მეგრული ენის გრამატიკაში“ [ყიფშიძე,1914:70]. ამ საკითხით იყვნენ დაინტერესებული არნ.ჩიქობავა „პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში“, ა.შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“. არნოლდ ჩიქობავა წერს: „სვანურისათვის პოტენციალისის კატეგორია ისევე რეალურია, როგორც ქართულისათვის და იგი სვანურში იმგვარივე საშუალებით გადმოიცემა, როგორც ქართულში“ [ჩიქობავა, 1937:37]. პოტენციალისის კატეგორია და მასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართველურ ენებში აღწერილი აქვთ ბ.ჯორბენაძეს

[1980]-[1983:106], ნ.მარს - [1925:136]; როგავას - [1942]; დ.მელიქიშვილს - [2001]; ნოზაძეს - [2005]; გ.გოგოლაშვილს[2011].

ო. ჟოლობოვი კვლევის შედეგად ასკვნის, რომ ლინგვოტექსტუალური ანალიზების პარალელებზე დაყრდნობით, შესაძლებელია, გამოვლინდეს ზოგიერთი მოვლენა, რომლებიც სხვა მეცნიერული ინსტრუმენტარიების გამოყენებისას შეიძლება დაფარული იყოს. ასე, მაგალითად, მითითებული ანალიზით ძველსლავიანური კრებულების კორპუსში გამოვლინდა პოტენციალისის კატეგორია. მეცნიერის აზრით, „კვლევები იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ძველსლავიანურმა ნულოვანმა სიტყვათაფორმებმა მემკვიდრეობით მიიღო **პოტენციალისის** ინდოევროპული კატეგორია, რომელიც ისტორიულად აქტუალიზირდა ირიბ კილოებში - ინდიკატივსა და კონიუქტივში“ [Жилюнов, 2013 :30]. მაგალითად, გერმანულ ენაში, **კონიუქტივის** ფორმას დროსთან ერთად, მოდალური მნიშვნელობები გადმოსცემენ. აბსოლუტური დროის მნიშვნელობის გადმოსაცემად კონიუქტივის ფორმა ატარებს აგრეთვე სურვილის და შესაძლებლობის მარკირებულ მნიშვნელობებს (შესაბამისად **ოპტატივის** და **პოტენციალისის** ფორმით), ასე რომ მათ მიერ სამეტყველო აქტის მომენტში, აღნიშნული არარსებული ამბავი, მოჩვენებითია (ვითომითია,- [რუსულ ქართული ლექსიკონი 1959]) ap/library/drugoe/2014/02/14/upotreblenie-konyunktiva-v-nemetskom-predlozhi: Матагаева Ирина «Употребление конъюнктива в немецком предложении».

Optativus — ანუ ნატვრითი გვარი, როგორც მოსაუბრის სურვილის გადმომცემი (მეტ-ნაკლებად დაჟინებით), ჩვეულებისამებრ, არსებობდა ინდოევროპულ წინარე ენაში; მისგან გადმოვიდა გვიანდელ ენებში, რომლებშიც თანდათანობით გაქრა და მხოლოდ ზოგიერთ მათგანში დატოვა უკვე რამდენადმე მნიშვნელობაშეცვლილი უმნიშვნელო კვალი [Брокгауз-Ефрон, 1890:1907].

„თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ მიხედვით, ვნებითი გვარის ფორმალური მაჩვენებლები, პრეფიქსული ი-/ე-, სუფიქსური -დ მოდალური მნიშვნელობის სხვადასხვა ნიუანსების გადმოცემასაც ითავსებენ. ეს ნიუანსებია პოტენცია-

ლისის, მიჩნევის, გუნება-განწყობის, უნებურობის და ზოგი სხვაც [გოგოლაშვილი, 2011:604].

ზოგადად, ცნობილია, რომ პოტენციალისი გამოიხატება ინიანი და ენიანი ვნებითებით და როგორც რ. შეროზიაც ადასტურებს „სხვა სახის ვნებითებს პოტენციალისის გადმოცემა არ შეუძლიათ“ [შეროზია, 1980:121]. ი და ე- არის მიმართებითი ვნებითის ნიშანი, რომელიც შესაძლებლობის კატეგორიასაც აწარმოებს - **პოტენციალისია** (იჭმება, ისმება, ე-თქ-მ-ი-ს (შეუძლია თქვას), ე-კადრ-ებ-ი-ს. „პოტენციალისი გვევლინება რა მარტო წართქმითი, არამედ უკუთქმითი სახითაც: „თევზი წყალში არ დაფასდება“ (არა დღეს, არა ხვალ, არამედ საერთოდ)[ლეჟავა,220]. პოტენციალისი საკმაოდ ხშირად გამოიყენება ანდაზებში როგორც ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების, „ცალი ხელით ტაში არ დაიკვრებაო“, ასევე, ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების გამოყენებით: „ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო“.

ინიანი ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნიანი ანდაზების მაგალითები: მარტო ცხენი ძლიერ **გაჭენდებაო** [სახ.: 121]-**წართქმითი**; ადამიანი უენო საქონელზედაც ადვილად **ირყვნებაო**. [სახ.: 12]-**წართქმითი**; კანონმა იკანონოსი, ნდობამ კი **იბატონოსო** [სახ.: 101]-**წართქმითი**; უბედურ კაცს ქვა აღმართში **მოეწევაო** [სახ.: 184]-**წართქმითი**; ეკლისა წვერი ლოდზე **არ დაირჭობაო** [სახ.: 60]-**უკუთქმითი**; ლხინი გაუჭირვებლად **არ ინახვებაო** [სახ.: 118]-**უკუთქმითი**; მახათზე მჯილი **არ დაიკვრისო** [სახ.: 123]-**უკუთქმითი**; მბამავს მბამავი **არ დაელევაო** [სახოკია:123]-**უკუთქმითი**; სისხლი სისხლით **არ მოიბანება** [სახოკია:175]-**უკუთქმითი**; სტუმარი ძაღლიც **არ გაიგდებაო** [სახოკია:178]-**უკუთქმითი**; სწავლა კაცს სიბერემდე **არ მოსჭარბდებაო** [სახოკია:179]-**უკუთქმითი**; ცალი მხრით ხე თავის დღეში **ვერ მოიჭრებაო** [სახოკია:225]-**უკუთქმითი**; სისხლი სისხლით **არ მოიბანება** [სახოკია:175]-**უკუთქმითი**; ცალი მხრით ხე თავის დღეში **ვერ მოიჭრებაო** [სახ.: 225]-**უკუთქმითი**; ცეცხლი თივაში **არ დაიმალებაო** [სახ.: 226]-**უკუთქმითი**.

ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნიანი ანდაზების მაგალითები: აგორებულ ქვას ხავსი **არ მოეკიდებაო** [სახ.: 11]; ენას კლიტე **არ დაედებაო** [სახ.: 61]; ერთი ჭკუა რეგვენსაც **დაეჯერებაო** [სახ.: 65]; ზღვაც **დაილეოდა**, წვიმის წყალი რომ **არ ერეოდესო** [სახ.: 84];

თოვლმა ყინული იმოწმავ [სახ.: 89]; მბაძავს მბაძავი არ დაეღევავო [სახ.: 123]; სისხლი სისხლით არ მოიბანება [სახ.: 175]; სტუმარი ძალიც არ გაიგდებავო [სახ.: 178]; სწავლა კაცს სიბერემდე არ მოსჭარბდებავო [სახ.: 179]; უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევავო [სახ.: 184]; შავტუხას შავი კერატი არ დაეღევავო [სახ.: 214]; ხანდაზმულ კაცს სიზმარიც დაეჯერებავო [სახ.: 243] (იხ. დანართი №25).

ლ.ლექავას დაკვირვებით: „ანდაზებში გვხვდება ენიანი ვნებითის უჩვეულო ფორმები. ეცხოზოდა: ოზოლს კვერი ეცხოზოდა, ექებოდე: მექებოდეო, არას მერგებოდეო. „ქართულში არის ფორმები: აქებს, უქებს, იქებს, იქება. მაგრამ ენიანი ვნებითი ამ ძირიდან ჩვეულებრივ არ იწარმოება. ანდაზას კი დაუბრკოლებლად გაუკეთებია ეს ფორმაც: ღირსებოდეს: გეჭირვებოდესო, გელირსებოდესო. „ელირსებოდეს=უღირდეს“. ფორმა ნაწარმოებია „ეჭირვებოდეს“ ფორმის ანალოგიით: ეკონკე, ემოსე, - ზამთარს ეკონკეო (ემოსეო), ზაფხულს ეკობტეო. ეკობტე - ეს ფორმები სალიტერატურო ქართულისათვის არაა ბუნებრივი“ [ლექავა,1959:218].

ცნობილია, რომ ქართულში ვნებითი გვარი გამოხატავს პოტენციალისსაც, ანუ შესაძლებლობას, მოქმედების ხელმისაწვდომობას, უნებურ მოქმედებას: ბავშვი აკვანშივე იცნობავო [სახ.: 11]; ცვარი ცვარსა ჰკარ ზღვად იქცევავო. რამდენს არ იქროლებს, იმდენს არ ითოვებს .

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიოს მრავალ ენაში მოიძებნება ფორმა, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის სურვილს, - ეგრეთ წოდებული ოპტატივი. ოპტატივი გამოხატავს მოსაუბრის სურვილს მკაფიოდ, ღიად; მისი საშუალებით მოსაუბრე აცნობებს, თუ რას ისურვებდა ის, იმისთვის, რომ, ესა თუ ის სიტუაცია განხორციელებულიყო. ასეთი ფორმა არსებობს მრავალ კავკასიურ ენაში, მაგალითად ქართულში- პოტენციალისი; ოპტატივი არის აგრეთვე ძველბერძნულში და სანსკრიტში. რუსულში არ არსებობს ასეთი მნიშვნელობის მქონე სპეციალური კილო, მაგრამ ეს აზრი გამოიხატება კავშირებითი კილოს მეშვეობით (сослагательного наклонения) (Вот бы родилась дочка!) «если бы ты сказал» (что я считаю возможным).

სანსკრიტში **ოპტატივი ანუ პოტენციალის** გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუ რაიმე რეკომენდაციის ან მითითების დროს ხაზგასმული იყო მოქმედების პირობითობა. როგორც აღვნიშნეთ, რუსულ ენაში ეგრეთ წოდებული (желательное наклонение); ნატვრითი კილო (optativus)-უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989), როგორც დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორია არ არსებობს, მაგრამ რუსულ ენას მისი ზუსტი მნიშვნელობის სხვა ფორმით გადმოცემის შესაძლებლობა გააჩნია. წინადადებები **ოპტატივის ანუ პოტენციალისის** გამოყენებით რუსულ ენაზე ითარგმნება გამონათქვამით : «если бы». „ნატვრითი (ნეტამც მე მიყვარდეს), ნატვრითის ნამყო სრული (ნეტამც მე შემეყვაროს), ნატვრითის ნამყო უსრულებს (ნეტამც მე შემეყვარა), ნატვრითის მყოფადი (რომ მე შევიყვარო), კავშირებითის აწყო (მე შევიყვარო)“ [უთურგაიძე, 2002 : 68-69,].

ზოგადად, ცნობილია, რომ რუსული ენის ირეალური კილოებია: კავშირებითი კილო, პირობითი კილო, ნატვრითი კილო. მხოლოდ ეს უკანასკნელი, ანუ ნატვრითი კილო გადმოსცემს ქართული ენის პოტენციალისს. ნაწილაკები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სინტაქსურ ნატვრითი კილოს წარმოქმნაში, განსხვავდებიან თავიანთი ფუნქციების მოცულობით, მაგრამ უნივერსალურობით გამოირჩევა ნაწილაკი «бы». ნატვრითი ბრუნვა იწარმოება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმით : ზმნის კავშირებითი კილოს (-л + бы), ხშირად კი ნაწილაკი бы მოდიფიკაციით: хоть бы, если бы, когда бы, пусть бы, только бы, лишь бы, чтоб, что бы (ყოველთვის მახვილის ქვეშ,სალაპ.), хорошо бы, вот бы, ладно бы (სალაპ.), как бы, не, не... бы, скорей бы (поскорей бы), лучше бы, кабы (მოძველ.); если бы только, когда бы только, пусть бы только, хоть бы только, лишь бы только, скорей бы только, что если бы, хорошо (бы) если бы, хорошо бы чтобы. მაგ: **Только бы** помолодеть, а там, пожалуй, хоть умереть [Д.,1:224];**Твоими бы** устами да мёд пить [Д.,1:38]; **Когда бы** человек вещь был, то **б** не погибал [Д.,1:46]; **Когда бы** всё знал, не погибал [Д.,1:46] **Кабы** знать, где упасть,так соломки бы подстлать [Д.,1:46] **И рад бы** поборол, да сам подсёкся [Д.,1:5]; **Пусть бы** не было муки закрома, не переводился бы только печёный хлеб [Д.,1:67]; **Лишь бы** мерку снять, да задаток взять [Д.,1:121]; **Пусть бы** не любили,

только бы не боялись [Д.,1:169]; **Пошла бы** с горя в монастырь, где много холостых [Д.,1:113]; ამ ნაწილაკების ჯგუფს მიეკუთვნება ფრაზეოლოგიზმი **не мешало бы**, და შეხამება **не вредно бы** (სალაპ.), **не худо бы** (სალაპ.): **Не мешало бы/не вредно бы/не худо бы отдохнуть**. ქართულად: არ მაწყენდა, არ აწყენდა, ურიგო არ იქნებოდა დასვენება. ზოგიერთ შემთხვევებში, სადაც სტრუქტურაში ზმნის უღლებადი ფორმა გვხვდება, ნატვრითი კილო იწარმოება კავშირებითი ფორმის ნაცვლად, ბრძანებითი კილოს ფორმის მსგავსად. ამ დროს ნატვრით მნიშვნელობას ემატება განყენებული იძულება, რომელიც არ გულიხმობს რეალურ შემსრულებელს. Разорви тому живот, кто неправдой живет [Д.,1:91]; **Проси не проси**, всё одно [Д.,2:187]. ესაა სლავიანური ენის ბრძანებითი კილოსგან შემორჩენილი ფორმა: **захоти он**, был бы богат и т. п. [Бругман, "Grundriss der vergleich. Grammatik" (1882, т. II)]. მაგალითები: Нам бы лошадка ружьё везла, а мы бы за ней и пеши шли [Д.,2:12] **везла бы**, რომ ეტარებინა - ვივლიდით. სიტყვასიტყვით თარგმანში ანდაზა ასეთ სახეს მიიღებს: ნეტა ცხენს ჩვენთვის თოფი ეზიდა, ჩვენ ფეხითაც გავყვებოდითო.

Родил бы раз в году, чтоб день за день не бриться [Д.,2:78] **Родил бы- გავაჩენდი**. წელიწადში ერთხელ გაჩენა მირჩევნია ყოველდღე პირის პარსვასო. (წელიწადში ერთხელ გაჩენა მირჩევნია, ოღონდ ყოველ დღე პირი არ გამაპარსვინაო).

Была б мука и сито и сама **б** я была сыта [Д.,2:84] **Была б** ყოფილიყო - ვიქნებოდი. ფქვილი მქონდეს და მაძლრადაც ვიქნებოდიო.

Ахал бы дядя, на себя глядя [Д.,2:108] იხვნეშებდა (იოხრებდა-ოხრვა) ;

Пусть бы (Хоть бы) подрался, да отвязался! [Д.,2: 110] **Пусть бы (Хоть бы)** подрался - ეჩხუბა (ნეტა ეჩხუბა) და отвязался- და თავი დაენებებინა.(შემშვებოდა, დამხსნოდა, თავიდან მომწყდებოდა(სასაუბ);

Была бы честь приложена, а от убытку бог избавил [Д.,2:120] ნეტა საქმისთვის ნამუსი დაყოლებულიყო (სიტყვასიტყვით) (საქმე ნამუსიანად გაკეთებულიყო) და ზარალისგან ღმერთი (დაგიფარავდა, დაიფარავდა, დაგვიფარავდა);

Поднять бы ему губы, да заглянуть в зубы [Д.,2:141] **Поднять бы** აეწიოს (ნეტა) - ტუჩები ამაწევინა, კბილებში ჩამახედვინა.

Чья бы не мычала(рычала), **твоя бы** молчала.(корова,собака) [Д.,2:142] ეღმუვლნა (ეღმუვლნა) - გაჩუმებულიყო(ძროხა, ძაღლი);

Чья бы ревела, **твоя бы** давно околела [Д.,2:154] **Чья бы** ეღრიალა - მომკვდარიყო(ფეხები გაეფშოკა(სასაუბ);

Что б ни попало, **лишь бы** в рот попало [Д.,2:259] რაც გინდა იყოს, პირში კი **ჩამადებინა** (მშიერი ადამიანის ნატვრა) ჩამადებინა(ის მე) გარდამავალი, ორპირიანი ზმნა (რაც გინდა იყოს, საჭმელი კი ერქვას);

Твои бы речи да богу в уши [Д.,1:50] ნეტა ღმერთს **ესმინოს** შენი ნათქვამი (სიტყვა-სიტყვით: შენი სიტყვები ღმერთს ყურებში) ;

Твоими бы губами да мед пить [Д.,1:53] **დამალევინა**. ნეტა შენი ტუჩებით თაფლი დამალევინა (ქართული ეკვივალენტი : ანდაზური თქმა- შენს პირს შაქარი.

Не тебе бы говорить, да не мне бы слушать [Д.,1:158] გელაპარაკა - მოგესმინა. ნეტა შენ არ გელაპარაკა და მე არ მესმინა.

Только бы помолодеть,а там, пожалуй, хоть умереть[Д.,1:224] ნეტა გავახალგაზრდავებულიყავი და მერე თუ გინდა მოვმკვდარიყავი.

С твоей бы рожей, **сидел бы** под рожей[Д.,1:243] ვიჯდებოდი- შენი სიფათი(უხეში სასაუბ.) რომ მქონდეს ჭილობიდან თავს არ გამოვყოფდიო.

Меньше бы говорил, да больше **бы** слушал [Д.,1:317] გელაპარაკა, გესმინა. ნეტა ნაკლები გელაპარაკა და მეტი გესმინა.

ნატვრითი კილოს, ისევე როგორც სხვა ირეალური კილოების (კავშირებითი კილო და პირობითი კილო), საერთო ნიშანია დროის განუსაზღვრელობითი მნიშვნელობა. ეს განუსაზღვრელობა გულისხმობს მოვლენას, რომელიც რეალურად მოხდა, შეიძლება ხდებოდეს ან მოხდება მომავალში [Русская грамматика,1980, § 1922, § 1924, § 1926) პოტენციალისის ფორმები საერთოდ დროის თვალსაზრისით განსაზღვრული არ არის. დაიდება, დაიჭირვება, დაიხვევა, გაითლება, იჭმება... აწმყო-მყოფადის ფორმებია, მაგრამ არა გვაქვს არც აწმყოს, არც მყოფადი დროის გაგება კონკრეტულად, ეს უფრო განყენებული მოქმედების გადმომცემია. განსხვავება ის არის, რომ პოტენციალისს არ გააჩნია დროის კატეგორია და მათი ერთ

კატეგორიაში გაერთიანება გამართლებული არ არის, მიგვაჩნია, რომ ეს, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი ხერხთაგანია თარგმანის განსახორციელებლად.

როგორც ლ. ლეჟავა მიუთითებს, „ფრაზის შემოკლება პოტენციალისით მიიღწევა, რადგანაც ეს ფორმა უფრო ეკონომიურია (ხშირად ორ-სამ სიტყვას ცვლის) და უკეთესადაც გადმოსცემს ზოგად შინაარსს, რაც ანდაზისათვის მეტად ხელსაყრელია. აქვე მოჰყავს მაგალითები: იმის მაგივრად რომ თქვან: ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა ადვილია (ან ადვილად შეიძლება **დაიჭირონ**), ამბობენ: ამღვრეულ წყალში თევზი ადვილად **დაიჭირებაო**. ხანდაზმულ კაცს სიზმარიც შეიძლება **დაუჯერონ** - ითქმის: ხანდაზმულ კაცს სიზმარიც **დაეჯერებაო**“ [ლეჟავა, 1959:225]. ვფიქრობთ, პოტენციალისის გამოყენებით შესაძლებელია, რუსული ანდაზების თარგმნა და პირიქით. ეს ფორმა ოპტიმალური ვარიანტია ანდაზის შინაარსის ზედმიწევნით გადმოსაცემად, იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება მოძებნილი ზუსტი ეკვივალენტი.

ამდენად, ანდაზისათვის მოკლე, ლაკონური, სხარტი წინადადებებია დამახასიათებელი, ქართულ და რუსულ ენებში ანდაზა საკმაოდ აქტიურად გამოიყენებს რთული წინადადების სახეობებსაც: რთულ თანწყობილს, რთულ ქვეწყობილს.

❖ ანდაზის გადმომცემ თანწყობილ წინადადებაში ვერსად შევხვდებით მაპირისპირებელ კავშირებს: **არამედ, ხოლო-ს**, მაიგივებელს: **ანუ, ესე იგი-მაინც, ოღონდ-ს**. „არამედ“ ანდაზისათვის უცხოა და, შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში ჩამწერის ან მთქმელისაგან მომდინარეობდეს. ასევეა რუსულშიც კავშირები: **тоже, также, зато**. ქართულში **მაცალკევებელი** კავშირებიანი ანდაზის მხოლოდ ერთი მაგალითი მოიძებნა **გინდ-გინდ**. **მაპირისპირებელ-მაცალკევებელი** კავშირი **მაგრამ**-ის მაგალითები 10%-ით მეტი აღმოჩნდა. ეს კავშირები მიუთითებენ მოვლენების მონაცვლეობას, ან რამდენიმე მოვლენიდან ერთ-ერთის შესაძლებლობას. **გინდ** რეგვენისათვის გისწავლება, **გინდ** მკვდრისათვის გიწამლება [სონდ.: -45].

- ❖ დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართულ ანდაზაში უკავშირო შეერთების მაგალითების პროცენტულმა რაოდენობამ გადააჭარბა რუსული ანდაზების რაოდენობას. რაც, ჩვენი აზრით, ქართული ენისათვის დამახასიათებელ თვისებად მიგვაჩნია. რუსულ ანდაზებში ჭარბობს სხვადასხვა კავშირიანი შეერთების შემთხვევები. უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებათა ნაწილებს შორის ძირითადად დაპირისპირებაა გამოხატული.
- ❖ საყურადღებოა, რომ კავშირები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სალიტერატურო, ოფიციალურ, საყოფაცხოვრებო მეტყველებაში, ანდაზისათვის არაკომფორტულია. რუსულში ჭარბობს ძველ რუსულში გამოყენებადი კავშირები, რაც ისევ და ისევ ანდაზის არქაულობაზე და ხალხურობაზე მეტყველებს, მაგალითად კავშირები: **нежели, кои, кабы, всяк**. ამგვარი მაგალითები მთელი რაოდენობის თითქმის 60% შეადგენს: *Лучше в обиде быть, нежели в обидчиках [Д.,1:93]; Лучше самому терпеть, чем других обижать [Д.,1:93]; Не всяк злодей, кто часом лих [Д..1:95];*
- ❖ ქართული და რუსული პარემიების შესწავლისას დადასტურდა მარტივ თანწყობილ და შერწყმულ წინადადებებში **სინტაქსური უნივერსალები**.
- ❖ გაირკვა, რომ პროცენტული თანაფარდობა ერთგვარშემასმენლიან ქართულ და რუსულ ანდაზებს შორის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. თავისუფალი მეთოდით შერჩეული ანდაზების სტრუქტურული ანალიზი მოწმობს, რომ ქართულ და რუსულ ორშემასმენლიან ანდაზებში 16 ერთეულიდან პირველი პირის მხოლოდობით რიცხვში - 0 ; მეორე პირის მხოლოდობით რიცხვში 10 ზმნა-შემასმენელი, მესამე პირის მხოლოდობით რიცხვში-18; რუსულის ანდაზის 16 ერთეულიდან პირველი პირის მხოლოდობით რიცხვში - 2; მეორე პირის მხოლოდობით რიცხვში-12, მესამე პირის მხოლოდობით რიცხვში - 13. რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, ორშემასმენლიანი და სამშემასმენლიანის რაოდენობა ორივე ენაში **თანაბარია**. მრავლობითის მესამე პირით გადმოცემული ზმნა-შემასმენელი 2 ერთეულით ნაკლებია ქართული ანდაზის მაგალითებში, (რუსულში -4);

- ❖ ანდაზებში შერწყმული წინადადება მარტივთან შედარებით რაოდენობით მცირეა. მათგან უფრო ხშირია შემასმენლების მიხედვით შერწყმული, შემდეგ მოდის ერთგვარქვემდებარიანი, ერთგვარდამატებიანი შერწყმულები, ხოლო განსაზღვრებითა და გარემოებათა მიხედვით შერწყმული იშვიათია. დადგინდა, რომ ქართულში ერთგვარ შემასმენელთა დასაკავშირებლად აქტიურად გამოიყენება მაჯგუფებელი კავშირი. რაც შეეხება კავშირებს რუსულ ერთგვარშემასმენლიან შერწყმული წინადადებით გადმოცემულ ანდაზებში: აქტიურად გამოიყენება კავშირი «а» «да» «и»-ს მნიშვნელობით;
- ❖ როგორც ქართულ, ასევე რუსულ ანდაზებში არის ნიმუშები, სადაც ქვემდებარე არ ჩანს, მაგრამ იგულისხმება, ხოლო შემასმენელის ახლო მეზობლობაში ექცევა დამატება და გარემოება. ანდაზებში ასეთი შემთხვევების 50% მოიპოვება. მაგალითად: გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებო.(„შენ“)[ნაკ.: 47) Не разводи усок на чужой кусок [Д.,2:102];
- ❖ საყურადღებოა რუსულისათვის დამახასიათებელი შემთხვევა, რაც ქართულ ენას არ აქვს. ეს ეხება ვითარებით (качественные прилагательные) ზედსართავ სახელებს, რომლებსაც გააჩნიათ არა მარტო ატრიბუტული (სრული) ფორმა умный, умная, умное, умные, არამედ პრედიკატული (მოკლე)-умён, умна, умно, რომლებიც გადმოსცემენ საგნის სხვადასხვა კოგნიტურ და ექსპრესიულ თვისებებს. რუსული პრედიკატული და ატრიბუტული ფორმები, როგორც ცნობილია, ქართული ენაზე ერთი და იმავე ფორმით ითარგმნება. დაკვირვებამ ცხადყო, რომ სიტყვასიტყვით თარგმანი ხშირ შემთხვევაში ვერ გადმოსცემს ანდაზის ზუსტ სემანტიკურ, კონოტაციურ და დენოტაციურ არსს, იკარგება ექსპრესიულობა და გამომსახველობა. ყოველ ენაში პარემიის სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურება არ იძლევა საშუალებას თარგმანის დროს შეინარჩუნოს მოდალობის სუბიექტურ-შემფასებლური ხარისხი.
- ❖ დროის გარემოების აღმნიშვნელი ელიფსური წინადადებები რუსულში 1% აღმოჩნდა, ხოლო ქართულ ანდაზებში საერთოდ არ შეგვხვდა. ჩვენი კვლევით

დასტურდება, რომ ელიფსური წინადადებების ის სახეები, რომელიც დამახასიათებელ ნიშნადაა მიღებული რუსულ ენაში, ანდაზებში მათი გამოყენება შეზღუდულია, ან საერთოდ არ იძებნება, მაგალითად ელიფსი თხოვნის გადმოცემის ნიშნით, აქტიური ფიზიკური ზემოქმედების აღნიშვნით, სუბიექტის მოძრაობა სივრცეში და სხვ.

- ❖ სტატისტიკური მონაცემებით, ქართული და რუსული ანდაზა ხშირად იყენებს ელიფსურ წინადადებებს. პროცენტული თანაფარდობის მაჩვენებელი რუსულ ანდაზებში წარმოდგენილია დანართებში [N⁵,N⁶].
- ❖ პოტენსილის ფუნქციაზე დაკვირვების შედეგად პასუხი გაეცა კითხვას: ახდენს თუ არა იგი გავლენას განზოგადებულობის გამოხატვაზე, რა სახითაა შესაძლებელი ქართული ანდაზების პოტენციალის ფორმების რუსულ ენაზე თარგმანის დროს ზუსტი, შესატყვისების მოძიება ისე, რომ არ დაირღვეს ანდაზის ძირითადი მახასიათებელი: ლაპიდარულობა და შინაარსობრივი გამომსახველობა.

თავი III. ანდაზის სემანტიკური მახასიათებლები

§ 1. ანდაზის სემანტიკური კლასიფიკაციისათვის

ქართული და რუსული ანდაზების სემანტიკური კლასიფიკაციის შესასწავლად დავეყრდენით რუსი პარემიოლოგის, გ. პერმიაკოვის ცნობილი კლასიფიკაციის განსაზღვრებას, რომელიც დაწვრილებით აქვს განხილული ნაშრომში «Основы структурной паремииологии [1988]». წიგნის შესავალში, რომლის ავტორიცაა გ. ლ. კაპჩიცი [Капчиц Г.Л.] ვკითხულობთ: „60-იანი წლების ნახევარში გ. ლ. პერმიაკოვმა ჩაიფიქრა აღმოსავლეთის ხალხების ანდაზათა კრებულის გამოცემა. იმისათვის, რომ 72 ტომის ხალხის 7 ათასი გამონათქვამი განელაგებინა, მეცნიერი წააწყდა პრობლემას, რა მეთოდები გამოეყენებინა ამისათვის.“ მეცნიერი დარწმუნდა, რომ უკვე არსებული ალფავიტური, ლექსიკური, მონოგრაფიული, გენეტიკური, თემატიკური კლასიფიკაციები გამოუსადეგარი იქნებოდა. მეცნიერმა დაკვირვების შედეგად დაადგინა, რომ ანდაზები და ანდაზური თქმები სხვა არაფერია, თუ არა საგანთა შორის არსებული განსაკუთრებული სიტუაციების და განსაკუთრებული ურთიერთობების აღმნიშვნელი ნიშნები. აქედან გამომდინარე, მან შეიმუშავა თავისებური ენობრივ ლოგიკო-სემიოტიკური, უნივერსალური კლასიფიკაცია, რომელიც ეყრდნობა სიტუაციურ მოდელირებად ტიპებს. ეს კლასიფიკაცია დაედო საფუძვლად წიგნს „აღმოსავლეთის ხალხების ანდაზები და ანდაზური თქმანი“, რომელიც 1968 წელს გამოიცა.

წიგნის - «Основы структурной паремииологии», პირველ თავში გ. პერმიაკოვი განმარტავს რა, ანდაზური თქმების კლასიფიკაციის და ანდაზების ლოგიკური ტრანსფორმაციის შემთხვევებს, დაწვრილებით მიმოიხილავს პარემიათა კლასიფიკაციის სახეებს. პირველი ანბანური კლასიფიკაციაა, რომელის დროსაც ანდაზები განლაგებულია საწყისი ასოების ალფავიტური თანამიმდევრობით. ავტორი აღწერს ამ მეთოდით განლაგებული კრებულების დადებით მხარეს და

აღნიშნავს, რომ იგი, ერთი მხრივ, მეტად მოსახერხებელია, მაგრამ არაკომფორტულია იმ შემთხვევაში, თუ ეს ანდაზები თარგმნილია სხვა ენებიდან. მაშინ მათი განთავსება ნებისმიერ ასოზე შეიძლება მოხდეს, რაც მთარგმნელზეა დამოკიდებული.

მეორე სახის კლასიფიკაცია ესაა **საყრდენი სიტყვების მიხედვით (ანუ ლექსიკური, ანუ ენციკლოპედიური კლასიფიკაცია)** და როგორც მეცნიერი აღნიშნავს ანდაზა: «Куй железо, пока горячо», შეიძლება მოთავსდეს რკინის- როგორც ლითონის, დამუშავების (მჭედლობის), ცხელი საგნების აღმნიშვნელი ჯგუფებისდა მიხედვით, რაც გამოიწვევს, ერთი მხრივ, ნაცნობი ანდაზის ადვილად მოძიებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ერთი და იმავე ანდაზის რამდენიმე კატეგორიაში მოხვედრას.

კლასიფიკაციის მესამე სახეობა გ. პერმიაკოვის მიხედვით, ესაა **მონოგრაფიული კლასიფიკაცია**, რაც აგებულია ანდაზების დაჯგუფებაზე მისი შეროვების ადგილის, ან დროის მიხედვით. ასეთი სახის კრებულებს მიეკუთვნება „ანდაზები ანდაზური თქმები, გამოცანები XVIII-XX საუკუნეების ხელნაწერ კრებულებში“ გამოცემული 1961 წელს (Пословицы, поговорки, загадки в рукописных сборниках XVIII-XX веков», изд. АН СССР 1961).

გენეტიკური კლასიფიკაცია ანაწილებს მასალას წარმოშობის ნიშნის, ანუ ენების და ხალხების (ვის მიერაც იქნა შეთხზული) მიხედვით. გ.პერმიაკოვი აღნიშნავს, რომ ამ მეთოდითაა შედგენილი გამომცემლობა „აღმოსავლეთის ლიტერატურის“ ანდაზების და ანდაზური თქმების კრებული. ავტორი ამ კლასიფიკაციის მთავარ უარყოფით მხარედ, ლექსიკური კლასიფიკაციის მსგავსად, მიიჩნევს ერთი და იმავე ტექსტის უსასრულოდ გამეორებებს.

რაც შეეხება **თემატურ** კლასიფიკაციას, ესაა ანდაზების განაწილება გამონათქვამთა შინაარსის მიხედვით. ამ სახისაა ვ. დალის ანდაზათა კრებული. მიუხედავად იმისა, რომ თემატური კლასიფიკაცია ანდაზის მოძიების კომფორტული საშუალებაა, აქაც შეიძლება ერთი და იგივე ანდაზა რამდენიმე სხვადასხვა თემატურ ჯგუფში მოხდეს. როგორც გ. პერმიაკოვი აღნიშნავს, არც ეს სისტემა გამოირჩევა სერიოზული ნაკლოვანებების გარეშე. მეცნიერი სვამს კითხვას: „მართლაც და სად შეიძლება მოთავსდეს ანდაზა „მდიდრების სიხარბეზე“, თუ კი კრებულში (და

სისტემაშიც) ცალკეა განყოფილება სიხარბეზე და ცალკე - მდიდრებზე“ ამ რიტორიკური კითხვით ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ ყოველი მკვლევარი და ანდაზათა კრებულების გამომცემელი თავისუფალია თავის არჩევანში, თუ რომელი კლასიფიკაციის მიხედვით დაალაგოს ანდაზები და ანდაზური თქმები. მაგრამ ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ყოველი სახის კლასიფიკაცია სერიოზულ ნაკლოვანებებს შეიცავს.

ვეთანხმებით ამ აზრს, რადგანაც დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ მაგალითად, ანდაზა Разуи (разорви) тому живот, кто неправдой живёт ვ.დალის კრებულში სამ სხვადასხვა თემატურ კატეგორიაში გვხვდება 1) უბედურება-წყენა (горе обиды) [Даль, 1: 116]; 2) კარგი-ცუდი (хорошо-худо) [Даль,1:91]; 3) ლანძღვა-მისალმება (брань-привет) [Даль, 2: 208]. ასეთი შემთხვევები მრავლადაა დალის კრებულში. მაგრამ, აქვე აღვნიშნავთ, რომ კრებულის დადებით თვისებად მიგვაჩნია მეორე ტომის ბოლოს დართული შინაარსის და აზრის მიხედვით მისათითებელი ლექსიკონი, « Указатель по содержанию и смыслу пословиц» (Римская цифра обозначает том, арабская – страницу) Баба----I:273; Бедность----I:57,63; Брань----I:210;II:207; Вера-----I:22,29,35; სადაც ლექსემები დალაგებულია ანბანის მიხედვით, მინიშნებულია ტომი და გვერდი, სადაც შეიძლება მათი შემცველი ანდაზის მოძიება. მართალია, მოცემული სამიებელი უნივერსალურობით არ გამოირჩევა, მაგრამ საგრძნობლად აადვილებს საჭირო ანდაზის მოძიების საქმეს. ასეთივე სამიებელი აქვს დართული ქართული ანდაზების კრებულს თ.სახოკიას ავტორობით [სახოკია, 1967: 251], ანგარიში - 83,234; ბერიკაცი - 26, 33, 43; გუთანი - 46, 47, 82, 99, 115, და ა.შ.

ამ სირთულეების გათვალისწინებით, თავისი წიგნისათვის გ.პერმიაკოვმა „აღმოსავლეთის ხალხების ანდაზები და ანდაზური თქმები. ორას ხალხთა სისტემატიზირებული გამონათქვამების კრებული“ [1979], შეიმუშავა განსაკუთრებული კლასიფიკაციის სახეობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ნაშრომთა კრებულში «Основы структурной паремииологии:1988». როგორც ამ წიგნის წინასიტყვაობის ავტორი გ.ლ.კაპჩიცი [Капчиц Г.Л.] აღნიშნავს, „მასში პერმიაკოვმა ფუნდამენტურად გარდაქმნა კლასიფიკაციური სქემა, გაამდიდრა საგნობრივ-

სახოვანი კლასიფიკაციით (ანდაზებში წარმოდგენილი საგნების ტიპების მიხედვით). ეს კლასიფიკაცია, დამუშავებული საგნობრივ-თემატური ჯგუფების მიხედვით და ადრე შემოტანილი ლოგიკური ტრანსფორმაციის გათვალისწინებით, იძლევა მთელი ანდაზური ფონდის სურათს და ცალკე აღებული გამონათქვამის ამომწურავ დახასიათებას. ამასთანავე, თითოეულ გამონათქვამს მიჩენილი აქვს თავისი მკაცრად განსაზღვრული ადგილი და ფასდება ორ აზრობრივ სივრცეში - ლოგიკო-სემიოტიკურ (ლოგიკური სიტუაციის ნიშნის და მოდელის სახით) და რეალიათა მიხედვით (ტექსტის ხატოვანების გათვალისწინებით)“ კაპიცი გ. აღნიშნავს აგრეთვე, რომ პერმიაკოვის ახალი კლასიფიკაციის იდეა მოწონებულ იქნა ენათმეცნიერთა მიერ, გადათარგმნილი და გამოცემულია სხვადასხვა ევროპულ ენაზე და მისი კვლევების შესახებ დაწერილია მრავალი კვლევა და სტატია.

თვით გ. პერმიაკოვი ანდაზების მიმოხილვისას აღნიშნავს, რომ „გრამატიკული სისრულის ნიშანი კლასიფიკაციისათვის ყოველთვის იყო გადამწყვეტი, ყოველ შემთხვევაში არსებითიც კი, პირველ რიგში ანდაზების და ანდაზური გამონათქვამების განცალკევების დროს“ [Пермяков, 1988: 17]. შემდეგ ავტორი ასაბუთებს თავისეული კლასიფიკაციის მართებულობას და განმარტავს, რომ ლოგიკო-თემატურმა ჯგუფებმა საშუალება მისცა გაეერთიანებინა პარემიები უფრო ფართო კლასებში, რომლებიც მოიცავდა მთელ გამონათქვამებს, დალაგებულს, ერთი ლოგიკური სქემის მიხედვით. შედგა ასეთი კლასების ოთხი ჯგუფი: პირველ მათგანში, როგორც ავტორი აღნიშნავს, გაერთიანა ყველა ტექსტი, ინვარიანტული სტრუქტურული ფორმულით „თუ საგანს აქვს რაიმე თვისება, მაშინ მას აქვს სხვა თვისებაც (უმაღლესი ლოგიკო-სემიოტიკური ინვარიანტი); მაგ: «Хоть денег ни гроша, зато слава хороша»[Даль,2:159]; «Велик звон, да не красен (нехороша слава)» [Даль,2:162]; მეორე ჯგუფი აგებულია ინვარიანტული ფორმულით „თუ არის ერთი საგანი, მაშინ არის მეორეც (უმაღლესი ლოგიკოსემიოტიკური ინვარიანტი),«Нет человека, чтоб худая слава не прошла» [Даль,2:160]; «Была бы корова, найдёт и подойник» [Даль,2:164]; «Был бы хлеб, а мыши будут» [Даль,2:164]; მესამე ინვარიანტული ფორმულა „თუ ერთი საგანი დაკავშირებულია მეორესთან და

ამასთანავე ფლობს რაიმე თვისებას, მაშინ მეორე საგანიც იგივე თვისების მატარებელია“ (უმაღლესი ლოგიკო-სემიოტიკური ინვარიანტი «Каков отец, таков и молодец» «Яблоко от яблони недалеко падает» და ბოლოს მეოთხე ინვარიანტული ფორმულა „თუ ერთ საგანს აქვს რაიმე (დადებითი) თვისება, ხოლო მეორეს იგი არ გააჩნია, მაშინ პირველი უპირატესობით სარგებლობს ვიდრე მეორე (უმაღლესი ლოგიკო-სემიოტიკური ინვარიანტი) «Больше верь своим очам, нежели чужим речам» [Даль,2:132].

რაც ყველაზე მთავარია, გ. პერმიაკოვის განმარტებით, ეს თვისებები აღმოაჩნდა, გამონაკლისის გარეშე, მის მიერ განხილულ ყველა ხალხთა ანდაზებს, რომლებიც კი იქნა შესწავლილი. ამასთანავე, „ყველა ხალხთა ანდაზებში ზედმიწევნით ზუსტად მეორდებოდა ვარიანტების ყველა დეტალი“ [Пермяков, 1988: 24]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პერმიაკოვი აღმოსავლეთის ხალხთა ანდაზების განხილვის დროს აპირისპირებს ქართულ და ინდონეზიურ ანდაზას [Пермяков, 1988: 671] და აღნიშნავს, რომ ერთი მხრივ, ანდაზა პენჯაბურ ენაზე Гора родила мышь (მთამ დაბადა თაგვი) და ზულუსური ანდაზა Дрова рождает золу (შეშა ბადებს ნაცარს), მეორე მხრივ, ქართული ანდაზა От крапивы крапива же растёт (ჭინჭრისგან ჭინჭარივე იზრდება) და ინდონეზიური ანდაზა Из лошади осёл не родится (ცხენისაგან სახედარი არ იბადება), პირველსა და მეორე წყვილებში თითქოსდა ლაპარაკია საგნებზე, რომლების ბადებენ (ან არ ბადებენ ერთი მეორეს), თემატურად ერთ ჯგუფში თავსდება, რადგანაც მოცემული ბუნებრივ-ხარისხობრივი შესაბამისობა შეპირისპირებულია საგანთა შეუსაბამისობას. ავტორის აზრით, არსებითი განსახვავება მათ შორის იმაშია, რომ პირველში საგანთა ურთიერთობის ნაყოფი მოცემულ სიტუაციაში რემას წარმოადგენს, ხოლო მეორე წყვილში მის თემას (საგნებზე, რომლებიც იმყოფებიან ან არ იმყოფებიან ნათესაურ კავშირში).

„ქართული ხალხური პოეტური შემოქმედების“ [1960: 319] პირველ ნაწილში განმარტებულია, რომ „ანდაზების შესწავლისას პირველ რიგში კლასიფიკაციის საკითხი ისმის. ანდაზების კლასიფიკაციის ცდა მოცემული აქვს ბევრ მკვლევარს. მათ შორის აღსანიშნავია ვ.დალისა [1861] და ილუსტროვის [1915] ცდები.

ილუსტროვს ანდაზები დაჯგუფებული აქვს რუბრიკებით: სახელმწიფო, საოჯახო, შრომა, და საქმიანობა და სხვა. ამგვარ კლასიფიკაციას სუბიექტურად მიიჩნევენ, იმ თვალსაზრისით, რომ „იგი არ ეფარდება ანდაზების სოციალურ ბუნებას“ [1960:319]. ყურადღებას იმსახურებს XIX საუკუნის ვ.დალის ანდაზების კრებული «Пословицы русского народа», გამოცემული ორ ტომად. ჩვენ ხელთ არსებული კრებული გამოცემულია 1984 წელს. ამ კრებულის თავისებურებას წარმოადგენს ანდაზების და ანდაზური თქმების თემატური რუბრიკების მიხედვით დაყოფა. როგორც ავტორი მიუთითებდა წინასიტყვაობაში, ანდაზების ანბანური განლაგება არ მიაჩნია მართებულად, რადგანაც ასე შედგენილი მრავალი უცხოენოვანი კრებული, „უაზრობაა, შეუსაბამობაა და მოუხერხებელია“. ამიტომაც, ვ.დალის განმარტებით, ანდაზების განლაგება მათი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობის მქონე შინაარსის მიხედვით, უფრო კეთილგონივრული და აზრობრივად გამართლებულია, თუმცა, ავტორი არ გამორიცხავს ამ მეთოდით დალაგებული ანდაზების უნივერსალურობის არქონას. ამას იმით ხსნის ვ.დალი, რომ ერთი და იგივე ანდაზა შეიძლება რამდენჯერმე მოხვდეს სხვადასხვა რუბრიკაში, რაზედაც მას კრიტიკოსებმაც მიუთითეს, მაგრამ მიუხედავად ამ ხარვეზისა, იგი მაინც მიიჩნევს ანდაზების ამ მეთოდით განლაგების უპირატესობას ალფავიტზე განლაგებულ კრებულებთან შედარებით. კრებული მოიცავს 179 თემატურ ჯგუფს. რუბრიკები დალაგებულია შემდეგ თემატურ ჯგუფებად: „დასაწყისი- დასასრული“, „სამუშაო- უსაქმურობა“, „სიმშვიდე- მოძრაობა“ „ბევრი-ცოტა“, „შური-სიხარბე“, „მეგობარი-მტერი“ და ა.შ. რუსული ფოლკლორისტიკის მკვლევარის, მეცნიერის, ვ. ანიკინის წერილში, „ვლადიმირ ივანეს ძე დალი და მისი ანდაზების კრებული“ («Владимир Иванович Даль и его сборник пословиц»), წერს „თემატური რუბრიკები, რომლის მიხედვითაც განთავსებულია მასალა კრებულში, ასახავს დალის მსოფლმხედველობის პოზიციას.“ კრებული გამოიცა XIX საუკუნის 50-იან 60-იან წლებში. იმ დროისათვის იგი იქცა მაშინდელი რუსული საზოგადოების ერთ-ერთ მოწინავე პროგრესულ ნაბიჯად. „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედების“ [1960: 319] პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ დალის მიერ მოცემული კლასიფიკაცია მეტად სუბიექტურია.

ჩვენს ხელთ არსებული ქართული ანდაზების კრებულები, ყველა აგებულია ანბანური განლაგების მეთოდით. ანდაზების კრებული, შედგენილი ნინო ნაკაშიძის მიერ და გამოცემული 1953 წელს, კლასიფიცირებულია თემატური რუბრიკების მიხედვით. წიგნი 120 გვერდიანია და სულ 29 რუბრიკისაგან შედგება. თვით რუბრიკების შიგნით ანდაზები განლაგებულია ანბანის მიხედვით. I ნაწილი „ცხოვრებისა და ბუნების კანონები“, II ნაწილი „ყოფაქცევის წესები“, III ნაწილი „ადამიანის დახასიათება, თვისება და თავისებურება“, IV ნაწილი საზოგადოებრივი მოვლენები და ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება“, V ნაწილი „ძველი დრო, ჩაგვრის ხანა (ბატონყმობისა და ბურჟუაზიული საზოგადოების დახასიათება), VI ნაწილი- „ირონია“ VII - „სიტყვის მასალა“. ბოლო რუბრიკაში ავტორი, ჩვენი აზრით, ალბათ გულისხმობდა ანდაზურ თქმებს, რომლებიც ანდაზებისაგან განსხვავებით, გამოირჩევა ერთგვარი თავისებურებით, როგორც ვ. დალი განმარტავს „ხალხური გამსაზღვრებით, ანდაზური თქმა ყვავილია, ანდაზა კი ნაყოფი. ანუ, ანდაზური თქმა, ქართულში სიტყვის მასალასაც უწოდებენ (რუს. поговорка) არაპირდაპირი გამონათქვამია, გადატანითი მნიშვნელობით, უბრალო, ქარაგმული, ნართაული ნათქვამი, მსჯელობის, დასკვნების გარეშე, ეს ანდაზის ერთი ნაწილია“ დალის მაგალითებით: ნასვამ ადამიანზე იტყვიან: У него в глазах двоится, он навеселе, он лыка не вяжет, და ა.შ. ანდაზა ამ შემთხვევაში იტყოდა Пьяному море по колено, а лужа по уши. Пить попросить-дурную славу нажать. Не упиваясь вином, будешь покрепче умом [Д.,2:246] ანდაზა კი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია ხალხური გონებამახვილური მოკლე რიტმული გამონათქვამია (ჩვეულებისამებრ – დამრიგებლობითი შინაარსისა), აქვს წინადადების ფორმა წარმოადგენს სინტაქსურად და კომპოზიციურად დასრულებულ წარმონაქმნს. ამ პარამეტრებით თუ ვიმსჯელებთ, რუბრიკაში „სიტყვის მასალა“ - „ბურთი და მოედანი შენ დაგრჩენია“, „ხათრი ხააბალაა“, ძალლი ხსენებაზეო“, „ეს ბურთი და ეს მოედანიო“, „არც დაარტყამს, არც გაილახება“ (რაც ჩვენი აზრით ანდაზური თქმებია), გაერთიანებულია გამონათქვამებთან „აგურს რეცხდენენ და უარესი წვენი გასდიოდაო“, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“, „ბუტიას შეუნახვენ,

მბინარეს შეუნახავენ“ და ა.შ. (რაც ანდაზებად მიგვაჩნია). „დასახელებული წიგნი, როგორც საყურადღებო ცდა ქართული ანდაზების თემატურად დაჯგუფებისა, საინტერესოა“- [„ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“ 1960: 319].

მცირე თემატური კლასიფიკაცია აქვს წამმღვარებული ფელიცინა ვ. პროხოროვი ი. ლინგვო-მხარეთმცოდნეობის ლექსიკონს [1979] „რუსული ანდაზები, ანდაზური თქმები და ფრთიანი გამონათქვამები“, ოთხმოცდასამ რუბრიკაში: აქტიურობა, ინიციატივა, უბედურება, სახლი, სამშობლო, ცხოვრებისეული სიმნელები, გამომგონებლობა, სურვილები, და ა.შ. განაწილებულია ლექსიკონში შეკრებილი მასალა, რომელიც წიგნს ბოლოში აქვს დართული.

ქართული ანდაზების შედარებით ზუსტი კლასიფიკაცია მოგვცა ალ. დლონტმა. კრებულში „რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები“ [1957]. კრებული დაყოფილია ორმოცდახუთ ჯგუფად: შრომა, სამშობლო, სამართლიანობა და კანონი, გმირობა-ვაჟკაცობა-ლაშქრობა და ა.შ.

ჩვენი კვლევისათვის ანდაზების კლასიფიკაციის სახეობები მნიშვნელოვან ფაქტორს არ წარმოადგენდა. საკითხის შეწავლისათვის ანდაზების შერჩევა ხდებოდა ნებისმიერი თემატური ჯგუფებიდან. განსახილველი ანდაზების თემატიკას მხოლოდ ერთ პარაგრაფში ვიყენებთ (იხ.წინამდებარე დისერტაციის თავი III, § 5. „მსაზღვრელის როლი, როგორც ანდაზის ექსპრესიულობის რეპრეზენტაციის ერთ-ერთი საშუალება“ გვ.156), სადაც გამოყენებულია რუბრიკა „ქალი და ოჯახი“, რაც კვლევის ინტერესებიდანაა გამომდინარე. რუბრიკაში გვანტერესებდა მსაზღვრელის ფუნქცია ლექსიკურ ერთეულებში, მისი განსაკუთრებული სემანტიკური და ემოციურ - კონოტაციური მიმართებები.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ანდაზების კლასიფიკაცია მეტად საინტერესო საკვლევი საკითხია, ხოლო რაც შეეხება ქართულ ანდაზებს, კლასიფიკაციის საკითხი ღიაა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს, თუმცა, ჩვენეული დაკვირვებით, მიგვაჩნია, რომ ყველაზე მართებული გ. პერმიაკოვის კლასიფიკაციაა. სასურველია ქართული ანდაზები ასეთი კლასიფიკაციის მიხედვით იქნეს შესწავლილი.

§ 2. სუბსტანტივაცია ანდაზებში

ჩვენი კვლევისას შევეცადეთ, შეპირისპირებითი ანალიზის საშუალებით დაგვედგინა, თუ რამდენად აქტიურად გამოიყენებს სუბსტანტივაციის შემთხვევებს ქართული და რუსული ანდაზა. **სუბსტანტივაცია** - „ტრანსლაცია“ ანუ გაარსებითსახელება, გრამატიკული მოვლენაა, რომლის დროსაც სრულმნიშვნელოვანი სიტყვა ერთი გრამატიკული კლასიდან გადადის მეორეში სიტყვისმწარმოებელი აფიქსების გამოყენების გარეშე. ცნობილია, რომ სუბსტანტივაცია, ზოგადად, ძველი და, ამავე დროს, განვითარებადი პროცესია, ზედსართავების გაარსებითსახელება დიდი ხანია მოხდა ისეთი სიტყვებისა, როგორცაა რუსულში უზუალური/სრული, კონვერსიის მაგალითებია: *перевязочная, ванная, портной, мороженое...* ქართულში „უფრო გავრცელებულია ზედსართავი სახელის (მიმღებითურთ) სუბსტანტივაცია: თხრილი, შვილი, მასწავლებელი, სასტუმრო, მეურმე, მესაათე და სხვ. მაგრამ სემის სუბსტანტივაცია შეიძლება მოხდეს ოკაზიური საშუალებით ანუ, როდესაც სემა ფუნქციონირებს, როგორც არსებითი სახელი კონკრეტული დენოტაციის შემთხვევაში: *поступить в педагогический (институт)*. „სიტყვათა გადასვლ-გადმოსვლას ერთი თანრიგიდან მეორეში დიდი მნიშვნელობა აქვს ენის ექსპრესიული ფუნქციის შესრულებისათვის“ წერს ალ. ღლონტი [ღლონტი, 1988: 53].

რუსულში სუბსტანტივაციის დროს სუბსტანტივატებული სემები იცვლიან არსებულ პარადიგმას, კარგავენ სქესის კატეგორიას და ხდებიან დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები. მაგალითად, ანდაზებში: «Хорошо **ленивого** по смерти посылать [Д., 2: 15]; **Сонливого** не добудешься, а **ленивого** не дошлешься [Д., 2: 15]; Из **порожного** не пьют не едят [Д., 2: 239];

როგორც ცნობილია, რუსული ლინგვისტიკის ადრეულ ეტაპზე სუბსტანტივაციის მოვლენა ნაწილობრივ იქნა შესწავლილი ა.ვოსტოკოვის, მ.

ლომონოსოვის, ფ. ბუსლაევის, გრეჩის მიერ. სუბსტანტივაციის, როგორც გრამატიკული მოვლენის პრობლემისადმი ყურადღება წარმოჩინდა ა.პეშკოვსკის, ა. პოტებნიას, ა. შახმატოვის კვლევებში.

ზოგადად, საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ თანამედროვე რუსულში სუბსტანტივირდება მხოლოდ სრული/ატრიბუტული ზედსართავები. ძველრუსულში კი მოკლე/პრედიკატული ფორმებიც სუბსტანტივირდებოდა, მაგ: рукав, вдова, княжна, ножны, добро, зло, войско. როგორც ა. გვოზდევი [Гвоздев, 1958:208] აღნიშნავს, ახლა ეს სიტყვები ზედსართავებისგან სრულად გამოიყო.

ზოგადად, ანდაზისათვის დამახასიათებელია სუბსტანტივირება ხშირ შემთხვევაში ზედსართავი სახელებით, რაც ვფიქრობთ, მეტი ალბათობით გამოწვეულია იმით, რომ სუბსტანტივატები ერთდროულად სულიერი სახელის დახასიათებას იძლევიან: **Смелым** бог владеет, **пьяным** чёрт качает [Д.,1:210]; На **сердитых** воду возят [Даль].; **Пьяный** проспится, а дурак никогда [Д.,2:224]; Ел бы **богач** деньги, кабы **убогий** его хлебом не кормил [Д.,1:72] **Злой** плачет от зависти, а **добрый** от радости [Д.,2:147]- (**плачет**); **გაჟეჟილს გატეხილი** სჯობიაო [კანდ.: 14]- **უპერანგო** სიზმარში ცხრა პერანგს ხევდაო [კანდ.: 73]. თუ ზედსართავი სახელის გვერდით გამოტოვებულია მასთან დაკავშირებული არსებითი სახელი, მაშინ ზედსართავი გამოტოვებულ არსებით სახელს გამოხატავს და გრამატიკულადაც არსებითი სახელის თვისებებს იძენს; მაგ.: ბოლოკმა თქვა: **უკადრისმა** გამთალა, **მსუნაგმა** გამფხიკაო (სახ.: 34)-თანწყობილი წინადადებით გადმოცემულ ანდაზაში, სადაც სუბსტანტივირებულია „უკადრისმა“ „მსუნაგმა“, თუ მათ სახელებს პოსტპოზიციამში დავურთავთ, მაშინ ისინი ზედსართავის ფუნქციას შეიძენენ: უკადრისმა [კაცმა] გამთალა, მსუნაგმა [კაცმა] გამფხიკაო. „**ბრმა** თვალხილულს ატყუებდაო“. შევადართო „**ბრმა ქათამს** ასე ჰგონია, ყველგან ხორბალი ყრიაო. პირველ მაგალითში სუბსტანტივირებული ზედსართავია - ბრმა, მეორეში კი უკვე არსებითთან ერთად პოსტპოზიციური მსაზღვრელია- ბრმა ქათამს. „**უბედურს** წისქვილში შია, **ბედნიერს** კალოში (კანდ.,:72) შევადართო: **უბედურ** კაცს ქვა აღმართში მოეწიაო. (კანდ.,:72); სუბსტანტივირებული სემა რუსულში მიუგებს

კითხვაზე **кто? Что?** სახელობით ბრუნვაშია და ქვემდებარის როლს ასრულებს. ქართულში ერგატიული, ნომინატიური და დატიური კონსტრუქციები იძლევა საშუალებას ქვემდებარე იდგეს ერთ-ერთ ბრუნვაში, მაგალითად: **უბედურს** - სუბსტანტივირებული სემა - აგენსი/ქვემდებარე პასუხობს კითხვაზე ვის?, **შია** - პასიენსი/შემასმენელი, ხოლო **უბედურ კაცს** მსაზღვრელ-საზღვრული პირდაპირი და ირიბი დამატებებია, **მოეწია ქვა** -პრედიკატული წყვილია. **Сонливый**[**кто?**] და **ленивый** [**кто?**] - два родные братца [Д.,2:15]; **Сонливый**[человек –**кто?**], **ленивый** [человек-**кто?**]; **Голодному** [**какому?**] Федоту и щи в охоту. [Д.,2:75] ამ მაგალითში სემა **Голодному** - პრეპოზიციური მსაზღვრელია, პასუხობს კითხვაზე **какому?** Голодному [кому?] вздыхается, сытому [кому?] отрыгается [Д.,:77] ამ მაგალითში კი სემა Голодному- მიცემითი/дательный ბრუნვის კითხვას პასუხობს - **кому?**].**ახალი(ის)** იბადება, **ძველი(ის)** კვდება [კანდ.: 8]; **გაქცეულს** ერთი გზა აქვს, **მდევარს** - ასი [კანდ.:15]; **გლახის(დამატება)** ქონებას **კაი (ის)** დაეპატრონაო [კანდ.: 17]; **დაბალი** ვერ შესწვდა, **მაღალი** არ მოიდრიკაო.(კანდ.: 18). დროზე **მთესველი**, დროზე მოიმკის [კანდ.: 22] სუბსტანტივირებული ზმნა - თესვა-მთესველი; ვიდრე **ჭკუიანი** დაფიქრდებოდეს, **გიჟი** ხიდს გაივლისო [კანდ.: 27]; **ურჩი** მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა [კანდ.: 73]; **(იხ. დანართი № 26). Убогий**[**кто?**] бога боится и богача боится, а **богатый**[**кто?**] никого не боится. **Убогий**[**кто?**] во многом нуждается,а **скупой**[**кто?**] во всём [Д.: 79.]; **Богатый**[**кто?**] совести не купит,а свою погубляет [Д.,1:61] **(იხ. დანართი №27).** ცნობილია, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელები ასახავენ ადამიანების, საგნების, მოვლენების კუთვნილებას, გამოხატავენ განზოგადებულობას. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ხელთ არსებულ ქართულ წყაროებში, რუსულისაგან განსხვავებით, გაარსებითებული კუთვნილებითი ნაცვალსახელების შემცველი ანდაზები არ მოიძებნა.

რუსულენოვან ანდაზებში **კუთვნილებითი** ნაცვალსახელების მაგალითები დადასტურდა, თუმცა მცირე რაოდენობით: **Свой** [**кто?**]**своему** поневоле друг (брат) [Д.,2:97] И **всяк** [**кто?**] умрёт,как смерть придёт [Д.,1:85]; **Всяк** [**кто?**] от своих осудится

и оправится [Д.,1:180]. **განუსაზღვრელობითი** ნაცვალსახელის სუბსტანტივირების მაგალითები: **ზოგისა** ბამბა ჩხრიალებს, **ზოგისა** კაკალიც არაო [სახ., :83]. **ზოგი-**განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი: **ზოგის** გროში ოქროდ გადის, **ზოგის** ოქრო არც მარჩილად [სახ.: 83]; **ზოგის** სიცოცხლე ვერცხლია, **ზოგისა** კი ცეცხლიაო [ნაკ.: 69]; **ვინც** დაიზარაო, არ გაიზარაო - მიმართებ. ნაცვალსახ. -ც[ა]- ნაწილაკდართული ვინ,-ის (ადამიანი), არ გამოხატავს კითხვას, სუბსტანტივირებულია : **ვისაც** ვინ უყვარს, იმისი ლამაზიც ის არისო [სახ.: 78]; **ვისაც** ჭირი უნახია, წამალიც იმას ჰკითხეო [სახ.: 79]; **ვინც** წყალზე გადვა პატარა ხიდიო, იმან მაღლი ჰქნა ერთობ დიდიო [სახ.: 75]; **ვინც** მოითმინაო, იმან მოილხინაო [სახ.: 73]; **ვინც** თავლში თითს ჩაყოფს, თითსაც ის გაილოკავსო [სახ.: 73]; **ჩემი** არ გითხრა, გული რით დაგწვაო [ნაკ.: 99]. რუსულ და ქართულ ანდაზებში **რიცხვითი სახელების** სუბსტანტივირების მაგალითები მცირე რაოდენობით გვხვდება: В гору **семеро** [кто?]тащат, а с горы и один столкнёт; **Последние** [кто?] будут **первыми**; **ერთი** შეწვი, **მეორე** შესცხე [ნაკ.: 67]; **ერთი** იცინის -თავს დასცინის, **ორი** იცინის-იცინ რამე [სახ.,:63]; **ერთი** რომ ათასჯერ თქვა, **ათასი** რამდენჯერაო? [კანდ.: 24]; **ცოტავ** სად მიდიხარ და **ბევრთანაო** [სახ.: 228]. რუსული აკადემიური გრამატიკის თანახმად **კრებითი რიცხვითი** სახელები არ სუბსტანტივირდებიან, გამონაკლისის სახით ვხვდებით ანდაზაში «Семеро [кто?] одного не ждут; "[Д.,1:90]. სუბსტანტივირებული **ზმნიზედების** მაგალითებიც მცირეა რუსულ ანდაზაში, ხოლო ქართულში თითქმის არ გვხვდება: **Давно** [что?]-не причина; სუნსტანტივირებული **ცალკეული სიტყვები** რუსულ ანდაზაში: **Своего спасибо** [чего?] не жалеи, а чужого не жди [Д.,1:101]; **Пожалуйста** [что?] не кланяется [Даль,1:101]; **Авось** [что?]небосю родной брат [Д.,1:48]; **Авось** [что?] задатка не даёт [Д.,1:87]; **Авось** и рыбака толкает под бока [Д.,1:87]; **Авоська небоське** набитый брат [Д.,1:87]; **Авоська** ушёл, а **небоську** покинул [Д.,1:88]; **რამაც** დამარჩინაო, **იმან** მოგარჩინაო [კანდ.,: 57]; **ვის** გავყარე, **უის** შევეყარე [კანდ.,: 27].

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სუბსტანტივირება ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია როგორც ქართულ, ასევე რუსულ ანდაზაში, სუბსტანტივირებული ზედსართავები რუსულ ანდაზებში ყველაზე დიდი ჯგუფია სუბსტანტივირების შორის.

კვლევაში გამოვლინდა, რომ მათი რიცხვი თითქმის 78%- შეადგენს, ხოლო დანარჩენი მეტყველების ნაწილთა პროცენტული რაოდენობა დაახლოებით 4, 4%-ია.

§ 3. ანდაზის ლექსიკის სემანტიკური ასპექტები

„ლექსიკა ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია ენისა. ყოველ ენას, მათ შორის ქართულსაც, მოეპოვება ლექსიკის გამდიდრების საშუალებები“-წერს ალ. ლლონტი [ლონტი, 1988:5]. ანდაზის გამოყენების სტილისტური თავისებურებანი დაკავშირებულია პრაგმატულ პირობებთან. უკეთესი ჟღერადობის, ხატოვანების მისაღწევად ანდაზა სხვადასხვა სტილისტურ მეთოდებს იყენებს, რათა, ხშირად ფარული დენოტაციით გადმოსცეს მეტად მნიშვნელოვანი დიდაქტიკური აზრი.

ჩვენი კვლევის საგანს და ძირითად მიზანს წარმოადგენს კითხვებზე პასუხის გაცემა: რა ლექსიკური საშუალებებით მიიღწევა ანდაზების კონოტაციურ დენოტაციური პარადიგმატიკა, რა ლექსიკური საშუალებების არსებობა განაპირობებს პარემიებში ექსპრესიულობის, ლოგიკური სისრულის, სენტენციოზურობის, ხატოვანების არსებობის თანხვედრას ქართულ და რუსულ ენებში. რა გავლენას ახდენენ ენის ისეთი ლექსიკური რესურსები, როგორცაა სინონიმები, ანტონიმები, ან სხვა ლექსიკური ერთეულები.

პარადიგმატიკული ურთიერთობები ყველაზე კარგადაა შესწავლილი ლექსიკაში, აღნიშნავს დ. ბახტაძე [ბახტაძე, 2010:163]. ლექსიკურ პარადიგმაში თავს იყრის ისეთი ლექსემები, რომლებსაც იდენტური სემანტიკური ფუძე აქვთ და საუბრის აქტში ერთნაირი ადგილის დაკავება შეუძლიათ. ასეთებია სემანტიკურად ეკვივალენტური სიტყვები (სინონიმები), ოპოზიციური სემანტიკის/მნიშვნელობის პოლარული დაპირისპირების სიტყვები (ანტონიმია). მაგრამ, როგორც გ. ნებიერიძე [ნებიერიძე, 1991:22] აღნიშნავს, როდესაც სინონიმიაზე ვლაპარაკობთ, დასაზუსტებელია თვით ამ მნიშვნელობის ცნება, ე.ი. გასარკვევია, თუ რა მნიშვნელობებს გამოხატავენ სინონიმები - რეფერენციალურს, თუ დიფერენცი-

ალურს. რეფერენციალური მნიშვნელობის დონეზე ორ სიტყვას სხვადასხვა ენაზე ერთი და იგივე რეფერენტი აქვს.

დ. ბახტაძე გამოყოფს ნაწილობრივ (პარციალური -parcielle) სინონიმებს. რომელთა დროსაც „არ არსებობს ლექსემათა მნიშვნელობის იდენტურობა, ისინი რომელიღაც სემით ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ კონტექსტის (სიტუაციური კონტექსტის) გამოყენებით გამოვლინდება სტილური სხვაობები, რეგიონალური განსხვავებები, ემოციური დატვირთვები. ამ სხვაობაშია საძიებელი ენათა ლექსიკაში არსებული ტიპოლოგიური ნიშნები“ [ბახტაძე, 1982 :163].

ბ. ფოჩხუას აზრით, პარადიგმული („ასოციაციური“) ურთიერთობა ყველაზე მკაფიოდ ვლინდება სინონიმურ და ანტონიმურ დამოკიდებულებაში, განვიხილავთ ამ და სხვა ლექსიკოლოგიური ერთეულების როლს ანდაზის ექსპრესიული შინაარსის გადმოსაცემად. სინონიმები ლიტერატურაში გამოიყენება გამეორების თავიდან ასაცილებლად. ალ. ლლონტი [ლონტი, 1988:56] აღნიშნავს, რომ „სინონიმია სხვადასხვა ბგერობრივი სამოსლის სხვადასხვაობა“ [ფოჩხუა, 1974:266]. არსებობს აბსოლუტურად ტოლი სინონიმური წყვილები და სინონიმები, რომლებიც ყოველთვის ერთმანეთს არ ფარავს. ავტორის აზრით: „ენათმეცნიერები ეჭვისთვალთ უცქერიან ორი აბსოლუტურად თანხვედნილი სიტყვის არსებობის შესაძლებლობას ენაში“ [ფოჩხუა, 1974:266]. ჩვენ ხელთ არსებულ ქართულ და რუსულ ანდაზათა კრებულებში არ აღინიშნება სინონიმების რაოდენობრივი მაჩვენებლის მკვეთრი სხვაობა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა მდიდარია ამ მხატვრული ხერხის მრავალფეროვნებით, დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ორივე ენაში მათი რაოდენობა იდენტურია. „ქართულში სინონიმები ზოგჯერ ერთმანეთის გვერდით იხმარება ამ მოვლენას სინონიმურ პარალელიზმს ან სინონიმურ წყვილებს უწოდებენ“ [ფოჩხუა, 1974:268]: სიზმარში **ნაცად-ნახული**, ცხადად რა მოსახმარია [კანდ.,: 67]; **ტირილითა და გლოვითა** მტერნი არ შეგვიბრალებენ [სონდ.,:64]; **საოხრე და სატიალო**, შინ არ შეიტანებაო [სახ.,: 170] **საოხრეში** აღებული **სატიალოში** მოხმარდებაო [სახ.,:170]; **უგზო-უკვლოდ** მოარული, ორივე თვალთ ბრმა რისო [სახ.,: 184]; **ქრისტე-ღმერთი** თუ გუთნისდედად მეყოლება,

გუთანი არ მომეშლებაო [სახ.,:200]; **ჯიშა და ჯილაგს** კაცი ჟინჯილით უჭირავსო [სახ.,: 248]; **უგზო-უკვლოდ** მთარული მკვდარზე უარესიაო [კანდ.,: 72]; Не хвали меня в очи, не брани за глаза. **Продад на деньгу,а проел на алтын** [Д,2:33]; **Всё рассовано по сучкам, по веточкам** [Д,2:77]; **Лошади чужие, хомут не свой – погоняй не стой** [Д,2:99]; **Ты с бородой, да я сам с усами** [Д,2:143]; **Позавидовал плешивый лысому** [Д,2:148]; **Боятся себя заставишь, а любить не принудишь** [Д,2:203] ; **Где моя суженая, там моя ряженая** [Д,2:203]; ; **Что плохо, что худо, что никуда не годится** [Д,2:289]; **Конь горбат, не мерину брат** [Д,2:291]; **Не били только колотили** [Д,2:291]; **Кручина** с ног собьёт, **нужда** и вовсе заключает [Д,1:105]; **Плакать не плачу, а слеза бежит** [Д,1:105]; **Видна печаль** по ясным очам,**кручина** по белу лицу [Д,1:105]; **Печаль** не красит, **горе** не цветит [Д,1:105]; **Ненароком** в лес пошёл, **невзначай** топорище вырубил [Д,1:141].

ვეთანხმებით რა ბ. ფოჩხუას, რომ „ამგვარი მოვლენა მხატვრულ ნაწარმოებებში დასტურდება და მას გარკვეული ექსპრესიული დანიშნულება აქვს, მაგრამ იგი საერთო ენაშიც მკვიდრდება ხოლმე, კონვენციური მოვლენა ხდება“ [ფოჩხუა,1974:269] დავამატებთ: ანდაზებიც აქტიურად გამოიყენებს სინონიმურ პარარელიზმს და იმავე დანიშნულებით.

სრული ან აბსოლუტურად სრული სინონიმები ხასიათდებიან მაქსიმალურად იდენტური სიახლოვით: **ნაცად-ნახული; ტირილითა - გლოვითა; საოხრეში - სატიალოში; უგზო-უკვლოდ; ქრისტე-ღმერთი; ჯიშა - ჯილაგს; печаль-горе; ненрароком–невзначай; били-колотили; плохо-худо; заставишь-принудишь; плешивый-лысый; сучки-веточки; чежой-не свой; როგორც ბ. ფოჩხუა აღნიშნავს „აბსოლუტურად ტოლი სინონიმების რიცხვი ენაში ერთობ მცირეა“. ანდაზებში ჩვენი კვლევაც ამას ადასტურებს. ნაწილობრივი სინონიმები-განსხვავდებიან აზრობრივი ელფერის სხვადასხვაობით: деньга -альтын; борода-усы; конь-мерин; кручина-нужда;**

სტილისტური სინონიმების მაგალითებია: **очи-глаза; печаль-кручина** ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გამოყენების სფეროების მიხედვით, განეკუთვნებიან მეტყველების სხვადასხვა სტილს და სხვადასხვა ემოციურ-შემფასებლური

ელფერი აქვთ: **очи-** (მაღალი სტილი), **глаза** (ნეიტრალური სტილი) **печаль-** (ნეიტრალური სტილი), **кручина** (მაღალი სტილი). ხშირად აზრის გასაძლიერებლად და მეტი გამომსახველობისათვის გამოიყენება სიტყვათა გამეორება, რაც სინონიმურ გამოთქმებს მიაგავს: კაცმა ჭირი **მალა, მალა**, ჭირმა თავი არ დამალა [სონლ:41]; **მიჰყე** და **მიჰყე** სოფელსა, ამ ტიალსა და ოხერსა [სონლ.:48]; **მიჰყე, მიჰყე** სიმართლესა, გამოგაცლის სინათლესა [სონლ.:48]; წყალი **ნაყეს, ნაყეს** და მაინც წყალი დარჩაო [ნაკ.: 20]; კაბელა ფურმა **იწველა, იწველა**, ბოლოს ჰკრა წიხლი და დაღვარაო [ნაკ.;;91]; რამდენიც უნდა იძახო **ხალვა, ხალვაო**, პირში სიტკბოს ვერ იგრძნობო [ნაკ.: 95]; „**ქოჩი**“ „**ქოჩის**“ ძახილში ხბო ხელში შემოაბერდაო [სახ.:;200]; **Звони, звони**, да не перезвонивай [Д.,2:155]; **Крепко, крепко**, а земля своё возмёт [Д,2:171]; Голубчик что огурчик: **цветёт, цветёт** да завянет [Д.,2:203]; **Сватался, сватался** да и спрятался [Д.,2:215]; **Спишь, спишь**, а отдохнуть некогда (не дадут) [Д.,2:11]; **Звони, звони, крепко, крепко, цветёт,цветёт, сватался, сватался, спишь, спишь**, ქოჩი, ქოჩი, ხალვა, ხალვა, იწველა იწველა, ნაყეს, ნაყეს, მიჰყე, მიჰყე, მალა, მალა **პლეონაზმებია** „რასაც რეტარდაციის მიზნით, შთაბეჭდილების, აზრის გაძლიერებისათვის გამოიყენებენ. ენობრივი ფუნქციით კი გამეორებული სიტყვები სინონიმურ ცალებს მოგვაგონებს“ [ღლონტი:1988:59]. ეს გამეორებები რითმულობისთვისაცაა ანდაზაში, რადგანაც, რითმულობა, ანდაზის გამომსახველობის ერთ- ერთი ნიშანია: У кого есть **матка**, у того голова **гладка**. სწორედ რითმულობაა ის მთავარი მახასიათებელი, რაც ანდაზას ადვილად დასამახსოვრებელს და ზეპირ მეტყველებაში ასე ფართოდ გამოყენებადს ხდის. ალიტერაციით, ფონეტიკური ხერხით მიიღწევა ბალანსი, რითმა ქმნის რიტმულობას. მაგალითად ანდაზაში: Клещ не вещь, где упал, там и пропал [Д,2:71]; წინადადების ორივე ნაწილს მუსიკალურობას ანიჭებენ, მორფოლოგიურად დროში, რიცხვში, პირში თანაბარნი არიან. ანდაზა, გადმოცემული ქვეწყობილი წინადადებით, პირველ წინადადებაში არსებითი სახელები გართმულია ბოლო მარცვლით, ე.ი. ვაჟური რითმით, მეორე წინადადებაში გამოყენებულია რთული კავშირი где-там, და გართმულია ზმნები **упал- пропал** აგრეთვე ვაჟური რითმით. Пришли да **взяли**, поминай как звали [Д,2:71]; **взяли** -звали (წარსული დრო,

მხოლოდითი რიცხვი, II პირი); Кто правды не **скажет**, тот многих **свяжет** [Д,1:159]; **скажет- вяжет** (მომავალი დრო, მხოლოდითი რიცხვი, II პირი). Продаёт с барышом, а ходит нагишом [Д,2:33] -ვაჟური რითმის მაგალითია ბოლო მარცვლები ლექსებებში **барышом - нагишом**, გართმულია არსებითი სახელი მხოლოდით რიცხვში, ზმნიზედასთან **нагишом**. Торговал и кирпичом, да остался **ни при чём** [Д,2:33]- ამ შემთხვევაში გართმულია არსებითი სახელის, მხოლოდითი რიცხვის, მოქმედებითი ბრუნვის ლექსემა ბოლო მარცვლით პირველ წინადადებაში, მეორე, დამოკიდებულ წინადადებაში არსებულ ზმნიზედასთან (да остался при чём, ან с чем?) რომელიც იწარმოება უარყოფითი ნაწილაკის (**ни**)+ თანდებული (**при**) +კითხვითი სიტყვა თანდებულიან ბრუნვაში(чём). Привычку не **руковичку**, не повесишь на **спичку** [Д,2:157]; ამ მაგალითში სახეზეა ქალური რითმა, ანუ მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე, ხოლო ჟღერადობის ხარისხის მიხედვით, როგორც გ. აბრამოვიჩი განმარტავს [Абрамович Г.,1975:190], „ზუსტი“ რითმით, რადგანაც ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები, ლექსემის დაბოლოვებები ემთხვევა ერთმანეთს: **чку-чку-чку**, გართმულია მხოლოდითი რიცხვის, მდებრობითი სქესის, ნათესაობითი ბრუნვის არსებითი სახელები: Привы**чку** –руков**ичку**- сп**ичку**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ანდაზის მორფოლოგიური სტრუქტურა აიხსნება მისი სიძველით, თანამედროვე რუსულში იქნებოდა: Привы**чка** не руков**ичка**, не повесишь на сп**ичку**. ამ შემთხვევაში ეპიფორას აქვს ადგილი წინადადების პირველ და მეორე ნაწილში, რადგანაც მარცვლები **чка- чку** ეგრეთ წოდებული „არაზუსტი რითმის“ მაგალითებია. Возьмём да покрас**им**, и выйд**ет** Герас**им** [Д,2:291]; Лясы точ**ит**, да людей мороч**ит** [Д,1:123]; Правда, как **оса**, лезет в гла**за** [Д,1:248]; ეს მაგალითებიც ზემოთ განხილული ნიმუშების მსგავსადაა გართმული. მარცვალთა თანაბარი რაოდენობით მიიღწევა ანდაზის მუსიკალურობა და სხარტულობა. მაგალითად ანდაზის პირველ ნაწილში: Возьмём (მარცვალთა რაოდენობა 2) + да покрас**им** (4), ანუ 2+4; и выйд**ет**(2) + Герас**им** (3) ანუ 3+3. ესე იგი 2+4=3+3. მარცვალთა რიცხვში შედის კავშირები „ა“ „და“ და ამდენად, მარცვალთა თანაბარი რაოდენობა რითმულ

პარალელიზმს ქმნის. სამი ზმნა ერთი და იმავე - თხრობითი კილოთია გადმოცემული. Правда, как оса, лезет в глаза - ამ ანდაზის შემთხვევაში, მართალია, მარცვალთა თანაბარი რაოდენობა არაა, მაგრამ რიტმი მიღწეულია ლექსებში - да-са-за, „ა“ ხმოვნის გამეორებით და ვაჟური რითმის გამოყენებით. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, რითმის კვანტატიური / რაოდენობრივი მეთოდის ანუ მახვილიანი მარცვლების დათვლის შემოღება ა.ბელის ეკუთვნის [Белый,1929 <http://bdnsteiner.ru/modules/Books/files/216.pdf>].

ეს მეთოდი გამოიყენება პოეტური ნაწარმოების რითმისა და მეტრის შესასწავლად.

ქართული ანდაზის **ალომორფად** შეიძლება ჩათვალოს რითმულობის თავისებურება. სხვათა სიტყვის აღმნიშვნელი -ო, რუსულისთვის არაა დამახასიათებელი. ამასთანავე, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, იგი ანდაზის ორივე ნაწილში ერთდროულად გამოიყენება: ვისაც მიჰყავდეო, იმას მიჰგავდეო [სახ.,: 78]; ვინც მოხადა ქვევრიო, იმას შეხვდა ბევრიო [სახ.,: 74]; ვინც დაიზარაო, არ გაიზარაო [სახ.,: 73]; გაზაფხულის მზე რძალსაო, შემოდგომისა ქალსაო [სახ.,: 38]; გვხვდება შემთხვევა, როდესაც სხვათა სიტყვის აღმნიშვნელი -ო წინადადების მეორე ნაწილშია : ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო [სახ.,: 31]; ბებერი - მოგონებითა, ჯეელი- მოლოდინითაო [სახ.,: 31]; ძალი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო [სახ.,: 233]; მაგრამ გვხვდება ანდაზები ამ სახითაც, სადაც რითმი ბოლოში მდომი წევრის მარცვალთა მსგავსებით მიიღწევა: ვისაც გული არა სტკივა, იმას ცრემლი არა სცვივა [სახ.: 78]; ვისი ერდოც მაღალია, ისიც იმის მაყარია [სახ.,:78]; ს.მინცის, ე. პომერანცევის „Русская фольклористика“-ში ვკითხულობთ: „საკითხავია რატომაა, რომ ანდაზის მომხმარებლისათვის, რომელსაც არ აინტერესებს არც რითმა, არც მეტაფორა, არც ასსონანსი, არც რიტმი, მაგრამ მაინც მიისწრაფვის მისკენ იპოვის რა, აღწევს კიდევ მიზანს. იმიტომ, რომ კარგად გაწყობილი ფრაზა, არა მარტო ადვილი დასამახსოვრებელია, არამედ მახვილგონივრულად ჟღერს და უკეთესად აყალიბებს აზრს. აუწყობელი, რაგინდ ჭკვიანურიც არ უნდა იყოს, მეხსიერებაში ვერ დარჩება, დავიწყებას მიეცემა. შეთანხმებული, მოსწრებულად მათქვამი კი საუკუნეები ცოცხლობს“ [Минц, Померанцева,1971:338].

ჩვენი დაკვირვებით, მოცემული ანდაზების რიტმულობა ეფუძნება არა სინტაქსურ მახასიათებლებს, არამედ გართიმულ დაბოლოებებს, ასონანსს, ალიტერაციას და ლექსიკურ გამეორებებს, მარცვალთა თანაფარდობებს. აზრობრივი მახვილი ლექსემაზე მოდის და მარცვალთა რაოდენობა რიტმიკულად ათანაბრებს ანდაზის ჟღერადობას. ისმის კითხვა: რატომ მიმართავს ტავტოლოგიას ანდაზა თუკი მისი ერთ-ერთი დანიშნულებათაგანია სხარტად და ლაპიდარულად გადმოსცეს შინაარსი? მაგალითად: სხვისი **ჭამა -ჭაპა -ჭუპიო**, ჩემი **ჭამა ჩამი ჩუმიო** [სახ.: 180]; **ტაშტი გატყდა- კი არ გატყდა**, ხმა გავარდა [სახ.: 181]; **ტყუილის მთქმელს, ტყუილის კარამდე უნდა გაჰყვეო** [სახ.: 182]; **უხეირო ხელოსანი უხეირო ნაკეთებს, უხეირო იარაღს დააბრალებსო** [სახ.: 188]; **ქაჩალი თავს არ მოიფხანს, თუ მოიფხანს, სისხლს დაიდენსო** [სახ.: 197]; **უთქმელი მთქმელი თქმულმა შეჭამაო**[კანდ.: 72]; **სასწორის სისწორე ამწონავზე** ჰკიდიო [კანდ.:67]; **He то хорошо, что хорошо, а то, что ладно** [Д,2:156]; **He то смешно, что на двор вошло, а то смешно, что со двора нейдёт** [Д,2:167]; **He всё то белит, что бело, не всё чернит, что черно** [Д,2:167]; **Честь честью, а дело делом** [Д,2:189]; **И горою в лес, и под горою в лес, и лесом в лес** [Д,2:289]; **Нечёт с нечётом, тот же чёт** [Д,2:289]; **Нищий на нищем не ищет** [Д,1:69]; **Горе горевать, не пир пировать** [Д,1:111]; **Плут на плуте едет, плутом погоняет** [Д,1:123]; **Коли ты тово, и я тово, а коли ты не тово, так и я не тово** [Д,1:141];

ჩვენი აზრით, ეს ხდება სტილისტური ექსპრესიულობის მიზნით და რითმულობის დასაცავად, რადგანაც რიტმიკა განაპირობებს ანდაზის ადვილად დამახსოვრებას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ანდაზისთვის ალიტერაცია უფროა, რადგანაც ფონეტიკური ხერხით მიიღწევა ბალანსი, რითმა ქმნის რიტმულობას. მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში პლეონასტური, ტავტოლოგიური მოვლენები ანდაზაში სტილისტურად გამართლებულია. ვთვლით, რომ ეს **ანტიელიფსისის** მოვლენაა, რომელიც ემყარება პლეონაზმებისა და ტავტოლოგიის გამოყენებას მეტყველებაში. იგი ელიფსისის საწინააღმდეგო სტილისტური მოვლენაა და ოფიციალური პუბლიცისტიკური და სამეცნიერო სტილისათვის არაა დამახასიათებელი. როგორც სტილისტიკის რუსულ ენციკლოპედიურ ლექსიკონ-

შია განმარტებული [<http://stylistics.academic.ru/>] „ანტიელიფსისი მეტყველებას ორგანიზებას უკეთებს ინტონაციურ - რიტმიკულ ურთიერთობას, აძლიერებს შეპირისპირების მნიშვნელობას, აზუსტებს გამომსახველობით წარმოდგენას, საერთოდ, გამოიყენება როგორც მხატვრულ-გამომსახველობითი კონკრეტიზაციის საშუალება“.

„სინონიმები და ანტონიმები იმით გამოირჩევიან ერთმანეთისაგან, რომ სინონიმის შემთხვევაში ამ ჯგუფის წევრთა ურთიერთობა ემყარება აღსანიშნა შორის მსგავსებას, ხოლო ანტონიმური ურთიერთობის საფუძველი განსხვავებაა“ [ფოჩხუა,1974:269]. ანტონიმების ხმარება მეტყველებას უფრო გამომსახველობით ხდის. ხშირად მაქსიმალურად მკვეთრი ეფექტის მოსახდენად ანტონიმისთან **ანტითეზური** სტრუქტურა ანტონიმებსაც გამოიყენებს., როგორც ალეფირენკო ნ. [Алефиренко Н., 2009:255] აღნიშნავს, „ანტითეზა განსაკუთრებულ როლს თამაშობს პარემიათა ტექსტის გასაფორმებლად. სპეციალისტების გამოთვლებით ანდაზათა დაახლოებით 16% აგებულია ანტითეზაზე“ მაგ: Худой мир лучше доброй драки [Д.,1:207]. **კონტრასტული** ანუ გრადუალური ანტონიმების მაგალითებია: **Малое-большому** ერთი მეტყველების ნაწილებითაა გადმოცემული, მაგრამ მათ შორის შუალედური რგოლის ჩასმა შესაძლებელი, მაგალითად: громадный, большой – средний – малый, крошечный; **კომპლემენტარული** ანტონიმებს შორის შუა რგოლი არ არსებობს : своё-чужое; Пожалей **чужое**, бог **своё** пошлёт [Д.,2:103]; враг-друг; злой – добрый; ласковое –грубое; горький- сладкий; слезливый -смешливый; правдивый- ложный; молодой-старый; гარეული-შინაური; აჩქარებული-დინჯი; კეთილი-ბოროტი; მწარე-ტკბილი; გ. პერმიაკოვის [Пермяков, 1988:47] განმარტებით ანდაზა ითხოვს საერთო აზრის აუცილებელ მეტაფორიზირებას, რადგანაც მისთვის დაუშვებელია პირდაპირი ერთმნიშვნელოვანი განმარტება. მართლაც ანდაზის ტექსტის კლიშირებულობის გამო იგი ლექსიკური კომპონენტების შეცვლას არ დაუშვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ანდაზის სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურების გამოვლინება.

სტრუქტურულ ანტონიმებს მიეკუთვნება სხვადასხვაფუძიანი ანტონიმები „აჩქარებულის დედა ტიროდა, დინჯისა ხარობდაო“; სანამ ჭკვიანი დაფიქრდა, ცეტმა გადავლო მთებო [კანდ.,:67]; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ ენაში ანტონიმურ დამოკიდებულებაში ყველა სიტყვა როდი ერთვება. მაგალითად *Пожалей чужое, бог своё* (კუთვნილებითი ნაცვალსახელი) *пошлёт* [Даль,2:103]; **სხვისი** გიჟი სასაცილოა, **თავისი** კი სამარცხვინო [კანდ.,:70]; ყველაზე აქტიური თვისობრივი ზედსართავი სახელებია (качественные прилагательные), რაც მათი განმასხვავებელ თვისებათაგანია : *Хорошее* *лежит, а худое далеко бежит* [Д.,2:159]; *Не бойся врага умного, бойся друга глупого !* [Д.,2:203]; *Лучше с умным потерять, чем с дураком найти* [Д.,2:71]; *Злой* *плачет от зависти, а добрый от радости* [Д.,2:147]; *На ласковое слово не кидайся, на грубое не гневайся* [Д.,1:94]; *Не принять горького, не видать сладкого* [Д.,1:149]; *Молодому* *лгать вредно, старому* *непотребно* [Д.,1:151]; *Слезливый* *слезами обольётся, а смешливый со смеху надорвётся* [Д.,2:301]; *Лучше нищий правдивый, чем тысячник лживый* [Д.,1:69]; *На ласковое слово не кидайся, на грубое не гневайся* [Д.,1:94]; **გარეულმა** ქათამმა, **შინაური** ქათამი გააგდო [სონდ.:15] ღმერთს უთქვამს: **კეთილს** **დავტანჯავ**, **ბოროტს** **ვაყურებინებო**[სონდ.:72]; ვისაც **მწარე** არ უნახავს, **ტკბილის** გემოს ვერ დააფასებსო [ნაკ.: 9]. გვხვდება აგრეთვე წინადადების სხვადასხვა წევრებით გადმოცემული ანტონიმები. მაგალითად: ანტონიმური პრედიკატები: *Умей грешить, умей и каяться* [Д.,1:167]; **ოჯახი გაქებს**, **ოჯახი გაგინებსო** [სახ.,153] ანტონიმები ადგილის გარემოებით: **გაღმა** შეედავე, **გამოღმა** შეგრჩებაო [სონდ.:15] *Хоть, далеко да легко, а близко, да скользко* [Д.,2:53]; *Переднее* *колесо подмажешь, а заднее само пойдёт* [Д.,2:165]; *Вместе - тесно, розно-* *тошно* [Д.,2:53]; ანტონიმები დამატებით: **ბავშვს** **ის არგებს**, რაც **დიდებს** არ აწყენსო [სონდ.:11] **Недоля** **пудами, доля** **золотниками** [Д.,1:43]; პირდაპირი დამატებით: *Не бойся начала, а жди конца* [Д.,2:7]; *Дай сердцу волю, заведёт тебя в неволю* [Д.,2:279]; დროის გარემოებით: **ხვალინდელ** ქათამს **დღევანდელი** კვერცხი მირჩვენიაო [სონდ.:86]; **Рано** **оседлали, да поздно** **поскакали** [Д.,1:352]; კუთვნილებითი ნაცვალსახელებით გადმოცემული ანტონიმები: *Не береги своё, береги чужое*

[Д.,2:103]; -განუსაზღვრელ-რაოდენობითი რიცხვითი სახელებით გადმოცემული ანტონიმები: **Мало** пожалеешь, **много** потеряешь [Д.,2:35]; მაგრამ ანდაზებში: От **малого** **большое** зарождается [Д.,2:47] Из **большого** выкроишь, а из **малого** зубами не натянешь [Д.,2:48] ; **Малое** принимайте, а **большому** сроку дайте [Д.,2:74]; За **малым** погонишься - **большое** потеряешь [Д.,2:151]; **малое** – **большое** თვისობრივი ზედსართავი სახელებია ანტონიმებად. „ანტონიმები ყველა ენაში გამოიყოფა, მათში თვალნათლივ გამოსჭვივის სიტყვის განმაზოგადებელი ბუნება. მეტყველებაში ანტონიმი ანტითეზაა, უმდიდრესი საშუალება მხატვრული გამომსახველობისა“ [ლლონტი,1988:64]. ხე რომ წაიქცევა, **ცულიანი** და **უცულო** ყველა ზედ შედგებაო [სახოკია:245]; **ულონო ღონიერთან** დანაშაულია [კანდელაკი:73]; **უჩინარი** მტერი **გამოჩენილზე** უარესია [კანდ.: 73]; ასეთი შემთხვევის შესახებ ფოჩხუა აღნიშნავს, რომ „ქართულ ენას აქვს სიტყვათა დასაპირისპირებელი სიტყვათწარმოებითი საშუალებანი: არა-უ-ო და -იანი, -იერი, მაგრამ ამ შემთხვევაში სიტყვათწარმოება იძლევა ლექსიკური განსხვავების მხოლოდ შესაძლებლობებს“ [ფოჩხუა, 1974: 271]. ავტორის განმარტებით, ანტონიმთა შესწავლამ უნდა გამოავლინოს ცოცხალი, მოქმედი კავშირები სიტყვათა შორის.

ხმარებიდან გამოსული სიტყვები ანდაზებში საკმაო რაოდენობითაა შემორჩენილი. „მოძველებული სიტყვების დაცვას ხელს უწყობს ანდაზის განზოგადებული და ნართაული ბუნება. ანდაზა დიდხანს ცოცხლობს, საუკუნეთა მანძილზე გადადის კუთხიდან კუთხეში და ამიტომ ინახავს ზოგ არქაულ, მოძველებულ სიტყვას“ [ლეჟავა: 1959] **Мать праведна** –ограда каменна - დედა შვილისთვის კედელია, დამცველია (ძვ. **Праведна**- მორალური სიწმინდის და სამართლიანობის იდეალის შესაბამისი) [Ефремова: 2000] აქ ადგილი აქვს ლექსიკო-მორფოლოგიური არქაიზმის შემთხვევას. ლექსიკო-მორფოლოგიური არქაიზმის მაგალითია каменна, თანამედროვე რუსულში გამოიყენება სემა каменная. **Не чаем,(не знаем)** где часу часовать, а бог придёт,и ночь ночевать [Д.,1:46]; **Молода** жена плачет до росы утренней, сестрица до золотого кольца, мать **довеку**(ძვ- **довеку**- вечно, **молода**- молодая). Так гладит мать, а **этак** мачеха (против шерсти)(ძვ. **этак-так**).

სტილისტიკური ხერხი, რომლის დროსაც ერთი მოვლენა შედარებულია მეორეს, რათა ხაზი გაუსვას ერთ საერთო ნიშანს, რუსულ ენაში გამოხატულია სიტყვებით словно ან будто, ქართულში „როგორც“, „ისე როგორც“, (ვითარცა-ძვ.). მაგრამ, პარემიაში შედარებისათვის შეგვხვდა კავშირი «что» - Жених (невеста) **что** лошадь: товар тёмный [Д., 2: 217]; Правота – **что** лихота, всегда наружу выйдет [Д.,1:151]; Его учить, **что** по лесу бороной ездить [Д., 1:161]; Счастье, что волк, обманет да в лес уйдёт Д., 1: 47]; კავშირი «как»- Стрясь беду, **как** гусь воду [Д., 1:114]; Сытый волк смирнее завистливого человека [Д., 1:97]; смирнее - ზედსართავი სახელი აღმატებით ხარისხში გადმოსცემს შედარებას. ამ მაგალითებშიც შედარებაა, რომელ-ზედაც კავშირი «а» მიუთითებს Моль одежду ест, **а** печаль сердце [Д.,1:105];

ბ. ფოჩხუა განმარტავს, რომ გადატანითი მნიშვნელობის სიტყვათხმარების „შემთხვევათა ერთობლიობას ხშირად აჯგუფებენ მეტაფორებად, მეტონიმად და სინეკდოხებად. გადატანითი ხმარების ამგვარი დაჯგუფება ტრადიციული პოეტიკის კუთვნილებაა და მისი ლინგვისტური ღირებულება შეზღუდულია“[ფოჩხუა, 1974: 271]. მეტაფორა (ფარული შედარება)-კონცენტრირებული შედარებაა: Моль одежду ест, **а** печаль сердце [Д., 1: 105]; После дождя ведро, после горя радость [Д., 1:113]; Достаток –мать, убожество – мачеха, დედინაცვალი - თვალში ნაცარი; В лесу медведь, **а** в дому мачеха – обе равно, ისეთი კაცია, აქლემს ნემსის ყუნწში გააძვრენსო [სონდ.:37]; Ремесло не коромысло, плеч не оттянет [Д.,2:29]; აქ მოცემული შედარებები: სადაც დედინაცვალი ნაცართანაა შედარებული, Достаток (შეძლებულ ცხოვრება) - დედასთან, убожество (სიღარიბე, უბადრუკობა) დედინაცვალთან, კაცის ეშმაკობა, მოხერხებულობა - აქლემთან, რომელსაც კაცი ნემსის ყუნწში გააძვრენს, დედინაცვლის სახლში ყოფნა - დათვის ტყეში ყოფნასთან (ანუ ორივეს გაბატონებულ მდგომარეობას), Ремесло (ხელობა) შედარებულია коромысло-სთან (ვედროების საზიდი), რაც ნიშნავს, თუ ადამიანი იმუშავებს, ხელობით დაკავდება, შრომა ვედროების საზიდივით მხრებზე არ დააწვება. ფოჩხუას განმარტებით: „ყოველი გადატანითი ხმარება მოტივირებულია, მას ზურგს უმაგრებს სიტყვის

ნამდვილი მნიშვნელობა“ [ფოჩხუა, 1974:168]. ამ ლექსიკური, უზუალური ხერხით ანდაზა იძენს ექპრესიულ კონოტაციურ მნიშვნელობას.

ანდაზები, ცნობილია, საკმაოდ მოკლე, ლაკონურ, ეპიგრამულ ფორმაში იტევენ და გადმოსცემენ სოციუმში დაგროვილ ინფორმაციას. თავისი სპეციფიურობიდან გამომდინარე, ანდაზები ხშირად იყენებენ საგნების ან მოვლენების შედარებას ან შეპირისპირებას: ქათამა უთხრა კვერცხსაო, ეგრე ვიყავი მეცაო [სახ.,:193] Кочет яичко снёс, а ворона раскудахталась [Д.,2:199]; Искал мужик ножа, а нашёл ежа [Даль,1:49]; Где я лисой пройду,там три года куры не несутся [Д., 1:98]; Блоха проскочила, стол повалила [Д., : 147]; Голова без ума, что фонарь без свечи [Д.,1:338]; ბ.ფოჩხუას განმარტებით: „ზოგადი, სემასიოლოგიური მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ცხოველთა სახელები გამოიყენება ადამიანთა სულიერი დახასიათებისათვის“ [ფოჩხუა, 1974: 170].

ალეგორია ანდაზებისათვისაა დამახასიათებელი მხატვრული ტროპია, იგი ნართაულობის საშუალებით გადმოსცემს რეალობის ესთეტურ აღქმას, თავისი შინაარსით ახლოსაა მეტაფორასთან და განიხილება როგორც გავრცობილი მეტაფორა: „დედა იკითხეთ და კვიცი ისე იყიდეთ. Рано пташка запела, как бы кошка не съела [Д.,2:119]; რა თქმა უნდა აქ მხოლოდ ცხენი ან ჩიტუნია (пташка), კატა (кошка) არ იგულისხმება. ალეგორია მიუთითებს ამ პარემიის კონოტაციური მნიშვნელობის ფართო გაგებით გამოყენებას: ავი ძაღლი არც თვითონ შეჭამს და არც სხვას შეაჭმევსო [სონდ.,:4]; ალვის ხე მაღალი იზრდება, მაგრამ ზედ რა ასხიო [სონდ.:5]; არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი [სონდ.:7]; ჩიტი ოქროს გალიაშიც რომ ჩასვა, მაინც ტყვეაო [ნაკ.,:19]; წიწაკისას თავს ვინ ჩივის, როცა თესლიც მწარე აქვსო [სახ.,:137]; Не суйся, среда, прежде (наперёд) четверга [Д., 2:119]; Будут целы овцы, коли волк стережёт [Д.,2:124]; Скажешь курице, а она всей улице [Д., 2:161]; **(იხ. დანართი №28)**

ირონია ტროპია რომელშიც ფარული დაცინვაა, დელიკატური, ბოროტი, ან მწარე იუმორია. „ხალხურ ირონიას უყვარს დაახასიათოს ცნებებთან შეუთავსებადი მოვლენები“ [Рыбникова М.А.1963]. Не бойся козявка, только сок выжму [Д.,1:201];

ჰაცე, ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო[სახ.: 249] კაცს თავს აჭრიდნენ და - მუწუკი არ მატკინოთო [სონდ.:42] (იხ. დანართი №29).

კიდევ ერთ - ერთი სტილისტური ხერხი, რომელსაც ხშირად მიმართავს ანდაზა, ესაა **პარარელიზმი**: ურაკუნე კედელსაო, ელაპარაკე რეგვენსაო [სახოკია:187]; Селют – плачут, молотят – скачут [Д.,2:12] (იხ. დანართი № 30). პარალელურ კონსტრუქციებში ტირე სტილისტური ხერხია, რომელზედაც დამოკიდებულია ფრაზის აზრის კონოტაცია, მისი საშუალებით ყურადღება გამახვილებულია განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მომენტზე: ავადმყოფობა ბევრია, ჯანმრთელობა კი - ერთი [სახ.: 13] აიღე - ღონესა ჰკითხე, დახარჯე-ქონებასაო[სახ.:17] აყვავდა ხილი, დაისხა ხილი, - როგორც დედა, ისეთი შვილი [სახ.: 26]; ახალ კიტრსა და ახალ ამბავს ძვირად ნუ იყიდი, - მალე გაიაფდებაო [სახ.: 26] ბედნიერს - უწვიმდესო, უბედურს - უქროდესო [სახ.: 33]; კანონმა იკანონოსო, ნდობამ კი - იბატონოსო[სახ.: 101]; კაცს გაცრილ ფქვილს და გაწეწილ მატყელს ნუ აჩვენებ - ბევრი ეგონებაო [სახ.: 111].

უნდა აღინიშნოს აგრეთვე რუსული და ქართული ანდაზებისათვის დამახასიათებელი **იმპერატივი**, რომლის დროსაც ორივე ენაში გამოიყენება პირველი პირი, მხოლოდითი რიცხვი, რაც უფრო მეტად ამმაფრებს ანდაზის ხასიათის თავისებურებას, პრედიკატის გრამატიკული დრო და კილო განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე უკუთქმით, ნეგატიური, იმპერატივის კილოთი გადმოცემული პრედიკატი. ამ მხრივ ქართულ და რუსული ანდაზების თანხვედრაა: შოლტი ისე უნდა მოიქნო, შენვე არ მოგხვდესო[სახ.:219]; პურს თუ გთხოვენ ქვას ნუ მისცემო [სახ.:157]; Не копай другому ямы, сам в неё ввалишься [Д.,2:135]; Не зная броду, не суйся в воду [Д.,2:144]; Не продавай шкуры не убив медведя [Д.,2:130]; Вперёд людей не забегай, а от людей не отставай [Д.,2:157]; მიდი და მოდიო, განა მიდი და მოკვდიო [სახ.:133] მოღალატე რომ კალთაზე მოგედვას, ის კალთა მოიჭერიო [სახ.: 136] მრუდედ დაჯექ, ოღონდ სწორედ ილაპარაკეო [სახ.: 138] ნუ გეშინია სიკვდილისა, გეშინოდეს სირცხვილისა [სახ.: 148] პილპილი თუ არ გიჭამია, პირი რად გეწვისო [სახ.: 157]; რაც

არ ექნა მამამენსა, **ნურც** შენ **დახვე** მარმაშებსა [სახ.: 159], Раньше вставай да сам наживай [Д,2:16]; Десять раз примерь, один раз отрежь [Д,2:51]; Большого пламени **не задуешь**, а пуще раздуешь [Д,2:121]; Назвавшись груздем, полезай в кузов! [Д,2:130]; На посуленном далеко **не поедешь** [Д,2:131]; **Говори** да назад **оглядивайся** [Д,2:141]; **Береги** платье снову, а честь с молодую! [Д,2:143]; Дружиться дружись, а за саблю **держись!** [Д,2:146]; **Блюди** хлеб на обед, а слово на ответ [Д,1:318]; Богу **молись**, а к берегу **гребись** [Д,1:371]; ამ შემთხვევაშიც პრედიკატის გრამატიკული დრო და კილო განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ანდაზები სხვადასხვა ლექსიკური თუ გრამატიკული ხერხის საშუალებით, ემოციური და სტილისტური ფერადოვნებით ენის კომუნიკაციური ფუნქციის სრულყოფილებას აღწევენ.

ინვერსია უკეთესი ჟღერადობისთვის და ლაკონურობისთვის გამოიყენება Был муж, да объелся груш; ზღვაც კი დაილეოდა წვიმის წყალი რომ არ ემატებოდესო [სახ.: 84] სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია[სახ.: 177] Коли надоел человек, дай ему взаимы [Д.,2:41]; Коли вожжи порвались, за хвост не управишь [Д.,2:123]; Не гопай пока не перескачешь [Д.,2:197];

ანდაზებისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად მიჩნეულია მხატვრული ხერხი, რომლის დროსაც ხდება მსმენელზე ეთიკურ-მორალური გავლენის მოხდენა. **ანდაზები მიუთითებენ**, რაა მავნებელი, საზიანო, რა არ შეიძლება, როგორ უფრო უკეთესია, რომ მოიქცეს ადამიანი, შეიძლება გვაფრთხილებდეს: ერთი დღით რომ სადმე წახვალ, სამი დღის საგზალი წაილეო [სახოკია:63] ისეთ ალაგას ნუ დაჯდები, რომ მალე აგაყენონო [სახ.:95]; ისე ლუკმა ჩაყლაპე, რომ ყელზე არ დაგადგესო [სახ.97]; Над кем посмеёшься, тот над тобой поплачет [Д.,2:303]; Язык держи, а сердце в кулак сожми [Д,1:95]; Козла спереди бойся, коня сзади, а злого человека со всех сторон [Д.,1:111]; „მაგრამ მისი დომინანტური ფუნქცია მაინც დიდაქტიკურია, დანარჩენი არალერევანტურია“ [Пермяков,1988:90]: ისეთი ხიდი გასდე, რომ შენმა შვილიშვილმა ზედ გაიაროსო [სახ.:97] შინ თუ უფროსი არა გყავდეს, დედაბოძს დაეკითხო [სახ.:219], Одним гусем поля не

вытопчешь [Д.,2:47]; Бояться себя заставишь, а любить не принудишь [Д.,2:203]; Живи для людей, проживут люди для тебя [Д., 2:231]; Гость не кость, за дверь не выкинешь [Д.,2:237]; На всякое чихание не наздравствуешься [Д.,2:271]; На чужой роток не накинешь платок [Д.,2:271]; Своего логтя не укусишь [Д.,2:271]; Не умеешь петь в запевалы не суйся [Д.,2:277]; Взялся за гуж, не говори, что не дюж [Д.,2:277]; Пусти душу в ад, будешь богат [Д.,1:61]; Сума да тюрьма, дадут ума [Д.,1:67]; С кем поведёшься от того и наберёшься [Д.,1:137]; Соврёшь – не помрёшь, да впредь не поверят [Д.,1:159]; Живи смиреннее, так всем будешь милее [Д.,1:197]; Тише едешь – дальше будешь [Д.,1:217]; Кто ест и читает, память зачитает [Д.,1:349];

უნდა აღინიშნოს მეტაფორის როლი ანდაზის გამომსახველობითობაში. ეს სტილისტური ხერხი დამახასიათებელია ორივე ენისათვის. Мельница сильна водой, а человек едой [Д.,2:249]; Кобыла вздыхает, а траву хватает [Д.,2:251]; Сытое брюхо на ученье глухо [Д.,2:253]; Купила бы собака печень, да купить нечем [Д.,2:169]; Спела бы рыбка песенку, когда б голос был [Д.,2:271]; И красное солнышко на всех не угождает [Д.,2:113]; Неделя год кормит [Д.,2:118]; Яйца курицы не учат [Д.,2:156]; Любовь не пожар, а загориться – не потушишь [Д.,2:201]; Любовь кольцо, а у кольца нет конца [Д.,2:201]; Правда прямо идёт, а ни обойти её, ни объехать [Д.,1:155]; Повадился кувшин по воду, сломать ему голову [Д.,2:157]; ინტელექტის აღქმის ხერხად ანდაზა აქტიურად იყენებს მეტაფორას. როგორც ქართული, ასევე, რუსული ანდაზისათვის მეტად მოსახერხებელია შედარების, მეტაფორიზაციის გზით, უსულო საგნებთან, ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლების გროტესკული დახასიათებით წარმოაჩინოს ადამიანთა უარყოფითი თვისებები: სიზარმაცე, ამპარტავნობა, სიძუნწე, სიხარბე, მლიქვნელობა, ურცხვობა, თავხედობა, ქარაფშუტობა. დაუპირისპიროს დადებით თვისებებს: მოსაზრებულობას, განათლებას, შრომისმოყვარეობას, ძლიერებას, მოთმინებას, თავმდაბლობას, სტუმართმოყვარეობას და ა.შ. ცხოველთა სამყაროდან ქართულ ანდაზაში პოპულარულია ბედაური, ძაღლი, სახედარი, კამეჩი, ღორი, ხარი, მელა, მგელი და სხვ. : მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო [ნაკ.,: 37]; კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო [ნაკ.,: 25]; ყველა ძაღლი ერთი ჯობით

გაიდევნებაო [ნაკ.,31]; სხვის **ბედაურს** შენი **ჯაგლაგი** გერჩივნოსო [ნაკ.,: 29]; **ძაღლი** **ძაღლის** ძვალს არ გასტეხსო [ნაკ.,:20]; **ცხვარი, ცხვარია**, თუ გაცხარდა ცხარეაო[ნაკ.,: 20]; **ღორი** ლაფში გორვას არ მოიშლისო [ნაკ.,: 18]; **მელა** კვდებოდა და თავი საქათმისკენ ეჭირაო[ნაკ.,: 61] და სხვ. ფრინველებიდან: **ყვავი, ქათამი, წიწილა, ყვავს** რა ჰქონდა, **ბუს** გაჰქონდაო [ნაკ.: 59]; **ბუს** თავის ბარტყი ფარშავანგზე ლამაზი ეგონაო [ნაკ.,: 52] ; **ხობობი** თავს მალავს, კუდს არაო [ნაკ.,: 37]; და ა.შ. ბუნების მოვლენების, ცხოველთა, მცენარეთა, ქვეწარმავალთა, მწერთა დახასიათებით, მეტაფორული გააზრებით, ანდაზა ოსტატურად მიანიშნებს ასწავლის, არიგებს, აფრთხილებს. **ორივე კულტურაში**, როგორც ქართული, ასევე რუსული ანდაზა ირონიის, დაცინვის გამოყენებით ადვილად დასამახსოვრებელი თვისებით, ასრულებს დიდაქტიკურ - აღმზრდელი მისიას. ანდაზა ყოველთვის იყო და არის ცხოვრების სარკისეული ასახვის ფუნქციის მატარებელი.

ამ ფუნქციას წინადადების ყველა წევრი თითქმის თანაბრად ინაწილებს; გამზოგადებულობის გამოსახატავად პრედიკატის მეორე და მესამე პირში დაყენება - ორივე ენაში, განსაზღვრება, პირდაპირი და ირიბი დამატება, ინფინიტური, ელიფსური სტრუქტურები - რუსულში, შეადგენენ ანდაზების სტრუქტურის დამახასიათებელ და განუყოფელ კომპონენტებს. რაც შეეხება პრედიკატის დროის კატეგორიას, ჩვენი დაკვირვებით, მისი გამოხატვა ახლანდელ, წარსულ და მომავალ დროში თანაბარი პროცენტული რაოდენობით გამოიყენება ჩვენი აზრით, ძირითადად დროის, რიცხვის, პირის დაზუსტება არარელევანტურია, რადგანაც ანდაზები თავისი განზოგადოებული ხასიათის გამო ზოგადად უნივერსალურია.

ქართული და რუსული ანდაზების სტილისტური ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ორენოვან ანდაზათა შორის არსებითად დიდი განსხვავება არ არსებობს. ისეთი ძირითადი ხერხები, როგორცაა მეტაფორა, ჰიპერბოლა, შედარება, ირონია, სინონიმები, ანტონიმები ერთნაირი სიხშირითაა ორივე ენაში. რაც საყოველთაოდ ცნობილია, ანდაზების შინაარსის მთავარი მახასიათებელი მის იდიომატურობაშია. ეს კარგად წარმოჩინდა ორივე ენის მასალაზე დაკვირვების შედეგად.

ქართული და რუსული ანდაზების კვლევისათვის გამოყენებული იქნა სინტაქსურ-სემანტიკური, ლექსიკური მიდგომები.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული და რუსული ენები განეკუთვნებიან სხვადასხვა სისტემის ენებს, დაკვირვებამ გვიჩვენა და სტატისტიკური მონაცემებით დადგინდა, რომ ერთ, რომელიმე ცალკე აღებულ სემანტიკურ ჯგუფში არ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი, კონცეპტუალური განსხვავება. მაგრამ, ანდაზათა ერთი სახეობა ნაციონალური კოლორიტის მატარებელია და ამიტომ მათ სხვა ენაში ანალოგი არ გააჩნიათ. ასეთია დიალექტური/კუთხური წარმოშობის პარემიები. „დედა მაინც დედა არის, თუნდ **ხუზურის** ქალი იყოს,[კანდ.,:21]. „ხუზური“-სემის განმარტების მოძიება ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში არ იქნა შესაძლებელი. ჩვენი ვარაუდით, იგი შეიძლება აღნიშნავდეს საქართველოს რომელიმე კუთხეში მცხოვრები ოჯახის, ან პიროვნების სახელს ან გვარს, რომელიც უარყოფითი კონოტაციით იხმარებოდა. ვინც მოხადა ქვევრიო, იმას შეხვდა ბევრიო [სახ.,: 74]; ქართულ ნაციონალურ კულტურაში „ქვევრი“ მიწაში ჩაფლული ღვინის ჭურჭელი, რაც რუსული კულტურისათვის არაა დამახასიათებელი. Жениться – не **лапоть** (ლაფნის ქალამნები) надеть [Д.,1:293] - რუსულ ნაციონალურ კულტურაში მიღებული გლეხური ფეხსაცმელი, ხის ქერქისაგან დაწნული [Русско –грузинский словарь,1959:262]. მხატვრული ხერხების არსებობა ანდაზებში, მათებს ხალხურ გამონათქვამებს ექსპრესიულობას. მათი რელევანტურობა ასახულია პარემიის სტრუქტურულ, სემანტიკურ ფუნქციაში.

§ 4. სემანტიკური ვალენტობის განსაზღვრა ანდაზის პრედიკატულობის გადმოსაცემად

დ. ბახტაძის თქმით, „ვალენტობის თეორია ჭეშმარიტად მე-20 საუკუნის ტრენდად იქცა“. მასვე მოჰყავს გერმანელი ენათმეცნიერის აგელის გამონათქვამი „ვალენტობა ამ დროის ბომბია, იგი ლექსიკონში იდება/გროვდება და გრამატიკაში ფეთქდება“ [ბახტაძე, 2013:79] [Agel 1995:2].

თავდაპირველად ვალენტობა მოიაზრებოდა როგორც ზმნის, როგორც წინადადების ცენტრის, გარშემო მყოფი ყველა პოტენციური აქტანტის სუფთა სინტაქსურ-ფორმალური ანალიზი. თანამედროვე გაგებით ვალენტობამ სემანტიკური მიმართულებაც მიიღო. შემდგომში დაიწყო „ზმნა-პრედიკატის“ და მისი თანმხლები „აუგმენტების“ ანუ „პარტიციპანტების“ უფრო სიღრმისეული ლინგვისტური კვლევა [Кибардина, 1982:5]

ვალენტობის თეორია 60-იან წლებში განვითარდა, როგორც სტრუქტურული ლინგვისტიკის ერთ-ერთი მიმართულება; მისი ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულია ლ. ტენიერის ვალენტურ-სინტაქსურ თეორიაში 1930—50-x წ.წ, სადაც ერთმანეთისაგან გარჩეულია ერთი მხრივ ზმნისგან დამოკიდებული „აქტანტები“ (actants) და „გარემოებები“ (circumstants), მეორე მხრივ „თანმხლები სიტყვები. ნ. ჩირკოვას აზრით, „ზმნური კვანძი, რომელიც წინადადების ცენტრს წარმოადგენს მეტ წილ ევროპულ ენებში, ასახავს ერთგვარ „პატარა დრამას“. „მართლაცდა, მცირე დრამის მსგავსად. მასში აუცილებლადაა მოქმედება, რომელსაც თან ახლავს მოქმედი პირები და გარემოებები. თუ დრამატული რეალობიდან სტრუქტურულ სინტაქსის დავუბრუნდებით, მაშინ მოქმედება, მოქმედი და გარემოება გვევლინებიან, ტენიერის მიხედვით, როგორც **ზმნა, აქტანტი და სირკონსტანტი**“ [Чиркова,2010:7]. დამატება ანუ კომპლემენტი აუცილებლადაა დაკავშირებული ზმნა-შემასმენელის ვალენტურ თვისებებთან, იგი ავსებს ზმნასთან ერთ თავისუფალ ადგილთაგანს. გარემოება კი სტრუქტურულად თავისუფალია ზმნის ვალენტური თავისებურებებისაგან.

რ. ასათიანის განმარტებით, ზმნასთან მიმართებაში მყოფი სახელების რაოდენობა შესაძლებელია, სხვადასხვაგვარად აისახოს სამ ენობრივ დონეზე:

- ▶ A. სემანტიკის დონეზე (ტერმინოლოგიური აღრევის თავიდან ასაცილებლად ვიხმართ განსხვავებული ტერმინი - პრედიკატის ადგილიანობა);
- ▶ B. სინტაქსის დონეზე (შემასმენელის ვალენტობა);
- ▶ C. მორფოლოგიის დონეზე (ზმნის პირიანობა)[ასათიანი რ.1982:17].

იმისდა მიხედვით, თუ რამდენ აქტანტს მიიერთებს პრედიკატი, განასხვავებენ ნულოვან ვალენტობას (უპირო ზმნა- ნათდება,светает);

- ▶ გარდაუვალ ზმნას ერთვალენტიანს „спать” „იზრდება”);
- ▶ გარდამავალ ზმნას 3, 4 ვალენტიანსაც - (купить-кому, что, у кого; გიხატავს ის,შენ, მას).


პირიანობისა და ვალენტობის გარჩევამ ეს საკითხი დააზუსტა - ვალენტობა სინტაქსური კატეგორიაა. თ. გამყრელიძის აზრით, ვალენტობა არის ზმნის უნარი, შეიწყოს წინადადების ბირთვში აქტანტი სახელების განსაზღვრული რაოდენობა [გამყრელიძე,1964].

სემანტიკური ვალენტობა, როგორც ჩარლზ ფილმორი აღნიშნავს, ესაა ზმნის თვისება მიიერთოს რაიმე სემანტიკური აქტანტი. სემანტიკურ აქტანტებში ითვლება სუბიექტი, ობიექტი, ადრესატი, ინსტრუმენტი (რითიც ხდება მოქმედების განხორციელება) და ა.შ. ფილმორის განმარტებით ბრუნვები ისეთი უნივერსალური ცნებათაგანია, რომელთა მეშვეობითაც ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა, იმსჯელოს იმ მოვლენებზე, რომლებიც მის გარშემო ხდება და რომლებიც განსაზღვრავენ ზმნის სემანტიკურ მნიშვნელობას. საინტერესოა ამ კუთხით ეგრეთ წოდებული „ბრუნვების გრამატიკა“ ფილმორის მიხედვით [Филмор,1981], სადაც ზმნის სემანტიკის განსაზღვრისათვის აქტანტების პოსტპოზიციური და პრეპოზიციური გავლენაა განხილული (პირდაპირი და ირიბი დამატება, ზმნისზედა, ყველა სახის გარემოება). როგორც წესი, ვალენტობის ნომერაცია ხდება შემდეგნაირად: პირველი ვალენტობა სუბიექტურია, მეორე - პირდაპირი ობიექტის, ხოლო შემდგომი თანამიმდევრობა უფრო თავისუფალია. მოსკოვის სემანტიკური სკოლის თეორიის განმარტებით

თვლიან, რომ ზმნის კავშირების მსგავსი ურთიერთობები ახასიათებთ სხვა მეტყველების ნაწილებსაც, კერძოდ, ზედსართავ სახელებს, (მაგ. Сердитый кто? на кого? за что?) არსებით სახელებს.(მაგ. Сестра кого? - Петра.) „მაგრამ ყველაზე მეტი უნარი აღმოაჩნდა ზმნას და მასთან დაკავშირებულ არსებით სახელებს, რომლებიც მორფოლოგიურად მის სუბიექტურსა და ობიექტურ პირებს წარმოადგენენ“ [დავითიანი,1973:219].

ნ. არუტიუნოვა [Арутюнова,1988] აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ენის ზმნების უმეტესობა პოლისემიურია და რომ მათი მრავალმნიშვნელობა გამოიხატება კონტექსტში. მნიშვნელობის დერივაცია ხდება პარციპიანტების/აქტანტების ზემოქმედებით, რომლებიც განლაგებულია ზმნის მარჯვნივ და მარცხნივ და ასახავენ რა გარკვეულ სიტუაციას, წარმოადგენენ სემანტიკურ კომპონენტებს [Арутюнова,1988]. უნდა ავღნიშნოთ, რომ ანდაზის შემთხვევაში ზმნის ადგილი ძირითადად წინადადების ბოლოშია, რაც განპირობებულია ანდაზების სტრუქტურის და სემანტიკის თავისებურებით: მაგ. - ამღვრეულ წყალში *თევზი* ადვილად **დაიჭირება**. *არწივს* საკენკით **ვერ გააძღობო**. აგორებული *ქვა* ხავსს **არ მოიკიდებს**. ბავშვის პირით *სიმართლე* **დაღადებსო**. ბედაური *ცხენი* მათრახს **არ დაიკრავსო**. დიდ *ხეს* დიდი ნაფოტი **დასცვივავო**. Горесть молчать **не умеет**. От безделья собака на ветер **лает**. И камень лежа мохом **обрастает**. Под лежащий камень и вода не **течет**. Стоячая вода **киснет**. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. რუსულ სამვალენტთან ზმნასთან ნეიტრალური სიტყვათაწყობის პირობებში, პირდაპირია დამატება, რომელიც უფრო ახლოს დგას ზმნასთან. უმეტეს ზმნებთან ასეთი დამატება მიცემით ბრუნვამია. მაგრამ არა ანდაზების შემთხვევაში, რადგანაც ანდაზას სპეციფიური სიტყვათწყობა ახასიათებს.

Язык до добра не доведёт болтуна. S+DO+O=PRD3 «до добра» (До чего? Р.п.,ед.ч.); «болтуна» (Кого? В.п.,ед.ч.)



ტენიერის სემანტიკური ვალენტობის თეორიის გავრცელებამდე ს.დ.კაცნელსონმა და ლ.ვ. დე გროტმა დაიწყეს ამ თეორიის დამუშავება და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ვალენტური მახასიათებლებით გამოირჩევიან არა მარტო ზმნა და არსებითი სახელი, არამედ სახვა მეტყველების ნაწილებიც [Лингвистический энциклопедический словарь 1990: 80]. იმდენად, სტრუქტურების პრობლემას. ამიტომ ს.დ. კალცენსონის მიერ შემოთავაზებულ იქნა ზმნის ორი სახის ვალენტობა, რამდენადაც, ვალენტობის თეორია მტკიცედაა დაკავშირებული ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხებთან, მას მიაკუთვნებენ ენობრივი სემანტიკის და აზრობრივი ტიპის ვალენტობას: 1) ფორმალური (სინტაქსური), 2) შინაარსობრივი (სემანტიკური), რომელსაც უნივესალურსაც კი უწოდებენ და თვლიან, რომ ფორმალურისაგან განსხვავებით, ერთნაირია ყველა ენისათვის. ა.დავითიანის აზრით, ცალკეული მეტყველების ნაწილი ვალენტობის სხვადასხვა უნარს ავლენს. სემანტიკურ-გრამატიკული ვალენტობის უნარი აქვს ფორმაცვალებად მეტყველების ნაწილებს (ზმნას, არსებითს, ზედსართავს, ზოგადად, რიცხვითსა და ნაცვალსახელებს), მხოლოდ შინაარსობრივი-ზმნიზედას; დამხმარე-თანდებულს, ზოგიერთ კავშირს: ნაწილაკი და შორისდებული კი სხვადასხვა ემოციურ-სემანტიკურ ელფერს აძლევენ; ნაწილაკი სიტყვას, ხოლო შორისდებული მთლიან წინადადებას [დავითიანი, 1973]. რუსულ ენაში სახელობითი და ბრალდებითი ისე

არაფერთან არიან მჭიდროდ დაკავშირებულები, როგორც ქვემდებარესთან და პირდაპირ დამატებასთან. როგორც ცნობილია, რუსულში ბრუნვები დიდ ინფორმაციულ დატვირთვას იღებენ. Одно зерно горсть дает. S+DO=PRD 2 «горсть» (Что?Вин.пад.ед.ч.); Не боги горшки обжигают. S+DO=PRD 2 «горшки» (Что?Вин.пад.мн.ч.)

რა განსხვავებაა სინტაქსურ და სემანტიკურ ვალენტობას შორის? დავითიანის განმარტებით „პირველი სინტაქსურ-მოდელისმიერ დონეზეა, ხოლო მეორე უფრო სტილის სფეროს მიეკუთვნება, რადგანაც უპირისპირდება სტრუქტურულ კანონზომიერებას“. სემანტიკური აქტანტებიდან გამოიყოფა:

- ▶ სუბიექტი (Запас кармана не трет - Запас не трет; ბუზი ფასკუნჯის ადგილს ვერ დაიჭერსო-ბუზი ვერ დაიჭერსო);
- ▶ ობიექტი (Язык до добра не доведет болтуна. - не доведет болтуна. გლახა მოყვარეს კაი მტერი სჯობიაო- მოყვარეს სჯობიაო);
- ▶ ადრესატი(Безмерная хвала чести вредит.- чести вредит; დამალულმა ჭირმა მოკლა კაციო-მოკლა კაციო.);
- ▶ ინსტრუმენტი-(Что написано пером, не вырубишь топором; ერთმანეთისა ბაძვითა სახლი აივსო ნაგვითა- აივსო ნაგვითა) და ა.შ.


აქტანტები“ - ტრადიციულ გრამატიკაში შეესატყვისება ქვემდებარეს და დამატებას და აუცილებლად პრედიკატის თამნხლებია. „სირკონსტანტები“ შეესატყვისება გარემოებას; რაც შეეხება განსაზღვრებას, მას „თანმხლებ“ სიტყვას უწოდებენ და იგი სინტაქსურ დონეზე პასიური ვალენტობის მაგალითს წარმოადგენს. ი. ბოგუსლავსკი [Богуславский, 2003:23] „წინადადების სინტაქსურ სტრუქტურაში აქტანტებმა შეიძლება დაიკავონ სხვადასხვა პოზიციები პრედიკატული სიტყვის მიმართ“[Богуславский, 2003:23]. არსებობს სემანტიკური ვალენტობის შევსებადობის ძირითადი ტიპები: აქტიური, პასიური. როდესაც აქტანტი სინტაქსურად ემორჩილება პრედიკატს, ასეთ შემთხვევას აქტიური ვალენტობა ჰქვია, ამასთანავე, მასიურია სიტუაცია, როდესაც აქტანტი სინტაქსურად იმორჩილებს პრედიკატს, ასეთ შევსებადობას პასიური ვალენტობა ჰქვია, ტიპურია

ზედსართავის შემთხვევა არსებითთან. მაგალითისათვის მოვიყვანთ ანდაზას სადაც მკაფიოდ აისახება აქტიური და პასიური ვალენტობის სურათი: „დამალულმა ჭირმა მოკლა კაცი“. პრედიკატული სიტყვის L „მოკლა“ (აღნიშვნები ბოგუსლავსკის მიხედვით) მდგომარეობს იმაში, რომ აქტანტი A „კაცი“ სინტაქსურად ემორჩილება სიტყვას L „მოკლა“. ეს აქტიური ვალენტობის მაგალითია. ამასთანავე, როგორც ბოგუსლავსკი აღნიშნავს, მასიურია შემთხვევები, როდესაც აქტანტი A სინტაქსურად იმორჩილებს L-ს; ასეთი შევსებადობა ახასიათებს ზედსართავს „დამალულმა“(Y) „ჭირმა“(A) სიტყვა „ჭირმა“ ავსებს ზედსართავის სემანტიკურ ვალენტობას, მაგრამ სინტაქსურად იმორჩილებს მას. ეს პასიური ვალენტობის შემთხვევაა.


ასევე განვიხილოთ რუსული ანდაზა «Добрые вести прибавят чести». პრედიკატული სიტყვის L прибавят მდგომარეობს იმაში, რომ აქტანტი A чести სინტაქსურად ემორჩილება სიტყვას L прибавят. ესე იგი, ადგილი აქვს აქტიურ ვალენტობას, ხოლო добрые (Y) вести (A) სიტყვა ავსებს ზედსართავის სემანტიკურ ვალენტობას, მაგრამ სინტაქსურად იმორჩილებს მას. სახეზეა პასიური ვალენტობის შემთხვევა. არსებითი სახელები აქტიური ვალენტობის მატარებლებია და წინადადებაში ასრულებენ როგორც სემანტიკური, ასევე, სინტაქსური ობლიგატორული (სავალდებულო) აქტანტების როლს. მაგალითად „აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო“. ქვას ხავსი - აქტანტებია, ზმნას „არ მოეკიდებაო“ ორი ვალენტობით ავსებენ (არ მოეკიდება როგორ რას? რა?) ბავშვის პირით სიმართლე დაადაბნოს.

$S + DO + O = PRD3$ ესე იგი $S + DO$ (ობიექტი) = PRD 2 მაგ. „გრძელი ენა კაცს სიცოცხლეს უმოკლებსო.“ ენა, კაცს, სიცოცხლეს- აქტანტებია, პრედიკატს - უმოკლებსო სამი ვალენტობით ავსებენ.

ანუ $S + DO$ (პირდ. ობ.) + O (ირ. ობ.) = PRD 3



Запас кармана не трет. $S+DO=PRD 2$; «кармана» (чего? винит.пад.,ед.ч.)



ფორმის მიხედვით აქტანტები, როგორც წესი, არსებითი სახელითაა გამოხატული და როგორც ელემენტი დამოკიდებული არიან პრედიკატზე.

დროულ ადამიანს სიზმარიც დაეჯერებაო. $DO+S =PRD 2$

ძალი ძალის ტყავს არ დახევს. $S+DO+O=PRD3$; Язык до добра не доведёт балтуна.

$S+DO+O=PRD3$; მნიშვნელობის მიხედვით აქტანტი ისეთ კავშირს ამყარებს პრედიკატთან, რომ მის გარეშე პრედიკატის სემანტიკური დატვირთვა სრული არ იქნებოდა. მაგალითად: Материнская ласка не знает конца. მეორე აქტანტის «конца», გარეშე წინადადების აზრი გაურკვეველია. სამაგიეროდ, სირკონსტანტი სრულიად ფაკულტატური ელემენტია, მაგალითად „დაშინებულმა ძაღლმა ცხრა წელიწადს გირკს უყეფაო“. Рыбак рыбака видит издалека „ცხრა წელიწადს“, издалека - სირკონსტანტებია, მათ გარეშე ანდაზის აზრობრივ დატვირთვას მნიშვნელოვანი ზიანი არ მიადგება, ანუ მათ არ აქვს კავშირი ლექსიკურ მნიშვნელობასთან.

ე.პადუჩევა სატატიში: «О Семантическом инварианте лексической деривации» განმარტავს ზმნის აქტანტის სემანტიკურ როლს დენოტატურ დონეზე, რაც მისი აზრით, ნიშნავს შესაბამისი ობიექტის როლს ზმნის მიერ აღნიშნულ სიტუაციაში. აქვე განხილული აქვს, აგრეთვე, აქტანტის **ტაქსონომიკური და კომუნიკაციური** მახასიათებლები. **ტაქსონომიკურ** მახასიათებლად მიაჩნია „პირი“, „სულიერი არსება“, „მატერიალური საგანი“, „ნივთიერება“, „შემთხვევა, ამბავი“. ხოლო აქტანტის **კომუნიკაციურ** მახასიათებლად ასახელებს აქტანტის ადგილს პერსპექტივაში. რა შეეხება სუბიექტს და ობიექტს, ისინი ითვლებიან აქტანტებად პერსპექტივაში. პადუჩევა აღნიშნავს, რომ „გრამატიკაში თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ „სიღრმისეული ბრუნვა“ («Глубинный падеж») (=სემანტიკური როლი) იძლევა შესაძლებლობას გამოავლინოს ზმნის ის ორი აქტანტი, რომლებიც ზედაპირულ სტრუქტურაში ქვემდებარე და დამატებაა“. მისი აზრით, აქტანტების შერჩევა ქვემდებარის და დამატების როლში, განისაზღვრება მათი კომუნიკაციური მახასიათებლით, ანუ ადგილით პერსპექტივაში. სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი - ესაა ცენტრში შემავალი მონაწილენი. დანარჩენები პერიფერიას მიეკუთვნებიან. მონაწილე, რომელიც სინტაქსურად არაა დაკავშირებული ზმნასთან, მიეკუთვნება ნულოვან რანგს, ანუ იმყოფება ასე ვთქვათ, პერიფერიის საზღვრებს იქით. [[HTTP://LPCS.MATH.MSU.SU/~USPENSKY/JOURNALS/SIIO/36/36PAD.PDF](http://lpcs.math.msu.su/~uspensky/journals/siio/36/36pad.pdf) პადუჩევა].

ამასთან დაკავშირებით, ი. ნეკრასოვას მოჰყავს ტენიერის ერთ-ერთი დებულება იმის შესახებ, რომ დაყოფა ქვემდებარედ (სუბიექტი) და შემასმენლად (პრედიკატი) შემოტანილია თეორიაში ფორმალური ლოგიკიდან და ეყრდნობა ენობრივ ფაქტებს [Некрасова: 2014]. თვით ტენიერი, როგორც ცნობილია, ქვემდებარეს განიხილავდა სხვა აქტანტებთან ერთად ერთ კონტექსტში, როგორც სიტუაციის მონაწილეს [Теньер, 1988]

მოვიყვანო დ. მელიქიშვილის აზრს: „იმის მიხედვით, თუ რამდენი აქტანტის შეწყობა შეუძლია ზმნას, განისაზღვრება მისი ვალენტობა. იგი შეიძლება იყოს ერთ, ორ, სამ ან ოთხვალენტური კი. მაგრამ ევროპული ზმნისაგან განსხვავებით, ქართულ ზმნაში სათანადო ნიშნებით, გარდა მოქმედი აქტანტისა ანუ აგენსისა


(„სუბიექტური“ პირისა), გამოიხატება სამოქმედო ანუ პაციენსი (როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ობიექტური პირი) აქტანტიც. ამ მხრივ (ე.ი. სინტაქსური ძალის თვალსაზრისით) ქართული ზმნის პირმიმართი აქტანტები - სუბიექტი და ობიექტები თანასწორუფლებიანებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ზმნა იუღლვის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირების მიხედვით და, აქედან გამომდინარე, განსხვავებით ევროპული ზმნისაგან, მაგალითად, ორპირიან ზმნას, რომელიც იცვლება სუბიექტური და ობიექტური პირების მიხედვით, ნაცვლად მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ექვსი ფორმისა (როგორც ეს ერთვალენტთან / ერთპირიან ზმნაშია), აქვს 18 განსხვავებული ფორმა (ე.ი. სამჯერ მეტი, ვიდრე ერთპირიანს). ამდენივე განსხვავებულ ფორმას იძლევა სამვალენტური ზმნაც, რადგანაც ერთდროულად პირის მარკერით მასში გამოიხატება სუბიექტთან ერთად მხოლოდ ერთ-ერთი ობიექტი - პირდაპირი ან ირიბი“ [მელიქიშვილი, 2014]. „ამრიგად, ზმნა უნდა წარმოვიდგინოთ ერთგვარ კაუჭებიან ატომად, რომელსაც შეუძლია მოიზიდოს განსაზღვრული რაოდენობა აქტანტების, იმის და მიხედვით თუ რამდენი კაუჭი გააჩნია მათ მოსაზიდად. ზმნის ასეთი კაუჭების ანუ აქტანტების რაოდენობა შეადგენს იმის არსს, რასაც ჩვენ ვალენტობას ვუწოდებთ“ [Люсьен Теньер, 1988:121-122 <http://www.classes.ru/grammar/172.Tesniere/>].].

დავაკვირდით რა სემანტიკური ვალენტობის სურათს, (ქართული და რუსული ანდაზების თანაბარი რაოდენობა შეადგენდა 54 ერთეულს) შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მარტივი, სრული, ორშემადგენლიანი წინადადებით გამოხატულ ანდაზებში აქტანტების რაოდენობით განსაზღვრული ზმნის სემანტიკური ვალენტობა 2-3-ს უტოლდება. რაც შეეხება სირკონსტანტებს, ისინი ნაკლებადაა ანდაზაში. იმისდამიუხედავად, რომ სიტყვათა ვალენტური ანალიზი შედარებით კარგადაა შესწავლილი ზოგიერთი საკითხთაგანი, მაინც ღიად რჩება. ესაა ჩვენი პირველი მცდელობა, ქართული და რუსული ანდაზების მაგალითებზე დაყრდნობით, გაგვეშუქებინა სემანტიკური ვალენტობის დამახასიათებელი თვისებები და საინტერესო შემთხვევები, კერძოდ:

რუსულ სამვალენტოან ზმნასთან ნეიტრალური სიტყვათაწყობის პირობებში, პირდაპირია დამატება, რომელიც უფრო ახლოს დგას ზმნასთან. უმეტეს ზმნებთან ასეთი დამატება მიცემით ბრუნვაშია. მაგრამ არა ანდაზების შემთხვევაში, რადგანაც ანდაზას სპეციფიური სიტყვათწყობა ახასიათებს (იხ. დანართი №31).


ქართული ანდაზების პროცენტული მაჩვენებელი:

- ▶ სემანტიკური აქტანტების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგი (საერთო რაოდენობა ქართულ ენაში 27) შემდეგნაირად აისახება დიაგრამაში:
- ▶ ორი აქტანტის მქონე პრედიკატის რიცხვი შეადგენს 13 ერთეულს, ანუ 3,51%-ს; ხოლო სამი აქტანტის მქონე პრედიკატის რიცხვი შეადგენს 14 ერთეულს, ანუ 3,78%-ს, სირკონსტანტების რაოდენობა 0,1%-ია (იხ. დანართი №31).



რუსული ანდაზის პროცენტული მაჩვენებელი:

- ▶ სემანტიკური აქტანტების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგი (საერთო რაოდენობა რუსულ ენაში 27) შემდეგნაირად აისახება დიაგრამაში:
- ▶ ორი აქტანტის მქონე პრედიკატის რიცხვი შეადგენს 21 ერთეულს, ანუ 5,67 %; ხოლო სამი აქტანტის მქონე პრედიკატის რიცხვი შეადგენს 3 ერთეულს, ანუ 0,81%-ს; ქართულისგან განსხვავებით, ინვარიანტად გამოიკვეთა, ერთაქტანტიანი პრედიკატები, რომელთა რაოდენობამაც შეადგინა 3 ერთეული, ანუ 0,81%. სირკონსტანტების რაოდენობა -0,1%-ია (იხ. დანართი №32).



§ 5. მსაზღვრელის როლი, როგორც ანდაზის ექსპრესიულობის რეპრეზენტაციის ერთ-ერთი საშუალება

პარემიები, როგორც ცნობილია, ასახავენ საზოგადოებრივი აზრის ერთობლიობას, მათში ჩადებულია ეთნოსის მენტალური ღირებულებები, ცოდნა, გამოცდილება. ამ ცოდნის ძირითადი ნაწილი ინახება აზრობრივ კონსტრუქციებში-კონცეპტებში. პარემიოლოგიური ერთეულების - ანდაზების, მნიშვნელოვანი ნაწილი არ კარგავს აქტუალობას და განსაზღვრავს საზოგადოების როგორც სულიერ, ასევე, ნაციონალური მენტალიტეტის უნივერსალურ ღირებულებას. ყოველ ენას თავისი კანონები აქვს, თავისი სიტყვათა წყობა, ლექსიკური მარაგი, მხატვრული ხერხების რეპრეზენტაციის საშუალებები. პარემიოლოგიური მსოფლიო სურათი ასახავს ხალხების დამოკიდებულებას ინტელექტუალური და ემოციური ღირებულებების მიმართ. მეტი წილი პარემიებისა მორალურ - ეთიკური თვალსაზრისით ასახავენ უარყოფით თვისებებს, ხოლო დადებითი თვისებების მქონე ანდაზების რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ „ანდაზის მიზანი დიდაქტიკურია, იგი კონკრეტული ფაქტის გადმოცემასთან ერთად აღმზრდელი სენტენციაა“ [თაყაიშვილი ა.1961: 99]. ქართულ და რუსულ ანდაზებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ქალის სახე სრულფასოვნადაა წარმოდგენილი ორივე ენაში. ანდაზები ნაციონალური ტრადიციების და ადათ-წესების საგანძურია, მათში წარმოდგენილია ქალის სოციალური როლი და ქალის სტერეოტიპული ხასიათის თვისებები. გამოვლინდა ორივე ენის ანდაზებში როგორც დადებითი, აგრეთვე უარყოფითი თვისებები ქალი -დედის, ქალი- მეუღლის, ბების, სიდედრის, დედამთილის, ნათლის, მაჭანკალის, შინაბერას, პატარძლის, მულის, რძლის ხასიათის თვისებები(იხ. დანართი 33).

ჩვენ მიერ მოძიებული ანდაზებიდან ყურადღებას ვამახვილებთ პარემიებზე კონცეპტით „ქალი“. პარემიებში მსაზღვრელის საშუალებით ხაზგასმულია ქალის ხასიათის დადებითი თვისებები, ისეთი როგორცაა (იხ. დანართი 34):

მომჭირნეობა - კარგი დიასახლისი კრუხივით სხვებს პატიჟებს, თვითონ მშვიერი რჩებაო.

Добрая жена дом сбережет, а плохая рукавом разнесет (კარგი ქალი სახლს აავსებს, ცუდი- გაანიავებს);

ოჯახისქალობა - კარგი ქალის ქმარს საგზალი არ ეჭირვებაო.

Добрую жену взять - ни скуки, ни горя не знать (კარგი ქალი შეირთე, დარდი და ნალველი დაივიწყე);

პატიოსნება- ქალის ყველაზე დიდი მზითევი - სიწმინდე და ნამუსია.

Доброю женою и муж честен (კარგი ქალის ხელში ქმარიც პატიოსანია) ;

ქართულ და რუსულ პარემიებში ქალის სტერეოტიპული დახასიათება გამოირჩევა ბევრი მსგავსი ნიშნით: ქალი - **წუნია, ცბიერი, ავი და ჭირვეული არსებაა:**

ცუდი ქალი კერას მიაყრის ნაგავსო.

ანჩხლი ცოლი ქმარს ჭკუაზე შეშლის.

ავი ცოლის პატრონს ჭირში რა უნდა?-ჭირი სახლში აქვსო.

У лихой свекрови и сзади глаза (ავ დედამთილს თვალები კეფაზეც აქვს);

Злая жена сведет мужа с ума (ავი ცოლი ქმარს ჭკუაზე შეშლის);

Злая свекровь кошку бьет, а невестке навет дает (ავი დედამთილი კატას სცემს, რძალს ასმენს); უარყოფითი თვისებებიდან გამოირჩევა **ჯუჯღუნა** ხასიათი: **კრუსუნა** დედაბერმა ქვეყანა ამოჭამაო. **Сварливая** жена в доме пожар (ჯუჯღუნა ცოლი - სახლში ხანძარი);

უნდა ითქვას, რომ ორივე ლინგვოკულტურაში ქალის როლი ოჯახში მეტად მნიშვნელოვანია, მას შეუძლია, ამავედროულად, იყოს დედაბოძიც, მეუღლის მხარდამხარ მდგომიც როგორც ქართულ, ასევე რუსულ სინამდვილეში.

კარგი ქალის ქმარს საგზალი არ ეჭირვებაო. **Добрая** жена да жирные щи –другого добра не ищи! (კარგი ქალი და მსუყე წვნიანი - ამაზე მეტ სიკეთეს ნულა ეძებ); მაგალითისათვის მოვიყვანთ ანდაზების მცირე ნაწილს, სადაც მსაზღვრელები ახასიათებენ ქალს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ქვემოთ განხილულ მაგალითებში მსაზღვრელები: თავგასული, ანჩხლი, კაპასი, ლამაზი, კრუსუნა, კარგი, მძიმე,

მსუბუქი, კეთილი, ბოროტი, მორცხვი, წუნია, ქვრივი, ალალი, ეხლანდელი, მიყვანილი, უხეირო, გასათხოვარი, გათხოვილი, არის სახელური ფრაზის გრამატიკული თავის - ქალი, დედაკაცი, პატარძლები, ცოლი,- ატრიბუტი და ახდენს მის პრემოდინფიკაციას. წინმდგომი მსაზღვრელი გაუთიშავია, ანუ მათ შორის სხვა კონცეპტებს არ აქვს ადგილი.

ცნობილია, რომ მსაზღვრელი შეიძლება საზღვრულს უსწრებდეს ან მოსდევდეს. აქედან გამომდინარე, მსაზღვრელისა და საზღვრულის წყობა ორგვარია: **პრეპოზიციური** ანუ როდესაც მსაზღვრელ-საზღვრული დეტერმინაციას, იგივე მოდიფიკაციას ახდენს მისგან მარცხენა პოზიციაში და **პოსტპოზიციური**, ანუ როდესაც ადგილი აქვს სახელური ფრაზის დეტერმინაციას მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილმდებარეობის მიხედვით მისგან მარჯვენა პოზიციაში [თანდაშვილი, 2014].

პრეპოზიციური წყობის ნიმუშებია:

თავგასულ ქალს: თავგასულ ქალს ბალახმორეული ყანა სჯობიაო.

ავი დიაცი: ავი დიაცი ნადირთა დაპყრობად უძნელეციაო.

ანჩხლი ცოლი: ანჩხლი ცოლი ქმარს ჭკუიდან შეშლის.

ავი ცოლის: ავი ცოლის პატრონს ჭირში რა უნდა?- ჭირი სახლში აქვსო.

კაპასმა ქალმა: კაპასმა ქალმა ძალღი დააბა და თვითონ იყეფაო.

ლამაზი ქალის: ლამაზი ქალის ცოლად შერთვა წყალში გადავარდნააო.

გასათხოვარი ქალიო: ერდოს მამალი ვერ დაამძიმებს და დედამიწას გასათხოვარი ქალიო.

კრუსუნა დედაბერმა: კრუსუნა დედაბერმა ქვეყანა ამოჭამაო.

კარგი ქალის: კარგი ქალის ქმარს საგზალი არ ეჭირვებაო.

კარგი ცოლი: კარგი ცოლი კარგ ამხანაგს სჯობია, კარგ ძმასაცაო.

მბიმე ქალი: მსუბუქი ქალი: **მბიმე ქალი** - ოქროს ფასი, **მსუბუქი ქალი** - ფოთლის ფასი.

ამაყი ქალი: ამაყი ქალის დამცირება შეიძლება, გატეხვა არაო.

კარგმა ქალმა: კარგმა ქალმა რა ქნა და არცა თქვაო.

ლამაზი ქალის: **ლამაზი** ქალის მწყემსი მისი სინდისიაო.

კეთილი ცოლი: **კეთილი** ცოლი სახლისთვის იხვეჭს, **ბოროტი**- ოჯახს ანგრევს.

მორცხვი ქალი: **მორცხვი** ქალი-ერთ ქალაქად, **მორცხვი** კაცი - ერთ ქალამნადო.

წუნია ქალი: **წუნია** ქალი ვერ გათხოვდებაო.

ქვრივი დედაკაცის: **ქვრივი** დედაკაცის ქალს ნუ შეირთავ, სათუთად ეყოლება გაზრდილიო.

უდედო ქალიო: **უდედო** ქალიო და უმარილო მხალიო.

ალალი დედა: **ალალი** დედა მომიკვდა, დამიჯდა დედინაცვალი, იმას რომ გერები მოჰყვნენ, თვალში მაყარეს ნაცარი.

ეხლანდელი პატარძლები: **ეხლანდელი** პატარძლები რწყილს დააწვნენ და აქლემს აშობიებენო.

მოყვანილი ქალის: **მოყვანილი** ქალის ამბავს სამ წელიწადს ნუ იკთხავო.

უხეირო პატარძალმა: **უხეირო** პატარძალმა ცხრა ცოცხი მოიხმარა და ერთი ოთახიც ვერ გამოგავაო.

გათხოვილი ქალი: **გათხოვილი** ქალი რომ სამშობლოში მიდის, მშობლებმა ფილთაქვაც კი უნდა დამალონო.

რუსულ პარემიებში პრეპოზიციის მაგალითებია:

Лукавой бабы: **Лукавой** бабы и в ступе не истолочь (ცბიერ ქალს სანაყმიც ვერ დანაყავ);

Сварливая жена: **Сварливая** жена в доме пажар (ჯუჯღუნა ქალი, სახლში ხანძარი);

Злой женою: Перед **злой** женою сатана – младенец непорочный (ავ ქალთან სატანა - უცოდველი ბავშვია);

Чужая жена: **Чужая** жена – лебедушка, а **своя** – полынь горькая (სხვისი ცოლი-გედი, საკუთარი - მწარე აბზინდა);

От **плохой** жены: От **плохой** жены состаришься, от хорошей помолодеешь (ცუდი ცოლის ხელში დაბერდები, კარგი ცოლის ხელში გაახალგაზრდავდები);

Добрую жену: **Добрую** жену взять – ни скуки, ни горя не знать (კეთილი ცოლთან მოწყენილობა და დარდი არ გეცოდინება);

Хорошая невеста – **худая** жена (კარგი პატარძალი - ცუდი ცოლი);

Счастливая дочь: **Счастливая** дочь – в отца, а сын в мать (ბედნიერი იქნება ქალიშვილი, თუ მამას გავს, ვაჟიშვილი - დედას);

Родной матери: Жена для совета, теща для привета, а нет милей **родной** матери (ცოლი რჩევისთვის გამოგადგება, სიდედრი სალმისთვის, დედაზე საყვარელი კი არავინაა);

Родная матушка: Нет лучшего дружка, чем **родная** матушка (დედაზე კარგი მეგობარი არავინაა);

Родная мать: **Родная** мать и высоко поднимает, да не больно бьет (ღვიძლი დედა ძლიერ მოიქნევს ხელს, მაგრამ მწარედ არ დაგარტყამს);

С **бранчивой** (**сварливой**): С **бранчивой** (**сварливой**) кумой не напрашаешься (ჩხუბისთავ ნათლიას ბოდიშებით გულს ვერ მოუგებ);

У **лихой** свекрови: У **лихой** свекрови и сзади глаза (ავ დედამთილს თვალები კეფაზეც აქვს);

Блудливая свекровь: **Блудливая** свекровь и невестке не верит (ცუდი საქციელის მქონე დედამთილს რძლისაც არ სჯერა// რძლის საქციელშიც ეჭვი ეპარება);

Золотая сударушка: Баба, бабушка, **золотая** сударушка, была бы моя бабуся, никого не боюсь (ბებო, ბებია, ოქროს ადამიანი, ჩემი ბებია რომ იყოს არავისიც არ შემეშინდება);

რუსული პარემიების მაგალითებში მსაზღვრელები: лукавая, сварливая, плохой, добрую, хорошая, счастливая, родная, лихой, золотая, злой, худая, блудливая არის სახელური ფრაზის გრამატიკული თავის - бабы, жена, кума, свекровь, сударушка, мать, дочь,- ატრიბუტი და ახდენს მის პრემოდიფიკაციას. აქაც მსაზღვრელი

გაუთიშავია და შეთანხმებულია რიცხვში, სქესსა და ბრუნვაში. წინ მდგომი თუ მომდევნო მსაზღვრელი, ჩვეულებრივ, უშუალოდ დგას საზღვრულთან, მაგრამ, ზოგჯერ ისინი გათიშული არიან ერთმანეთისაგან სიტყვით (სიტყვებით) [კვაჭაძე,184], ბევრსა ვაჟკაცსა მკვებარს, ბევრი ქალი სჯობს **თმიანი**. ამ მაგალითში მსაზღვრელი პოსტპოზიციურ მდგომარეობაშია, ბოლოხმოვნია, ინვერსიული წყობაა და გრამატიკული ფორმის მიხედვით მსაზღვრელი და საზღვრული შეთანხმებულია (ორივე სახელობით ბრუნვაშია). მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ზმნა „სჯობს“ წარმოადგენს გამთიშველს.

შეიძლება შევხვდეთ აგრეთვე არატიპურ მდგომარეობას მსაზღვრელისა საზღვრულის მიმართ. მსაზღვრელი, როგორც წესი, მდებარეობს საზღვრულისაგან მარცხენა პოზიციაში. ზოგჯერ მსაზღვრელი საზღვრულის დეტერმინაციას, (მოდისფიკაციას) ახდენს მისგან მარჯვენა პოზიციაში [თანდაშვილი]. ანუ საქმე გვაქვს ინვერსიულ წყობასთან, პოსტმოდისფიკაციასთან: жену **богатую**, а тещу **тороватую**: Муж любит жену **богатую**, а тещу **тороватую** (ქმარს ცოლი სიმდიდრისთვის უყვარს, სიდედრი - მოხერხებულობისთვის); Мать **праведная**: Мать **праведная** - ограда каменная (დედა გულმართალი//ალალმართალი - ქვითკირის კედელი); პოსტმოდისფიკაციის ნათელი მაგალითია: «**богатую**» განსაზღვრავს გრამატიკულ თავს «жену», აგრეთვე «**тороватую**» განსაზღვრავს «тещу» და ახდენს მის პოსტმოდისფიკაციას.

ძველ ქართულში გაბატონებულ ფორმას პოსტპოზიციური წყობა (საზღვრულ-მსაზღვრელი) წარმოადგენდა [კვაჭაძე ლ.1981, 184]. ასეთი ნიმუშები გვაქვს პარემიებში: ქალი **მორცხვი**-ქვეყნის ფასი, ვაჟი **მორცხვი** - კვერცხის ფასიო. არ ვარგა ქალი **მეჭორე**, სოფლად ვაჟკაცი მკვებარა; გაუჭირდება, დადგება, როგორც უღელში მჭლე ხარი. არცა ვიყავ რძალი **კარგი**, არცა შემხვდა ქმარი ვარგი. მაგალითად პარემიაში - არცა ვიყავ რძალი **კარგი**, არცა შემხვდა ქმარი ვარგი. „**კარგი**“ განსაზღვრავს გრამატიკულ თავს „**რძალი**“ და ახდენს მის პოსტმოდისფიკაციას. კიზირიას განმარტებით „პოსტპოზიციური განსაზღვრება თანამედროვე ქართულში ძალზე იშვიათია. ასეთი განსაზღვრება ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და

რიცხვში, ხოლო პრეპოზიციული განსაზღვრება რიცხვში არ ეთანხმება საზღვრულს”. მაგალითად მრავლობითში „კარგი რძალი” იქნება „კარგი რძლები”, ანუ მსაზღვრელი გვევლინება მხოლობითში, ხოლო მსაზღვრული, ფუძეკუმშვადი „რძლები” მრავლობით რიცხვშია. ასევე ანდაზაში „**მოყვანილი** ქალის ამბავს სამ წელიწადს ნუ იკითხავო”. მსაზღვრელი „**მოყვანილი**”, ატრიბუტული, გადმოცემული მიმღეობით, სახელობით ბრუნვაშია, მხოლობით რიცხვში, მსაზღვრული - ნათესაობითში, ასევე მხოლობით რიცხვში. მრავლობით რიცხვში იქნება „**მოყვანილი ქალები, მოყვანილმა ქალებმა** „ შეთანხმება ხდება მხოლოდ ბრუნვაში და ა.შ.

რუსულ ენაში ამ მხრივ განსხვავებული სიტუაციაა. მაგალითისათვის: „**Родная** мать и высоко поднимает, да не больно бьет. მსაზღვრელი პრეპოზიციულ მდგომარეობაშია; გარდა რიცხვისა და ბრუნვისა, შეთანხმებაა სქესშიც. ეს უკანასკნელი გრამატიკული კატეგორია, როგორც ცნობილია, ქართული ენისათვის არაა დამახასიათებელი. რუსულ ანდაზებში: Жена для совета, теща для привета, а нет милей **родной** матери. Нет лучшего дружка, чем **родная** матушка. Воля и **добрую** жену портит. От **плохой** жены состаришься, от хорошей помолодеешь; მსაზღვრელი საზღვრულთან პრეპოზიციურ მდგომარეობაშია, შეთანხმებულია რიცხვში, ბრუნვაში, სქესში - **Родная** мать- **родная** матушка- სახელობითი ბრუნვა, მხოლობითი რიცხვი, მდედრობითი სქესი; **родной** матери- ნათესაობითი ბრუნვა, მხოლობითი რიცხვი, მდედრობითი სქესი; მრავლობით რიცხვში მივიღებთ «родные матери» და ა.შ. «**добрую** жену» მსაზღვრელ საზღვრული შეთანხმებულია რიცხვსა(მხოლ.რიცხვი) და ბრუნვაში (ბრალდებითი ბრუნვა-винительный падеж); **плохой** жены - შეთანხმება რიცხვში (მხ.რ.), ბრუნვაში (ნათესაობითი ბრ.-родит. под.) სქესში (მდედრ., женск. род). ანდაზაში «Лучше хлеб с водою, чем жить со **злой** женою»(ცარიელ წყალზე და პურზე ყოფნა ჯობს აშარი ცოლის გვერდით ყოფნას) მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური (პრემოდისცირებული) მდგომარეობაა, შეთანხმებული რიცხვსა (მხ.რ.,ед.ч.) და ბრუნვაში (მოქმედ.ბრ.,твор.под), სქესში (მდედრ.სქ.,ж.р.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ ენაში, მოქმედებით ბრუნვაში -ои (-ей) დაბოლოებებთან ერთად შეიძლება იხმარებოდეს -ою(-ею) დაბოლოება, „რომელიც მოძველებულად

ითვლება და მხოლოდ წიგნის მეტყველების სტილის გადმოსაცემად გვხვდება” [Валгина,1971:183]. თანამედროვე ფორმა იქნება «злой женой».

„სიტყვათა მტკიცე წყობა ანდაზის ყალიბის შექმნას უწყობს ხელს. ანდაზა ერთგვარ ფორმულას წარმოადგენს. პირველ ადგილზე ანდაზა სვამს იმ წევრს, რომელზედაც ლოგიკური მახვილი მოდის. ყველაზე ხშირად ეს წევრი ქვემდებარეა, შემდეგ დამატება, შედარებით იშვიათად სხვა წევრები” [ლეჟავა,1959: 181].

ისმის კითხვა, მამ რატომ გვხვდება შემთხვევები, როდესაც საზღვრული უსწრებს მსაზღვრელს? რაც, როგორც ავტორი მიუთითებს, ანდაზისათვის უცხოა. ამ კითხვას ასე აქვს პასუხი გაცემული - „ეს სტილისტური და ლექსთწყობის საჭიროებითაა გამოწვეული” [ლეჟავა,1959:182]. აგრეთვე, დავამატებთ და დავემოწმებით როზენტალის აზრს იმის შესახებ, რომ ინვერსია აძლიერებს წინადადების წევრების აზრობრივ დატვირთვას და გადაჰყავს გამონათქვამი ნეიტრალურიდან ექსპრესიულ-ემოციურ ხაზში [Розенталь, 2005]. ინვერსიის სტილისტური ამოცანაა მეტყველებაში ექსპრესიულობის გაძლიერება.

პარემიაში „ყმა გავლილ - გამოვლილი სჯობს, ქვეყნიერება ნახული, ქალ - მამის კერას **ნაჯდომი**, საქმარედ შემონახული,” გარდა იმისა, რომ მსაზღვრელი პოსტმოდინფიცირებულია, იგი გათიშულია შეთანხმებული შესიტყვებით „მამის კერას”. ადგილი აქვს დისტანციურ განსაზღვრებას, რაც „ცოცხალი მეტყველების-ათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი” [კიზირია.,1959:218]. კონცეპტი „ქალ” რითმულობის და დიალექტურობის რეპრეზენტაციაა. ქალი **მორცხვი** - ვაჟი ხასი, ორივე კი ქვეყნის ფასი. ქალი - **თმიანი**, მწვადი - ცვრიანი. **Мать праведная**-ограда каменная. **Сваха лукавая**, змея семиглавая. მსაზღვრელების: **ნაჯდომი**, **მორცხვი**, **თმიანი**, **праведная**, **лукавая** ადგილი განპირობებულია რითმულობის დასაცავად და, ამავდროულად, ექსპრესიულობის გასაძლიერებლად; აგრეთვე ხაზს უსვამს ინფორმანტის პარადიგმული ურთიერთობის რელევანტურობას. თუ საზღვრული **ნარ-თანთან** მრავლობითშია, მართული მსაზღვრელი ეთანხმება მას ბრუნვასა და რიცხვში (კვაჭაძე, 1981:192) ამის მაგალითად მოვიყვანთ ანდაზას „უმჯობეს არსო ლომ - ვეშაპთანა, ვიდრე **ბოროტსა** დედაკაცთანა”. მსაზღვრელი „ბოროტსა” დგას

მხოლოდითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში და შეთანხმებულია საზღვრულთან რიცხვსა და ბრუნვაში (მხოლ. რ., მიც.ბრ.).

ანდაზის ერთ - ერთ მნიშვნელოვან კომპონენტაგანად შეიძლება ჩაითვალოს მოვლენის შემფასებლური ანუ აქსიოლოგიური პრედიკატი (პარადიგმებში „ავი - კარგი, ბოროტი- კეთილი, თავგასული- მორცხვი, хорошая-худая, чужая- родная, злая- добрая) რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარემიის შინაარსის ხატოვნად გადმოსაცემად.

მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილმდებარეობა განხილულ პარემიებში იძლევა შესაძლებლობას ითქვას, რომ „საზღვრულ - მსაზღვრელი სინტაქსურად მჭიდროდ შეკავშირებული ერთეულებია” [კიზირია, 1982: 230] და მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული წყობა ექსპრესიულობის რეპრეზენტაციის ერთ-ერთი საშუალებაა. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ჩვენ მიერ განხილულ ანდაზებში პოსტპოზიციური მსაზღვრელის მაგალითების უმნიშვნელო რაოდენობაა, რაც დასტურდება პროცენტული რაოდენობის ჩვენებით (**იხ. დანართი №33**).

ამდენად, ზოგადად ანდაზების კლასიფიკაცია მეტად საინტერესო საკვლევი საკითხია, ქართული ანდაზების კლასიფიკაციის საკითხი ღიადაა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. თუმცა, ვთვლით, ჩვენეული დაკვირვებით, მიგვაჩნია, რომ ყველაზე მართებული გ. პერმიაკოვის კლასიფიკაციაა. სასურველია, ქართული ანდაზები ასეთი კლასიფიკაციის მიხედვით იქნეს შესწავლილი.

- ❖ სუბსტანტირება ერთ-ერთი დამახასიათებელ ნიშანთაგანია როგორც ქართულ, ასევე რუსულ ანდაზაში, სუბსტანტივირებული ზედსართავები ტიპოლოგიურად მსგავსია და ორივე ენის ანდაზებში ყველაზე დიდ ჯგუფს ქმნის სუბსტანტივანთა შორის. გამოვლინდა, რომ მათი რიცხვი თითქმის 78%- შეადგენს, ხოლო დანარჩენი მეტყველების ნაწილთა პროცენტული რაოდენობა დაახლოვებით 4, 4%-ია.
- ❖ დავაკვირდით რა სემანტიკური ვალენტობის სურათს, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მარტივი, სრული, ორშემადგენლიანი წინადადებით გამოხატულ ანდაზებში აქტანტების რაოდენობით განსაზღვრული ზმნის

სემანტიკური ვალენტობა 2-3-ს უტოლდება. რაც შეეხება სირკონსტანტებს, ისინი ნაკლებადაა ანდაზაში.

- ❖ მსაზღვრელ - საზღვრულის ადგილმდებარეობა განხილულ პარემიებში იძლევა შესაძლებლობას ითქვას, რომ ინვერსიული წყობა ექსპრესიულობის რეპრეზენტაციის ერთ-ერთი საშუალებაა.

დასკვნა

ანდაზის სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპოლოგიური მიმართებების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი:

- ❖ კვლევამ დაადასტურა, რომ ანდაზა შუალედური რგოლია ფრაზეოლოგიზმსა და ტექსტს შორის და ავლენს ორივე ერთეულის დამახასიათებელ თავისებურებებს.
- ❖ შესაძლებელია, ანდაზა განვიხილოთ როგორც დისკურსის მნიშვნელოვანი ლოგიკურ-სემანტიკური კონოტაციით დატვირთული და მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.
- ❖ ანდაზის ლინგვისტური სტატუსი უნდა განიხილებოდეს შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:
 - ანდაზას ყოველთვის აქვს წინადადების ფორმა;
 - ანდაზა ყოველთვისაა სინტაქსურად და კომპოზიციურად დასრულებული, ანუ დამოუკიდებელი და გააჩნია ჩამოყალიბებული პრედიკატული სტრუქტურა;
 - ანდაზას არ გააჩნია ენობრივ გარემოში კონკრეტიზაციისათვის სივრცობრივ-დროებითი, კონკრეტულ-პიროვნული და სხვა მსგავსი ურთიერთობები.
 - ანდაზები იწარმოებიან მზა სახით, გამოირჩევიან მყარი სტრუქტურით, ექსპრესიულობით, ხატოვანებით, სენტენციოზურობით, დიდაქტიკურობით, შემფასებლობით, ქარაგმულობით, სიმოკლით და კომპაქტურობით.
 - ანდაზების განმასხვავებელი თვისება ანდაზური თქმისაგან მდგომარეობს კიდევ იმაში, რომ ისინი ინარჩუნებენ ორ ხაზს-პირდაპირ და ირიბ კონოტაციას. მთავარი განმასხვავებელი თვისება ანდაზისა ანდაზური თქმებისაგან მისი დიდაქტიკური შინაარსი და აზრობრივი სისრულეა, რაც ანდაზურ თქმებს არ გააჩნიათ.

- ❖ ანდაზისათვის ყველაზე მოხერხებული წინადადების ფორმა განზოგადებულპირიანი წინადადებებია. ის ასახავს რა ადამიანთა კოლექტიურ გამოცდილებას, ან მოქმედის ტიპურ მოქმედებას, ასახელებს სიტუაციას და ამით ანდაზა იძენს იმ მნიშვნელოვან და მისთვის დამახასიათებელ სახეს, რაც მის ფართოდ გავრცელებას და პოპულარობას უწყობს ხელს. კვლევამ დაადასტურა, რომ როგორც ქართული, ასევე რუსული ანდაზა ტიპოლოგიურად **იზომორფულია** ამ მიმართებით.
- ❖ მიუხედავად ენების განსხვავებულობისა, წინადადების სინტაქსური სურათი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. მაგალითად ანდაზების ელემენტარული სტრუქტურული სურათი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ : სადაც S=წინადადება, NP=(სახელური კომპონენტები), VP=(ზმნური კომპონენტები) [დანართები №7-17].
- ❖ პროცენტული თანაფარდობა ერთგვარშემასმენლიან ქართულ და რუსულ ანდაზებს შორის **უნივერსალურია**. თავისუფალი მეთოდით შერჩეული ანდაზების სტრუქტურული ანალიზის შედეგად **დავასკვნით**, რომ ერთგვარშემასმენლიან ანდაზებში ორივე ენა აქტიურად იყენებს Vf 2s და Vf 3s. მნიშვნელოვნად პასიურია Vf 1s და Vf pl – ფორმები.
- ❖ დადგინდა, რომ ორივეენოვან ანდაზებში შერწყმული წინადადება მარტივთან შედარებით რაოდენობით **მცირეა**. მათგან უფრო ხშირია შემასმენლების მიხედვით შერწყმული ანდაზები, შემდეგ მოდის ერთგვარქვემდებარიანი, ერთგვარდამატებიანი, ხოლო განსაზღვრებითა და გარემოებათა მიხედვით შერწყმული იშვიათია. რუსული სამშემასმენლიანი ანდაზის სახეობა პროცენტული რაოდენობით მნიშვნელოვნად აჭარბებს ქართული, ამგვარი სტრუქტურის ანდაზის პროცენტულ რაოდენობას. ჩვენს ხელთ არსებულ **სამშემასმენლიანი** ანდაზის მაგალითის მხოლოდ 1% მოიძებნა, ხოლო რუსულში- 16%. რაც მეტყველებს რუსულში, ქართულისაგან განსხვავებით, ამ კატეგორიის ანდაზის **ალომორფიზმზე**.

- ❖ რუსული პრედიკატული და ატრიბუტული ფორმები ქართული ენაზე ერთი და იმავე ფორმით ითარგმნება. დაკვირვებამ ცხადყო, რომ სიტყვასიტყვით თარგმანი, ხშირ შემთხვევაში, ვერ გადმოსცემს ანდაზის ზუსტ სემანტიკურ, კონოტაციურ და დენოტაციურ არსს, იკარგება ექსპრესიულობა და გამომსახველობა. ყოველ ენაში პარემიის სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურება არ იძლევა საშუალებას, თარგმანის დროს შეინარჩუნოს მოდალობის სუბიექტურ-შემფასებლური ხარისხი.
- ❖ კვლევის შედეგად დადასტურდა:
 - ქართულ ანდაზაში უსრული წინადადებით გამოტოვებული არსებითი სახელის პროცენტული თანაფარდობა შეადგენს: სულიერი-30,8%; უსულო-14,8%; კონკრეტული-46,2%; აბსტრაქტული-0,22%; **ბრუნვის მიხედვით:** სახელობითი-35,2%; მიცემითი-6,6%; მოთხრობითი-2,2%; **სინტაქსურად:** გამოტოვებული ქვემდებარე-72,60%; გამოტოვებული პრედიკატული წყვილი-8,8%; გამოტოვებული დამატება და შემასმენელი-2,2%; [დანართი №2]
 - რუსულ ანდაზაში გამოტოვებული არსებითი სახელის პროცენტული თანაფარდობა: სულიერი-2,10%; უსულო-2,31%; კონკრეტული-3,99%; აბსტრაქტული-0,42%; **ბრუნვის მიხედვით:** სახელობითი-2,10%; ნათესაობითი-1,47%; ბრალდებითი-1, 47%; **სინტაქსურად:** გამოტოვებული ქვემდებარე-1,89%; გამოტოვებული დამატება-1,52% [დანართი №4].
 - ქართულ ანდაზებში გამოტოვებული ზმნა - შემასმენელის პროცენტული თანაფარდობის შედეგები: პირი: I-0,4%; II-1,84%; III-18,86%; რიცხვი: მხოლობითი-19,79%; მრავლობითი-1,38%; **მწკრივი:** აწმყო-7,82%; აწმყო უწყვეტელი-5,06%; აწმყო მყოფადი-4,14%; ხოლმეობითი-0, 01%; წყვეტილი-4,60%; **გვარი:** მოქმედებითი-13,80%; ვნებითი-5,52%; საშუალი-1,84%; **ქცევა:** საარვისო-14,72%; სათავისო-

19,32%; სასხვისო-9,2%; კონტაქტი; შუალობითი-15,18%; უშუალო-5,98% [დანართი №1].

- უსრული წინადადებით გადმოცემულ რუსულ ანდაზებში გამოტოვებული ზმნა - შემასმენელის პროცენტული თანაფარდობის შედეგები: პირი: I-0,32%; II-3,84%; III-6,4%; დრო; წარსული-0,64%; ახლანდელი-5,76%; მომავალი-3,84%; კილო; თხრობითი-7,36%; ბრძანებითი-2,56%; ასპექტი; სრული-2,88%; უსრული-7,36%; უღლება; I-5,12%; II-5,12% [დანართი №3].
- დადგინდა ქართულ და რუსულ ელიფსურ წინადადებებში გამოტოვებული კომპონენტების თანაფარდობა დასტურდება, რომ ელიფსური წინადადებების ზოგი სახე, რომელიც დამახასიათებელ ნიშნადაა მიღებული რუსულ ენაში, ანდაზაში იშვითადაა, ან საერთოდ არ იძებნება, მაგალითად, ელიფსი თხოვნის გადმოცემის ნიშნით, აქტიური ფიზიკური ზემოქმედების აღნიშვნით, სუბიექტის მოძრაობა სივრცეში და სხვა [დანართი №5, №6]
- საანალიზო ენაში არ დასტურდება ინტენსიური ფიზიკური მოქმედების (бить, рубить) აღნიშვნელი გამოტოვებული ზმნა-შემასმენლების არსებობა, მცირეა ადგილის აღნიშვნელი გამოტოვებული ზმნა-შემასმენელის პროცენტული რაოდენობა მაგ. Дальше в лес – больше дров [Даль,2:51] დაახლოებით 3%- ია.

- ❖ პროცენტულად რუსული ინფინიტივით გადმოცემული ანდაზები ქარბობს ქართულ მასდართ გადმოცემულ ანდაზებს. რუსული ანდაზა, ქართულისაგან განსხვავებით, განზოგადებულობის სემანტიკური მნიშვნელობის გამოსახატავად ინფინიტიურ წინადადებებს ხშირად მიმართავს.
- ❖ მიგვაჩნია, რომ პოტენსიალისის გამოყენებით შესაძლებელია რუსული ანდაზების თარგმნა და პირიქით. ეს ფორმა ოპტიმალური ვარიანტია ანდაზის შინაარსის ზედმიწევნით გადმოსაცემად, იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება

მოძებნილი ზუსტი ეკვივალენტი მაგ: Не тебе бы говорить, да не мне бы слушать [Даль,1:158] გელაპარაკა - მოგესმინა. ნეტა შენ არ გელაპარაკა და მე არ მესმინა.

❖ კვლევის პროცესში გამოიკვეთა ანდაზების განსაკუთრებული სახეობა, რომელიც ვ.დალის ანდაზების კრებულში მხოლოდ რამდენიმე ერთეულით განისაზღვრა. ამ სახის ანდაზებში ინფინიტივი ორმაგია : **разорваться статья; лгать не устать; быть опадать; миновать отдыхать; устать доспеть; лизать его статья; знать ночевать; перетакивать статья; лопнуть статья; Сделать бы не устать, да разорваться статья [Д., 2:276]; Лгать не устать, было бы кому слушать [Д.,1:157]; Сколько цвету не цвести, а быть опадать [Д.,2:10]; Сколько ни бежать, а миновать отдыхать [Д.,2:61]; Не устать доспеть, было бы что съесть [Д.,2:61]; С рожки хорош, да не лизать его статья [Даль,2:167]; Рано попала лиса в яму, а знать ночевать [Д.,2:272]; Так не так, не перетакивать статья [Д.,2:286]; Живут же люди неправдой, так и нам не лопнуть статья [Д.,1:121]; ამგვარი ნიმუშების შესახებ ლინგვისტურ სამეცნიერო ლიტერატურაში ინფორმაციის მოძიება არ დადასტურდა. ჩვენი ვარაუდით, ეს შემთხვევა საინტერესო კვლევის საგანია.**

❖ მიუხედავად იმისა, რომ ანდაზისათვის მოკლე, ლაკონური, სხარტი წინდადებებია დამახასიათებელი, ქართულ და რუსულ ენებში ანდაზა საკმაოდ აქტიურად გამოიყენებს რთული წინდადების სახეობებსაც: რთულ თანწყობილს, რთულ ქვეწყობილს.

- დასტურდება, რომ „ანდაზის გადმომცემ თანწყობილ წინდადებაში ვერსად შევხვდებით მაპირისპირებელ კავშირებს არამედ, ხოლო, მაიგივებელ ანუ, ესე იგი-მაინც, ოღონდ, -ს. „არამედ“ ანდაზისათვის უცხოა და შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში ჩამწერის ან მოქმელისაგან მომდინარეობდეს. ასევეა რუსულშიც კავშირები: **тоже, также, зато.**

- ქართულში **მაცალკევებელი** კავშირებიანი ანდაზის ერთი მაგალითი მოიძებნა **გინდ-გინდ.** მაცალკევებელი კავშირი **მაგრამ**-ის 10%-ზე მეტი აღმოჩნდა. ეს კავშირები მიუთითებენ მოვლენების მონაცვლეობას, ან რამდენიმე მოვლენიდან ერთ-ერთის შესაძლებლობას. **გინდ**

რეგენისათვის გისწავლება, **გინდ** მკვდრისათვის გიწამლება [სონდ.:45]. ენა ყველაფერს იტყვის, **მაგრამ** კაცს სინდისი უნდა ჰქონდესო [ნაკაშიძე:41]

- კავშირის უხმარებლობა როგორც ქართულ, ასევე რუსულ ანდაზაში სიმარტივესა და სიმსუბუქეს უწყობს ხელს. აღმოჩნდა, რომ ძირითადად მაპირისპირებელი და მართებელი კავშირებია გამოტოვებული, ამით ფრაზა უფრო მეტად მოკლდება და მარტივდება. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართულ ანდაზაში უკავშირო შეერთების მაგალითების პროცენტულმა რაოდენობამ გადააჭარბა რუსული ანდაზების რაოდენობას. რაც ჩვენი აზრით ქართული ენისათვის **ალომორფული** შემთხვევაა. რუსულ ანდაზებში ჭარბობს სხვადასხვა კავშირიანი შეერთების შემთხვევები.

❖ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, ზოგადად, ანდაზების კლასიფიკაცია მეტად საინტერესო საკვლევი საკითხია, ხოლო, რაც შეეხება ქართულ ანდაზებს, კლასიფიკაციის საკითხი ღიადაა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

❖ კვლევისას დადგინდა, რომ სუბსტანტივაცია ქართულ და რუსულ ანდაზებში აქტიურადაა გამოყენებული. რუსულენოვან ანდაზებში სუბსტანტირებული კუთვნილებითი ნაცვალსახელების მაგალითები მცირე რაოდენობითაა: **Свой [кто?]** **своему** поневоле друг (брат) [Даль,2:97] **И всяк [кто?]** умрёт, как смерть придёт [Даль,1:85] **Всяк [кто?]** от своих осудится и оправится [Даль,1:180]. რუსულ და ქართულ ანდაზებში რიცხვითი სახელების სუბსტანტირების მაგალითები დაახლოებით 10%-ია.

- სუბსტანტირებული ზმნიზედების მაგალითები მცირეა რუსულ ანდაზაში, ხოლო ქართულში თითქმის არ გვხვდება: **Давно** [что?]- не причина;

- რუსულისათვის დამახასიათებელი სუნსტანტირებული ცალკეული სიტყვები **Своего спасиба [чего?]** не жалеи, а чужого не жди [Даль,1:101]; **Пожалуйста [что?]** не кланяется [Д.,1:101]; **Авось [что?]**небось родной брат [Д.,1:48], ქართული ანდაზისთვის შეიძლება **ალომორფად** ჩაითვალოს.
 - სუბსტანტირება ერთ-ერთი დამახასიათებელ ნიშანთაგანია როგორც ქართულ, ასევე რუსულ ანდაზაში, სუბსტანტივირებული ზედსართავები ორივე ენის ანდაზებში ყველაზე დიდი ჯგუფია სუბსტანტივანთა შორის. გამოვლინდა, მათი რიცხვი თითქმის 78%-ს შეადგენს, ხოლო დანარჩენი მეტყველების ნაწილთა პროცენტული რაოდენობა დაახლოებით 4, 4%-ია.
- ❖ სინონიმების რაოდენობრივი მაჩვენებელი მკვეთრად არ განსხვავდება ქართულ და რუსულ ენებში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა მდიდარია ამ მხატვრული ხერხის მრავალფეროვნებით, დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ორივე ენაში მათი **რაოდენობა იდენტურია.**
- კვლევით დასტურდება, რომ აბსოლუტურად ტოლი სინონიმების რიცხვი ქართულ და რუსულ ანდაზებში 4-5 %-ს შეადგენს.
 - **ალომორფად** შეიძლება ჩაითვალოს ქართულ ანდაზაში რითმულობის თავისებურება. სხვათა სიტყვის აღმნიშვნელი -ო, რუსულისთვის არაა დამახასიათებელი. ამასთანავე, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, იგი ანდაზის ორივე ნაწილში ერთდროულად გამოიყენება: ვისაც მიჰყავდეო, იმას მიჰგავდეო [სახ.: 78]; ვინც მოხადა ქვევრიო, იმას შეხვდა ბევრიო [სახ.: 74]; ვინც დაიზარაო, არ გაიზარაო [სახ.: 73];
 - ჩვენი დაკვირვებით, მოცემული ანდაზების რიტმულობა ეფუძნება არა სინტაქსურ მახასიათებლებს, არამედ გართიმულ დაბოლოებებს, ასონანსს, ალიტერაციას და ლექსიკურ გამეორებებს, მარცვალთა თანაფარდობებს. აზრობრივი მახვილი ლექსემაზე და მარცვალთა რაოდენობა რიტმიკულად ათანაბრებს ანდაზის ჟღერადობას.

- ❖ რუსული და ქართული ანდაზებისათვის დამახასიათებელია **ბრძანებითი კილო/იმპერატივი**, რომლის დროსაც ორივე ენაში გამოიყენება პირველი პირი, მხოლოდითი რიცხვი, რაც უფრო მეტად ამძაფრებს ანდაზის ხასიათის თავისებურებას, პრედიკატის გრამატიკული დრო და კილო განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აგრეთვე, უკუთქმით, ნეგატიური, იმპერატივის კილოთი გადმოცემული პრედიკატი. ამ მხრივ ქართულ და რუსული ანდაზები იდენტურია: შოლტი ისე უნდა მოიქნო, შენვე არ მოგხვდესო [სახ.,: 219]; პურს თუ გთხოვენ ქვას ნუ მისცემო [სახ.,: 157]; **Не копай** другому ямы, сам в неё ввалишься [Д.,2:135]; **Не знаяши** броду, **не суйся** в воду [Д.,2:144]; **Не продавай** шкуры не убив медведя [Д.,2:130];
- ❖ ქართული და რუსული ანდაზების სტილისტურმა ანალიზიმა ცხადყო, რომ მათ შორის არსებითად დიდი განსხვავება არაა. ისეთი ძირითადი ლექსიკური ხერხები, როგორცაა მეტაფორა, ანთითეზა, ჰიპერბოლა, შედარება, ირონია, სინონიმები, ანტონიმები თანასწორი სიხშირითაა ორივე ენაში. ანდაზების შინაარსის მთავარი მახასიათებელი მათ იდიომატურობაშია.
- ❖ მარტივი, სრული, ორშემადგენლიანი წინადადებით გამოხატულ ქართულ და რუსულ ანდაზებში აქტანტების რაოდენობით განსაზღვრული ზმნის სემანტიკური ვალენტობა 2-3-ს უტოლდება. რაც შეეხება სირკონსტანტებს, ისინი ნაკლებადაა ანდაზაში. იმისდამიუხედავად, რომ სიტყვათა ვალენტური ანალიზი შედარებით კარგადაა შესწავლილი ზოგიერთი საკითხთაგანი, მაინც ღიად რჩება. ჩვენი პირველი მცდელობაა ქართული და რუსული ანდაზების მაგალითებზე დაყრდნობით გაგვეშუქებინა სემანტიკური ვალენტობის მახასიათებლები, კერძოდ: რუსულ სამვალენტო ზმნასთან ნეიტრალური სიტყვათაწყობის პირობებში, პირდაპირია დამატება, რომელიც უფრო ახლოს დგას ზმნასთან. უმეტეს ზმნებთან ასეთი დამატება მიცემით ბრუნვაშია. მაგრამ არა ანდაზების შემთხვევაში, რადგანაც ანდაზას ახასიათებს სპეციფიკური სიტყვათწყობა.

- **ქართულ ანდაზებში** ორი აქტანტის მქონე პრედიკატის რიცხვი შეადგენს 13 ერთეულს, ანუ 3,51%-ს; ხოლო სამი აქტანტის მქონე პრედიკატის რიცხვი შეადგენს 14 ერთეულს, ანუ 3,78%-ს, სირკონსტანტების რაოდენობა 0,1%-ია [დანართი №31]
- **რუსულ ანდაზებში** :ორი აქტანტის მქონე პრედიკატის რიცხვი შეადგენს 21 ერთეულს, ანუ 5,67 %-ს; ხოლო სამი აქტანტის მქონე პრედიკატის რიცხვი შეადგენს 3 ერთეულს, ანუ 0,81%-ს; ქართულისგან განსხვავებით, **ინვარიანტად** გამოიკვეთა, ერთაქტანტიანი პრედიკატები, რომელთა რაოდენობამაც შეადგინა 3 ერთეული, ანუ 0,81%-ი, სირკონსტანტების რაოდენობა -0,1%-ია [დანართი №32].
- ❖ ქართულ და რუსულ ანდაზებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ კონცეპტი „ქალი“ განსაკუთრებულადაა წარმოდგენილი. მსაზღვრელ -საზღვრულის ადგილმდებარეობის განხილვა პარემიებში იძლევა შესაძლებლობას ითქვას, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობა ექსპრესიულობის რეპრეზენტაციის ერთ-ერთი საშუალებაა [დანართი №33]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი, რ. (1982). მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი.თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
2. ასათიანი,რ. (2007). ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსური მოდელები ქართულში .nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e
3. ბახტაძე, დ. (1992). ფრაზეოლოგიური პრედიკაციის პრობლემები (გერმანული და ქართული ენების ტიპოლოგიური კვლევის საფუძველზე).თბილისი: „სარანგი“
4. გამყრელიძე, თ. (1964). ზმნის „პირიანობა და „ვალენტობა“. თბილისი: საენათმეცნიერო კრებული, ეძღვნება გ.მაჭავარიანის ხსოვნას.
5. გოგოლაშვილი, გ. (2011). (საერთო რედაქციით), თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. სალიტერატურო ენა. თბილისი: არნ, ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი. შიტა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
6. დავითიანი, ა.(1973). ქართული ენის სინტაქსი, ნაწილი პირველი.თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
7. დარასელია ნ.(1973). ანდაზა სოციალიზაციის პროცესში (ქართულ, ინგლისურ, ამერიკულ ანდაზათა მასალებზე) საენათმეცნიერო ძიებანი, ტ.VI
- 8.თანდაშვილი, მ. (1999). <http://titus.uni-frankfurt.de/personal/manana/tavi1-1.htm> Copyright Tbilisi (მოძიებულია 26.04.2015)
9. თაყაიშვილი, არლი (1961). ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები.თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
10. კვაჭაძე, ი. (1963). ენათა შეპირისპირებითი ანალიზის როლი ინტერტერენციის უარყოფითი გავლენის ნეიტრალიზაციაში.თბილისი: „ცოდნა“.
11. კვაჭაძე, ლ., (1988). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მესამე შევსებული გამოცემა.თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

12. კიზირია, ა. (1982). მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში. თბილისი: „მეცნიერება“
13. კოდუხოვი, ვ. (1982). ზოგადი ენათმეცნიერება. თარგმანი რუსულიდან. (ენუქაშვილი რ. „Высшая школа“) თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
14. ლეჟავა, ლ. (1959). „ქართული ანდაზების ენა“ კრებულში „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“ ტ.1, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
15. მერაბიშვილი, თ. (2011). კომუნიკატივისტიკა, როგორც ლინგვისტიკის მიმართულეა კულტურათაშორისი კომუნიკაციები №15 <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e>
16. მელიქიშვილი, დ. (2001). ქართული ზმნის უღლების სისტემა. თბილისი: გამომცემლობა გელათის მეცნიერებათა აკადემია,
17. მელიქიშვილი, დ. (2014). ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი სავალდებულო სალექციო კურსი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის https://www.tsu.ge/data/image_db_innova/Saleqciokursi-magistratua_2015_01_29_10_50_47_087.pdf (19.06.14)
18. ნებიერიძე, გ. (1991). ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება.“
19. ომიადე, ს. (2006). დისერტაცია ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა-სემანტიკა და ფუნქციონირება (10.02.01 _ ქართული ენა) სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი (ელექტრონული ვერსია) <https://www.google.com/search?q>

20. რუსეიშვილი, მ. (2003), ანდაზა, როგორც მაქსიმის დარღვევის ერთ-ერთი შემთხვევა, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XIX.
21. სერგია, ვ. (1989). ტექსტის ლინგვისტიკა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.
22. უმიკაშვილი, პ. (1937). ხალხური სიტყვიერება, ლექსები, ანდაზები, გამოცანები; რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გოგიჩაიშვილისა; ნაწილი პირველი; ტფილისი. გამომცემლობა ფედერაცია.
23. უთურგაიძე, თ. (2002). გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბილისი: (მონოგრაფია, 244 გვერდი).
24. ფოჩუა, ბ. (1974). ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
25. ფუტკარაძე, ტ. (2006) ქართული ზმნის ლოგიკური პარადიგმის საკითხისათვის: აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის შრომები (ენათმეცნიერული სერია), ტ. VIII (I), ქუთაისი putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/links/3.5.htm (27.05.2015)
26. ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება (1960), ნაწილი პირველი, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
27. ლლონტი, ალ. (1955). ქართული ანდაზების სინტაქსის საკითხები. თბილისი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV / სტალინირის პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები. - 1952. - N1. - გვ. 139-54. - 1955. - N2. - გვ. 243-312
28. ლლონტი, ალ. (1988). ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები. მესამე გამოცემა, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
29. შეროზია, რ. (1980). «ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან», თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“ გვ. 119-126
30. შანიძე, ა. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.
31. ჩიქობავა, არნ. (1968). მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. ნაწილი პირველი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

32. ჩიქოვანი, მ. (1946). ქართული ფოლკლორი. თბილისი: „სახელგამი“.თავი „ანდაზა“.
33. ჩიქოვანი, მ. (1975). ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია.თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ.1,
ყიფშიძე,ი.(1994). რჩეული თხზულებანი. თბილისი:(გამოსცა კ.დანელიამ).
34. ჭიკაძე, რ.(1995). წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
35. ხატიაშვილი, ხ. (2012). ბიბლიური ფრაზეოლოგიზმები მსოფლიო ენობრივ სურათში.(რუსულ და ქართულ ენებზე). თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
36. ჯაში, ქ. (1984). ანდაზა,როგორც ფრაზეოლოგიური ერთეული, ჟურნალი „უცხო ენები სკოლაში“ № 3 გვ.63–68
37. ჯაგოდნიშვილი, თ. (2004), ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია,წიგნი პირველი,(XIX საუკუნე).თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
38. ჯორბენაძე, ბ.(1980) ქართული ზმნის ფორმოზრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
39. Абакумова, О. Б. (2013). Диссертация на соискание степени доктора филологических наук. Пословица в медийном дискурсе <http://www.km.ru/referats/335125-poslovitsa-v-mediinom-diskurse>
40. Алефиренко, Н.Ф. (2009). Фразеология и паремиология. Учеб. пособие для бакалаврского уровня филол. образования. Москва. Изд-во "Флинта. Наука
41. Аникин, В.П.(1957). Пословицы и поговорки: Вступительная статья./ В.П. Аникин.// Аникин В.П. Русские народные пословицы, поговорки, загадки и детский фольклор. издательство Министерства просвещения РСФСР, – 240 с.
42. Аксенова, Е. Д.(2008). Лингвокультурологический анализ концептосферы "здоровье человека" в русской паремиологии : диссертация... кандидата филологических наук : - Москва- 260 с
43. Арутюнова, Н.Д.(1988). Типы языковых значений. Оценка.Событие. Факт. - Москва. «Наука».

44. Апресян, Ю.Д. (1974). Лексическая семантика: Синонимические средства языка. Москва. [http://www.lrc-press.ru/pics/previews/ru/\(275\)1.pdf](http://www.lrc-press.ru/pics/previews/ru/(275)1.pdf)
45. Базаров, Б.Т., (2014). Контрастивная лингвистика как отрасль современного языкознания Статья- oaji.net/articles/245-1396165946.pdf
46. Богатырев, П.Г., Якобсон, Р.О. (1971). Фольклор как особая форма творчества // Богатырев П.Г. Вопросы народного творчества - Москва. Искусство с. 369-383
47. Барли, Н. (1988). «Структурный подход к пословицам и максиме»- Паремнологические исследования. Москва
48. Бодуэн де Куртенэ, И.А.,(1903). Предисловие к 1 выпуску // Толковый словарь живого великорусского языка В.Даля. Изд-е Тов-ва М.О.Вольф,- Т.1.- Москва.
49. Борботько, В.Г. (2006). Принципы формирования дискурса: От психолингвистики к лингвосинергетике. Москва. <http://urss.ru/cgi-bin/db.pl?lang=Ru&blang=ru&page=Book&id=121032> (23.11.2014)
50. Богуславский, И.М.,(2003). Замечания об актантной структуре адвербиальных дериватов // *Die het kleine eert, is het grote weerd*. Pegasus Ost-Europese Studies 1. Amsterdam: Uitgeverij Pegasus, P. 23-40. *Boguslavsky_Iomdin.pdf*
51. Белошапкова, В.А. (1977). Современный русский язык: Синтаксис. Москва: Высш. шк.
52. Белый, А. (1929). Ритм как диалектика и «Медный всадник» / А. Белый. – М. : Издательство «Федерация» [fhttp://bdnsteiner.ru/modules/Books/files/216.pdf](http://bdnsteiner.ru/modules/Books/files/216.pdf)
53. Будагов, Р. А. (1953) ; Очерки по языкознанию. Академия наук СССР, Институт языкознания. - Москва : Академия наук СССР.
54. Букатевиц, Н.И., Савицкая, С.А., Усачёва Л.Я. (1974). Историческая грамматика русского языка. Москва: Издательское объединение «Вища школа»
55. Буслаев, Ф.И. (1959). Историческая грамматика русского языка. Москва.
56. Бругман, (1882). "Grundriss der vergleich. Grammatik" Страсбург, т. II.
56. Бюлер, К. (1993). Теория языка. Репрезентативная функция языка. Москва. Изд. группа «Прогресс»; «Универс»,

57. Валгина, Н.С., Розенталь Д.Э., Фомина М.И. (1987). Современный русский язык, Москва.»Высшая школа»
58. Богуславский, И. М.(2008). Только ли у глаголов есть диатезы? // ВЯ. №. 6. стр. 6—2
- 59.Богуславский И.М.,(2003). Замечания об актантной структуре адвербиальных дериватов // Amsterdam: Uitgeverij Pegasus, стр. 23-40. Boguslavsky_Iomdin.pdf
60. Ван Дейк, Т. А. (1998). К определению дискурса. [WWW-документ] URL <http://psyberlink.flogiston.ru/internet/bits/vandijk2.htm> © А. Дерябин, перевод с английского, 31 May, 1999 (10.12.2014).
61. Валгина, Н.С. и др (1971). Современный русский язык. Издание 4-ое, дополненное Москва. Издательство «Высшая школа».
62. Виноградов, В.В. (1972). Русский язык. Грамматическое учение о слове. Москва.
63. Виноградов, В.В.(под ред) (1952). Современный русский язык. Морфология. (Курс лекций). Изд. Московского ун-та
64. Ветрюк, К.А. К вопросу об определении и типологии дискурса: паремический дискурс. Орел. k_voprosu_ob_opredelenii_i_tipologii
65. Гаврин, С.Г.(1967). Фразеология современного русского языка (в аспекте теории отражения). Пермь : Пермск. гос.пед.ин-т.
66. Гак, В.Г. (1989). О контрастивной лингвистике // Новое в зарубежной лингвистике. Вып. XXV.Контрастивная лингвистика / Сост. В.П. Нерознак. Москва. Прогресс 88.
- 67.Галкина-Федорук, Е.М. (1959). О двусоставных и односоставных предложениях в современном русском языке // Филологические науки -№ 2.
68. Галкина-Федорук, Е.М. (1963). Безличные предложения глагольного образования в древнерусском языке //Славянская филология. Вып.5.. Москва. МГУ.
69. Гухман, М.М. (1973). Лингвистические универсалии и типологические исследования., Вопросы языкознания.Москва. Издательство «Наука» №4,стр. 3-16
70. Голшух, (1888). Пословицы, поговорки и изречения, или народная мудрость на трех языках: русском, французском и немецком: с прибавлением некоторых на лат. яз.,
71. Гвоздев, А.Н.(1958), Современный русский литературный язык. Ч. 1-2 Москва.

72. Горшкова, К. В., Хабургаев Г. А. (1981). Историческая грамматика русского языка. Москва. «Высшая школа»
73. Глаголевский, П. П. (1873). Синтаксис языка русских пословиц. СПб.: Я. А. Исаков .
74. Долин, Ю. Д. (2008), Вопросы теории односоставного предложения (на материале русского языка) Оренбург http://www.orenport.ru/images/doc/1156/Dolin_russ.pdf
75. Дуличенко, А. Д. (2011), Основы славянской филологии. Тартуский университет, Кафедра славянской филологии [монография].
76. Дьякова, А. А. (1997). к. филол. н. Волгоградский государственный социально-педагогический университет twinsi@mail.ru http://scjournal.ru/articles/issn_1997-2911_2015_7-1_14.pdf Издательство «Грамота» www.gramota.net
77. Жолобов, О. Ф. (2013). Презенс-футурум в Троицком сборнике (РГБ, ТР. 12) Научная статья по специальности «Языкознание» Учёные записки казанского университета, Том 155, кн. 5 Гуманитарные науки <http://cyberleninka.ru/article/n/prezens-futurum-v-troitskom-sbornike-rgb-tr-12>
78. Жуков, В. П. (1986). русская фразеология. Москва «Высшая школа»
79. Иванов, В. В. (1963). Историческая грамматика русского языка. Москва. Издательство «Просвещение».
80. Кацнельсон, С. Д. (1983). К понятию типов валентности / С. Д. Кацнельсон // ВЯ №3 стр. 20-23
81. Кибардина, С. М. (1982). Категория субъекта и объекта и теория валентности // Категория субъекта и объекта в языках различных типов. Ленинград. Наука.
82. Кибрик, А. (2003). На правах рукописи. Анализ дискурса в когнитивной перспективе. Специальность 10.02.19 Теория языка http://ilingran.ru/kibrik/DA_cognitive_perspective@Diss_2003.pdf
83. Крикманн, А. А. (1997), К проблематике исследования содержания мировоззрения пословиц Автореферат канд. дисс. Таллин. <http://www.ruthenia.ru/folklore/krikmann1.pdf> (23.02.2014)

84. Красных, В.В. (2001). основы психолингвистики и теории коммуникации: Курс лекции. Москва: Гнозис Кучково поле . <http://www.studfiles.ru/preview/1765640/>
85. Лекант, П. А. (2004). Синтаксис простого предложения в современном русском языке. Высшая школа. Москва.
86. Лотман, Ю.М.(1972). Анализ поэтического текста. – М.: Просвещение, 271 с. Конспект. Введение
- 87.Макаров, М.Л. (2003). Основы теории дискурса http://yanko.lib.ru/books/cultur/makarov-osnovu_teorii_diskursa-8l.pdf
88. Минц С.И., Померанцева Э.В. (1971).Русская фольклористика. Хрестоматия. Издание 2-е Москва. Издательство «Высшая школа» .
89. Михельсон, М.Н. (1912), Русская мысль и речь. Свое и чужое. Опыт русской фразеологии. СПб, Т II,С.23
90. Падучева, Е.В. (1974). О семантике синтаксиса. Материалы к трансформационной грамматике русского языка .Москва.Издательство «Наука»
91. Павлович, А.И. (1967) Историческая грамматика русского языка. Ч 2. Морфология. Москва. «Просвещение».
92. Пермяков, Г.Л. (1988). Основы структурной паремологии. Москва. « Наука».
93. Розенталь, Д. Э. и др. (2005). Современный русский язык. Москва.Айрис-пресс.
94. Русская грамматика, (1980). Синтаксис / под ред. Н. Ю. Шведовой. Москва. Наука.
95. Ренская, Т.В. (1976).О фразеологическом эллипсисе в синтаксическом аспекте в русском языке. Русский язык в школе.- №5. - С.73-78.
96. Ренковская, Е. А. Некоторые особенности синтаксической структуры русских пословиц (на примере монопредикатных предложений) www.dialog-21.ru/digests/dialog2011/materials/ru/pdf/54.pdf, 22.08.15
97. Реформатский, А. А. (1955). Введение в языкознание. Москва.Государственное учебно-педагогическое издательство Министерства просвещения РСФСР.
98. Рахилина, Е. В., Плунгян В. А., О лексико семантической типологии 3- Rakhilina.Plugian pdf (25.06.2015)

99. Рудов, В.Ф.(1957). О некоторых взаимоотношениях фразеологии со словарным составом языка/ В. Ф. Рудов. Вып. 3. Таганрог
100. Рыженко, Ю. А.,(2004). автореферат диссертации по филологии, специальность ВАК РФ 10.02.01 диссертация на тему: Эллиптические предложения со значением бытия в современном русском языке., <http://cheloveknauka.com/ellipticheskie-predlozheniya-so-znacheniem-bytiya-v-sovremennom-russkom-yazyke#ixzz3jd1xY3Sh>
101. Рыбникова, М. А.(1961). Русские пословицы и поговорки / АН СССР, Ин-т мировой лит. им. А.М. Горького. — М. : Изд-во АН СССР,. — 229, [1] с.
http://elibrnpu.ru/text/rybnikova_russkie-poslovitsy-i-pogovorki_1961/(12.12.2014)
102. Сова, Л.З. (2007). Аналитическая лингвистика и типология, Санкт-Петербург https://iling.spb.ru/comparativ/persona/sova/analytical_tipo.pdf
103. Серёгина, М.А. (2010). Паремия и план ее выражения: признак структуры Пед. институт Южного федерального университета, Россия rusnauka.com/12_ENXXI_/Philologia/65150.doc.htm Филологическая наука/7.(2.02.2015)
104. Сквородников, А.П. (1978). Эллипсис как стилистическое явление современного русского языка / Пособие для спецкурса. Красноярск. Изд. КГПИ, Красноярск.
105. Скобликова, Е.С.(1979). Современный русский язык. Синтаксис простого предложения. Москва. «Просвещение»
106. Супрун, А.Е., Захарова, О.В.(1969). Типологическая сопоставительная грамматика и универсалии. Москва. В сб.: Языковые универсалии и лингвистическая типология. 158.
107. Тарланов, З.К. (1972). Пословицы как материал для изучения синтаксиса: (к истории изучения и определения пословиц) // Ученые записки Ленинградского педагогического института. Петрозаводск

108. Тарланов, З. К.(1993). Введение в спорные проблемы общей теории синтаксиса. Петрозаводск
109. Телия, В.Н. (1996). Русская фразеология. Семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты. «Языки русской культуры», Москва.
110. Успенский, Б. А. (1965). О сосуществовании грамматических типов в языке // Лингвистическая типология и восточные языки. . Москва. Наука. С. 178-188.
111. Филлмор, Ч. Дело о падеже. Новое в зарубежной лингвистике. Выпуск
112. Лингвистическая семантика <http://www.classes.ru/grammar/155.new-in-linguistics-10/source/worddocuments/20.htm> (14.06.2015)
113. Черных, П.Я. (1954). Историческая грамматика русского языка. Краткий очерк. Издание второе. Государственное учебно-педагогическое издательство Министерства просвещения РСФСР.М.
114. Чиркова, Н. И. (2010). Синтаксис современного русского языка. Ижевск
115. Чикобава А.С. (1984), Грузинский язык. ЕИКЯ, XI, Тбилиси.
116. Шанский Н.М. (1963), Фразеология современного русского языка. Государственное издательство. Москва. «Высшая школа».
117. Щерба, Л.В. (1974). Теория русского письма. В кн. «Языковая система и речевая деятельность». Л. : Наука. Ленингр. отд-ние.
118. Шейгал, Е. И. (2004). Семиотика политического дискурса. Москва. <http://irbis.amursu.ru/DigitalLibrary/EBD/10.02.00/020004014.pdf>
119. Ярцева, В.Н. (1960). О сопоставительном методе изучения языков // НДВШ «Филологические науки». – №2
120. Ярцева, В. Н.(1976). Глагольные категории в инфинитиве индоевропейских языков, в кн.: Иранское языкознание, Москва.
121. Якобсон, Р.(1973). Вопросы поэтики. Постскрипtum к одноименной книге. – М., С. 80-98.

122 Bittnerova.D Sindler.F (2003).: Ceska prislovi; Soudoby star konce. stoleti. 2vyd. Praha, Nakladatelstvi Karolinum,

123.Krikmann (1984),1001 Frage zur logischen Struktur der Sprichwörter.Semiotische Studien zum Sprichwort. Simple Forms Reconsidered I.Special Issue of Kodikas/Code – Ars Semeiotica. An International Journal of Semiotics.Vol. 7, No. 3/4 pp. 387–408

124.Mieder, V. (1998) Twisted Visdom. Modern Anti-Proverbs. Vermont, 396

125.Some peculiarities of the syntactic structure of Russian proverbs: a study of one-predicate sentences. (jennyrenk@rambler.ru)

126.Cermak.F.:(2001) Paromiologikal minimum of Czech:The Corpus Evidence.In Elut von Texten – VielvalT der Kulturen.Ascona

ლექსიკონები

127.Даль, В.И. (1866). Толковый словарь

128.Ефремова, Т. Ф. (2000). Толковый словарь www.twirpx.com/file/220844/

129.Лингвистический энциклопедический словарь (1990): Советская энциклопедия, <http://www.infolex.ru/Lien2.html>

130.Литературная энциклопедия. — (1929—1939) В 11 т.; Издательство Коммунистической академии, Советская энциклопедия, Художественная литература. Под редакцией В. М. Фриче, А. В. Луначарского. Москва.

131.Марузо. Ж. (1960), Словарь лингвистических терминов. Издательство иностранной литературы. Москва.

132.Современный толковый словарь русского языка(2004)/ гл. ред. С.А. Кузнецов. - М.: Ридерз Дайджест

133.Фелицына В.П., Прохоров Ю.Е. (1979) Русские пословицы, поговорки и крылатые выражения // Лингвострановедческий словарь /Под ред. Верещагина Е.М. М.: Рус. яз., - 238 с.

134.Энциклопедический словарь Ф.А. Брокгауза и И.А. Ефрона(1890—1907)С.-Пб.: Брокгауз-Ефрон.

135.Словарь литературоведческих терминов [1974] (редакторы-составители Л.И.Тимофеев и С.В.Тураев) «Просвещение». Москва.

საანალიზო მასალა შემოკლებათა განმარტებებით

136.სახ. - სახოკია თ.(1967) , ქართული ანდაზები, „განათლება“, თბილისი

137.ნაკ. - ნაკაშიძე ნ. (1953), საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი,

138.კანდ. - კანდელაკი ა., (1959) ქართული ანდაზები. საბჭოთა მწერალი, თბილისი

139.სონდ. - სონდულაშვილი ჯ.(1991),ქართული ანდაზები და გამოცანები. „მეცნიერება“ თბილისი

140.ინგლისური ანდაზები და ხატოვანი თქმანი ქართულ-რუსული თარგმანითა და თქმებით, (1970) „მერანი“, თბილისი,

141.ლაფ. - Русско –грузинские пословицы и поговорки (შემდგ. ვასილ ლაფერაშვილი, 1972)

142.Д. - Даль В.И.(1984) «Пословицы русского народа» ;т.1-2 Москва; «Художественная литература»

ინტერნეტწყაროები

143.<http://tapemark.narod.ru/les/198b.html>[eurasia-allnews.ru/nauchnye-stati/item/239-o-sootnoshenii-ponyatij-dkharma-i-pravo-v-drevneindijskoj-traditsii-dkharmashastr.html (07.11. 2014)

144.Диссертации по гуманитарным наукам - <http://cheloveknauka.com/ellipticheskie-predlozheniya-so-znacheniem-bytiya-v-sovremennom-russkom-yazyke#ixzz3jcyuQjsM>

145.http://lingvistics_dictionary.academic.ru/(2.03.2014)

146.<http://dic.academic.ru/searchall.php?Sword> 12.03.2015

147.<http://www.dissercat.com/content/sravnitelno-sopostavitelnyy-analiz-struktury-i-semantiki-turetskikh-i-chuvashskikh-poslovits#ixzz39nW7UvXC>(15.07.2015)

148.<http://ucnk.ff.cuni.cz>(28.09.2014)

149. <http://www.dissercat.com/content/russkaya-poslovitsa-v-paremiologicheskom-prostranstve#ixzz3DN9AWPQw> 12.03.2015
150. <http://bdnsteiner.ru/modules/Books/files/216.pdf>
151. [http://www.topautor.ru/Kakpoyavilis_poslivitsi_i-pogovorki_24d4.html].(25.05.2015)
152. [www.quotat.info/category/po-avtoram/aristotel](3.02.2014)
153. nplg.gov.ge/gwdict/index.php]. (24.09.2015)
154. https://iling.spb.ru/comparativ/persona/sova/analytical_typo.pdf
24.09.2015)

დანართები

დანართი № 1

უსრული წინადადებით გადმოცემულ ქართულ ანდაზებში

გამოტოვებული ზმნა - შემასმენელის მორფოლოგიური კატეგორიების

პარადიგმა

ანდაზა	პირი	რიცხვი	მწკრივი	გვარი	ქცევა	კონტაქტი
1.ადამიანი ღმერთსაც დაივიწყებს და ჭამა - სმას ვერაო[სახ.: 12] - [დაივიწყებს]	III	მხოლ.	აწმყო მყოფადი	მოქმედ.	საარვ.	შუალობითი
2.ადამიანს ენით აბამდნენ, საქონელს - რკალითაო [სახ.: 12]- აბამდნენ	III	მრავლ.	აწმყო უწყვეტელი	ვნებ.	საარვ.	შუალობითი
3.ავიხედავ - ცას შევხედავ, დავიხედავ მიწასაო [სახ.: 15]- შევხედავ	I	მხოლ.	მყოფადი	მოქმედ.	საარვ.	შუალობითი
4.ბრმა ქორწილში გაუშვეს, კოჭლი - სანადიროდაო [სახ.: 36]-გაუშვეს	III	მრავლ.	წყვეტილი	ვნებ.	საარვ.	შუალობითი
5.გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა - წყალთა დენამა [სახ.: 43] -დალია	III	მხოლ.	წყვეტილი	მოქმედ.	საარვ.	შუალობითი
6.გუთანს მომეტებული ხარი არ მოსჭარბდება და წისქვილს - წყალიო [სახ.,47] -მოსჭარბდება	III	მხოლ.	ხოლმეობითი	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
7.ენა კაცს ატყუებს, მარილი - თხას[სახ.,61] -ატყუებს	III	მხოლ.	აწმყო	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
8.კაცს ენა მოატყუებს და ძროხას - მარილი[სახ.: 110] -მოატყუებს	III	მხოლ.	მყოფადი	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
9. ერდოს მამალი არ დაამძიმებს,დედამიწას - გასათხოვარი ქალიო [სახ.,62] - დაამძიმებს	III	მხოლ.	მყოფადი	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
10.ერთხელ თუ ახალმა გამახარა, ცხრაჯერ - ძველმაო[სახ.: 67] - გამახარა	III	მხოლ.	წყვეტილი	ვნებ.	საარვ.	შუალობითი
11.ვინც იცის, ცეცხლიაო, ვინც არა - ცერცვიაო[სახ.: 73] -იცის	III	მხოლ.	აწმყო	ვნებ.	სათავი სო	უშუალი
12.ვინც მოითმინა - ვერცხლიაო, ვინც არა და - ცეცხლიო [სახ.: 74] - მოითმინა	III	მხოლ.	წყვეტილი	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
13.ზოგი რჩებოდა ბედიტა, ზოგი - უბედობითაო [სახ.: 83] -რჩებოდა	III	მხოლ.	უწყვეტელი	ვნებ.	საარვი სო	შუალობითი
14.თუ ცხვარს მეტს მოსწველ - ყველს ემატება, თუ არადა - ბატკანსაო[სახ.: 92] - ემატება	III	მხოლ.	აწმყო	მოქმ.	სათავ.	შუალობითი

15.კარგი ცხენი ქერს იმატებს, ავი ცხენი -მათრახსაო [სახ.: 103] - იმატებს	III	მხოლ.	აწმყო	ვნებ.	საარვ.	შუალობითი
16.კაცმა კაცისა თქვა და საქმემ კი -ორივესიო[სახ.: 108] -თქვა	III	მხოლ.	წყვეტილი	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
17.მელოტი თმასა ნატრულობს, მშიერი - მჭადის ჭამასაო [სახ.: 129] -ნატრულობს	III	მხოლ.	აწმყო	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
18.მინდორს თვალი აქვს და კედელს - ყურიო [სახ.: 134] -აქვს	III	მხოლ.	აწმყო	საშუალ.	სათავ.	უშუალო
19.მოყვარეს პირში უძრახვენ, მტერს - პირს უკანაო [სახ.: 37]- უძრახვენ	III	მრავლ.	აწმყო	ვნებ.	საარვ.	შუალობითი
20.მჭედელს დანა არა ჰქონდა და ფეიქარს -ხელსახოციო[სახ.: 144] - არა ჰქონდა	III	მხოლ.	წყვეტილი	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
21.ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამკარგავმა -ათასიო[სახ.: 201]- ქნა	III	მხოლ.	წყვეტილი	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
22.ქურდს ქურდი სძულდა, ორივე - ღმერთსაო[სახ.,202] -სძულდა	III	მხოლ.	წყვეტილი	მოქმ.	საარვ.	უშუალო
23.ქუხილით წვიმა არ მოვა, ხმადაგდებითა - ლაშქარი [სახ.,202] -არ მოვა	III	მხოლ.	მყოფადი	ვნებ.	საარვ.	უშუალი
24.ღარიბს ორი ეხარჯებოდა, მდიდარს -ერთიო [სახ.,204]- ეხარჯებოდა	III	მხოლ.	უწყვეტელი	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
25.ყველა თავისას ჩიოდა, მენახირე - ბუზანკალსა [სახ.: 211] - ჩიოდა	III	მხოლ.	უწყვეტელი	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
26.შვილსა დედა გაუსინჯე, სამოსელსა -ნაწიბური[სახ.,218] - გაუსინჯე	II	მხოლ.	II - კავშირებითი	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
27.ღმერთს გავექეცი და ზედს კი ვერაო [სახ.: 206] -გავექეცი	III	მხოლ.	წყვეტილი	ვნებ.	საარვ.	შუალობითი
28.ხე ფესვითა დგას, ადამიანი - მოყვრითაო[სახ.: 246] -დგას	III	მხოლ.	აწმყო	საშუალ.	საარვი სო	უშუალი
29.ლხინში გულდინჯად წადი, ჭირში - გულფიცხადაო [სონდ.: 43] - წადი	II	მხოლ.	მყოფადი	საშუალ.	სათავ.	უშუალი
30.ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა -ქალამნადო[ლაფ.: 20] -მიაჩნია	III	მხოლ.	აწმყო	მოქმედ.	სათავ.	უშუალო
31.ბატონმა ყმას უთხრა, ყმამ - მოსამსახურესო. [ლაფ.: 24]- უთხრა	III	მხოლ.	წყვეტილი	მოქმ.	სასხვ.	უშუალო
32.ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის ცოლიო. [ლაფ., 28] - მოსწონს	III	მხოლ.	აწმყო	მოქმ.	სათავ.	უშუალო

33.არც მწვადი დაწვა, არც - შამფურიო.[ლაფ.,29] -დაწვა	II	მხოლ.	მყოფადი	ვნებ.	საარვი სო	შუალობითი
34.თხის წინიდან გემინოდეს, ცხენისა-უკანიდანო[ლაფ.,30] - გემინოდეს	II	მხოლ.	III-ე კავშირებითი	ვნებ.	საარვ.	შუალობითი
35.ერთს რომ ვირი ეწეოდა, ორ იმდენს -ვირის პატრონიო [ლაფ.,39] -ეწეოდა	III	მხოლ.	უწყვეტელი	მოქმ.	სასხვ.	შუალობითი
36.ენას ძვალი არა აქვს, სიტყვას - ბაჟიო [ლაფ.: 41] -არა აქვს	III	მხოლ.	აწმყო	მოქმ.	სათავ.	უშუალო
37.ყველა ფრინველი ფრთით ფრინავს, ქალი კი თავის ქმრითაო[ლაფ.,61] ფრინავს	III	მხოლ.	აწმყო	საშუალ.	საარვი სო	შუალობითი
38.რკინას ჟანგი სჭამს, კაცის გულს -დარდიო [ლაფ.,61]- სჭამს	III	მხოლ.	აწმყო	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
39.ხელი ხელს ჰბანს, ორივე - პირსო[ლაფ.,61] -ჰბანს	III	მხოლ.	აწმყო	მოქმ.	საარვ.	შუალობითი
40.გული გულს იცნობს, სული- სულსო[ლაფ.,64]-იცნობს	III	მხოლ.	აწმყო	მოქმ.	სათავი სო	შუალობითი
41.ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან-ზნესო [ლაფ.,65] - იცვლის	III	მხოლ.	აწმყო	მოქმ.	სათავი სო	შუალობითი
42.ბატონს ბატონურად მოექეცი, ყმას - ყმურადაო [ლაფ.,10] - მოექეცი	III	მხოლ.	მყოფადი	ვნებ.	საარვი სო	შუალობითი
43.გლეხი ძროხას ეძებს ჯიშიანს, თავადი კი ცოლსაო [კანდ.,7] - ეძებს	III	მხოლ.	აწმყო	მოქმ.	სათავი სო	შუალობითი
44.დოჭამიას დო აგონდებოდა.ყველიჭამიას - ყველიო [ნაკ.,67]აგონდებ-ოდა	III	მხოლ.	უწყვეტელი	მოქმ.	სათავ.	უშუალი
45.ბატონი ყნასა სწუნობდა, ყმა კიდევ - მასთან ყმობასა [ნაკ.,61]- სწუნობდა	III	მხოლ.	უწყვეტელი	მოქმ.	სათავ.	უშუალი
46.მთა მთას ვერ შეხვდება, კაცი - კაცს კიო[ნაკ.,13] შეხვდება	III	მხოლ.	მყოფადი	მოქმ.	სათავ.	უშუალი

პროცენტული თანაფარდობის შედეგები:

პირი: I-0,4%; II-1,84%; III-18,86%; **რიცხვი:** მხოლობითი-19,79%; მრავლობითი-1,38%; **მწკრივი:** აწმყო-7,82%; აწმყო უწყვეტელი-5,06%; აწმყო მყოფადი-4,14%; ხოლმეობითი-0, 01%; წყვეტილი-4,60%; **გვარი:** მოქმედებითი-13,80%; ვნებითი-5,52%; საშუალი-1,84%; **ქცევა:** საარვისო-14,72%; სათავისო-19,32%; სასხვისო-9,2%; **კონტაქტი:** შუალობითი-15,18%; უშუალი-5,98%

დანართი №2

უსრულ წინადადებებით გადმოცემულ ქართულ ანდაზებში გამოტოვებული არსებითი სახელების მორფოლოგიურ-სინტაქსური პარადიგმა

ანდაზა	არს.სახ.სუ- ლიერი უსულო	კონკრეტული, აბსტრაქტულ ი	არს. სახ. ბრუნვა	არსებითი სახელის ფუნქცია სინტაქსურ პარადიგმაში
1.აგურს რეცხდნენდა და უარესი წვენი გასდიოდაო [სახ.,11]აგურს	უსულო	კონკრეტული	მიცემითი	თანწყობილ წინადადებაში გამოტოვებ-ულია ქვემდებარე
2.ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, მძინარე - თვალეbs ივშენეტს. [სახ.,3]- ჩიტი	სულიერი	კონკრეტული	სახელობითი	თანწყობილ წინადადებაში გამოტოვებულია პირდაპირი დამატება
3.დათვი მწოლარე მძინარეს ჰგავდა, მოსიარულე - შეუპოვარსა [სახ.,51]- დათვი	სულიერი	კონკრეტული	სახელობითი	თანწყობილში გამოტო- ვებულია პრედიკატუ- ლი წყვილი ქვემდებარე და შემასმენელი „დათ- ვი ჰგავდა“
4.თაგვმა თხარა, თხარა - კატა გამოთხარაო [სახ.,85]-თაგვმა	სულიერი	კონკრეტული	მოთხრობით ი	თანწყობილში გამოტოვებულია ქვემდებარე
5. მოჩქარეს დედა ტირის, მოგვიანესი - იცინისო [სახ.,138]- დედა	სულიერი	კონკრეტული	სახელობითი	თანწყობილში გამოტოვებულია ქვემდებარე
6. შურმა დალია სოფელი, ბაძილმა - ააშენაო [სახ.,20] - სოფელი	უსულო	კონკრეტული	სახელობითი	თანწყობილში გამოტოვებულია ქვემდებარე
7. ჩხიკვი ყვავის მამიდაო, გაფრინდა და წავიდაო [ლაფ., 17]-ჩხიკვი	სულიერი	კონკრეტული	სახელობითი	თანწყობილში გამოტოვებულია ქვემდებარე
8.კეთილი ცოლი სახლისთვის იხვეჭს, ბოროტი ოჯახს ანგრევს [ლაფ.,18]-ცოლი	სულიერი	კონკრეტული	სახელობითი	თანწყობილში გამოტოვებულია ქვემდებარე
9. შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებო[ლაფ.,39]-შვილი	სულიერი	კონკრეტული	სახელობითი	თანწყობილში გამოტოვებულია ქვემდებარე
10. ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოიტანს ქვიშასა[ლაფ.,49]- ცოცხი	უსულო	კონკრეტული	სახელობითი	თანწყობილში გამოტოვებულია ქვემდებარე
12.ნატეხ პურს რომ ვეღარ შეჭამს, მთელს დაუწყებს ცქერასაო[ლაფ.,59] პურს	უსულო	კონკრეტული	მიცემითი	პირველ და მეორე წინადადებაში სუბიექტი არ არის, მეორეში სუბიექტი და პირდაპირი დამატება

13. თევზი ღრმა წყალს ეძებს, ადამიანი - კარგსაო[ლაფ.,61] - წყალს ეზება	უსულო	კონკრეტული	მიცემითი	გამოტოვებულია პრედიკატული წყვილი დამატება და შემასმენელი „ეძებს წყალს“
14. აქლემს ასი აზრი ჰქონდა, მის პატრონს -ას ერთი.[კანდ.,8] - აზრი	უსულო	აბსტრაქტული	სახელობითი	თანწყობილში გამოტოვებულია ქვემდებარე და შემასმენელი „ჰქონდა აზრი“
